ქართული ჟესტური ენა

თბილისი 2012 ©

შესავალი

წინამდებარე წიგნი ქართული ჟესტური ენის პირველი გრამატიკაა. საგულისხმოა, რომ ჟესტური ენების გრამატიკული ლიტერატურა მოიაზრებს სამტყველო ენებისგან განსხვავებული სპეციფიკის მქონე გრამატიკის წიგნს. ასეთი წიგნი არ მიჰყვება სტანდარტული გრამატიკული წიგნის მოდელს, სადაც განხილულია ჯერ მორფოლოგია თავისი მეტყველების ნაწილებით და მათთვის დამახასიათებელი გრამატიკული კატეგორიებით; შემდეგ კი მოდის გრამატიკის მეორე ნაწილი – სინტაქსი თავისი ტრადიციული ფორმით. ჟესტური ენების გრამატიკის წიგნები, ძირითადად, სემანტიკური კატეგორიების ჟესტურ-მიმიკური გრამატიკალიზაციის მოდელებს წარმოადგენს. ჟესტურ ენებში მეტყველების ნაწილების გამოყოფა ვერ ხერხდება იმავე პრინციპებით, როგორც ეს არის სამეტყველო ენებში. შესაბამისად, მორფო-სემანტიკური კატეგორიებიც განსხვავებულად არის რეალიზებული ასეთ ენებში. ამდენად, თავად გრამატიკის დესკრიფციაც სამეტყველო ენებისგან განსხვავებული მეთოდებით მიმდინარეობს. წინამდებარე წიგნში გათვალისწინებულია ჟესტური ენების შესწავლის საერთაშორისო გამოცდილება და, შესაბამისად, წარმოდგენილი "ქართული ჟესტური ენის გრამატიკა" არის შედგენილი საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, სადაც ძირითადი ლოგიკურ-სემანტიკური კატეგორიების მორფო-სინტაქსური ანალიზია მოცემული ქართული ჟესტური ენის ფარგლებში.

"ქართული ჟესტური ენა" ამ ენის პირველი სამეცნიერო კვლევაა. წიგნი შეიქმნა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის – "გადავარჩინოთ ბავშვები" – თბილისის ოფისის პროექტის ფარგლებში საქართველოს ყრუთა კავშირის ბაზაზე USAID -ის დაფინანსებით – დიდი მადლობა ამ ორგანიზაციებს ამ განსაკუთრებული პროექტისათვის. უღრმესი მადლობა საქართველოს ყრუთა კავშირის პრეზიდენტს, ქართული ჟესტური ენის ექსპერტს ბატონ ა. ბატატუნაშვილს და საქართველოს ყრუთა კავშირის ვიცე პრეზიდენტს ქალბატონ მ. მეტონიძეს. ასევე განსაკუთრებული მადლიერებით გვინდა მოვიხსენიოთ ყრუთა თემის წარმომადგენლები ნათია და ლალი ჯაფოშვილები, რომლებიც ჩვენთან ერთად დაუღალავად შრომობდნენ ამ წიგნზე; ყრუ ოპერატორი და გრაფიკოსი ფარხად აბასოვი, რომელმაც შექმნა წიგნის ვიზუალური მხარე. დაბოლოს, მადლობა სურდოთარჯიმნებს – თამუნა ციციაშვილსა და მანანა ხადურიშვილს. მათი დახმარების გარეშე ეს სამუშაო ალბათ ვერ შესრულდებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინამდებარე ნაშრომი პირველია ამ სფეროში და ჩვენ საიმოვნებით გავითვალისწინებთ საქმიან პროფესიულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს კოლეგებისაგან.

ჟესტური ენები

ამ თავში წარმოდგენილია ზოგადი ლინგვისტური ინფორმაცია ჟესტური ენების შესახებ. განხილულია ჟესტური ენის დონეები და შემოთავაზებულია ფონემური დონის შესაბამისი ახალი ენობრივი დონე. წარმოდგენილ ნაწილში ასევე განხილულია ჟესტი, როგორც ჟესტური სამეტყველო ენობრივი ერთეული.

ჟესტური ენები

ნებისმიერი ენა არის სისტემა. ამდენად, ისევე, როგორც ნებისმიერი სამეტყველო ენა, ნებისმიერი ჟესტური ენა წარმოადგენს კონკრეტულ ენობრივ სისტემას. "ჟესტური ენა ვიზუალურ-სივრცითი ენაა, სადაც ინფორმაციის კოდირება ხდება ხელებით, ასევე სახის გამომეტყველებით, გამოხედვით, სხეულისა და თავის განლაგებით და ეს ენა აღიქმება მხედველობით" (*Современные аспекты жестового языка*. "რეფერენცია ჟღერადსა და ჟესტურ ენებში" ე. პროზოროვა, ა. კიბრიკი, 2006:165) ყოველგვარი ენა არის, უპირველეს ყოვლისა, საკომუნიკაციო აზროვნების სისტემა. ჟესტურ ენაში ადგილი აქვს გაძლიერებულ ვიზუალურ აზროვნებას. საერთოდ, სიტყვას აქვს გარეგნული და შინაგანი მხარეები. სიტყვის გარეგნული მხარეებია მისი ბგერითი და ვიზუალურ-გრაფემული (წერილობითი) კომპონენტები. ნებისმიერი ფორმის მეტყველებისას ამ ორიდან ერთ-ერთი აუცილებელია. ჟესტურ ენას, ცხადია, არ გააჩნია, ბგერითი მხარე და ამდენად, მისი გარეგნული მხარე მთლიანად ეყრდნობა ვიზუალურ კომპონენტს. აქ წამყვანია ვიზუალური აზროვნება. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ყრუთა თემის წევრები სახვითი ხელოვნებაში განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩევიან. უსინათლო ადამიანებს ასევე სპეციფიკურად უვითარდებათ სმენა და მეხსიერებაში აღენიშნებათ ბგერისა და მუსიკისადმი მაღალგანვითარებული კოგნიტიური ფონი.

ჟესტური ენები მრავალდონიანია. მიიჩნეულია, რომ ამ ენებში გამოიყოფა მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური ენობრივი იერარქიის დონეები, ჟესტური ენების იერარქიებში ასევე არსებობს ლოგიკურ-სემანტიკური ენობრივი დონე. რაც შეეხება ფონეტიკის ერთპლანიან დონეს, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები ჟესტურ ენებში აღნიშნავენ ამ დონის არსებობასაც, ჩვენი ღრმა რწმენით, მიუღებელია ამ დონეზე საუბარი. რამდენადაც ჟესტურ ენებში ჩვენ საქმე არ გვაქვს სამეტყველო ენასთან, ანუ ბგერით ენასთან, აქ ვერ იქნება ფონემა როგორც ასეთი. ჟესტურ ენებში ერთპლანიანი დონე არის კინემური დონე და ჟესტი ანუ სიტყვა, ან უფრო რთული ერთეული, როგორიცაა ფრაზა ან წინადადება, დაიშლება კინემებად. კინემა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მოძრაობას. კინემის აღწერა არის მიმიკისა და ქირემის ჯამური აღწერა.



მიმიკა არის სახის გამომეტყველება, რომელსაც აქვს თავისი კონკრეტული გრამატიკული ფუნქცია და ქირემა არის ხელით შესრულებული მოძრაობის ერთეული. ტერმინი "ქირემა" გამომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან "ხელი".

ქირემის ძირითადი კომპონენტებია:

1. ხელის მტევნის გამოხატული ფორმა (ხელის მტევნით გადმოცემული კონკრეტული სიტყვის ფორმა);
2. ხელისგულის მიმართულება;
3. ხელის მოძრაობის ადგილი;
4. ხელის მოძრაობის ტრაექტორია.

ეს კომპონენტები, როგორც ჟესტის კოპონენტები, გალადეტის უნივერსიტეტის პროფესორმა უილიამ სტოუკიმ გამოყო 60-70 წლების მიჯნაზე და ჟესტი განიხილა როგორც ფონემური დონის ერთეული და ზემოჩამოთვლილი კომპონენტებით წარმოადგინა მის მახასიათებლებად. ასეთი მიდგომა იყო რევოლუციური. ეს გახდა ახალი ერის დასაწყისი ჟესტური ენების კვლევების ისტორიაში. უდიდესმა მეცნიერმა ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა ჟესტური ენების მეცნიერულ კვლევას და დაამტკიცა, რომ ეს ენები დამოუკიდებელი თვითკმარი ენებია. უნდა ისიც აღინიშნოს, რომ უილიამ სტოუკიმ პირველმა შეიმუშავა თავისი დროისთვის საკმაოდ პროგრესული ჟესტის ჩაწერის სისტემა.

ფონემურ დონესთან დაკავშირებით ჩვენ განსხვავებული ხედვა გვაქვს. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ეს არ არის ფონემური დონე, რამდენადაც აქ არ შეიძლება ფიგურირებდეს ბგერები და ფონემები. სიტყვა-ჟესტი ეს არის მორფოლოგიის სფერო. ხოლო კინემა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის ქვედა ერთპლანიანი, მაგრამ ორ-განზომილებიანი დონე. სამეტყველო ენის ქვედა იერარქიის უმცირესი ერთეული – ფონემა ერთპლანიანია და ის შეიძლება ფაზებად დაიშალოს წარმოთქმის ადგილისა და ხანგრძლივობის მიხედვით. მას აქვს შესაბამისი მახასიათებლები – ხშულობა, ღიაობა, სიყრუე, სიმჟღერე, ნაპრალოვნება და ა. შ.

ჟესტური ენის ქვედა იერარქიის უმცირესი ერთეული კინემა ერთპლანიანია, მაგრამ ორწევრიანი. კინემა შედგება ქირემისა და მიმიკისგან და თითოეულ მათგანს აქვს თავისი შესაბამისი მახასიათებლები – ზემოთ წარმოდგენილი ქირემის კომპონენტები და ასევე მიმიკური ნიშნები. მიმიკა ხშირად გადმოსცემს ინტონაციას და დამოკიდებულებას. მისი ძირითადი მახასიათებლებია კითხვითობა და დამოკიდებულების ფორმების გადმოცემა. დამოკიდებულებაში გადმოიცემა ის ნიუანსები, რასაც ხშირად სამეტყველო ენა არ ან ვერ ასახავს წერილობით ფორმებში და ზეპირმეტყველებაში მხოლოდ ინტონაციით ხდება შესაძლებელი ამის გადმოცემა. მაგალითად, მარტივი თხრობითი წინადადება "კაცი მოვიდა." შეიძლება ირონიითაც იყოს მოწოდებული, ან გარკვეული ორაზროვნებით იყოს ინტონაციურად შეფერილი და ამ კონკრეტული ორაზროვნების შინაარსი მხოლოდ კომუნიკატორმა პირებმა იცოდნენ. შესაძლოა, ეს იყოს აღტაცებითი შინაარსის სათქმელიც. საუბრისას ასეთ ნიუანსებს ინტონაციასთან ერთად მიმიკაც ასრულებს სამეტყველო ენებში. ხოლო ჟესტურ ენებში ასეთი შინაარსის გადმოცემა მთლიანად მიმიკაზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია, რომ კინემა ექსტრალინგვისტური ფაქტორია სამეტყველო ენაში. იმავე პრინციპით, ჩვენ შეგვიძლია ჟესტურ ენებში ბგერითი თანხლება პარალინგვისტურ ფაქტორად მივიჩნიოთ.

ჟესტური ენების დახასიათება სხვაგვარადაც შეიძლება. შეიძლება ითქვას, რომ ჟესტური ენა არის კინემატოგრაფიული ენა. ჟესტურ ენებში არსებობს ჟესტური ენობრივი კონსტრუქციები, რომელიც წარმოდგენილია სამგანზომილებიან სივრცეში და აქ ყველა კომპონენტი ჩართულია ენობრივ სისტემაში. სიტყვა-ჟესტი ასეთ სისტემაში დახასიათდება შემდეგნაირად:



სიტყვა-ჟესტი შედგენილობის მიხედვით შეიძლება იყოს სამგვარი ფორმის:

1. მხოლოდ ჟესტით გამოხატული (მაგ. კაცი, ქალი);
2. ჟესტითადა ერთი დაქტილით გადმოცემული
(მაგ. ევროპა – ე+ჟესტი, აზია – ა+ჟესტი);
აქ გვაქვს ორი ვარიანტი:
   ა. ფორმა იწყება დაქტილით (“ევროპა” – ე+ჟესტი);
   ბ. ფორმა მთავრდება დაქტილით (“ბევრჯერ” – ჟესტი+რ);
3. ჟესტითა და რამდენიმე დაქტილით გადმოცემული
(მაგ. ოკეანე ოკ + ჟესტი).

აქ წარმოდგენილი ბოლო ორი ფორმა არის კომბინირებული – დაქტილურ-ჟესტური. კომბინირებულ სიტყვა-ჟესტებში დაქტილი ან დაქტილები შეიძლება იყოს ჟესტის წინ ან უკან მოსდევდეს ჟესტს. ქართულ ენას თითქმის არ ახასიათებს ჟესტის შემდეგ დაქტილის ან დაქტილების დართვა. ასეთი წყობა რუსული ჟესტური ენისთვის უფრო დამახასიათებელია (მაგალითად, მარილის აღმნიშვნელ სიტყვა-ჟესტს რუსული ენა დაურთავს რბილი ნიშნის გამომხატველ დაქტილს).

სიტყვა-ჟესტი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ერთი ან ორი ხელით. ორხელიანი ჟესტის შემთხვევაში თუკი ორივე ხელი ერთანირ მოძრაობას ასრულებს, ეს არის სიმეტრიული

ჟესტი, ხოლო თუკი სხვადასხვა მოძრაობები სრულდება, მაშინ გვაქვს ასიმეტრიული ჟესტი. ორხელიანი ასიმეტრიული ჟესტის შემთხვევაში ერთ-ერთი ხელი უფრო აქტიურ მოძრაობებს ასრულებს მეორესთან შედარებით და ეს ენობრივი მოვლენა განისაზღვრება როგორც დომინანტი კონდიცია, ხოლო მეორე ნაკლებად აქტიური ხელის პოზიციას ეწოდება პასიური კონდიცია (ბეიკერ-შენკი და კუკელი, 1980:82).

შარლოტა ბეიკერ-შენკი და დენის კუკელი წიგნში “ამერიკული ჟესტური ენა” ჟესტებს ყოფენ მარკირებულ და არამარკირებულ ჟესტებად (ბეიკერ-შენკი და კუკელი, 1980: 82-83). მათი აღნიშვნით, არამარკირებულია ჟესტი, რომელიც ხელის იოლი კონფიგურაციით გადმოიცემა, ხოლო არამარკირებული ჟესტი რთული კონფიგურაციით აღინიშნება. ჩვენ ამ ტერმინებს სხვა მნიშვნელობით გამოვიყენებთ: ჩვენი განსაზღვრებით, მარკირებულია საგნის იკონოგრაფიული ჟესტები და მოქმედების პანტომიმური ჟესტები. ეს არის ჟესტები, რომლებიც საგანს ან მოქმედებას პირდაპირი მარკირებით გადმოსცემენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჟესტის მარკირება ხდება საგნის ან მოქმედების ნიშნით ანუ აქ აშკარაა აღსანიშნისა და აღმნიშვნელის პირდაპირი კავშირი. სწორედ ასეთი მარკირებული ჟესტები არის უნივერსალური ხასიათის და ამიტომაც ისინი სხვადასხვა ენებში შეიძლება გამეორდეს იმავე სემანტიკით. ხოლო აბსტრაქტული ფორმის ჟესტები იქნება არამარკირებული.

თავისი ლინგვისტური ფუნქციით ჟესტი შეიძლება იყოს ლექსიკური, სემანტიკურ-გრამატიკული ან ოდენ გრამატიკული. მაგალითად, ქართულ ჟესტურ ენაში არსებული ერგატიულობის ან ირიბი მიმართების ჟესტები ოდენ გრამატიკული ჟესტებია, თანდებულები და ზმნისწინების გამომხატველი ჟესტები არის სემანტიკურ-გრამატიკული ფუნქციური ჟესტები და არსებითი

სახელების შესაბამისი სიტყვა-ჟესტები კი ლექსიკური ფუნქციის მქონე ჟესტებია.

ადამ კენდონის მიხედვით, ჟესტი შესაძლოა იყოს სამი ტიპის:

1. იკონოგრაფიული, რომელიც გადმოსცემს საგნის ან მოქმედების ხატებას ან ნიშნებს,
2. მეტაფორული, რომელიც შეიცავს სიტყვის მეტაფორული ტიპის გადააზრებას ან
3. დეიქტიური, მიმართულების აღმნიშვნელი.

ჟესტური ენები უნდა გაიმიჯნოს სამეტყველო ენებში გამოყენებული ჟესტ-მიმიკებისაგან ანუ ე.წ. ექსტრალინგვისტური ფაქტორებისგან. ჟესტურ ენაში ჟესტ-მიმიკა ურთიერთობის საყრდენი და ერთადერთი საშუალებაა – აქ გვაქვს საყრდენი ჟესტური კომუნიკაცია. ხოლო სამეტყველო ენებში ეს დამატებითი ფაქტორია, რომელსაც სხვადასხვა ტიპის ინტერპრეტაცია აქვს. გარკვეულ შემთხვევებში სამეტყველო ენებში გამოყენებული ჟესტიკულაცია შესაძლოა ჩაითვალოს დაბალი სამეტყველო კულტურის ნიშნად ან ფამილარობად. ასეთი ტიპის პარალინგვისტური მონაცემები მნიშვნელოვანია ე. წ. სხეულის ენის ასახსნელად და სიცრუის დეტექტორების პროგრამული კოორდინაციისთვის.

დასაშვებია, რომ რომელიმე ჟესტი ან მოძრაობა ერთმანეთს ემთხვეოდეს ერთი და იმავე ენის სამეტყველო და ჟესტურ ფორმებში. (მაგალითად, ასეა დამშვიდობება ქართულში), მაგრამ აქაც ამ მცირედი ქირემული ნიუანსების მყარი ცოდნაა საჭირო, რომ სხვა შინაარსი არ გადავცეთ უნებლიედ (მაგალითად, არ მივესალმოთ დამშვიდობების მაგივრად.

ეს შეიძლება ცინიკურ ნიშნად მიიღონ). საერთოდ საჭიროა ყრუთა თემის კულტურის სიღრმისეული შესწავლა და მათი თავისებურებების გამოვლენა. ყველა ამ თემს აქვს თავისი შესაბამისი დაუწერელი ენობრივი ეთიკის ნორმები. მაგალითად, თუ რამდენიმე ყრუა და იმათგან ორ ადამიანს აქვს ერთმანეთთან წერილობითი ურთიერთობა, ეს უზრდელობად ითვლება. ასეთი რამ მეტყველთა საზოგადოებაში გადაჩურჩულების ტოლფასია და შეფასდება როგორც უკადრისი საქციელი. ქართული ჟესტური ენისთვის მიუღებელია მეორე პირისადმი პირდაპირი მინიშნება გაშვერილი თითით, თუკი მეორე პირის დასახელების პირდაპირი აუცილებლობა არ არის. ქართული ჟესტური ენა გაურბის მეორე პირისადმი ვიზუალურ ფამილარიზაციას. მეტყველების სუბიექტი ყოველთვის ერიდება, რომ პირდაპირ მიუშვიროს თითი მოსაუბრეს.

იმის მიხედვით, თუ რომელი ენობრივი კუთვნილების გარემო აქვთ, ყრუთა თემები აყალიბებენ შესაბამის ენობრივ ერთეულებს. ამ ენებშიც გამოიყოფა დიალექტური და სოციოლექტური ფორმები. მაგრამ დამოუკიდებელი ჟესტური ენების გრამატიკა არ მიჰყვება სამეტყველო ენების სტრუქტურას, არამედ ისინი აგებულია ძირითადი სემანტიკური კატეგორიების ლოგიკურ-ენობრივი ერთეულების სტრუქტურებზე, ამიტომ ამ ენაში ბევრი რამ არის ლინგვისტური ტიპოლოგიისათვის საინტერესო. აქ შეიძლება მრავალი უნივერსალური ერთეულიც იყოს, მაგრამ შესწავლის გარეშე და კონკრეტული ჟესტების ცოდნის გარეშე ამ თითქოს უწყინარი სიტყვების გამოყენება არ შეიძლება, რადგანაც რომელიმე კონკრეტული ყრუთა თემის კულტურისათვის ის შეიძლება მიუღებელი ან შეურაცხმყოფელიც კი აღმოჩნდეს.

თუკი ჟესტური ენა დამოუკიდებელი სისტემაა, როგორც ენობრივი სისტემა, მაშინ სულაც არ არის სავალდებულო,

რომ მან გაიმეოროს ან გაიზიაროს ენის იერარქიის იგივე დონეები, რაც აქვს სამეტყველო ენას. აქ ფონოლოგიურ დონეზე უბრალოდ საუბარიც არ შეიძლება. ბუნებრივია, რომ ჟესტური ენების ლინგვისტური ანალიზი მაინც ხშირად მიდის იმ გზით, რომ განიხილოს სამეტყველო ენებში არსებული კატეგორიების ასახვა ჟესტური ენებში. ჩვენ გვსურს ეს ორმხრივი ურთიერთობა იყოს და სამეტყველო ენებზე მომუშავე ლინგვისტებმა უნდა მხედველობაში მიიღონ ჟესტური ენების მონაცემები შესაბამისი დასკვნების გაკეთებისას.

ჩვენი აზრით, ენათმეცნიერებმა ალბათ უნდა გაიზიარონ ახალი მიდგომა ენობრივი უნივერსალიებისადმი და უნდა გადაისინჯოს აბსოლუტური უნივერსალიები იმ თვალსაზრისით, ვრცელდება თუ არა ესა თუ ის უნივერსალია ჟესტურ ენებშიც. შესაბამისად, აბსოლუტური უნივერსალია იქნება ის უნივერსალია, რომელიც ორივე ტიპის ენაში გავრცელდება. მაგალითად, ასეთი უნივერსალიებია:

1. "ყველა ენაში არის კუთვნილებითი ფორმები / კატეგორიები";
2. "ყველა ენაში არის საგნის აღმნიშვნელი სიტყვები";
3. "ყველა ენაში არის მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები";
4. "ყველა ენაში არის დროის სემანტიკური კატეგორია";
5. "ყველა ენაში არის სივრცითი სისტემები" და ა.შ.

მაგრამ ჩვენთვის კარგად ცნობილი ერთ-ერთი კლასიკური აბსოლუტური უნივერსალია "ყველა ენაში არის მჟღერი და ყრუ ბგერები" ამ პოზიციიდან ვერ იქნება აბსოლუტური, რადგანაც ჟესტური ენები ამას მხარს არ დაუჭერს. მაშასადამე, ეს იქნება ორმხრივი სტატისტიკური უნივერსალია. იგი გავრცელდება მხოლოდ სამეტყველო ენებზე.

ნებისმიერ ენას ყოფა განსაზღვრავს მრავალი თვალსაზრისით. ამდენად, არც გასაკვირია, თუკი უამრავი რამ იქნება საერთო დამოუკიდებელი ჟესტური ენებისა და სამეტყველო ენებისათვის. ჟესტურ ენებში უფრო სწორი იქნებოდა არა მეტყველების ნაწილების მიხედვით ჟესტური ენების გრამატიკის შექმნა, არამედ ლოგიკურ-სემანტიკური სისტემების გრამატიკალიზაციის პროცესების აღწერა. ძირითადი ლოგიკურ-სემანტიკური კატეგორიები უნივერსალურია და ყოველი ენა თავისი სისტემის შესაძლებლობების ფარგლებში სხვადასხვანაირად გადმოსცემს ამ კატეგორიებს. მეტყველების ნაწილების მკვეთრი გამიჯვნა საკმაოდ რთულია ჟესტურ ენებში; მაგალითად, საგანი, ერთი შეხედვით, ადვილად განსხვავდება თვისებისგან ან მოქმედებისგან, მაგრამ შესაძლოა საგანი მისთვის დამახასიათებლი ჟესტით ან შესაბამისი მოქმედების აღმნიშვნელი ჟესტით იყოს წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევაში მორფოლოგია ფორმას ვეღარ გულისხმობს – როგორც ეს სამეტყველო ენების მწყობრ სისტემაშია. თვისება და საგანი ან მოქმედება შეიძლება იყოს ფორმობრივად გაუმიჯნავი. ამიტომაც ტრადიციული მეტყველების ნაწილების ნაცვლად, აქ გვექნება ძირითადი ლოგიკურ-სემანტიკური კატეგორიები – როგორც მორფო-სინტაქსური სისტემის უმთავრესი ერთეულები. ამ კატეგორიებით აისახება შემდეგი ცნებები: დრო, სივრცე, კლასის კატეგორია, საგანი, თვისება, მოქმედება, კუთვნილება, ხარისხი და რაოდენობა.

ცნობილია, რომ მეტყველება მხოლოდ ადამიანის კლასის კუთვნილებაა და ეს არის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ამ კლასისთვის. როგორ დგას საკითხი ჟესტური ენის შემთხვევაში? ჟესტური ენა ეს არის ენობრივი აზროვნების განსხვავებული კინემური ფორმა. ჟესტური ენები არის აზრობრივი ცნებების კინემატური ასახვის სიტემები.

ჟესტური ენა, როგორც საუკეთესო ლინგვოვიზუალური სისტემა, წარმოაჩენს ლინგვისტურ ერთეულებს, რომელთა კანონზომიერი ურთიერთმიმართებები ქმნის ერთიან ენობრივ სტრუქტურას.

ადამიანი განსხვავებულია სხვა სულიერი არსებებისაგან მეტყველებით და ხელით. ხელი – ეს არის უმნიშვნელოვანესი ელემენტი ამ სხვაობაში. ჟესტური ენა იძლევა ამ ორი სხვაობის კომბინაციას. ზოგადად რომ ვისაუბროთ, მეტყველება ზოგ ცხოველს ან ფრინველსაც შეუძლია. ცნობილია მოლაპარაკე თუთიყუშის ჯიშები, ასევე მეტყველება შეუძლიათ ჩხიკვებს, ჯაფარებს, ყვავებს და ძალიან იშვიათად – ძაღლს ან კატას, თუმცა აქ გვაქვს უფრო შეზღუდული ფორმები; მაგრამ მეცნიერები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მხოლოდ ადამიანს შეუძლია დანაწევრებული მეტყველება და სწორედ ეს არის ადამიანის ენის უმთავრესი ნიშანი. ხელთან მიმართებითაც შეიძლება ითქვას, რომ მაიმუნს აქვს შედარებით დახვეწილი ხელი და შეუძლია უამრავი ოპერაციის შესრულება. მაგრამ მას არ შეუძლია დაქტილური ანბანის ილუსტრირება, ან რამე რთული ჟესტის შესრულება. მით უფრო გამორიცხულია ჟესტური ენების მინიმალური კინემურ-მიმიკური დონის მიღწევა ცხოველებში. თუმცა გარკვეული ფონეტიკური დონე წარმატებით შეგვიძლია აღვწეროთ არაადამიანთა მეტყველებაში.

საერთოდ, ადამიანის მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი სხვა სულიერი არსებებისაგან არის ის, რომ ადამიანმა შექმნა შრომის იარაღი – ეს არის კოგნიტიურ-მანუალური აქტი. აქ უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ სწორედ ხელი და ხელით ნაწარმოები პროდუქტი გახდა ძირითადი ნიშანი ადამიანის სხვაობისა.

მნიშვნელოვანია, რომ ორივე ტიპის მეტყველებას – ბგერითსაც და ჟესტურსაც – წარმართავს აზროვნება და აქ გვაქვს მჭიდრო ორმხრივი ურთიერთკავშირი. პირველ შემთხვევაში ენობრივ სისტემას აყალიბებს აზრი და ბგერა ან ასო, მეორე შემთხვევაში კი – აზრი და კინემა, ანუ მოძრაობა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეტყველო ენებისგან განსხვავებით ჟესტური ენები მინიმალიზებულია. ლაკონიზმი არის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა ნებისმიერი ჟესტური ენისთვის. თუმცა, იმასაც უნდა ხაზი გაესვას, რომ ჟესტური ენები განიცდიან სამეტყველო ენების გარკვეულ გავლენებს. საერთოდ, ჟესტური ენების ორი ძირითადი ტიპი არსებობს – დამოუკიდებელი და შესაბამისი სამეტყველო ენიდან კალკირებული. ყრუთა თემების წევრები უმეტეს შემთხვევებში ბილინგვიზმით ხასიათდებიან. მათ აქვთ ორი ენობრივი კუთვნილება – ჟესტური და სამეტყველო ენა, რომელზეც ისინი წერენ, კითხულობენ წიგნებს და უყურებენ ფილმებსა და გადაცემებს სუბტიტრებით. თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც ყრუთა თემის წარმომადგენლებს შეუძლიათ თავისუფლად წერა-კითხვა, ცხადია, ჟესტური ენები სამეტყველო ენების უფრო მეტ გავლენას განიცდიან. ამდენად, მეტია მიდრეკილება კალკირებისაკენ. მაგრამ ჟესტური ენების სისტემური რაციონალიზმი და შინაგანი ენობრივი ლაკონიზმი მაინც არ იძლევა სრული კალკირების საფუძველს.

აღსანიშნავია, რომ ჟესტურ ენებში ყურადღება ექცევა ჟესტის სირბილეს და ელასტიურობას – როგორც კეთილხმოვანება გახლავთ საყურადღებო ფაქტორი სამეტყველო ენებისთვის. ამ ენებშიც, ისევე როგორც სამეტყველო ენებში, მიუღებელია უცხო სიტყვათა ექსპანსია და ბარბარიზმები.

როგორც უკვე ითქვა, ქართული ჟესტური ენა ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდიდა რუსულის გავლენას, რამდენადაც თემის აქტიური წევრების უმრავლესობა არაქართული წარმოშობის იყო და არც არსებობდა არანაირი სახელმძღვანელო ან სხვა ტიპის წიგნი საკუთრივ ქართული ჟესტური ენის შესახებ. რუსული ენობრივი დომინანტის კვალი ნათლად ჩანს როგორც ძველ ანბანში, ასევე ლექსიკაშიც. იდენტური ენობრივი მოვლენები განვითარდა უკრაინასა და ბელორუსიაშიც. ფაქტობრივად, რუსული ჟესტური ენა საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის ხალხების ჟესტურ ენებს და საბოლოოდ მივიღეთ ერთიანი საბჭოთა ჟესტური ენა, რომელიც წარმატებით გამოიყენებოდა ყრუთა საკომუნიკაციოდ ამ სივრცეში. ყრუ ადამიანები დღესაც ინარჩუნებენ ურთიერთობას ამ ენაზე. თუმცა უკვე მიმდინარეობს ჟესტურ ენათა ნაციონალიზაცია და დაწყებულია რეინტეგრაციის პროცესი. უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკისაგან განსხვავებით, ჟესტური ენის გრამატიკული დონეები შედარებით თავისუფალია რუსული ზეგავლენისა და ნასესხობებისაგან.

წინადადება და სიტყვათა რიგი

ამ თავში განხილულია ქართული ჟესტური ენის წინადადებები შინაარსისა და შედგენილობის მიხედვით. წარმოდგენილია მარტივი და რთული წინადადებები. დახასიათებულია კითხვითი და ძახილის წინადადებების თავისებურებანი ჟესტურში. აქვე მოცემულია კითხვითი სიტყვები, კავშირები, თანხმობისა და უარყოფის ფორმები, განკერძოებული სიტყვა-გამოთქმები შორისდებულების ჩათვლით.

1. წინადადება და სასვენი ნიშნები

ქართული ჟესტური ენის სიტყვათა რიგი წინადადებაში ძირითადად იმეორებს ქართული სამტყველო ენის სიტყვათა რიგს. ჟესტურ ენებში კითხვით წინადადებაში კითხვითი სიტყვა თითქმის ყოველთვის პირველ ადგილზეა. ინტონაციის როლს კი ასრულებს შესაბამისი მიმიკა – სახის კითხვითი გამომეტყველება.

საერთოდ, ჟესტური ენა ყოველთვის მინიმალიზებულია. ქართულ ჟესტურ ენას არა აქვს ისეთი ერთეულები, როგორიცაა: ხომ, მაშ, თითქოს, ნეტავ, განა, მაშასადამე, ამდენად, იმდენად, თურმე, ხან, ესე იგი, ასე ვთქვათ. არც ასეთი ტიპის კავშირებითი სიტყვებია ამ ენაში: როგორიც, როდესაც, რადგანაც, როგორც, სადაც, რატომაც, იმიტომაც, ამიტომაც. ამ ენებში წინადადება ლაკონიურადაა აგებული ტიპოკალური პრინციპით.

საგულისხმოა, რომ ქართულ ჟესტურ ენაში გვაქვს სასვენი ნიშნების შესატყვისი ჟესტები. ფაქტობრივად, ესენია ხელით მოხაზული სასვენი ნიშნების შესაბამისი გრაფემები.



.

წერტილი



.

მძიმე

!

ძახილის ნიშანი



?

კითხვის ნიშანი

:

ორწერტილი

:

წერტილ-მძიმე

—

ტირე

( )

ფრჩხილები

“ “

გრჭყალები

2. წართქმითი და უკუთქმითი ფორმები

ქართულ ჟესტურ ენას აქვს თანხმობა-უარყოფის სიტყვა-წინადადებები.

კი - გადმოიცემა ორი დაქტილით.

კი

თანხმობის ნიშნად ხშირად იყენებენ რუსულ დაქტილურ ფორმას ***“და”***-ს. იგივე დაქტილებია გამოყენებული ქართული “და” კავშირის აღსანიშნად. საერთოდ, ასეთი გამოხატვა მარტივ ფორმად აღიქმება, რადგანაც მხოლოდ ორი დაქტილია წარმოდგენილი. როდესაც მოსაუბრე კარნახობს ჩასაწერ მასალას, მაშინ ყოველთვის გამოკვეთილი დაქტილური ფორმის თანხმობაა საჭირო. სასაუბრო ჟესტურში კი თანხმობის ნიშნად მხოლოდ თავის დაქნევაც მიღებული ფორმაა.

დიახ (რუსული დაქტილური ფორმა ***да***)

ДИАХ

არა – გადმოიცემა მრავალფაზიანი ჟესტით.

АРА

ვერა – გადმოიცემა ორმოქმედებიანი მრავალფაზიანი ჟესტით.

როდესაც დამოუკიდებლადაა არაკატეგორიული უარყოფითი ჟესტი "ვერა", იყენებენ ორმაგ უარყოფას – "ვერა – არა". ხოლო როდესაც "ვერ" ზმნასთან ერთად გვაქვს, მაშინ ამ ჟესტის მხოლოდ პირველი ნაწილი, საკუთრივ "ვერ", გამოიყენება.

ВЕРА

3. სიტყვათა რიგი

სიტყვათა რიგი ძალზე მნიშვნელოვანია იმ ენათათვის, სადაც ბრუნვათა სისტემა და ზმნის უღლება მორფოლოგიურად შედარებით მქრქალადაა წარმოდგენილი. მაგალითად, ინგლისური სამეტყველო ენისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს სუბიექტისა და ობიექტის პოზიციებს. ფაქტობრივად, ამ ენაში პოზიცია განსაზღვრავს ზმნასთან დაკავშირებული სინტაქსური აქტანტის როლს. სამეტყველო ინგლისურს აქვს ასეთი წყობა ***SVO***. საგულისხმოა, რომ ამერიკული ჟესტური ენა არ იზიარებს ინგლისური სამეტყველო ენის მოდელს სიტყვათა რიგის თვალსაზრისით და ამერიკულ ჟესტურ ენაში გვაქვს ასეთი წყობა - ***SOV***.

ქართული სამეტყველო ენის გრამატიკისთვის სიტყვათა რიგი არ არის პრინციპული მნიშვნელობის მქონე. აქ გვაქვს სიტყვათა თავისუფალი რიგი, თუმცა არ არის სრული თავისუფლება, რასაკვირველია. მაგალითად, თუნდაც მსაზღვრელ-საზღვრულს შორის სინტაქსური კავშირის შემთხვევებში. საერთოდ, არის წინადადებაში სიტყვათა რიგის ისეთი ვარიანტები, რომლებიც უფრო მისაღები და ორგანული ჩანს სხვა წყობასთან შედარებით. ჩვენი დაკვირვებით, ქართული ჟესტური ენა თითქმის სრულიად იზიარებს ქართული სამეტყველო ენისთვის დამახასიათებელ თავისუფლებას წინადადებაში სიტყვათა რიგის თემასთან დაკავშირებით, მაგრამ აქაც არის მეტ-ნაკლებად სასურველი არჩევანი და ეს არჩევანიც მიჰყვება ქართული სამეტყველო ენის სინტაქსურ პრინციპებს.

ქართული ჟესტური ენისთვის შედარებით სასურველი წყობაა ***SVO***. თავისუფალი სიტყვათა რიგი მაინც ფარდობითი მოვლენაა ქართულ ჟესტურ ენაში (ისევე როგორც ქართულ

სამეტყველო ენაშიც). როდესაც წინადადებაში გვაქვს თითო-თითო აქტანტი, მაშინ რიგი თავისუფალია. როცა წინადადებაში გვაქვს ერთი სულიერი აქტანტი, რომელიც, სავარაუდოდ, ქვემდებარეა, გვაქვს ერთი ზმნა-შემასმენელი და ერთი უსულო აქტანტი, რომელიც პირდაპირი დამატებაა, სავარაუდოდ, ან ინსტრუმენტალისის შინაარსის მქონე

უბრალო დამატება; აქვე შეიძლება ასევე აღსანიშნი იყოს მოქმედების ადგილი და დრო. ასეთ შემთხვევაში წყობა არჩევითია და ქართულ ჟესტურ ენას არა აქვს რაიმე მყარი შეზღუდვები. მაგრამ როცა წინადადებაში ორი სულიერი აქტანტია, მაშინ ქვემდებარის გამომხატველი სიტყვა-ჟესტი პირველ ადგილზე უნდა იყოს ამ წყობით: სუბიექტი-ზმნა-ობიეტი – ***SVO*** ან სუბიექტი-ობიექტი-ზმნა – ***SOV***.

მე შენ მიყვარხარ.

მოქმედების ჩამდენი აქტანტი – სუბიექტი წინ უნდა უსწრებდეს სულიერ ირიბ ობიექტს, რადგანაც კლასიკური გაგებით აქ არ გვაქვს ბრუნვები. თუმცა, ქართულ ჟესტურ ენას აქვს მიმართების ჟესტი, რომელიც დატივის შინაარსს გადმოსცემს. ეს არის ოდენ გრამატიკული ჟესტი და საგულისხმოა, რომ იგი არ არის მიცემითი ბრუნვის ნიშნის ფარდი ს- დაქტილი.

მიმართების ნიშანი

ფაქტობრივად, ეს არის მესამე პირის ირიბი ობიექტის მიმართების გამომხატველი მორფოსინტაქსური ჟესტი. წინადადებებში "ვუთხარი კაცს" ან "მივეცი ქალს" მოცემული არსებითი სახელების ("კაცს", ქალს") ფარდი სიტყვა-ჟესტების შემდეგ წარმოდგენილი იქნება ეს მიმართების ნიშანი.

ისეთი მორფოსინტაქსური ერთეულები, როგორებიცაა მიმართების და ერგატიული ჟესტები და მათი გამოყენება წინადადებაში, კიდევ უდრო მეტ თავისუფლებას სძენს სიტყვათა რიგს ქართულ ჟესტურ ენაში. ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეადარეთ სიტყვათა რიგი ქვემოთ წარმოდგენილ წინადადებებში:

კაცს უყვარს ქალი.

აქ პირველი სიტყვაა "კაცი". მეორე-მესამე სურათებზე არის წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი "უყვარს". ბოლო სურათზე კი ასახულია სიტყვა"ქალი".

ქალს უყვარს კაცი.

ამ წინადადებაში პირველი სურათი გვიჩვენებს სიტყვა-ჟესტს “ქალი”.

მე შენ მიყვარხარ.

წარმოდგენილ წინადადებაში პირველ სურათზეა პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელის ამსახველი ჟესტი “მე”. მეორე სურათზე გამოხატულია პირის ნაცვალსახელი “შენ”. ბოლო სურათზე კი წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი “მიყვარხარ”.

შენ მე გიყვარვარ.

აქ პირველია სიტყვა-ჟესტი “შენ”. მეორე სურათზეა პირველი პირის ნაცვალსახელი “მე”. ბოლო ორ სურათზე კი წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი “გიყვარვარ”.

4. მარტივი წინადადება

I. თხრობითი წინადადება

თხრობითი წართქმითი წინადადება:

კაცი აშენებს სახლს.

თხრობით უკუთქმით წინადადებაში უარყოფითი ჟესტი განთავსდება ზმნის წინ.

კატეგორიული უკუთქმა:

კაცი არ აშენებს სახლს.

აქ გამოყენებულია კატეგორიული უკუთქმის მრავალფაზიანი ერთხელიანი ჟესტი **“არა”**.

არა

კატეგორიული უკუთქმის დროს ზოგი წყარო ადასტურებს ორმაგ უარყოფას, მაგალითად, უარყოფითი “არა”-ჟესტი ორჯერაა გამეორებული: ზმნის წინ და ზმნის შემდეგ – “არ მინდა, არა!”

არ მინდა არა

არ+მინდა არა – აქ თავის უარყოფითი გაქნევაც ემატება, როგორც მიმიკური ელემენტი. “არ მინდა” განსხვავებული ჟესტია “მინდა”-საგან და თავისთავში შეიცავს უარყოფას “არ+მინდა”. ამას ემატება მომდევნო “არა” ელემენტი და ვიღებთ ორმაგ უარყოფას.

არაკატეგორიული უკუთქმა:

კაცი ვერ აშენებს სახლს.

აქ გამოყენებულია არაკატეგორიული უკუთქმის ორნაწილიანი ერთხელიანი მრავალფაზიანი ჟესტი “ვერ” / ”ვერა.”



ვერა

II. კითხვითი წინადადება და კითხვითი სიტყვები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კითხვით წინადადებაში სასურველია წინადადების დაწყება კითხვითი სიტყვით. ქართულ ჟესტურ ენაში კითხვითი სიტყვებია:

ვინ?

ვინ? ეს არის ერთხელიანი მრავალფაზიანი ჟესტი. ამ სიტყვა-ჟესტს აქვს მეორე ვარიანტიც, რომელსაც გრაფიკულად წარმოგიდგენთ:

ვინ?

რა?

კითხვითი სიტყვა **“რა?”** არის ერთხელიანი მრავალფაზიანი ჟესტი.

როდის?

კითხვითი სიტყვა **“როდის?”** არის ერთხელიანი ორფაზიანი ჟესტი.

სად?

კითხვითი სიტყვა **“სად?”** არის ერთხელიანი მრავალფაზიანი ჟესტი.

რომელი

კითხვითი სიტყვა **“რომელი?”** არის ერთხელიანი მრავალ-ფაზიანი ჟესტი.

როგორი?

კითხვითი სიტყვა **“როგორი?”** არის ერთხელიანი მრავალ-ფაზიანი ჟესტი.

როგორ?

კითხვითი სიტყვა **“როგორ?”** არის ერთხელიანი მრავალ-ფაზიანი ჟესტი. ეს ჟესტი ბოლო ფაზის გარდა მთლიანად იმეორებს წინა ჟესტს.

რატომ?

კითხვითი სიტყვა **“რატომ?”** არის ერთხელიანი მრავალ-ფაზიანი ჟესტი.

ვისი?

ვისი?

კითხვითი სიტყვა **“ვისი?”** არის ორნაწილიანი ერთხელიანი მრავალფაზიანი ჟესტი.

რამდენი?

კითხვითი სიტყვა **“რამდენი?”** არის ერთხელიანი მრავალ-ფაზიანი ჟესტი.

კითხვითი სიტყვების თანდებულიანი ფორმები:

რისთვის?

რისთვის? (რად მინდა?) ფრაზა ორნაწილიანია. ამ ფორმას აქვს ალტერნატიული ვარიანტიც:

რისთვის?

ვისთვის?

ვისთვის? არის ორნაწილიანი ერთხელიანი მრავალფაზიანი ჟესტი.

ვის შესახებ?

ვის შესახებ? არის სამნაწილიანი მრავალფაზიანი ჟესტი.

ვის შესახებ?

რის შესახებ? არის ორნაწილიანი მრავალფაზიანი ჟესტი.

ვის გამო?

ვის გამო? არის ორნაწილიანი მრავალფაზიანი ჟესტი.

რის გამო?

რის გამო? არის ორნაწილიანი მრავალფაზიანი ჟესტი.

რაზე?

“რაზე?” არის ორნაწილიანი მრავალფაზიანი ჟესტი.

რისგან?

კითხვითი სიტყვა **“რისგან?”** არის ორნაწილიანი ერთ-ხელიანი მრავალფაზიანი ჟესტი.

ქართული ჟესტური ენის კითხვით წინადადებაში არის სპეციალური კითხვითი ჟესტი, რომელიც კითხვითი სიტყვის შემდეგ არის წარმოდგენილი ან წინადადების ბოლოს გამოისახება. ეს არის ზემოთ ან პირდაპირ კითხვითი ხასიათით მიმართული საჩვენებელი თითით გადმოცემული ჟესტი. კითხვითი ჟესტის ადგილი თავისუფალი არჩევნის საკითხია. როდესაც კითხვით ჟესტს შეიცავს კითხვითი სიტყვა, მაშინ იმავე მნიშვნელობის დამატებითი ჟესტი წინადადებაში უკვე საჭირო აღარაა.

?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კითხვითი წინადადება უმეტესწილად კითხვითი სიტყვით იწყება. ინტონაციის როლს ასრულებს მიმიკა. ქართულ ჟესტურ ენაში კითხვით წინადადებაში მიმიკის როლი შემცირებულია, რადგანაც გვაქვს სპეციალური კითხვითი სინტაქსური ნიშანი, მაგრამ ბრძანებითი წინადადებებისგან განსხვავებით, კითხვით წინადადებაში კითხვითი გამომეტყველების მიმიკა მაინც აუცილებელი სინტაქსური ნაწილია.

კაცი რატომ აშენებს სახლს?

ამ წინადადებაში კითხვითი ჟესტი წინადადების ბოლოსაა მოცემული.

კაცი რატომ? აშენებს სახლს

ამ მაგალითში კი კითხვითი ჟესტი კითხვითი სიტყვის შემდეგაა და მესამე ფოტოზეა ასახული.

რამდენი? ჭიქაა მაგიდაზე

ამ მაგალითში კითხვითი ჟესტი კითხვითი სიტყვის შემდეგაა და მესამე ფოტოზეა ასახული. აქვე დავუმატებთ, რომ ამ წინადადებაში გამოტოვებულია ყოფნა ზმნის მესამე პირის ფორმა – "არის". ასეთი რამ ქართული ჟესტური ენისთვის ბუნებრივი მოვლენაა.

რამდენი ჭიქაა მაგიდაზე?

ამ წინადადებაში კითხვითი ჟესტი წინადადების ბოლოს გამოისახება და ბოლო ფოტოზეა მოცემული.

ქართულში კითხვითი ჟესტი შეიძლება შეერწყას "ეს" ჩვენებით ნაცვალსახელს ან ადგილის ზმნიზედას "აქ" და ასეთი კითხვითობა ერთიანი დინამიკური ჟესტით გადმოიცეს.

ეს? ვინ არის

აქ ასეთი შერწყმა გვაქვს პირველ ფოტოზე.

ვინ არის ეს?

მოცემულ წინადადებაში ორი ჟესტის შერწყმა წარმოდგენილია ბოლო ფოტოზე.

კითხვით ნიშანს თავის კინეტიკაში შეიცავს რამდენიმე ჟესტური კითხვითი სიტყვა – რა? რისგან? რისი? რის შესახებ? რის გამო?

რა?

რისგან?

აქ მესამე სურათი არის კითხვითი ჟესტი. კითხვითი სიტყვა “რისგან” რთული დინამიკური ჟესტია და შეიცავს კითხვით ნიშანს, რომელიც გამოსახულია მესამე ფოტოზე.

რისგანაა? სურათი დამზადებული

ამ კითხვით წინადადებაში მესამე სურათზე წარმოდგენილი არის კითხვითი ჟესტი. მეოთხე და მეხუთე სურათებზე ასახულია სიტყვა-ჟესტი “სურათი”. მეექვსე, ბოლო ფოტო გვიჩვენებს სიტყვა-ჟესტს “დამზადებული”. მოცემულ ჟესტურ წინადადებაში გამოტოვებულია “ყოფნა” ზმნის მესამე პირის ფორმა “არის”.

შესაძლოა კითხვითი წინადადება წარმოდგენილი იყოს კითხვითი ჟესტის გარეშეც, მხოლოდ მიმიკით.

კაცი აშენებს სახლს?

III. ძახილის წინადადება

ბრძანებით წინადადებაში არის ბრძანებითობის გამომხატველი სპეციალური ჟესტი, რომელიც წარმოდგენილია ზმნის შემდეგ. ეს არის ზემოდან ქვემოთ ბრძანებით დაქნეული საჩვენებელი თითით გადმოცემული ჟესტი – ძახილის ნიშანი.

ბრძანებითის ნიშანი მიმიკასთან ერთად გამოიყენება, მაგრამ მიმიკის როლი შემცირებულია, რადგანაც გვაქვს სპეციალური სინტაქსური ნიშანი.

ბრძანება მიმართულია მეორე ან მესამე პირის მიმართ. ბრძანებითი ელემენტი ორივე შემთხვევაში ზმნის შემდეგ მანიფესტირდება.

ბრძანებითი წინადადების მაგალითები:

გააკეთე საქმე!

აქ მესამე ფოტო ასახავს ბრძანებითობის ჟესტს.

ШЕМОДИ! САХЛШИ

ამ მაგალითში მესამე ფოტოზე ბრძანებითობის ჟესტია მოცემული, ხოლო მეოთხეზე – სივრცითი ნიშანი.

КАЦО, ААШЕНЕ САХЛИ!

ამ წინადადებაში პირდაპირი მიმართვას გამოხატავს მიმართვის ჟესტი, რომელიც მეორე ფოტოზეა მოცემული ვოკატივის ფორმით (“კაც-ო”). ბრძანებითობის ჟესტი კი მეოთხე ფოტოზეა გამოსახული ზმნის შემდეგ.

МОДИ АЖ!

ამ წინადადებაში ბრძანებითი ნიშანი ზმნის შემდეგ მოდის და მესამე სურათზეა. თუმცა კითხვითი ჟესტის მსგავსად, ზოგჯერ

ბრძანებითის ნიშანი შეიძლება შეერწყას III პირის ჩვენებით ნაცვალსახელს ან ადგილის ზმნიზედას და ერთიანი დინამიკური ჟესტით გადმოიცეს. ზედა ფოტოების რიგი შევადაროთ ქვედა მომდევნო მაგალითს. აქაც იგივე წინადადება გვაქვს – “მოდი აქ!”

МОДИ АЖ!

ამ შემთხვევაში ბრძანებითი ნიშანი, რომელიც ზმნის შემდეგ მოდის, ერწყმის “აქ” – ადგილის ზმნიზედის გამომხატველ ჟესტს.

ბრძანება მესამე პირის მიმართ ასევე დაირთავს ბრძანებით ნიშანს ზმნის შემდეგ.

КАЦИ МОВИДЕС АЖ!

КАЦМА ААШЕНОС САХЛИ!

როდესაც ბრძანებით წინადადებაში ორი ზმნაა “და” კავშირით შეერთებული (ან უკავშიროდ) – მაშინ ერთი ბრძანებითობის ჟესტიც საკმარისია.

მოდი! და გააკეთე

ასეთ წინადადებაში ბრძანებითი ნიშანი შეიძლება გამოტოვებულიც იყოს და მხოლოდ თავის დაქნევით იყოს წარმოდგენილი ზმნა-შემასმენელ “მოდი”-ს შემდეგ.

მოდი! გააკეთე

მოდი! (და) გააკეთე – ასეთ წინადადებაში “და” კავშირი, როგორც წესი, გამოტოვებულია. ბრძანებითობის ჟესტი უფრო ხშირად პირველი ზმნის შემდეგაა და ამ მაგალითებში რიგით მესამე ფოტოებზეა წარმოდგენილი ორივე შემთხვევაში.

მოდი და გააკეთე!

მოდი და გააკეთე! – აქ აუცილებელია “და” კავშირი, რადგანაც ბრძანებითობის ჟესტი წინადადების ბოლოსაა – მეორე ზმნის შემდეგ ბოლო ფოტოზე. კავშირი “და” ასახულია მესამე და მეოთხე ფოტოებზე.

დაწერე! დახატე!

დაწერე! დახატე! - ამ მაგალითში ბრძანებითობის ჟესტი მესამე ფოტოზეა, პირველი ზმნის შემდეგ და აქ “და” კავშირი აღარაა საჭირო.

დაწერე და დახატე!

დაწერე და დახატე! ამ წინადადებაში ბრძანებითობის ჟესტი ბოლო, მეექვსე ფოტოზეა, მეორე ზმნის შემდეგ. ამდენად, აქ “და” კავშირი აუცილებელია.

ბრძანებითობის ჟესტი გამოიყენება როგორც წართქმით, ასევე უკუთქმით ფორმებშიც. ამდენად, უარყოფით ბრძანებით წინადადებაში მას აკრძალვითი ჟესტის ფუნქციაც ენიჭება. შევადაროთ წართქმითი და უკუთქმითი ბრძანების მაგალითები:

დახატე ნახატი!

ამ წინადადებაში ბრძანებითი ნიშანი ზმნის შემდეგ მოდის და მეორე სურათზეა წარმოდგენილი ისრით. ბოლო სამი ჟესტი გადმოსცემს სიტყვა-ჟესტს “ნახატი”.

არ დახატო ნახატი!

ამ წინადადებაშიც ბრძანებითი ნიშანი ზმნის შემდეგაა. მესამე სურათზეა ისრით ასახული აკრძალვითი ჟესტის მოძრაობის ფაზები, ხოლო წინადადება კი იწყება ზმნის წინ განთავსებული უარყოფითი ჟესტით “არ”. ბოლო სამი ჟესტი გადმოსცემს სიტყვა-ჟესტს “ნახატი”.

საილუსტრაციოდ ერთმანეთს შევადაროთ თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი მარტივი ჟესტური წინადადებები.

1. თხრობითი წინადადება:

კაცი აშენებს სახლს.

2. კითხვითი წინადადება:

კაცი აშენებს სახლს?

3. ბრძანებითი წინადადება:

კაცო, ააშენე სახლი!

ზემოთ მოყვანილი მასალიდან ნათლად ჩანს მიმიკის განსაკუთრებული როლი კითხვით წინადადებაში და ბრძანებითობისა და კითხვითი ნიშნების სინტაქსური მნიშვნელობა. ქართულ ჟესტურ ენას ასევე აქვს კითხვით-ძახილის წინადადება. ეს არის ისეთი კითხვითი წინადადება, რომელიც გაკვირვებასაც შეიცავს.

კაცი აშენებს სახლს?!

5. კავშირები

ქართულ ჟესტურ ენაში არის კავშირები:

მაერთებლი კავშირი “და” დაქტილურად არის წარმოდგენილი. ხშირად ეს კავშირი გამოტოვებულია მარტივ წინადადებაში, მაგრამ იგი ყოველთვის იხმარება რთული თანწყობილი წინადადებების დასაკავშირებლად.

და

თუ – დაქტილური ფორმით გადმოიცემა:

თუ

“თუ" კავშირი შეიძლება ჟესტური ფორმითაც იყოს გადმოცემული:

თუ

რომ – მრავალფაზიანი ჟესტური ფორმით არის გადმოცემული:

რომ

მაგრამ – ორფაზიანი ჟესტური ფორმით არის გადმოცემული. ამ სიტყვას აქვს ორი ვარიანტი:

1.

მაგრამ

2.

მაგრამ

ან – დაქტილური გადმოცემით არის წარმოდგენილი:

ან

“ხან” მაცალკევებელი კავშირი:

ხან

ხოლო - ორფაზიანი ჟესტური ფორმით არის გადმოცემული:

ხოლო

ქართულ ჟესტურ ენაში არის კავშირებითი სიტყვა-ჟესტები. ასეთი სიტყვა-ჟესტების ბოლო ფაზაში გამოყოფილია ”-ც” მიმართებითი ნაწილაკი. ეს არ არის დაქტილი “ც”, არამედ ეს არის ოდენ გრამატიკული ჟესტი – საჩვენებელი თითით შესრულებული ორფაზიანი ერთხელიანი ჟესტი.

როგორც

როგორიც

რომელიც

როდესაც

რადგანაც

სადაც

ვინც

რაც

უნდა აღინიშნოს, რომ თავისივე ბუნებიდან გამომდინარე, რთულ წინადადებებთან შედარებით, ჟესტური ენა უპირატესობას ანიჭებს მარტივ წინადადებებს. ჟესტური ენა გაურბის რთულ წინადადებებსა და განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმებს. თუმცა, ორივე მოვლენა მაინც დასტურდება ამ ენაში.

6. რთული წინადადება

I. რთული თანწყობილი წინადადება

ქართულ ჟესტურ ენას, ისევე როგორც ქართულ სამეტყველო ენას, აქვს ყველა ტიპის თანწყობა – მაკავშირებლი, მაპირისპირებებლი და მაცალკევებელი. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ქვეთავში უმეტესწილად მინიმალიზებული მაგალითებია მოყვანილი ახლანდელი დროის ფორმებით.

კაცი მიდის ქალაქში და ქალი რჩება სახლში.

თანწყობილი წინადადების პირველი ნაწილი იწყება ქვემდებარით "კაცი", რასაც მოჰყვება ზმნა-შემასმენელი "მიდის", რომელიც გადმოცემულია ორი ფოტოთი. მეოთხე სურათზეა სიტყვა-ჟესტი "ქალაქში". აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში -ში თანდებული არაა საჭირო. არც ბოლო სიტყვა-ჟესტი "სახლი" დაირთავს "-ში" თანდებულს ამჯერად (ამ საკითხს ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ თავში "სივრცე."). "და" კავშირი მეხუთე და მეექვსე სურათებზეა სურათებზეა დაქტილურად წარმოდგენილი. მეორე წინადადების ქვემდებარე - "ქალი" მეშვიდე ფოტოზეა ასახული, ხოლო ზმნა-შემასმენელი "რჩება" ორი ფოტოთია მოცემული – მერვე და მეცხრე.

მომდევნო წინადადებებში არსებითად იგივე ენობრივი სურათი გვაქვს. აქ მხოლოდ კავშირებია განსხვავებული.

კაცი მიდის ქალაქში, მაგრამ ქალი რჩება სახლში.

კაცი მიდის ქალაქში, ხოლო ქალი რჩება სახლში.

კაცი მიდის ქალაქში, ან ქალი რჩება სახლში.

ამ წინადადებაში "ან" მაცალკევებელი კავშირი დაქტილებითაა გადმოცემული მეხუთე და მეექვსე სურათებზე.

ხან კაცი მიდის ქალაქში, ხან ქალი რჩება სახლში.

წინადადება იწყება "ხან" მაცალეკვებელი კაშირით, რომელიც მეორდება მეორე თანწყობილი წინადადების თავშიც – მეექვსე სურათზე.

II. რთული ქვეწყობილი წინადადება

ქართულ ჟესტურ ენას, რომელიც სინტაქსური თვალსაზრისით კალკირებს ქართულ სამეტყველო ენას, აქვს ყველა ძირითადი ტიპის ქვეწყობა.

პირობითი წინადადება

კაცი მიდის ქალაქში, თუ ქალი რჩება სახლში.

მეხუთე ფოტოზე არის ასახული ორხელიანი სიმეტრიული სიტყვა-ჟესტი - კავშირი "თუ".

ქვემდებარული დაქვემდებარება:

ის მიდის ქალაქში, ვინც სახლში ვერ რჩება.

პირველი სურათი ასახავს ჩვენებით ნაცვალსახელს "ის". შემდეგი ორი სურათით გადმოცემულია ზმნა "მიდის", მეოთხე სურათზეა ჟესტი "ქალაქში". რიგით მეხუთე და მეექვსე სურათებზე გადმოცემულია მაკავშირებელი სიტყვა "ვინც". მეშვიდე სურათზეა სიტყვა-ჟესტი "სახლში", რომელსაც ამ შემთხვევაში არ სჭირდება "-ში" თანდებულის დართვა. მერვე და მეცხრე სურათები, ანუ ქვედა რიგში პირველი და მეორე გამოხატავენ უარყოფით ნაწილაკს "ვერ", ხოლო ბოლო ორი სურათი ასახავს მეორე წინადადების ზმნა-შემასმენელს "რჩება".

პირდაპირობიექტური დაქვემდებარება:

ეს კაცი აკეთებს იმას, რასაც ვეუბნებით.

ამ წინადადებაში პირველი სურათი ასახავს "ეს" ჩვენებით ნაცვალსახელს. მეორე არის სიტყვა-ჟესტი "კაცი", შემდეგი ორი სურათით გადმოცემულია ზმნა "აკეთებს". მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სურათებზე მოცემულია სიტყვა-ჟესტი "იმას". მერვე სურათზე ანუ ქვედა რიგში პირველ-მეორე სურათზე გვაქვს მაკავშირებელი სიტყვა "რასაც". ამათგან "ც" ნაწილაკი მეორე ფოტოზეა ასახული. ბოლო ორი ფოტო – ქვედა რიგის მესამე და მეოთხე სურათები ასახავს მეორე წინადადების ზმნა-შემასმენელს – "ვეუბნებით".

ირიბობიექტური დაქვემდებარება:

ეს კაცი უშენებს სახლს იმას, ვინც უყვარს.

ამ წინაადებაში მესამე და მეოთხე სურათები გადმოსცემენ პირველი წინდადების ზმნა-შემასმენელს "უშენებს", რომელსაც აქვს სასხვისო ქცევის ფორმა და ამ მორფოსემანტიკის გამომხატველი ორფაზიანი ჟესტი ერთვის ზმნას – ეს არის ასახული მეოთხე სურათზე. ქვედა რიგში პირველ სამ ფოტოზეა სიტყვა-ჟესტი "იმას" და მეოთხე და მეხუთე სურათებზე "ვინც" მაკავშირებელი სიტყვა-ჟესტია წარმოდგენილი. ბოლო სურათზე კი ასახულია მეორე წინდადების ზმნა-შემასმენელი "უყვარს".

განსაზღვრებითი დაქვემდებარება:

ის კაცი მიდის ქალაქში, რომელიც სახლში ვერ რჩება.

ამ წინადადებაში ზედა რიგის ბოლო მეექვსე, მეშვიდე და მერვე სურათები ასახავს მაკავშირებელ სიტყვას "რომელიც".

დროის გარემოებითი დაქვემდებარება:

კაცი მიდის ქალაქში, როდესაც ქალი რჩება სახლში.

წარმოდგენილ წინადადებაში ქვედა რიგის პირველი სამი ფოტო გადმოსცემს მაკავშირებელ სიტყვა-ჟესტს "როდესაც".

ადგილის გარემოებითი დაქვემდებარება:

ეს კაცი მიდის იქ, სადაც ელოდებიან.

ამ წინადადებაში მეხუთე ფოტოზეა სიტყვა-ჟესტი "იქ" და მეექვსე ფოტო ასახავს მაკავშირებელ სიტყვა-ჟესტს "სადაც". ბოლო სურათზე მოცემულია დაქვემდებარებული წინადადების ზმნა-შემასმენელი " ელოდებიან", რომელიც ჟესტურად ერწყმის მაკავშირებელი "სადაც" სიტყვა-ჟესტის მეორე ფაზას – "-ც" მიმართებით ნაწლაკს.

მიზეზის გარემოებითი დაქვემდებარება:

კაცი მიდის ქალაქში, რადგანაც ქალი რჩება სახლში.

ამ წინადადებაში ზედა რიგის მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სურათები ასახავენ მაკავშირებელ სიტყვას "რადგანაც".

მიზნის გარემოებითი დაქვემდებარება:

კაცი მიდის ქალაქში იმისთვის, რომ ქალი დარჩეს სახლში.

ზემოთ წარმოდგენილ წინადადებაში ზედა რიგში მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სურათებზე მოცემულია სიტყვა "იმისთვის." ქვედა წყობაში რიგით პირველ ფოტოზე ასახულია მაქვემდებარებელი კავშირი "რომ", შემდეგ მოდის დაქვემდებარებული წინადადების ქვემდებარე "ქალი", რასაც მოსდევს ზმნა-შემასმენელი "დარჩეს." ქვედა რიგის მეორე და მესამე ფოტოებზე ასახულია ამ ზმნის ძირითადი ლექსიკური ერთეული, რომელსაც თან ახლავს მეხუთე და მეექვსე ფოტოებზე გამოსახული მომავალი დროის ნიშანი.

ვითარების გარემოებითი დაქვემდებარება:

ეს ბიჭი ისე მღერის, როგორც მღეროდა ადრე მამამისი.

წარმოდგენილ წინადადებაში პირველ სურათზე ასახულია ჩვენებითი ნაცვალსახელი "ეს", მეორე სურათი გვიჩვენებს სიტყვა-ჟესტს "ბიჭი", ხოლო მესამე, მეოთხე და მეხუთე ფოტოებზე გადმოცემულია რთული დინამიკის სიტყვა-ჟესტი "ისე". მეექვსე სურათი ასახავს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელს "მღერის". მეშვიდე და მერვე სურათებზე მოცემულია მაკავშირებელი სიტყვა "როგორც." ამათგან ბოლო – მერვე სურათი "-ც" მიმართებითი ნაწილაკის გამომხატველია. ქვედა წყობის პირველი სურათი გვიჩვენებს დაქვემდებარებული წინადადების ზმნა-შემასმენელს "მღეროდა". ქვედა წყობის მეორე და მესამე სურათებზე დროის გამომხატველი ორფაზიანი ჟესტი "ადრე" არის წარმოდგენილი. ბოლო ოთხი სურათი გადმოგვცემს სიტყვას "მამამისი". მეოთხე-მეხუთე ფოტოებზე ასახულია ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი "მამა", ხოლო ბოლო ორი სურათი – მეექვსე და მეშვიდე გვიჩვენებს კუთვნილებით ნაცვალსახელს" მისი".

7. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები

ქართულ ჟესტურ ენაში არის განკერძოებული სიტყვა-გამოთქმებიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთოდ, ჟესტური ენები ლაკონიური და რაციონალური ხასიათის ენებია. შესაბამისად, ქართული ჟესტური ენაც გაურბის ზედმეტ მრავალსიტყვაობას და ესწრაფვის ძირითადი აზრის გადმოცემას, მაგრამ, რამდენადაც ქართული ჟესტური ენა სამეტყველო ენის კალკირებაა, მისთვის მისაღებია განკერძოებული სიტყვა-გამოთქმების დაშვებაც. ქართული ჟესტური ენა რაციონალურად იყენებს ქართული ენის სინტაქსურ შესაძლებლობებს. ქვემოთ წარმოგიდგენთ განკერძოებული სიტყვა-გამოთქმების ყველაზე გავრცელებულ ფორმებს:

ჩემი აზრით

ჩემი ვარაუდით

რა თქმა უნდა

სხვათაშორის

გენაცვალე

შენი ჭირიმე

რასაკვირველია

წინადადებები განკერძოებული სიტყვა-გამოთქმებით:

რა თქმა უნდა, კაცი წავა ქალაქში.

ამ წინადადებაში მოცემული პირველი სამი ფოტო განკერძოებული სიტყვებია, მეოთხე სურათზე ასახულია სიტყვა-ჟესტი “კაცი.” მეხუთე-მეექვსე არის ზმნა-შემასმენელი და ბოლო სურათზე წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი “ქალაქი” “-ში” თანდებულის გარეშე. წინადადება მინიმალიზებულია.

სხვათაშორის, ქალი რჩება სახლში.

ამ წინადადებაში მოცემულ სიტყვა-ჟესტში “სხვათაშორის” მესამე-მეოთხე სურათებზე დაშლილი ფაზაა წარმოდგენილი. აქაც მეხუთე-მეექვსე არის ზმნა-შემასმენელი და ბოლო სურათზე წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი “სახლი” “-ში” თანდებულის გარეშე. წინადადება მინიმალიზებულია.

რა თქმა უნდა, ქართულ ჟესტურ ენაში არის მიგებითი სიტყვა-წინადადებები – დადასტურებითი და უარყოფითი სიტყვა-ჟესტები, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ქართულ ჟესტურ ენაში გვაქვს ისეთი განკერძოებული სიტყვებიც, როგორიცაა სხვადასხვა ემოციის გამომხატველი შორისდებულები.

ეჰ!

ეს გახლავთ სინანულის გამომხატველი სიტყვა-ჟესტი.

ვაი!

ვაიმე!

“ვაი” და “ვაიმე”, ისევე როგორც “უი” და “უიმე” მწუხარებისა და სინანულის გამომხატველი სიტყვა-ჟესტებია.

უი!

უიმე!

ვაშა!

“ვაშა!” აღტაცების გამომხატველი შორისდებულია როგორც ქართულ სამეტყველო ენაში, ასევე ქართულ ჟესტურ ენაშიც.

ჰეი!

ეს არის დაძახების ფორმა, რომელიც ძალიან ხშირად გამოიყენება ყურადღების მისაპყრობად. როდესაც საუბარში ჩართვა სურს ყრუ ადამიანს, იგი მოსაუბრე საზოგადოების წევრების ყურადღებას სწორედ ამ ჟესტით მიიპყრობს.

ოჰ!

“ოჰ” სინანულის გამომხატველი შორისდებულია.

საინტერესოა, ის ფაქტი, რომ ყრუთა საზოგადოებაში მიუღებელია ტაშის დაკვრა, როგორც ასეთი. ტაშის კლასიკური ფორმა – ხელისგულების ერთმანეთზე დარტყმა, რომელიც გარკვეულ ხმოვანებას გამოსცემს, ყრუთა საზოგადოებაში შეცვლილია შემდეგი ფორმის ჟესტით:

ტაში

ეს ჟესტი აღნიშნავს როგორც სიტყვას “ტაში”. ასევე ეს არის ამ საზოგადოებისთვის მისაღები ტაშის დაკვრის ფორმაც - როგორც შესაბამისი მოქმედების ფორმა. აქ ტაშის ხმოვანებიდან (რაც ამ საზოგადოებისთვის არარელევანტურია) აქცენტი გადატანილია ვიზუალურ რელევანტურ ელემენტზე.

საერთოდ, სამეტყველო ენებსაც კი ახასიათებს გარკვეული ჟესტიკულაცია შორისდებულებთან.

8. პირველადი საკომუნიკაციო ჟესტები

გოდიში

ეს არის ორხელიანი ასიმეტრიული სიტყვა-ჟესტი, რომელიც გვიჩვენებს პატიებისთვის დაჩოქილი ორი ფეხის იმიტაციას.

მაპატიეთ

“მაპატიეთ” არის ორხელიანი ასიმეტრიული სიტყვა-ჟესტი.

გაპატიე

“გაპატიე” არის ორხელიანი სიმეტრიული სიტყვა-ჟესტი.

მადლობა

წარმოდგენილი ერთხელიანი ორფაზიანი დინამიკური ჟესტი შესაბამისი მიმიკით სრულდება.

დიდი მადლობა

ამ ორნაწილიან ფრაზაში პირველი ორხელიანი ნაწილია სიტყვა-ჟესტი “დიდი” და მეორე ნაწილია ზემოთ აღნიშნული ერთხელიანი სიტყვა-ჟესტი “მადლობა”.

გამარჯობა!

ეს არის ერთხელიანი მრავალფაზიანი დინამიკური ჟესტი.

ნახვამდის

ეს არის ერთხელიანი მრავალფაზიანი დინამიკური ჟესტი – დასამშვიდობებლად დაქნეული ხელი.

მშვიდობით

ეს არის ორნაწილიანი მრავალფაზიანი დინამიკური ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია ერთხელიანი მრავალფაზიანი დინამიკური ჟესტი – დასამშვიდობებლად დაქნეული ხელი. ხოლო მეორე ნაწილი კი არის დაწყნარება-დამშვიდების გამომხატველი ორხელიანი დინამიკური ჟესტი.

კარგად იყავი

ეს არის ორნაწილიანი ერთხელიანი მრავალფაზიანი დინამიკური ფრაზა-ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია სიტყვა-ჟესტი “კარგად” და მეორე ნაწილია ზმნა “იყავი” (“დარჩი”).

წარმოგიდგენთ მინიმალურ დიალოგს:

გამარჯობა!

როგორ ხარ?

კარგად, გმადლობთ.

გილოცავთ ახალ წელს!

დიდი მადლობა.

ნახვამდის.

კარგად იყავი.

წარმოგიდგენთ იმავე შინაარსის მცირე დიალოგს ორივე კომუნიკატორი პირით:

– გამარჯობა.

– გამარჯობა.

– როგორ ხარ?

– მე კარგად ვარ, გმადლობთ. შენ როგორ ხარ?

– მეც კარგად ვარ.

– ნახვამდის.

სივრცე

ამ თავში განხილულია ქართული ჟესტური ენის სივრცითი სისტემა, რომელიც ენაში წარმოდგენილია ზმნიზედებით, ზმნისწინებით, ზმნებით, თანდებულებითა და გეოგრაფიული არსებითი სახელებით.

ითვლება, რომ ჟესტური ენები სივრცითი განზომილებების ენებია იმ თვალსაზრისით, რომ ამ ენებში ყველაფერი ხდება კონკრეტულ საკომუნიკაციო სამგანზომილებიან სივრცეში და, გარდა წმინდა ლინგვისტური მამართებებისა, ენობრივი ერთეულები გარკვეულ სივრცით მიმართებებსაც მოიაზრებს. ქართულ ჟესტურ ენაში სივრცითი სისტემა წარმოდგენილია ლექსიკური ფორმით – ზმნიზედების სახითა და გეოგრაფიული არსებითი სახელებით, ასევე თანდებულებისა და ზმნისწინების სახით. სივრცითი სისტემის ძირითადი სქემა ასე გამოიყურება:



კონკრეტული სივრცითი სემანტიკის მქონე სიტყვა-ჟესტი ყოველთვის იქნება ამ ორიდან ერთ-ერთი სივრცითი ელემენტის ამსახველი. სივრცითი ენობრივი ერთეული არის ან ნულოვანი ვექტორის მქონე სტატიკური ანუ ადგილ-მდებარეობის აღმნიშვნელი ფორმა ან მიმართულებითი ანუ დინამიკური, ვექტორული სივრცე.

1. გეოგრაფიული სახელები

ადგილის ანუ ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი გრამატიკულ-ლექსიკური ფორმებია გეოგრაფიული არსებითი სახელები: კონტინენტების, სახელმწიფოების, ქალაქების, სოფლების, მთების, მწვერვალების, ზღვების, ოკეანეების, მდინარეების, ხევების და, საერთოდ, ყველა ტიპის გეოგრაფიული დასახელების სახელწოდებები. ამათგან ქართულ ჟესტურ ენაში უფრო ხშირად გამოყენებული სახელები ჟესტის ფორმით გადმოიცემა, ხოლო ნაკლებად ცნობილი ან დეტალური ინფორმაციის დასაზუსტებელი ფორმები დაქტილური ფორმით არის ასახული. რასაკვირველია, ეს სიტყვაფორმები შესაძლებელია იყოს გაფორმებული სათანადო მიმართულების მაჩვენებელი თანდებულებით. ასეთ შემთხვევაში ისინი შეიძენენ მიმართულებით სივრცით სემანტიკას და ვექტორული მახასიათებელიც გაუჩნდებათ.

ევროპა

სიტყვა-ჟესტი "ევროპა" იწყება ე-დაქტილით და გრძელდება დინამიკური ჟესტით – "არე".

აზია

სიტყვა-ჟესტი "აზია" სითბოსთანაა დაკავშირებული, როგორც თბილი კონტინენტი.

ამერიკა

ეს არის ერთხელიანი ორფაზიანი ჟესტი.

აფრიკა

სიტყვა-ჟესტი "აფრიკა" არის ორნაწილიანი რთული ერთხელიანი ჟესტი.

ანტარქტიდა

სიტყვა-ჟესტი “ანტარქტიდა” არის ორნაწილიანი რთული ორხელიანი ჟესტი, რომელიც მიგვანიშნებს გლობუსის ბოლო ნაწილსა და სიცივეზე.

საქართველო

ამ სიტყვა-ჟესტის მეორე ნაწილი არის სიტყვა-ჟესტი ქვეყანა. სიტყვასიტყვით ასე იკითხება “ქართული ქვეყანა”.

რუსეთი

აქ მინიშნებაა სპეციფიკურ მოკლე რუსულ ცხვირზე. ეს ჟესტი სიტყვასიტყვით ასე წაიკითხება “მოკლეცხვირიანების ქვეყანა”.

ამერიკა

ქვეყანაც და კონტინენტიც ერთი და იმავე ჟესტითაა გადმოცემული, ისევე როგორც სამეტყველო ენაში. აღსანიშნავია, რომ ამ ჟესტით ქართველები გადმოსცემენ სიტყვას “ამერიკა”, თუმცა თავად ამერიკელები ამას შემდეგნაირად ასახავენ მშობლიურ ჟესტურ ენაში:

ამერიკა

გერმანია

ამ ჟესტით ქართველები გადმოსცემენ სიტყვას “გერმანია”, თუმცა თავად გერმანელები ამას შემდეგნაირად ასახავენ მშობლიურ ჟესტურ ენაში:

გერმანია

საფრანგეთი

ამ ჟესტით ქართველები გადმოსცემენ სიტყვას “საფრანგეთი”, თუმცა თავად ფრანგები ამას შემდეგნაირად ასახავენ მშობლიურ ჟესტურ ენაში:

საფრანგეთი

ესპანეთი

ამ ჟესტით ქართული ენა გადმოსცემს სიტყვას “ესპანეთი”, თუმცა თავად ესპანელები ამას შემდეგნაირად ასახავენ მშობლიურ ჟესტურ ენაში:

ესპანეთი

ინგლისი

ამ ჟესტით ქართული ენა გადმოსცემს სიტყვას “ინგლისი”, თუმცა თავად ინგლისელები ამას შემდეგნაირად ასახავენ თავიანთ ჟესტურ ენაში:

ინგლისი

იტალია

ამ ჟესტით ქართული ენა გადმოსცემს სიტყვას “იტალია”, თუმცა თავად იტალიელები ამას შემდეგნაირად ასახავენ მშობლიურ ჟესტურ ენაში:

იტალია

ქართულ ჟესტურ ენაში მსოფლიოს მნიშვნელოვან ქალაქებს აქვს თავისი შესაბამისი ჟესტური ფორმები. რასაკვირველია, ქალაქების დიდი ნაწილი მხოლოდ დაქტილურად არის წარმოდგენილი.

პარიზი

ეს ჟესტი ასახავს ეიფელის კოშკს.

ლონდონი

მოსკოვი

სტამგოლი

საქართველოს ქალაქები:

თგილისი

ამ სიტყვა-ჟესტის მეორე ნაწილი არის სიტყვა-ჟესტი ქალაქი. წარმოდგენლი ჟესტი სიტყვასიტყვით ასე იკითხება: “ქართული ქალაქი”.

გათუმი

ბათუმი ზღის ტალღების მოძრაობითაა გადმოცემული.

ფოთი

ფოთი, როგორც საპორტო ქალაქი, გემის კიჩოს ქირემული მონახაზით გადმოიცემა.

ჟუთაისი

ზესტაფონი

თელავი

სიტყვა-ჟესტში “თელავი” აქ მოცემული გვაქვს კახური ქუდისა და ქალაქის ორნაწილიანი ჟესტი.

გორი

სიტყვა-ჟესტი “გორი” ბრძოლებს უკავშირდება.

ოზურგეთი

ზუგდიდი

სოხუმი

სიტყვა-ჟესტი “სოხუმი” სიგარეტის ასოციაციაა, რადგანაც ადრე აქ იყო სიგარეტის ქარხანა.

ლაგოდეხი

კახეთი

როგორც ვხედავთ, აქ მეორდება სიტყვა-ჟესტ “თელავში” ასახული კახური ქუდი და ჟესტის მეორე ნაწილში გვაქვს სიტყვა “ქვეყანა”. სიტყვასიტყვით ეს ასე წაიკითხება – კახურქუდიანთა ქვეყანა.

იმერეთი

სამეგრელო

როგორც ვხედავთ, აქ მეორდება სიტყვა-ჟესტ “ზუგდიდში” ასახული პირველი ნაწილი და ჟესტის მეორე ნაწილში გვაქვს სიტყვა “ქვეყანა”.

სვანეთი

ვფიქრობთ, რომ ეს ძალიან ნათელი კონკრეტული წარმოდგენის მომცემი ორნაწილიანი სამფაზიანი ჟესტია და ასახავს ქუდსა და ხანჯლის ამოღებას.

გურია

მოცემული ორნაწილიანი სამფაზიანი ჟესტი ასახავს გურულებისათვის სახასიათო ნივთის - ყაბალახის შეკვრას.

რაჭა

აქ ასახულია რაჭისათვის დამახასიათებელი საქმინაობის – პურის ცხობის ჟესტი.

ხევსურეთი

აღსანიშნავია, რომ აქ მოცემული გვაქვს მცირე ზომის ფარი, რასაც ხევსურები გამოიყენებენ ფარიკაობისას. ფშავი და ხევი გადმოიცემა ისევე, როგორც ხევსურეთი. ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და სხვა დანარჩენი ასეთი გეოგრაფიულ სახელები მხოლოდ დაქტილური ფორმით არის წარმოდგენილი თანამედროვე ქართულ ჟესტურ ენაში.

უნდა ითქვას, რომ ქართული ჟესტური ენა სიტყვა-ჟესტებით ასახავს ყველაზე ფართოდ გავრცელებულ გეოგრაფიულ სახლებს:

კავკასიონის მთეგი

ეს არის ორნაწილიანი რთული სიტყვა-ჟესტი, რომელიც სიტყვასიტყვით ასე იკითხება: “ქართული მთები.”

შავი ზღვა

ამ გეოგრაფიულ სახელში გვაქვს ორი სიტყვა-ჟესტი. პირველია შავი, რომელიც აღინიშნება სტატიკური ჟესტით – თმაზე ხელის დადებით და შემდეგი დინამიკური ჟესტი კი არის დინამიკური სიტყვა-ჟესტი “ზღვა”.

გაზალეთის ტბა

ეს გეოგრაფიული სახელი შედგება დაქტილისაგან “ბ” და სიტყვა-ჟესტისაგან “ტბა”.

მტკვარი – მდინარე

მაგრამ დანარჩენი მდინარეებისა და ტბების სახელები, ასევე სხვა ქალაქები – გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, მთის მწვერვალები, ხევები, სოფლები, დასახლებები და ა. შ. მხოლოდ დაქტილური ფორმით შეიძლება იყოს წარმოდგენილი ქართულ ჟესტურ ენაში. მაგრამ აღსანიშნია ის გარემოებაც, რომ ჟესტურ ენათა ნაციონალიზაციის მიმდინარე პროცესში, სავარაუდოდ, მოხდება ტოპონომთა ჟესტური ფორმების ჩამოყალიბება.

2. ადგილის ზმნიზედა და თანდებული

გეოგრაფიული სახელების გარდა, ზოგადენობრივი სივრცითი სისტემა შემდეგნაირად შეიძლება იყოს წარმოდგენილი:



ამ სურათზე მოცემულ სივრცით მიმართებებს სხვადასხვა გრამატიკული საშუალებებით ასახავს როგორც ქართული სამეტყველო ენა, ასევე ქართული ჟესტური ენაც. იმ განსხვავებით, რომ ჟესტურს არა აქვს “მიღმა” სივრცითი ფორმის შესატყვისი ერთეული. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ ქართული ჟესტური არის კონკრეტული მოცემულობის მქონე, კონკრეტულ დროსა და ლინგვისტურ სივრცეში არსებული ენა. ამ სივრცის “მიღმა” კი ყველაფერი უკვე არააქტუალურია.

ქართულ ჟესტურ ენაში ადგილის ზმნიზედები აღნიშნავენ როგორც ადგილმდებარეობას, ასევე მიმართულებასაც:

აქ

იქ

ზევით

ქვევით

მარჯვნივ

მარცხნავ

დაგლა

მაღლა

ᲨᲝᲠᲡ

ქართულ ჟესტურ ენაში წაშლილია ან საერთოდაც არ არსებობს მკვეთრი ფორმალური ზღვარი ზმნიზედასა და თანდებულს შორის. ამიტომ ხშირად ერთი სემანტიკის მქონე ფორმები ერთი და იმავე ჟესტით გადმოიცემა. მაგალითად, ზმნიზედა "შორს" და თანდებული "შორის" ჟესტურ ენაში ერთნაირად გამოისახება (სამეტყველო ენაში ორივე ბრუნვის შემთხვევაში - მიცემითი და ნათესაობითი).

ᲬᲘᲜ

ᲣᲙᲐᲜ

სივრცითი ზმნიზედებია: წადმა, უკუღმა და ნაწარმოები კომპოზიტი წადმა-უკუღმა.

ᲬᲐᲓᲛᲐ

აქ გვაქვს ორფაზიანი ჟესტი.

ᲣᲙᲣᲦᲛᲐ

ამ შემთხვევაში კი გვაქვს მრავალფაზიანი ჟესტი. ზოგიერთი წყაროს მონაცემებით, ამ სიტყვის გადმოსაცემად პირველი ორი სურათიც საკმარისია.

ᲬᲐᲓᲛᲐ-ᲣᲙᲣᲦᲛᲐ

ამ რთულ სიტყვა-ჟესტში კარგად ჩანს კომპოზიტის ორივე ნაწილი. აღსანიშნავია, რომ კომპოზიტის მეორე ნაწილის მხოლოდ ბოლო ფაზებია აქ წარმოდგენილი.

ქვემოდან

ეს არის ორნაწილიანი სიტყვა-ჟესტი, ადგილის ზმნიზედის შემდეგ, რომელიც ასახულია პირველ-მეორე სურათებზე. საწყისი მოძრაობის მიმართულების მაჩვენებელი "-დან" თანდებულია მოცემული მესამე და მეოთხე სურათებზე.

ზემოთ წარმოდგენილი ადგილის ზმნიზედები ცალი ხელის დინამიკით უჩვენებენ მდებარეობის ან მიმართულების ვექტორებს. ეს ზმნიზედები, ძირითადად, ორფაზიანია და ისინი შეგვიძლია მივიჩნიოთ მარტივ ზმნიზედებად.

ქვეშ

შიგნით

"ქვეშ" და "შიგნით" ორივე არის ორფაზიანი ორის ხელის დინამიკის მქონე მარტივი ზმნიზედის ასიმეტრიული ჟესტი.

ზემოდან

ეს არის ორფაზიანი ორი ხელის დინამიკის მქონე რთული, ორნაწილიანი ზმნიზედის (ზმნიზედას დამატებული თანდებული) ასიმეტრიული ჟესტი.

ზედაპირზე

აქ გვაქვს ორხელიანი მრავალფაზიანი ასიმეტრიული სიტყვა-ჟესტი, რომელიც ბოლო ფაზებში ცალი ხელითაა უკვე წარმოდგენილი. ეს თანდებულიანი ფორმა "-ზე" თანდებულს სპეციფიკურად ასახავს.

სიღრმეში

ეს არის ორფაზიანი ორის ხელის დინამიკის მქონე რთული, ორნაწილიანი ზმნიზედის (ზმნიზედა პლიუს თანდებული) ასიმეტრიული ჟესტი. სამეტყველო ენაში ასეთი ერთეული (“სიღრმეში”) ზმნიზედად არ მიიჩნევა, რადგანაც თანდებულიანი არსებითი სახელია. ჟესტურ ენაში კი იგი წარმოადგენს ადგილის ზმნიზედას, ისევე როგორც “შიგნით”, “ზევით” და სხვ. ამ ენობრივი ერთეულის (“სიღრმეში”) ზმნიზედად მიჩნევის საფუძვლია როგორც სიტყვის სემანტიკური ამოსავალი, ისევე სიტყვა-ჟესტის წარმოების ზმნიზედური ფორმა.

ᲨᲣᲐ

ფორმა “შუა” და “შუაში” ერთნაირი ჟესტით გადმოიცემა. სხვაობა გვაქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც მაგიდის შუაში ერთ კონკრეტულ ადგილზე ვსაუბრობთ, აქ განსხვავებული ჟესტით გადმოიცემა ეს ადგილის გამომხატველი სიტყვა. ეს სიტყვა-ჟესტი იმეორებს ზემოთწარმოდგენილ სიტყვა “ქალაქის” ამსახველ სიტყვა-ჟესტს, ოღონდ იმ სხვაობით, რომ აქ თითი უნდა მოტრიალდეს ხელისგულზე.

ᲨᲣᲐᲨᲘ

ეს არის ორხელიანი ასიმეტრიული ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი.

ᲐᲮᲚᲝᲡ

“ახლოს” იწყება ერთხელიანი ორფაზიანი ჟესტური ნაწილით და გრძელდება ორი ხელის სიმეტრიული დინამიკით.

ზემოთ წარმოდგენილი ადგილის ზნიზედები: “ქვეშ”, “ზემოდან”, “შიგნით”, “სიღრმეში” ორი ხელის დინამიკით უჩვენებენ მდებარეობის ან მიმართულების ვექტორებს. აქ გვხვდება ასიმეტრიული ჟესტები, სადაც ერთ-ერთ ხელს მეორესთან შედარებით პასიური პოზიცია აქვს.

ᲨᲝᲠᲘᲓᲐᲜ

ეს არის რთული დინამიკის მრავალფაზიანი ცალი ხელით შესასრულებელი ჟესტი, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან: ზმნიზედისა და თანდებულისაგან.

ᲐᲮᲚᲝᲓᲐᲜ

ეს არის რთული დინამიკის მრავალფაზიანი ასიმეტრიული ორი ხელით შესასრულებელი ჟესტი, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან: ზმნიზედისა და თანდებულისაგან.

ქართულ ჟესტურ ენას არ გააჩნია ისეთი ადგილის ზმნიზედები, როგორებიცაა: მიღმა, გადაღმა, გამოღმა, აღმა, დაღმა.

ქვემომოყვანილი თანდებულები დაერთვის არსებით სახელებს და გვიჩვენებს ამ არსებითი სახელის ადგილმდებარეობას ან მიმართულებას სივრცეში. აღსანიშნავია, რომ ქართულ სამეტყველო ენაში თანდებულები უკავშირდება ბრუნვებს, ხოლო ქართულ ჟესტურ ენაში ასეთი კავშირი თანდებულსა და ბრუნვას შორის აღარ არსებობს. ქვემოთ მოყვანილი თანდებულები სივრცითი მიმართების აღმნიშვნელი მორფოსემანტიკური ერთეულებია ენაში. ჩვენ საჭიროდ ვცანით

შესაბამისი ბრუნვის აღნიშვნა, რათა დაგვეცვა გარკვეული ენობრივი პარალელიზმი ქართულ ჟესტურსა და სამეტყველო ენებს შორის.



-ᲗᲐᲜ

ან

-ᲗᲐᲜ

“-თან” ნათესაობითი ბრუნვის თანდებული ასახავს საგნის ადგილმდებარეობას, რაღაცასთან ან ვიღაცასთან ყოფნას. საგულისხმოა, რომ აქ ქართული ჟესტური ენა განასხვავებს კლასის კატეგორიასაც. როდესაც საუბარია უსულო საგანთან ახლოს ყოფნაზე, მაშინ უფრო ხშირად გამოიყენება ზემოთ წარმოდგენილი ჟესტი, ხოლო როდესაც საუბარია სულიერ საგანთან ახლოს ყოფნაზე, თანხლებასა და თანაობაზე მაშინ გამოიყენება ქვემოთ წარმოდგენილი ჟესტი:



-თან

მანუალურ დეტალზე აქცენტირებული გრაფიკა ასეთია:



-თან

თანდებული "-თან" არის ორხელიანი სიმეტრიული ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი. სხვაობა ამ ჟესტებს შორის არის თანაობის გამოხატვაში. ამ უკანასკნელ ჟესტშია გადმოცემული თანაობის სემანტიკა.

შევადაროთ წინადადებები:

კალამი დავდე წიგნთან.

წარმოდგენილ წინადადებაში პირველ ფოტოზეა პირველი სიტყვა -"კალამი". მნიშვნელოვანია, რომ მეორე და მესამე სურათებზე წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი "დავდე" თავად პანტომომურად ასახავს მოქმედების მიმართულებას. მეოთხე სურათზეა გამოსახული სიტყვა-ჟესტი "წიგნი", ხოლო მეხუთე და მეექვსე სურათები ასახავს "-თან" თანდებულს.

შვილი ზის დედასთან.

ამ წინადადებაში პირველი სიტყვა ჟესტი ასახულია პირველ-მეორე ფოტოებზე, ზმნა-შემასმენელი "ზის" ორხელიანი სიმეტრიული ჟესტით არის გადმოცემული მესამე და მეოთხე სურათებზე. ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი "დედა" მოცემული გვაქვს მეხუთე და მეექვსე სურათებზე და ბოლო სურათზე არის ასახული "თან" თანდებულის შესაბამისი ჟესტი.



-ში

თანდებული "-ში" არის ორხელიანი ასიმეტრიული ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი მარჯვენა დომინანტი ხელით. "-ში" მიცემითი ბრუნვის თანდებული ასახავს რაღაცის ან ვიღაცის

მდებარეობას კონკრეტული საგნობრივი სივრცის შიგნით, თუმცა ამ თანდებულს ასევე შეუძლია გადმოგვცეს მოქმედების მიმართულებაც, მაგალითად, “კაცი ავიდა ავტობუსში.”

კაცი ავიდა ავტობუსში.

შესამჩნევია, თუ პანტომიმური ჟესტი “ავიდა” როგორ იმეორებს მოძრაობას და მკერდის დონეზე ჩერდება ბოლო ფაზით. მეოთხე-მეხუთე სურათები ასახავს სიტყვა-ჟესტს “ავტობუსი” და ბოლოს, მეექვსე ფოტოზე მოცემულია “-ში” თანდებული.

შემოდი! სახლში

ამ წინადადებაში ზმნას უკან მოჰყვება ზმნისწინი “შე-”, ხოლო ფორმას “სახლში” უკვე აღარ სჭირდება “-ში” თანდებული.

კაცი წავიდა ქალაქში.

არც ამ წინადადებაში გამოიყენება ჟესტური “-ში” სიტყვა-ჟესტთან “ქალაქში”, რამდენადაც “წავიდა” სიტყვის სემანტიკა უკვე მოიაზრებს ამ მიმართულების ვექტორს. ჟესტური ენები კი, როგრც ზემოთ აღვნიშნეთ, მაქსიმალურად ერიდებიან კატეგორიათა გამოხატვის სიჭარბეს.

კაცი ჩაჯდა მანქანაში.

ამ წინადადებაში ზმნა “ჩაჯდა” მეორე და მესამე ფოტოებზეა ასახული და გადმოსცემს მოქმედების მიმართულებას, მაგრამ სიტყვა-ჟესტი “მანქანა”, რომელიც წარმოდგენილია მეოთხე და მეხუთე სურათებზე, მაინც დაირთავს “-ში” თანდებულს.

კაცი მანქანაში ჩაჯდა.

ამ წინადადებაში თანდებული “-ში” და ზმნისწინი “ჩა-“ ერთი სივრცითი სემანტიკის გამომხატველია და ამიტომაც მეოთხე და მეხუთე ფოტოებზე ასახული სიტყვა-ჟესტი “ჩაჯდა” ავსებს ამ სივრცით განსაზღვრებას და “მანქანაში” “-ში” თანდებულის გამოტოვება დასაშვები ხდება.

ანალოგიური ენობრივი სურათი გავქვს მომდევნო წინადადებაშიც:

კალამი ჩავდე უჯრაში.

ასეთი მოდელები იმეორებენ სამეტყველო ენის სივრცითი მოდელის სისტემებს, თუმცა ქართული ჟესტური ენის ზოგი წყარო ამ წინადადებაში გამოტოვებს ბოლოს არსებით სახელებზე დართულ "-ში" თანდებულს.

პალტო შევდე კარადაში.

ამ წინადადებაში პირველ ორ ფოტოზე მოცემული გვაქვს სიტყვა"პალტო", მეორე, მესამე და მეოთხე სურათები პანტომიმურად გამოხატავენ სიტყვას "შევდე" და ამათგან ბოლო – მეოთხე ასახავს "შე-" ზმნისწინს. მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ფოტოები ასახავენ სიტყვას "კარადაში". ამდენად, აქ მიმართულების ორმაგი ჩვენება გვაქვს.

საგულისხმოა, რომ თანდებული "-ში" და ზმნისწინი "შე-" ერთანირი ჟესტით გადმოიცემა და ეს სავსებით ლოგიკურია: მათ ხომ ერთი სივრცითი სემანტიკა აქვთ.



-ზე

"-ზე" მიცემითი ბრუნვის თანდებული ასახავს რაღაცის ან ვიღაცის მდებარეობას კონკრეტული საგნობრივი სივრცის ზემოთ, ან მის ზედაპირზე, თუმცა ამ თანდებულს ასევე შეუძლია გადმოგვცეს მოქმედების მიმართულებაც "კალამი დავდე წიგნზე."

კალამი დავდე წიგნზე.

ამ წინადადებაში პირველი სიტყვა -"კალამი" პირველ ფოტოზეა ასახული. მნიშვნელოვანია, რომ მეორე და მესამე სურათებზე წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი "დავდე" თავად პანტომიმურად ასახავს მოქმედების მიმართულებას. მეოთხე სურათზეა გამოსახული სიტყვა-ჟესტი "წიგნი" და ბოლო, მეხუთე სურათი კი ასახავს "-ზე" თანდებულს.

კალამი დავდე წიგნზე.

მოცემული წინადადება იმავე შინაარსის ზემოთ წარმოდგენილი წინადადებისგან იმით განსხვავდება, რომ ამ შემთხვევაში მეოთხე სურათზე გამოსახული ბოლო – სიტყვა-ჟესტი არის წიგნი და "-ზე" თანდებული აქ უკვე აღარ მეორდება.

ჩიტი დაფრინდა ხეზე.

მოცემულ წინადადებაში პირველი სიტყვა-ჟესტი "ჩიტი" პირველი სურათით არის წარმოდგენილი. ზმნა-შემასმენელი "დაფრინდა" მეორე და მესამე ფოტოებზეა გამოსახული, მეოთხე ფოტოზეა სიტყვა-ჟესტი "ზე" და ბოლოს მასზე დართული თანდებული "-ზე" სულ ბოლო, მეხუთე სურათზეა მოცემული.



-კენ

"-კენ" ნათესაობითი ბრუნვის თანდებული ასახავს მიმართულებას საგნისკენ.

ის მიდის ქალაქისკენ.

ამ წინადადებაში ბოლო ორი სურათი (მეხუთე და მეექვსე) ასახავს "-კენ" თანდებულს, რომელიც მოსდევს სიტყვა-ჟესტს "ქალაქი", რომელიც გამოსახულია მეოთხე სურათზე.

მე შენსკენ მოვდივარ.

წარმოდგენილი წინადადება იწყება პირველ ფოტოზე ასახული სიტყვით "მე". შემდეგ მოდის მეორე პირის ნაცვალსახელი "შენ" – მეორე სურათზე, რომელსაც მოსდევს მიმართულების მაჩვენებელი "-კენ" თანდებული – მესამე და მეოთხე ფოტოებზე. ბოლო ორი სურათი – მეხუთე და მეექვსე გადმოსცემენ ზმნა-შემასმენელს "მოვდივარ".

–დან

“-დან” მოქმედებითი ბრუნვის თანდებული ასახავს მიმართულებას კონკრეტული ადგილიდან.

კაცი წავიდა ქალაქიდან.

ის ჩამოვიდა თბილისიდან.

ამ წინადადებში მეორე და მესამე სურათებზე ასახულია ზმნა “ჩამოვიდა”; მეოთხე და მეხუთე ფოტოები გადმოსცემენ სიტყვა-ჟესტს “თბილისი”, ხოლო მეექვსე ანუ ქვედა რიგის

პირველი ფოტო ასახავს სიტყვას “ქალაქი” და ბოლო ორ სურათზე კი “-დან” თანდებულია წარმოდგენილი. აქ გვაქვს ასეთი ფორმა: “თბილისქალაქიდან”. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, ამ თანდებულის ჟესტური გამოყენებისას მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, მოქმედების საწყისი პუნქტი გვაინტერესებს თუ ბოლო. ზმნები “ჩამოვიდა” და “წავიდა” თავად შეიცავენ მიმართულების ვექტორებს – პირველს (ჩამოვიდა) აინტერესებს ბოლო პუნქტი, ხოლო მეორეს (წავიდა) საწყისი წერტილი.



–მდე

“-მდე” ვითარებითი ბრუნვის თანდებული ასახავს მიმართულებას საგნამდე. ამ თანდებულის დახმარებით გადმოიცემა მოქმედების ბოლო ზღვარი.

მანქანა მივიდა ქალაქამდე.

ამ წინადადებაში პირველი ორი ფოტო ასახავს სიტყვა-ჟესტს “მანქანა”, შემდეგი ორი ფოტო (მესამე-მეოთხე) გვიჩვენებს მიმართულების მქონე ზმნას “მივიდა”. მეხუთე ფოტოზეა სიტყვა-ჟესტი “ქალაქი” და ბოლო ორი (მეექვსე და მეშვიდე) სურათი გვიჩვენებს “-მდე” თანდებულის ამსახველ ორფაზიან ჟესტს.

მოვედი აქამდე.

ამ წინადადებაში პირველი ორი ფოტო ასახავს ზმნას “მოვედი” და შემდეგი ორი სურათი წამოგვიდგენს “-მდე” თანდებულის ამსახველ ორფაზიან ჟესტს. აქ გამოტოვებულია სიტყვა “აქ”, რამდენადაც ასეთ ელიფსურ შემთხვევებში ამ ზმნასთან სწორედ ეს სიტყვა ივარაუდება.

შენიშვნა: **ამ ქვეთავში ჩვენ აქცენტი გავაკეთეთ სივრცით ფორმებზე და ამიტომაც აქ მოყვანილი წინადადებები მინიმალიზებულია, ზმნებს არ აქვთ წარსული დროის ნიშანი. ეს დასაშვებია გაბმულ მეტყველებაში, როდესაც ერთხელ უკვე აღინიშნება მოქმედების დრო.**

3. ზმნისწინები

ქართულ სამეტყველო ენაში ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრად გამოხატული სივრცითი გრამატიკული ფორმებია ზმნისწინები. ზმნისწინების უპირველესი მორფოსემანტიკური ფუნქციაა ზმნის მოქმედების მომართულების გადმოცემა. ეს ფუნქცია განსაკუთრებით ნათლადაა წარმოდგენილი მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან. ქართულ ჟესტურ ენაში გეზისა და ორიენტაციის მორფო-სემანტიკური კატეგორიები არსებობს. ამ ენაში წარმოდგენილია სააქეთო ორიენტაცია ანუ პირველი პირისკენ მიმართული ზმნის მოქმედება და საოპოზიციოდ გვაქვს საიქეთო ორიენტაციაც – ზმნის მოქმედების მიმართულება არამოსაუბრე პირისკენ ან პირველი პირიდან სხვა მიმართულებით განსული მოქმედება. ზმნისწინის მიერ გამოხატული სააქეთო ორიენტაციის ხაზი მკერდის დონეზე გადის.

ქართულ ჟესტურ ენაში ან მთლიანი პანტომიმური მოძრაობა სრულდება ამ ზმნისწინის ვექტორზე, ან ზმნისწინი არის ზმნის ბოლოსართი - განსხვავებით ქართული სამეტყველო ენისგან, სადაც იგი წინ უძღვის ზმნას და შესაბამისი სახელიც ამიტომ დაერქვა ქართველოლოგიურ ლინგვისტურ ლიტერატურაში.

განვიხილოთ ზმნისწინით ნაჩვენები მიმართულებები:

როგორც ისარი გვიჩვენებს, ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება ქვემოდან ზემოთ. ეს არის საიქეთო ორიენტაციის ზმნისწინი.

ᲐᲓᲘᲡ



ᲐᲛᲝ

როგორც ისარი გვიჩვენებს, ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება ქვემოდან ზემოთ, იქით სადაც მოსაუბრე (პირველი) პირია. წარმოდგენილი ზმნისწინის ფორმაში გვაქვს სააქეთო ორიენტაცია.

ᲐᲛᲝᲓᲘᲡ

ᲩᲐ

როგორც ისარი გვიჩვენებს, ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება ზემოდან ქვემოთ. ეს არის საიქეთო ორიენტაციის ზმნისწინი.

ᲩᲐᲓᲘᲡ



ᲩᲐᲛᲝ s

როგორც ისარი გვიჩვენებს, ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება ზემოდან ქვემოთ, იქით, სადაც მოსაუბრე (პირველი) პირია. წარმოდგენილი ზმნისწინის ფორმაში გვაქვს სააქეთო ორიენტაცია.

ჩამოდის



შე

როგორც ისარი გვიჩვენებს, ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება გარედან შიგნით. ეს არის საიქეთო ორიენტაციის ზმნისწინი.

შედის



შემო

როგორც ისარი გვიჩვენებს, ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება გარედან შიგნით, იქით სადაც მოსაუბრე (პირველი) პირია. წარმოდგენილი ზმნისწინის ფორმაში გვაქვს სააქეთო ორიენტაცია.

შემოდის



გა

როგორც ისარი გვიჩვენებს, ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება შიგნიდან გარეთ. ეს არის საიქეთო ორიენტაციის ზმნისწინი.

გადის



გამო

როგორც ისარი გვიჩვენებს, ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება შიგნიდან გარეთ, იქით სადაც მოსაუბრე (პირველი) პირია. წარმოდგენილი ზმნისწინის ფორმაში გვაქვს სააქეთო ორიენტაცია.

გამოდის

გადა

როგორც ისარი გვიჩვენებს, ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება ბარიერის გადალახვით. ეს არის საიქეთო ორიენტაციის ზმნისწინი.

გადადის



გადმო

როგორც ისარი გვიჩვენებს, ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება ბარიერის გადალახვით, იმ მიმართულებით, სადაც მოსაუბრე (პირველი) პირია. წარმოდგენილი ზმნისწინის ფორმაში გვაქვს სააქეთო ორიენტაცია.

გადმოდის

წა

როგორც ისარი გვიჩვენებს, ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება აქედან იქით. ეს არის საიქეთო ორიენტაციის ზმნისწინი.

წავიდა

→ s

წამო

როგორც ისარი გვიჩვენებს, ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება აქედან იქით, იმ მიმართულებით, სადაც მოსაუბრე (პირველი) პირია. წარმოდგენილი ზმნისწინის ფორმაში გვაქვს სააქეთო ორიენტაცია.

წამოვიდა

s ←

მო

როგორც ისარი გვიჩვენებს, ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება იქიდან აქეთ, სადაც მოსაუბრე (პირველი) პირია. ეს არის სააქეთო ორიენტაციის ზმნისწინი.

მოდის

→

მი

როგორც ისარი გვიჩვენებს, ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება აქედან იქით. ეს არის საიქეთო ორიენტაციის ზმნისწინი.

მიდის

← →

მი-მო

როგორც ისრები გვიჩვენებს, ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება აქეთ-იქით.

მიმოდის

ზმნური მოქმედების იგივე მიმართულება (აქეთ-იქით) შეიძლება გადმოსცეს “და” ზმნისწინმაც ზოგ შემთხვევაში, მაგალითად, სიტყვასთან “დადის”.

დ ა

“ადამიანი ქუჩაში დადის.” ამ წინადადების ზმნა “დადის” ასე გადმოიცემა:

დადის

“ბავშვი დადის სკოლაში” ან “ბავშვი დადის წრეზე”. ამ წინადადებების ზმნა-შემასმენელს “დადის” შეიძლება ორი ფორმა ჰქონდეს:

დადის

დადის

ამ ზმნაში მოცემული გვაქვს კლასის ნიშნით გამოხატული ფორმა. ადამიანის სიარული ქართულ ჟესტურ ენაში მოცემულია როგორც ორფეხის სიარული და ორი თითის მოძრაობითაა ნაჩვენები. მაშინ, როდესაც ოთხფეხი სულიერი (ცხოველი) ორი ხელით ოთხი თითის მოძრაობითაა ნაჩვენები, ხოლო მანქანისა და თვითმფრინავის მოძრაობები (ფორმა “მიდის”) განსხვავებულადაა ასახული ქართულ ჟესტურ ენაში.

უნდა აღინიშნოს, რომ “და” ზნისწინის პირველადი ფუნქციაა ზემოდან ქვემოთ მიმართული ზმნის მოქმედების გადმოცემა.

დ ა

დაფრინდა

პანტომიმური მოძრაობით ასახულია მოქმედება და ჟესტის მეორე ნაწილია ზმნისწინი “და”.

ქართულ სამეტყველო და ჟესტურ ენათა შორის ზმნისწინთან დაკავშირებული ძირითადი სხვაობა ასეთია:

ზმნისწინი რეალურად კი არ უძღვის ზმნას ქართულ ჟესტურ ენაში, არამედ უკან მოჰყვება მას. უმეტესწილად კი პანტომიმური მოძრაობა პირდაპირ ხელით მიჰყვება ზმნისწინის ვექტორულ ისარს და არა გვაქვს ცალკე გამოკვეთილი ზმნისწინი – როგორც ასეთი. საერთოდ, ქართულ ჟესტურ ენაში ზმნები უმეტესწილად პანტომიმური მრავალფაზიანი ჟესტებით პირდაპირ იძლევიან მოქმედების ტრაექტორიის ვექტორებს. მდგომარეობის გამომხატველი ზმნები (დევს, წევს, ზის, დგას) სივრცითი აღწერის ჟესტით გადმოსცემს სივრცეში განლაგებას (ლოგინში, მაგიდაზე თუ მაგიდის ქვეშ წევს, ზის თუ დგას სუბიექტი).

ზმნისწინთა გრამატიკული სისტემები დიდ სხვაობას გვიჩვენებს ფუნქციური თვალსაზრისითაც: ქართულ სამეტყველო ენაში ზმნისწინს აქვს რამდენიმე განსხვავებული ფუნქცია, ჟესტურში კი იგი მხოლოდ სივრცითი მიმართების გამომხატველია და ორი ერთმანეთთან ახლომდგომი სემანტიკური ფუნქცია აქვს – გეზისა და ორიენტაციის.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქართულ ჟესტურ ენაში ლინგვისტური აბსტრაქციის დონე განსხვავებულია ქართული სამეტყველო ენის შესაბამისი დონისგან. ამას სათანადო მიზეზები აქვს, რის შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ქართულ ჟესტურ ენაში ლინგვისტური აბსტრაქციის დონის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ეს ენა სივრცითი ვიზუალური ენაა და ამ ენაში არ გვაქვს სიტყვა "სივრცის" ამსახველი ჟესტი.

ზმნებში გარკვეული სივრცითი ორიენტაცია აქვთ პირის და ჩვენებით ნაცვალსახელებს: ეს, ეგ ის და შესაბამის მრავლობითის

ფორმებს – ესენი, ეგენი, ისინი. აქ სივრცეში განლაგება პირველ პირთან სიშორე-სიახლოვით განისაზღვრება. ეს მოვლენა დაწვრილებითაა აღწერილი თავში "ნაცვალსახელი".

აღსანიშნავია, რომ ზმნის პირთა მორფოსინტაქსური გამოხატვაც კონკრეტული ტრაექტორიებით ხდება. ობიექტის ნიშანიც და ქცევის ნიშანიც კონკრეტული პირის მიმართი ტრაექტორიით მოძრაობს. ეს ენობრივი გარემოება დაწვრილებით აღწერილია თავში "მოქმედება".

დრო

ამ თავში აღწერილია ქართული ჟესტური ენის დროის სისტემა. წარმოდგენილი საკითხი განხილულია, როგორც ლექსიკურ, ასევე გრამატიკულ დონეებზე. მოცემულია დროის სისტემის ფორმათა ენობრივი ანალიზი.

ქართულ ჟესტურ ენას აქვს თავისი დროის სისტემა. საერთოდ, ჟესტური ენები სივრცითი და დროითი ერთეულების მიმართ თავის სპეციფიკურ დამოკიდებულებებს ამჟღავნებენ. მოქმედების შესრულების დრო ან, საერთოდ, დროითი სივრცე ჟესტურისათვის ზოგადი გრაფიკით ასე გადმოიცემა:

წინ არის მომავალი, უკან არის წარსული. ახლოს წინ არის ახლო მომავალი, ახლოს უკან არის ახლო წარსული, ხოლო წინ შორს არის შორეული მომავალი და უკან შორს არის შორეული წარსული. ეს მიდგომა არის უნივერსალური ჟესტური ენებისთვის.

დრო

ეს არის მრავალფაზიანი სიტყვა-ჟესტი “დრო”.

1. მოქმედების დრო

მოქმედების დრო მიმიკითაც გადმოიცემა. აწმყო არის აწურული ლოყებით და გრძივად მოჭუტული თვალებით გადმოცემული დრო. მომავალი გადმოიცემა აწეული წარბებით და თხოვნითი სავარაუდო ელფერის გამომეტყველებით, ხოლო წარსული კი კატეგორიული მიმიკით ხასიათდება. დროის გადმოცემისას მიმიკას აქვს გრამატიკული მნიშვნელობა. ამით ერთი და იგივე ჟესტი სხვადასხვა დროით შინაარსს იძენს. გარდა მიმიკისა, ზმნის დროთა გადმოსაცემად ჟესტური ერთეულები გამოიყენება (ამ საკითხს დეტალურად განვიხილავთ თავში “მოქმედება”).

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში მხოლოდ ზმნა არის წარმოდგენილი აქტანტების გარეშე, უფრო რომ ნათელი იყოს განსახილველი საკითხი.

1. ხატავს

ხატავს

ეს არის ერთხელიანი ჟესტის ფორმა, აწმყო დრო.

2. დახატავს

დახატავს

აქ მომავალი დროის გამომხატველი ჟესტი გვაქვს პირველ და მეორე სურათებზე, ხოლო მესამე და მეოთხე ფოტოები ასახავენ ზმნას. საგულისხმოა, რომ ჯერ დროის ჟესტია და მერე მოდის ზმნის ამსახველი ჟესტი. რა თქმა უნდა, ასეც გვხვდება და წყაროები ამ თანმიმდევრობას ადასტურებენ, თუმცა, ზოგადად, სასურველია, რომ ჯერ ლექსიკური ერთეული იყოს წარმოდგენილი და შემდეგ კი დროის ნიშანი. ეს საკითხიც ქართული ჟესტური ენის ნორმების განსახილველი და დასამუშავებელი თემაა.

3. დახატა

დახატა

ამ ფორმაში წარსული სრული დროის აღმნიშვნელი ჟესტი გვაქვს პირველ ორ ფოტოზე და შემდეგ მოდის ზმნა.

აღსანიშნავია, რომ სრული წარსული დროის გადმოსაცემად ქართულ ჟესტურ ენას აქვს შესაბამისი გრამატიკული ერთეული:

უკვე

სრული წარსული დროის გამომხატველი ნიშანი "უკვე" არის ორი ხელის მკერდის დონეზე დაქნევა, როგორც ხდება სველი ხელების გაფერთხვა. ზოგჯერ ეს ნიშანი შეიძლება ერთი ხელითაც იყოს წარმოდგენილი, როგორც ზემოთ ვნახეთ ფორმაში "დახატა".

4. ხატავდა

ხატავდა

მოცემული ჟესტური ზმნის ფორმაში პირველი ორი სურათი გვიჩვენებს განგრძობითობას – უსრულ დროს. მესამე და მეოთხე სურათები (უკან გადაქნეული ხელი) გვიჩვენებს წარსულ დროს. მეხუთე და მეექვსე ფოტოებზე კი ზმნა წარმოდგენილია ძირითადი ლექსიკური ერთეულით.

განგრძობითი დროები, შესაბამისად, გაგრძელებული და შენელებული პანტომიმური მოძრაობებით გადმოიცემა.

როდესაც დროის კატეგორიას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, გაბმულ მეტყველებაში კონკრეტულ წინადადებაში ზმნამ შეიძლება არ გაარჩიოს მოქმედების დრო ან მხოლოდ ერთხელ გამოიყენოს დროის ჟესტი, როგორც ძირითადი ინფორმაცია. ეს გამომდინარეობს ჟესტურ ენათა ლაკონიზმიდან. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ენის ნორმების დადგენა, სადაც შეჯერებული იქნება სხვადასხვა მიდგომა და დასაბუთებული, არგუმენტირებული ნორმა დაიდება.

ქართული ჟესტური ენის ზმნის დროების შესაბამისობა და, თავის მხრივ, მათი შესაბამისობა სამეტყველო ქართული ენის ზმნების დრო-კილოთა სისტემასთან იხილეთ ქვეთავში "მოქმედება".

2. დროის ლექსიკა

ქართულ ჟესტურ ენაში დროის აღმნიშვნელი სიტყვები ძალიან ხშირად მიუთითებენ წრიულობასა და ციკლურობაზე.

საუკუნე

ეს არის რთული ორნაწილიანი სიტყვა-ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია ერთხელიანი მრავალფაზიანი სიტყვა-ჟესტი "დრო" და მეორე ნაწილია ასევე მრავალფაზიანი, მაგრამ უკვე ორხელიანი სიმეტრიული ჟესტი, რომელიც დროის წრიულობასა და მარადიულ დინებაზე მიუთითებს.

წელი

წელს

სიტყვა-ჟესტს “წელი” ემატება ნიშანი “ახლანდელი”, რომელიც მესამე სურათზეა ასახული და ვიღებთ სიტყვას “წელს”.

შარშან

აქ კი უკან გადაწეული ხელი ცერი თითით მიგვანიშნებს ახლო წარსულზე.

ქართულ ჟესტურ ენაში არა გვაქვს სიტყვა-ჟესტი “სეზონი”.

ზამთარი

აქ გადმოცემულია სიცივის მიმანიშნებელი ჟესტი.

გაზაფხული

რთული შედგენილობის მრავალფაზიანი სიტყვა-ჟესტი “გაზაფხული” ასახავს იმ მოვლენას, რომ ამ სეზონზე პალტოებს ვიხდით და თოვლი დნება.

ზაფხული

აქ მოცემული გვაქვს სიცხის მიმანიშნებელი ორფაზიანი ჟესტი.

შემოდგომა

სიტყვა-ჟესტი “შემოდგომა” ასახავს იმ მოვლენებს, რომ ამ სეზონზე გვაქვს რთველი და ფოთოლცვენა.

თვე

თითქმის ყოველი თვის დასახელება გადმოიცემა დაქტილით და ხელი ირხევა ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით.

იანვარი

აქ გვაქვს პირველი დაქტილი “ი”.

თებერვალი

აქ წარმოდგენილი გვაქვს სიტყვის პირველი დაქტილი “თ”.

მარტი

აქ წარმოდგენილი გვაქვს პირველი დაქტილი “მ”.

აპრილი

აქ არა გვაქვს დაქტილური ფორმა. აქ არის ორხელიანი, ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი. გარკვეული მინიშნებაა ე.წ. “მატყუარა” ამინდებსა და “მატყუარა” პირველ აპრილზე.

მაისი

აქაც არა გვაქვს დაქტილური ფორმა. აქ არის ორხელიანი, ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი, იგივე, რომელიც ასახავს “ზაფხულს”. ამ თვის სახელწოდებას ხშირად მთლიანად დაქტილურადაც ამბობენ ჟესტურში.

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

აქ წარმოდგენილი გვაქვს არა სიტყვის პირველი დაქტილი “ი”, რაც დაემთხვეოდა სხვა თვეების სახელწოდებებს, არამედ ფუძის ძირითადი თანხმოვანი “ნ”.

ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

აქ წარმოდგენილი გვაქვს არა სიტყვის პირველი დაქტილი “ი”, არამედ ფუძის ძირითადი თანხმოვანი “ლ”.

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ეს სიტყვა წარმოდგენილია პირველი დაქტილით “ა”.

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ამ თვის სახელწოდება წარმოდგენილია პირველი დაქტილით “ს”.

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ამ თვის სახელწოდება წარმოდგენილია პირველი დაქტილით “ო”, რომელიც იშლება მეორე ფაზაში. ამ სიტყვაში ასევე მუშაობს მიმიკაც, რაც ემსახურება პირველი დაქტილის ვიზუალურ არტიკულაციას.

ნოემბერი

ამ თვის ჟესტური ფორმა წარმოდგენილია სახელწოდების პირველი დაქტილით “ნ”, მაგრამ განსხვავებით სახელწოდებისაგან “ივნისი”, აქ ხელით წარმოდგენილი დაქტილი წრიულ მოძრაობებს ასრულებს.

დეკემბერი

ამ თვის სახელწოდება წარმოდგენილია სიტყვის პირველი დაქტილით “დ”. აქაც ხელით წარმოდგენილი დაქტილი წრიულ მოძრაობებს ასრულებს. ეს არის მინიშნება წლიური ციკლის დასასრულზე.

კვირა

ეს არის კვირის ამსახველი სიტყვა-ჟესტი, რომელიც განსხვავდება სიტყვა “კვირადღისაგან” და, შესაბამისად, ქართულ სამეტყველო ენაში არსებული ომონიმია ჟესტურ ენაში აღარ მეორდება.

კვირის დღეები გადმოიცემა დასახელებაში შემავალი რიცხვის ერთი ხელით გამოსახვით და ამ დროს ხელი ირხევა ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით:

ორშაბათი

სამშაგათი

ოთხშაგათი

ხუთშაგათი

პარასკევი

აქ გვაქვს სიტყვის პირველი დაქტილი, რადგანაც ამ სიტყვაში, კვირის სხვა სამუშაო დღეებისგან განსხვავებით, არ შედის რამე რიცხვი.

შაგათი

აქ გვაქვს ერთხელიანი დინამიკური სიტყვა-ჟესტი.

კვირა

აქ გვაქვს ორხელიანი სიმეტრიული დინამიკური სიტყვა-ჟესტი.

დღე

ეს არის ორხელიანი სიმეტრიული ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი.

შაგათ-კვირა

ეს არის ორნაწილიანი კომპოზიტი, რომელიც სამეტყველო ენის პარალელურად პირდაპირ აერთებს სიტყვებს.

ყოველდღე

აქ წარმოდგენილია რთული ერთხელიანი მრავალფაზიანი ორნაწილიანი კომპოზიტი.

დღე-ღამე

აქაც საქმე გვაქვს ორნაწილიან კომპოზიტთან, რომელიც პირდაპირ აერთებს შესაბამის ჟესტებს – “დღე” და ”ღამე”. თუმცა იმავე სიტყვას მეორე წყარო სხვაგვარად წარმოგვიდგენს:

დღე-ღამე

სიტყვა-ჟესტის წარმოების პრინციპი აქაც კომპოზიტურია.

მთელი დღე

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ორი სიტყვით მოცემული დროის მონაკვეთის გამომხატველი ფრაზა, რომელიც პირდაპირ ასახავს სამეტყველო ენობრივ სურათს. პირველ და მეორე სურათებზე წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი "მთელი", ხოლო მესამე და მეოთხე ფოტოები ასახავენ სიტყვა-ჟესტს "დღე".

იგივე ენობრივი სურათი გვაქვს მომდევნო სამ მაგალითშიც:

მთელი კვირა

მთელი თვე

ნახევარი თვე

აქ ჯერ მოცემული გვაქვს სიტყვა-ჟესტი "ნახევარი" პირველ ორ ფოტოზე და შემდეგ მესამე და მეოთხე ფოტოებზე ასახულია სიტყვა-ჟესტი "თვე".

დღე

ეს არის ორხელიანი სიმეტრიული ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი.

დილა

აქ გვაქვს ერთი ხელით წარმოდგენილი ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი.

შუადღე

ეს არის ორნაწილიანი ორხელიანი სიმეტრიული სამფაზიანი სიტყვა-ჟესტი.

საღამო

აქ გვაქვს ორხელიანი ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი.

ღამე

აქ წარმოდგენილია სიმეტრიული ორხელიანი ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი.

დღეს

აქ გვაქვს ორხელიანი ასიმეტრიული სიტყვა-ჟესტი. ეს არის მიმდინარე მომენტის ასახვა. ეს სიტყვა-ჟესტი ზოგჯერ იმავე მოძრაობით ერთი ხელითაც გადმოიცემა.

ხვალ

წარმოდგენილი სურათი, ფაქტობრივად, ნიშნავს “ერთ დღეში”. აქ წინ გაშვერილი ცერი თითი მომავალი დროის მიმანიშნებელია.

ზეგ

აქ წარმოდგენილია ფორმა “ორ დღეში”.

მაზეგ

წარმოდგენილი სურათი, ფაქტობრივად, ნიშნავს “სამ დღეში”. წინ გაშვერილი თითები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მომავალი დროის მიმანიშნებელია.

გუშინ

წარმოდგენილი სურათი, ფაქტობრივად ნიშნავს “ერთი დღის უკან”. აქ უკან გაშვერილი ცერი თითი წარსული დროის მიმანიშნებელია.

გუშინწინ

უკან გაშვერილი ორი თითით წარმოდგენილია შემდეგი სემანტიკის ფორმა “ორი დღის უკან”.

გუშინწინის წინ

წარმოდგენილი სურათი, ფაქტობრივად, ნიშნავს “სამი დღის უკან”. უკან გაშვერილი სამი თითი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარსული დროის მიმანიშნებელია.

წუხელ

წარმოდგენილი ორნაწილიანი მრავალფაზიანი სიტყვა-ჟესტის “წუხელ” პირველი ერთხელიანი ნაწილია “გუშინ” და მეორე ორხელიანი ჟესტია “ღამე”.

წეღან

უკან ახლოს მხართან გადაქნეული ხელი ახლო წარსულის გამომხატველია.

ხუთ დღეში

ასეთ სიტყვათშეთანხმებაში პირველი სიტყვის ამსახველი ჟესტი მსუბუქი მოძრაობით გადადის მეორეში.

არასოდეს

ამ სიტყვა-ჟესტში უარყოფითი “არა” დროის სისტემასთან წრიულ დინამიკურ ჟესტს იძლევა, რითიც ის მკვეთრად მიუთითებს სრულ უარზე.

არასდროს

მოცემული ფორმა არის კომპოზიტი. ზემოთ წარმოდგენილ პირველ სიტყვა-ჟესტს “ არასოდეს” ემატება სიტყვა-ჟესტი ”დრო”, რამდენადაც ქართული ჟესტური ენა არ იცნობს დროის ერთეულს “ოდეს” ან “ოდესმე”. თუმცა ამ ენაში არის ისეთი რთული სიტყვა, როგორიცაა “უკუნითი უკუნისამდე”.

უკუნითი უკუნისამდე

მოცემული ორხელიანი სიტყვა-ჟესტი ბოლოვდება “-მდე” თანდებულით, ხოლო ბრუნვადი მოძრაობის ჟესტური სემანტიკით გადმოცემული დინამიკა დროის წრიულობის ამსახველია.

ყოველთვის

ქართული ჟესტური ენა ამ სიტყვას (“ყოველთვის”) წარმოგვიდგენს კომპოზიტური ფორმით. ეს ფორმა ამ ენაში გააზრებულია, როგორც “ყოველი” და “თვე.” აქ პირველი ჟესტია სიტყვა “ყოველი.”

ყოველ დროს

აქაც გვაქვს ორნაწილიანი სიტყვა-ჟესტი და ამ კომპოზიტის მეორე ნაწილია სიტყვა-ჟესტი “დრო”.

ახლა

მოცემული ორფაზიანი დინამიკური სიტყვა-ჟესტი ორხელიანი და სიმეტრიულია.

ახლავე

ამ სიტყვა-ჟესტში მიმიკას განსაკუთრებული როლი აქვს. აქ ორჯერ ხდება მოძრაობის შესრულება.

ახლანდელი

წარმოდგენილი ორნაწილიანი სიტყვა-ჟესტი, ფაქტობრივად, მიუთითებს მიმდინარე დროსა და აქტუალურ საკომუნიკაციო ადგილზე. აქ გვაქვს დროისა და სივრცის ჟესტური შერწყმა "ახლა" და "აქ".

ამ დროს

ეს არის ორნაწილიანი ერთხელიანი სიტყვა-ჟესტი, რომლის პირველი ნაწილი "ამ" ფაქტობრივად, არის ჟესტი "აქ" და მეორე ნაწილია სიტყვა-ჟესტი "დრო".

წინათ

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკან გაშვერილი ხელის მტევანი წარსული დროის გამომხატველია. იგივე ჟესტური აქცენტია სიტყვაში "ადრე":

ადრე

მოცემული ფორმა გამოიყენება როგორც წარსული დროის მაჩვენებელი ენობრივი ერთეული, მაგალითად: "ადრე ასე იყო."

ადრე

მოცემული ფორმა გამოიყენება როგორც მოქმედების დინამიკის ან ფაზის მაჩვენებელი ენობრივი ერთეული, მაგალითად: "ადრე ადგა." აქ ნიკაპზე ორჯერ ხდება ხელის მიდება – ეს გამოხატავს სიტყვას "ადრე."

გვიან

წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი არის წინა სიტყვა-ჟესტის (“ადრე”) ანტონიმური ფორმა.

უწინ

სიტყვა-ჟესტი “უწინ” იმეორებს წარსული დროის ამსახველ მოძრაობას, რომელიც გვქონდა სიტყვა-ჟესტში “ადრე”. ოღონდ აქ ხელი უფრო განზე გასულ მოძრაობებს აკეთებს და, შესაბამისად, უფრო მოცულობითია წარსული დროის გამოხატვაც.

წარსულში

სიტყვა-ჟესტი “წარსულში” არ დაირთავს “-ში” თანდებულის ამსახველ ჟესტს. იგივე სემანტიკის სიტყვა-ჟესტი “წარსული” მეორე წყაროსთან ასეთი ფორმით დასტურდება:

წარსული

მოცემულ ფორმაში შედის ჟესტი ძველი – ეს ნიშნავს “ძველად.”

მომავალი

წინ გაშვერილი ხელი მომავალი დროის გამომხატველია.

მომავალში

წინა სიტყვა-ჟესტისგან განსხვავებით, აქ სიტყვა-ჟესტის ბოლოს “-ში” თანდებულია წარმოდგენილი – “მომავალში”.

ᲮᲨᲘᲠᲐᲓ

ეს არის ორხელიანი სიმეტრიული ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი.

ᲛᲣᲓᲐᲛ

ეს არის ერთხელიანი ორნაწილიანი მარვალფაზიანი სიტყვა-ჟესტი.

ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ

ეს არის ორხელიანი ასიმეტრიული სიტყვა-ჟესტი.



ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ

წარმოდგენილი მარვალფაზიანი სიტყვა-ჟესტი შედარებით ნელ ტემპში სრულდება. თითქმის იგივე მოძრაობები მეორდება სიტყვა-ჟესტში "ხანდახან".

ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ

აქ მოძრაობის უფრო სწრაფი ტემპია და ხელების განლაგებაა შეცვლილი – აქ უფრო ახლოსაა ხელები ერთმანეთთან.

განმავლობაში

წარმოდგენილი ორხელიანი სიტყვა-ჟესტი დროის მონაკვეთის აღმნიშვნელია.

ნელა

ეს ორხელიანი სიმეტრიული ჟესტი თითქოს ანელებს მოქმედებას.

ჩქარა

ზემოთ წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტის ანტონიმური ფორმაა "ჩქარა". ეს ჟესტი სწრაფი მოძრაობით სრულდება.

უცებ

წარმოდგენილი ორხელიანი სიმეტრიული სიტყვა-ჟესტი სწრაფი მოძრაობით სრულდება.

საინტერესოა ის გარემოება, რომ რაც სამეტყველო ენაში ვითარების ზმნიზედებით გადმოიცემა და არა დროის ზმნიზედებით ("ნელა", "ჩქარა", "ადრე", "გვიან" და ა.შ.) ქართულ ჟესტურ ენაში დროის სისტემის შემადგენელი ენობრივი ერთეულებია, რადგანაც აქ მოქმედების დახასიათება ხდება დროითი თვალსაზრისით.

ფამი

აქ მინიშნება გვაქვს ხელის საათზე და სისწრაფეზე. ეს ჟესტი სწრაფი მოძრაობითაა წარმოდგენილი.

ᲬᲣᲗᲘ

წარმოდგენილი სიტყვა ორფაზიანი ჟესტია.

ᲡᲐᲐᲗᲘ

მოცემული სიტყვა-ჟესტი უჩვენებს საათის ციფერბლატის სიმრგვალესა და დროის წრიულობას.

ᲠᲐ ᲓᲠᲝᲐ ᲐᲮᲚᲐ?

ამ წინადადებაში პირველია კითხვითი სიტყვა “რა”, რომელიც წარმოდგენილია პირველ სურათზე, შემდეგ მეორე სურათზე მოდის სიტყვა-ჟესტი “დრო” და ბოლო, მესამე ფოტოზე ასახულია სიტყვა-ჟესტი “ახლა”.

ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲐ?

ეს ორსიტყვიანი წინადადება პირდაპირ არ გადმოსცემს მასში შემავალ სიტყვებს, ანუ სამტყველო ენის ვარიანტს პირდაპირ არ იმეორებს. პირველი სიტყვა აქ არის “დრო” და მეორე სიტყვაც, ფაქტობრივად, არის იმავე დროითი სემანტიკის მქონე. ეს არის ხელის საათი – ”საათი”. კითხვა აქ მოცემული გვაქვს მიმიკით.

ორი საათია.

არც ეს ორსიტყვიანი წინადადება არ გადმოსცემს პირდაპირ მასში შემავალ სიტყვებს და პირდაპირ არ იმეორებს სამტყველო ენის ვარიანტს. პირველი სიტყვა-ჟესტი აქ არის "დრო", ხოლო მეორე სიტყვა არის "ორი". ასე გადმოიცემა ზუსტი საათი.

ორის ნახევარია.

არც ეს ორსიტყვიანი წინადადება არ იმეორებს სამტყველო ენის ვარიანტს. პირველი სიტყვა აქ არის "დრო". მეორე სიტყვა-ჟესტი არის "ნახევარი" და ბოლო მესამე სურათზე კი ასახულია სიტყვა-ჟესტი "ორი".

ორს აკლია 10 წუთი.

ეს წინადადებაც იწყება სიტყვა-ჟესტით "დრო". შემდეგ მოდის ერთი და ორმოცდაათი. ქართული ჟესტური ენა საათს კითხულობს ელექტრონული საათის მონაცემებით, ოდონდ იმ სხვაობით, რომ ამბობს 1. 50 და არა 13. 50.

სამ წუთში

წარმოდგენილ სიტყვათშეთანხმებაში გამოტოვებულია სიტყვა-ჟესტი "წუთი", რადგანაც იგი ისედაც ივარაუდება მოცემულ ფორმაში.

ორ წამში

ამ სიტყვათშეთანხმებაში გვაქვს დროის მიმანიშნებელი ჟესტი რიცხვითი ჟესტის შემდეგ. აქ მოძრაობა სწრაფად სრულდება.

ორის 10 წუთია.

ეს წინადადებაც იწყება სიტყვა-ჟესტით "დრო", შემდეგ მოდის ერთი და ათი წუთი, ანუ აქ გვაქვს 1. 10.

ის ორ საათზე მოვა.

ამ წინადადებაში პირველ სურათზეა ასახული სიტყვა-ჟესტი "ის", შემდეგ მეორე ფოტოზე არის სიტყვა-ჟესტი "დრო". მესამე სურათზე არის წრიული მოძრაობით გადმოცემული ორი თითი, რაც ნიშნავს წინა ჟესტთან ერთად "ორ საათში". ბოლო ორ სურათზე მოცემული გვაქვს ზმნა-შემასმენელი "მოვა".

როგორც ვნახეთ, როდესაც საათი და დრო არის სათქმელი, წინადადებაში თითქმის ყოველთვის არის მოცემული სიტყვა-ჟესტი "დრო".

1978 წლის 14 აპრილი ისტორიული დღეა.

პირველი ორი სურათი გადმოგვცემს სიტყვას "ათასს". მესამე და მეოთხე სურათებზე ასახულია სიტყვა "ცხრაასი", ხოლო შემდეგი ორი სურათი, მეხუთე და მეექვსე, ასახავენ მოცემული რიცხვის ათეულს, კერძოდ, მეშვიდე ათეულს და პირველი რიგის ბოლო სურათზე მოცემულია დასახელებული წლის – 1978-ის ბოლო ციფრი – ერთეული "რვა". ქვედა რიგში პირველ სურათზე მოცემულია სიტყვა "წელი". შემდეგი ორი ფოტო – ქვედა რიგის მეორე და მესამე ფოტოები გვიჩვენებენ რიცხვს 14. ამათგან პირველი არის ათეულის მაჩვენებელი – 10 და მეორე კი ერთეულის - 4. ქვედა რიგის მეხუთე ფოტოზე გამოსახულია სიტყვა-ჟესტი "აპრილი", ხოლო მომდევნო მეექვსე სურათი ასახავს სიტყვა-ჟესტს "ისტორიული". აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვაც დროითი სემანტიკითაა გაგებული ქართულ ჟესტურ ენაში და, შესაბამისად, ციკლურობით, წრიული დროის ფორმით აისახება. ქვედა რიგის ბოლო ორი სურათი – მეშვიდე და მერვე გვიჩვენებს სიტყვა-ჟესტს "დღეა". აქ ყოფნა ზმნა გამოტოვებულია. ქართული სამეტყველო ენისგან განსხვავებით, ეს მისაღები ფორმაა ქართულ ჟესტურ ენაში.

დავიბადე 1984 წლის 24 იანვარს.

მოცემულ წინადადებაში პირველი ორი ჟესტი აღნიშნავს სიტყვას “დავიბადე” – ეს არის “ბავშვის” შობის პროცესის ტრაექტორიის ამსახველი სიტყვა-ჟესტის მოძრაობა. მესამე და მეოთხე ფოტოები გვიჩვენებენ სიტყვას “ათასს”, შემდეგი მეხუთე და მეექვსე სურათები ასახავენ ასეულების სიტემის ციფრს –“ცხრაასს”, მეშვიდე და მერვე სურათებზე მოცემულია ათეულების სისტემის ციფრი – “მერვე ათეული“ და შემდგომი ზედა რიგის ბოლო მეცხრე სურათი გვიჩვენებს დასახელებული წლის – 1984-ის ბოლო ციფრს – ერთეულს “ოთხი”. ქვედა რიგში პირველ სურათზე მოცემულია სიტყვა “წელი”, ხოლო მეორე და მესამე გვიჩვენებს რიცხვს 24. ამათგან პირველი არის ათეულის მაჩვენებელი – 20 და მეორე კი ერთეულის - 4. ქვედა რიგის ბოლო მეოთხე ფოტო პირველი “ი-“ დაქტილით ასახავს სიტყვა-ჟესტს “იანვარი”.

დღეს პარასკევია, 6 დეკემბერი.

ამ წინადადებაში პირველი სურათი ასახვას სიტყვა-ჟესტს “დღეს”. მეორე სურათზეა მოცემული სიტყვა-ჟესტი “პარასკევი” და ბოლო, მეოთხე ფოტო ამ სიტყვაში შემავალი პირველი “დ-“ დაქტილით ასახავს სიტყვა-ჟესტს “დეკემბერი”.

როგორც ვნახეთ, ქართულ ჟესტურ ენაში დროის სისტემა ძირითადად გადმოიცემა დროის ზმნიზედებით და ასევე დროის აღმნიშვნელი ისეთი სიტყვა-ჟესტებით, როგორიცაა საათი, წელი, საუკუნე, თვე და ა. შ. ბუნებრივია, რომ ქართულ ჟესტურ ენაში დროის საზომი ერთეულები იმეორებს ქართული სამეტყველო ენის სისტემას, მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართულ ჟესტურ ენაში ყოველთვის არ გვხვდება სამეტყველო ენის შესაბამისი დროის გამომსახველი სიტყვები. მაგალითად, ქართულ ჟესტურ ენაში არ გავქვს შემდეგი დროის ზმნიზედები და დროის აღმნიშვნელი სიტყვათშეთანხმებები: დროდადრო, ზოგჯერ, ნამყო, აწმყო, მყოფადი, მაშინვე, ამ წუთას, რეგულარულად, მყისვე, წამიერად, ჟამი, მეყსეულად, ოდესმე, მრავალჟამიერ. თარგმანში ეს სიტყვები მათთან შინაარსით ახლომდგომი სიტყვებით შეიცვლება.

საგანი

ამ თავში გადმოცემულია საგნის მორფოსემანტიკური თავისებურებანი ქართულ ჟესტურ ენაში. დახასიათებულია არსებითი სახელი და ამ მეტყველების ნაწილის ფარდი მორფოლოგიური ფორმები. მოცემულია საგნის სემანტიკური სტრუქტურის ანალიზი და ფლექსიური შესაძლებლობები ჟესტური ენის ფარგლებში.

1 ზოგადი მორფოსემანტიკური ანალიზი

ენათმეცნიერებაში საგანი და მისი ფარდი მეტყველების ნაწილი განისაზღვრება, როგორც არსებითი სახელი. ცხადია, ქართულ ჟესტურ ენაში (ისევე როგორც სხვა ჟესტურ ენებში) არის ამ მეტყველების ნაწილის ფარდი სიტყვა-ჟესტები. საქმე ისაა, რომ სამეტყველო ენათა მორფოლოგიაში არსებითი სახელი ხასიათდება შესაბამისი მორფოსემანტიკური ნიშნებით, რასაც ჟესტურ ენათა მორფოლოგია მთლიანად ვერ გაიზიარებს. ამდენად, ნაცვლად იმისა, რომ მეტყველების ნაწილები გამოვყოთ და განვსაზღვროთ მათი მორფოლოგიური ბუნება, ჟესტური ენების გრამატიკა აგებული იქნება ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიების მიხედვით და, შესაბამისად, ყველაფერი, რაც საგნად მოიაზრება თავისი გენეზისისა და სამეტყველო ენის მასალასთან შესაბამისობის კვალობაზე საგანს შეესაბამება, იქნება ეს არსებითი სახელი, მიმდეობა, საწყისი თუ ნაცვალსახელი – თავისი გენეზისისა და სამეტყველო ენაში სათანადო შესაბამისობის მიუხედავად – ყველა შევა საგნის კატეგორიაში. ჟესტურ ენებში არ განისაზღვრება მეტყველების ნაწილი კითხვის მეშვეობით. თუმცა აქედან ნაცვალსახელების გამოყოფა მაინც შეიძლება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჟესტურ ენებში შესაძლოა საგანი მისი რომელიმე თვისებით იყოს დახასიათებული და ჰგავდეს ზედსართავს ან ზმნას, ან სულაც საერთო იყოს მეტყველების ამ ნაწილებთან სხვადასხვა პარამეტრებით. რა განასხვავებს მას სხვა მეტყველების ნაწილებისგან ამ ენაში ან როგორ გამოვყოთ საგნის კატეგორია მორფოლოგიურად? ამ კითხვაზე პასუხი ერთია – ჟესტურ ენებში გრამატიკული კატეგორიებისათვის საყრდენი არის სემანტიკური კატეგორიზაცია.

აღსანიშნავია, რომ ჟესტურ ენებში ერთფაზიანი მყარი სტატიკური სიტყვა-ჟესტები არის უფრო სახელები, ვიდრე ზმნები, რომელთაც გამოსახვის თვალსაზრისით მეტი დინამიკური პოტენცია აქვთ.

ფიქრი

ეს არის ერთხელიანი სტატიკური მითითებითი სიტყვა-ჟესტი.

ჯვარი

“ჯვარი” ორხელიანი სიმეტრიული იკონოგრაფიული სიტყვა-ჟესტია.

კაცი

ეს საკმაოდ გავრცელებული ფორმა არის და აშკარად რუსული “შემსრულებელი” ჯარისკაცის ხატია. ქართულ ჟესტურ ენას აქვს ალტერნატიული ფორმაც:

კაცი

ეს არის ულვაშზე ხელის მოკიდება, ულვაშის გადაგრეხა. გარკვეულ წრეებში ულვაში ითვლებოდა კაცის ნამუსის ნიშნად. აქ გვაქვს ერთხელიანი ორფაზიანი დინამიკური ჟესტი. აღსანიშნავია, რომ ეს ფორმა ნაციონალიზაციის ეტაპზე შემოვიდა ენაში.

ხე

ეს სიტყვა-ჟესტიც არის იკონოგრაფიული.

თუმცა, რა თქმა უნდა, არის უამრავი ორფაზიანი და მრავალფაზიანი სახელი. ორფაზიანი სიტყვა-ჟესტების მაგალითები:

ფოტოაპარატი

ეს არის ორხელიანი ასიმეტრიული სიტყვა-ჟესტი.

სითბო

სიტყვა-ჟესტი "სითბო" სუნთქვის სითბოსთან ასოცირებული ერთხელიანი ჟესტია.

მიცვალებული

წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი მიცვალებულის გულზე დაკრეფილ, უმოქმედო ხელების იკონოგრაფიულ სურათს იძლევა.

წიგნი

მოცემული სიტყვა-ჟესტი წიგნის გადაფურცლის შესაბამისი მოქმედების მაჩვენებელი ფორმაა.

გრამატიკა

სიტყვა-ჟესტი "გრამატიკა" ერთხელიანი ორფაზიანი ჟესტია.

მრავალფაზიანი სიტყვა-ჟესტების მაგალითები:

ცა

სიტყვა-ჟესტი "ცა" გვიჩვენებს ზედა განლაგებას და სიმრგვალეს და პირდაპირ ასოცირდება ქართულ ფორმასთან "ცარგვალი" ან "ცის კამარა".

მთვარე

აქ მოცემული გვაქვს იკონოგრაფიული სიტყვა-ჟესტი. ნახევარმთვარის მოხაზულობით.

ვარსკვლავი

“ვარსკვლავი” ორხელიანი სიმეტრიული იკონოგრაფიული სიტყვა-ჟესტია.

მცენარე

წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი არის ორხელიანი სიმეტრიული, მრავალფაზიანი ფორმა.

მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს საგნის ამსახველი ბევრი დინამიკური სიტყვა-ჟესტი, აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ზმნა არასოდეს არ არის მყარი სტატიკური ჟესტით გადმოცემული სახელისგან განსხვავებით და ეს არის ძირითადი მორფოლოგიური სხვაობა (სხვაობა სიტყვა-ჟესტის ფორმის მიხედვით) ქართულ ჟესტურ ენაში სახელებსა და ზმნებს შორის.

ფორმის თვალსაზრისით აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ხშირია საგანზე პირდაპირი მითითება. მაგალითად, ქართულ ჟესტურ ენაში ადამიანის სხეულის ნაწილები, ძირითადად, ამ სახით არის წარმოდგენილი: ხელი, ფეხი, ხელისგული, იდაყვი, კისერი, ყელი, თავი, მხრები და ა.შ.

თავი

ჭკუა

“ტვინი” და “ჭკუა” ქართულ ჟესტურ ენაში ერთი სიტყვა-ჟესტია.

გული

ასევე მითითებით გაიაზრება სიტყვა “სული:”

სული

ჟესტურ ენებში, შესაძლოა, საგანი და თვისება ერთ რანგში წარმოჩინდეს. საგანი შეიძლება მისმა თვისებამ დაახასიათოს და, ამდენად, საგანი (არსებითი სახელი) ფორმით ჰგავდეს თვისებას (ზედსართავს). ფაქტობრივად, ეს არის უმთავრესი პრობლემა, რატომაც ვერ ხერხდება ჟესტურ ენებში მეტყველების ნაწილების გამოყოფა სამეტყველო ენების მსგავსად. სამეტყველო ენების მორფოლოგია ფორმის

ანალიზს მოიაზრებს, ხოლო ჟესტური ენების მორფოლოგია სემანტიკის კინემურ რეალიზაციას გულისხმობს ფორმის დონეზე. ამიტომ არსებითი სახელის ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები, შესაძლებელია, იმავე პრინციპით დახასიათდეს ჟესტურ ენებში. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ეს უნივერსალური ჯგუფებია.

2. ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები

ქართულ ჟესტურ ენაში გვაქვს საგნის შემდეგი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები:

I. ვინ და რა ჯგუფის სახელები.

ეს ფორმები და შინაარსი მთლიანად იმეორებს ქართული სამეტყველო ენის სათანადო გრამატიკულ განსაზღვრებებს.

ქართულ სამეტყველო ენასთან შედარებით ვინ და რა ჯგუფის სახელები ქართულ ჟესტურ ენაში მეტი ლინგვისტური დატვირთვით დახასიათდება, რადგანაც კლასის კატეგორია აქ უფრო აქტიურია მორფოსინტაქსური თვალსაზრისით. ამ საკითხზე ჩვენ დაწვრილებით ვისაუბრებთ თავში “კლასი”.

ადამიანი

ეს ფაქტობრივად იგივე ჟესტური ნიშანია, რაც არის ერგატივის ნიშანი.

ნივთი

ა. ერგატიული ბრუნვა მხოლოდ ვინ კატეგორიის მახასიათებელია ქართულ ჟესტურ ენაში.

კაცმა

ბ. წოდებითი ბრუნვა მხოლოდ ვინ კატეგორიის მახასიათებელია ქართულ ჟესტურ ენაში.

კაცო

გ. მრავლობითობის ნიშანი განსხვავებულია ვინ ჯგუფის სახელებისთვის. ასევე განსახვავებულია კრებითი სახელების ფორმები ვინ და რა ჯგუფებისათვის.

კაცი

კაცები

სიტყვა-ჟესტი "კაცის" შემდეგ მოდის ადამიანთა სიმრავლის განმეორებადი ნიშანი.

კაცები

ამ შემთხვევაში სიტყვა-ჟესტი "კაცის" შემდეგ მოდის ზოგადი სიმრავლის ნიშანი – მეორე ფოტოზე. ეს ნიშანი შეიძლება შეგვხვდეს როგორც ვინ კლასის სახელებთან, ასევე რა-კატეგორიის სახელებთანაც.

კაცეგმა

როდესაც ვინ-კატეგორიის სახელი მრავლობითშია და ასევე საჭიროა ერგატიული ბრუნვის ასახვა, მაშინ ისეთი სურათი გვექნება, როგორიც აქ არის წარმოდგენილილი – სიტყვა-ჟესტი "კაცის" შემდეგ მოდის ზოგადი სიმრავლის ნიშანი – მეორე ფოტოზე, ხოლო მესამე და მეოთხე ფოტოები ასახავენ ერგატივის ნიშანს. რადგანაც ერგატივის ნიშანი ჰგავს ადამიანთა სიმრავლის ჟესტურ ნიშანს (ფაქტობრივად, ეს არის იგივე სემანტიკური და კინეტიკური ფორმა), ენა აქ გამოიყენებს სხვა მრავლობითობის ნიშანს.

საგულისხმოა, რომ ქართული სამეტყველო ენისგან განსხვავებით, ქართულ ჟესტურ ენაში ჯერ მრავლობითობის ნიშანი გვაქვს და შემდეგ კი ბრუნვის ნიშანი.

დ. ზოგი თანდებული განსხვავდება ვინ-კატეგორიის მიხედვით. შევადაროთ "-თან" თანდებულიანი ფორმების ქვემომოყვანილი ორი მაგალითი:

ქალთან

აქ პირველი სურათი უჩვენებს ვინ-კატეგორიის სიტყვა-ჟესტს "ქალი" და მეორე და მესამე სურათებზე კი ასახულია "-თან" თანდებული.

მაგიდასთან

აქ პირველი სურათი უჩვენებს რა-კატეგორიის სიტყვა-ჟესტს "მაგიდა" და მეორე და მესამე სურათებზე ასახულია "-თან" თანდებული, რომელიც ჟესტურად განსხვავდება წინა მაგალითისაგან.

ე. სიტყვაწარმოების დროს ვინ-კატეგორიის სემანტიკური ჟესტების აქტივიზაცია ხდება, ანუ ხდება კოგნიტიურ უნარებზე მითითება.

ინჟინერი

პროფესიის აღმნიშვნელი სახელები, ცხადია, ვინ-ჯგუფის სახელებია.

პროფესორი

ეს არის ერთხელიანი ორფაზიანი ჟესტი.

ექიმი

წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი არის ორხელიანი ასიმეტრიული ჟესტი.

არქიტექტორი

წარმოდგენილი ორხელიანი მრავალფაზიანი სიტყვა-ჟესტი არის ორნაწილიანი. შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: “შენება” და “ნახაზი”.

ვ. ზმნები განასხვავებენ ჟესტურ ფორმებს ვინ-რა კატეგორიის მიხედვით.

ადის

აქ წარმოდგენილია ადამიანის მიერ შესრულებული მოძრაობის პანტომიმური ფორმა, ხოლო ქვემომოყვანილ წინადადებაში “მანქანა ადის” კი განსხვავებული ჟესტით ასახული რა-კატეგორიის მქონე სახელის მიერ (“მანქანა”) შესრულებული მოძრაობა გვაქვს მოცემული:

მანქანა ადის

II. სულიერი და უსულო სახელები.

ეს ფორმები და შინაარსი ასევე მთლიანად იმეორებს ქართული სამეტყველო ენის ლინგვისტურ სიტუაციას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ჟესტურ ენაში უფრო მეტი გრამატიკული ფუნქციები აქვს ამ ჯგუფის გამოყოფას.

სულიერი

აქ მითითებაა იმაზე, რომ "სულიერი" ნიშნავს სულის ქონას.

უსულო

ხოლო წარმოდგენილ ორნაწილიან მრავალფაზიან ერთხელიან სიტყვა-ჟესტში კი მითითებაა იმაზე, რომ "უსულო" ნიშნავს სულის არქონას, რაც ბოლო ფოტოზეა ასახული.

ა. სიტყვაწარმოების დროს სულიერი ჯგუფის სახელების სემანტიკური ჟესტების აქტივიზაცია ხდება მოძრაობის უნარზე მითითებით.

ცხოველი

სიტყვა-ჟესტი "ცხოველი" არის ორხელიანი, სიმეტრიული ჟესტი, რომელიც გვიჩვენებს ცოცხალი სხეულის არსებობაზე.

ძაღლი

წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი "ძაღლი" ამ სულიერი არსებისთვის დამახასიათებელი მოქმედების უნარზე – ყეფაზე მიგვანიშნებს.

კატა

ეს ორხელიანი ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი მიუთითებს კატის მახასიათებელ ქმედებაზე – კაწვრაზე.

ცხენი

სულიერობის კატეგორიის მქონე ორხელიანი ასიმეტრიული სიტყვა-ჟესტი "ცხენი" ამ ცხოველის ძირითად გამოყენებით ფაქტორზე მიანიშნებს – ეს არის ცხენზე ჯდომა.

ვირი

წარმოდგენილი ორხელიანი სიმეტრიული სიტყვა-ჟესტი "ვირი" ამ ცხოველის გარეგნულ ფაქტორზე, კერძოდ, მის გრძელ ყურებზე მიანიშნებს.

ღორი

სულიერობის კატეგორიის ერთხელიანი სიტყვა-ჟესტი "ღორი" ამ ცხოველის ძირითად თვისებაზე – დინგით ჭამაზე – მიანიშნებს.

ქათამი

წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი "ქათამი" მიანიშნებს ამ ფრინველისთვის დამახასიათებელ ძირითად მოძრაობაზე - კენკვაზე.

მამალი

ეს ერთხელიანი სიტყვა-ჟესტი "მამალი" ამ ფრინველის გარეგნულ ფაქტორზე მიანიშნებს.

ჩიტი

წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი “ჩიტი” მიანიშნებს ამ სულიერი არსების გარეგნულ ნიშანზე – ნისკარტზე.

სულიერი სახელების ჯგუფები კონკრეტული რაოდენობის ერთეულებია: ადამიანის გარდა, ეს შეიძლება იყოს ცხოველი, ფრინველი, ქვეწარმავალი, თევზი და მწერი. უსულო სახელები კი უფრო მრავალნაირია ლექსიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით.

პური

ამ ორხელიან ასიმეტრიულ სიტყვა-ჟესტში გვაქვს მინიშნება პურის დაჭრაზე.

საჭმელი

ეს ერთხელიანი სიტყვა-ჟესტი პირდაპირ მიგვითითებს ამ რა-ჯგუფის სახელის გამოყენებით თვისებასა და მასთან დაკავშირებულ მოქმედებაზე.

მაღაზია

წარმოდგენილი ორხელიანი სიმეტრიული სიტყვა-ჟესტი “მაღაზია” მიგვანიშნებს მის აბრაზე.

სკოლა

წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი ორნაწილიანია. მისი პირველი ნაწილი კოგნიტიურ მომენტზე მიგვანიშნებს, ხოლო მეორე ნაწილი კი ორხელიანი სიმეტრიული სიტყვა-ჟესტით გვიჩვენებს სასკოლო აბრას.

უნივერსიტეტი

ეს არის ორხელიანი სიმეტრიული მრავალფაზიანი სიტყვა-ჟესტი.

ხატი

წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი ორნაწილიანია. მისი პირველი ნაწილი კოგნიტიურ-აზროვნებით პროცესზე – ლოცვასა და ფიქრზე მიგვანიშნებს, ხოლო მეორე ორხელიანი ნაწილი კი გადმოსცემს სიტყვა-ჟესტ "ხატის" იკონოგრაფიულ ფორმას.

სურათი

სიტყვა-ჟესტი "სურათი" ერთხელიანი და ორფაზიანია. აღსანიშნავია, რომ მოცემული ფორმა გულისხმობს ფოტოს და არა ნახატს, რამდენადაც აქ ფოტოაპარატის მოქმედებაა წარმოდგენილი.

ბ. ზმნები განასხვავებენ ჟესტურ ფორმებს სულიერი და უსულო კატეგორიის მიხედვით. შევადაროთ ქვემომოყვანილ ორ წინადადებაში ერთი და იმავე ლექსიკური მნიშვნელობის ზმნები და მათი ამსახველი სიტყვა-ჟესტები:

მგელი ადის.

მანქანა ადის.

III. კონკრეტული და აბსტრაქტული სახელები.

ქართულ ჟესტურ ენაში კონკრეტული და აბსტრაქტული სახელები ლექსიკური პარამეტრებით გამოიყოფა და იმეორებს სამეტყველო ენის მიდგომას გრამატიკული თვალსაზრისით.

საერთოდ, არსებითი სახელების ტიპოლოგია მრავალ უნივერსალურ კატეგორიას მოიცავს. ერთ-ერთი ასეთია არსებითი სახელების კონკრეტულ და აბსტრაქტულ სახელებად დაყოფა-დაგჯუფება. ამ თემისადმი მიდგომა უნივერსალური უნდა იყოს, მაგალითად: თუ რომელიმე

არსებითი სახელი კონკრეტულია ქართულში, ის კონკრეტული იქნება ინგლისურსა და ჩინურშიც.

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ადამიანი, როგორც მოაზროვნე არსება, უპირველეს ყოვლისა, აბსტრაქციის უნარით გამოირჩევა. სხვადასხვა ერისა თუ ტომის ეს უნარი ასახულია მათ ენებში. ლინგვისტური აბსტრაქციის უნარი განსაკუთრებით ნათლადაა წარმოდგენილი კლას-კატეგორიების სისტემებით. საერთოდ, ნებისმიერი ენა არის ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანთა კოგნიტიური სარკე. ეს გაცილებით ღრმა მოვლენაა და გულისხმობს ენობრივი სისტემების ჩამოყალიბების პროცესებს.

რაც შეეხება არსებითი სახელების კონკრეტულ და აბსტრაქტულ სახელებად გადააზრებას, ეს უფრო არის ზოგადი ტიპოლოგიის საქმე, ვიდრე ერთი კონკრეტული კერძო გრამატიკის მოვლენა. ცხადია, რომელიმე საგნისადმი მიდგომა, შესაძლოა, განსხვავებული იყოს სხვადასხვა ენებსა და ხალხებში ამ ხალხის რელიგიურ-რიტუალური, ან კულტურული ღირებულებებიდან გამომდინარე. „აღსანიშნი ყოფიერებასა და აზროვნებაში არის უნივერსალური, მაგრამ მის მიმართ მიდგომა არის სხვადასხვაგვარი.“ (მახარობლიძე, 2009: 117) არსებითი სახელების კლასიფიკაცია კონკრეტულ და აბსტრაქტულ სახელებად ძირითადად არის უნივერსალური. 1972 წელს ლონდონში გამოცემულ ენისა და ენათმეცნიერების ლექსიკონში აბსტრაქტული სახელები განმარტებულია შემდეგნაირად: „აბსატრაქტულია არსებითი სახელი, რომელიც აღნიშნავს რამე არამატერიალურ რეფერენტს“ (ჰარტმანი, სტორკი 1972: http://www.sil.org/linguistics/GlossaryOfLinguisticTerms/WhatIsAnAbstractNoun.htm)

აღსანიშნავია, რომ ქართული ენის გრამატიკაში აბსტრაქტული და კონკრეტული არსებითი სახელების ფორმობრივი კლასიფიკაცია დიდი ხნის წინ წარმატებით შესრულდა ქართველი ენათმეცნიერების მიერ. რა თქმა უნდა, აქ მოიაზრება სახელთა დერივაციის ფორმებში აბსატრაქტული სახელების წარმოების აფიქსების გამოყოფა და არსებით სახელთა ჯგუფებში აბსტრაქტული და კონკრეტული სახელების ოპოზიციური ჯგუფების გამოყოფა.

არსებით სახელებში აბსატრაქტულისა და კონკრეტულის გამიჯვნა, ერთი შეხედვით, საკმაოდ მარტივი საკითხია. როგორც ა. შანიძე მართებულად განსაზღვრავს: "კონკრეტული სახელი აღნიშნავს არსებას ან ისეთ ფიზიკურ ობიექტს, რომელსაც გრძნობათა ორგანოებით აღვიქვამთ: ბავშვი, დათვი, წიგნი, ქალაქი, სახლი, კიბე, ბგერა, სუნი და სხვ. აბსტრაქტული (განყენებული) სახელი აღნიშნავს ისეთ რამეს, რომელსაც ნივთიერი სახე არ გააჩნია; მაგ., სიცოცხლე, გულწრფელობა, სიმშვიდე და სხვ." (შანიძე, 1980:38)

ასეთი განსაზღვრება უნივერსალურია ტიპოლოგიური თვალსაზრისით და იგივე განსაზღვრება აქვს სხვა მრავალ ავტორსაც. თუმცა მაინც ბევრი კონკრეტული კითხვა რჩება პასუხგაუცემელი. მაგალითად, სიტყვა "სუნი" ან "ბგერა" ა. შანიძის მიხედვით არის კონკრეტული, მაგრამ მისივე განსაზღვრების მიხედვით, ამ სიტყვის აბსატრაქტულ სახელად მიჩნევაც არ არის გამორიცხული, რამდენადაც ნივთიერი სახე, როგორც ასეთი, მას არ გააჩნია. ასევე სადავო შეიძლება იყოს რიგი სახელთა: ფერი, გემო, ზომა, ჰაერი, გაზი, კრებითი სახელები და სხვა.

საკითხში სინათლის შესატანად შემოგვაქვს ინტერ-დისციპლინური განსაზღვრება – **კონკრეტულია ყველა არსებითი სახელი, რომელსაც თავისი ბიოქიმია აქვს.** თავისთავად, იმას, რასაც აქვს ბიოქიმია, გრძნობათა ხუთი ორგანოც აღიქვამს: თვალი – მხედველობა, ყური – სმენა, ენა – გემო, ცხვირი – ყნოსვა და ხელი – შეხება. აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჟესტური ენებისთვის საუბარია მხოლოდ იმ სახელებზე, რასაც აღიქვამს გრძნობათა ოთხი ორგანო, რამდენადაც ყური, როგორც სმენის აღქმითი ორგანო, ამ ენის მატარებლებისათვის აქტიურად არ მოიაზრება და ბგერითი სემანტიკის სახელების გააზრება აქ მხოლოდ კოგნიტიურია. შესაბამისად, სამეტყველო ენისგან განსხვავებით, ბგერასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახელი ჟესტურ ენებში იქნება აბსტრაქტული.

ქართულ ენაში არის რამდენიმე ისეთი არსებითი სახელი, რომელიც შეიძლება კონკრეტულიც იყოს და აბსტრაქტულიც, მაგალითად, "სტუდენტობა": უნივერსიტეტის წინ სტუდენტობა შეიკრიბა. ეს არის კონკრეტული არსებითი სახელი და ამ კონკრეტულ შემთხვევაში "-ობა" სუფიქსით უფრო მრავლობითობის კატეგორიაა გადმოცემული, ვიდრე აბსტრაქტულობის. გამახსენდა ჩემი სტუდენტობა. ამ წინადადებაში კი, რა თქმა უნდა, "სტუდენტობა" აბსტრაქტული სახელია. ამ ტიპის მაგალითები უჩვენებს -ობ(ა), -ებ(ა) სუფიქსებისა და მრავლობითობის -ებ სუფიქსის საერთო სემანტიკურ ბაზას. როცა მრავლობითობა გადაკვეთს აბსტრაქციის სემანტიკას, არც ესაა უცხო მოვლენა: ნებისმიერი ერთი კონკრეტული ჯგუფის საგანი ან ერთი ერთეული კონკრეტულია, სიმრავლე კი ამ ერთეულთან მიმართებით უკვე აბსტრაქციის ელემენტებს შეიცავს. ეს განსაკუთრებით

ნათლად ჩანს კრებით სახელებში, მაგალითად, “ცხვარი”, უდავოდ, კონკრეტული სახელია, “ფარა” ასევე კონკრეტულია, შეიძლება მისი დანახვა, მაგრამ “ცხვარი” უფრო კონკრეტულია ვიდრე “ფარა”, რადგანაც მას უფრო მეტი კონკრეტული მახასიათებლები აქვს.

წინადადებაში “ადამიანს შეუძლია აღიქვას სუნი”, სიტყვა “სუნი” აბსტრაქტულია. ასევე აბსტრაქტული იქნება ისეთი ზოგადი ცნებები, როგორიცაა გემო და ფერი. მხოლოდ კონკრეტული სუნი, ფერი, გემო და ბგერა იქნება კონკრეტული არსებითი სახელი. ასეთი სახელი უნდა იყოს წარმოდგენილი თავისი განსაზღვრებით ან კონკრეტული ერთეული უნდა მოიაზრებოდეს. მაგალითად, წინადადებაში “მე მიყვარს იასამნის სუნი.” აქ სიტყვა სუნი უკვე კონკრეტული არსებითი სახელია, რომელსაც თავისი კონკრეტული ბიოქიმია აქვს. ასევე კონკრეტულია იგივე სიტყვა წინადადებაში “აქ სუნი დგას”, თუმცა ამ შემთხვევაში სინტაქსიც კი არ აკონკრეტებს, თუ რა სუნზეა საუბარი, მაგრამ ეს მაინც კონკრეტული სუნია.

საინტერესოა, რომ ბევრი უცხოელი ავტორი კომბინირებულ კლასიფიკაციას გვთავაზობს, ფორმისა და სემანტიკის თვალსაზრისით. ზოგადად კლასიფიკაციის ძირითად პრინციპებთან მიმართებით, ჩვენ შევეცადეთ უფრო მეტი სიმკაცრის დაცვას არსებითი სახელების კონკრეტულ და აბსტრაქტულ ძირითად ჯგუფებად დაყოფისას. ამდენად, შეგვიძლია გამოვყოთ არსებით სახელთა სამი ჯგუფი:

1. კონკრეტული სახელები,
2. აბსტრაქტული სახელები,
3. შუალედური ანუ კონტექსტური ფორმები.

პირველ ჯგუფში შევა ყველა არსებითი სახელი თავისი ბიოქიმიით, რასაც კი გააჩნია მენდელეევის პერიოდულობის სისტემის ნებისმიერ ელემენტთა ნებისმიერი ფორმის შემადგენლობა. აქ ყოველგვარი ნივთიერი სახის არსებითი სახელი იქნება თავმოყრილი. ამ ჯგუფში შეგვიძლია გამოვყოთ ქვეჯგუფები თავისი შიდა ჯგუფებით:

1. ნივთიერი ფორმის ხილვადი არსებითი სახელები:
   1.1. მყარი შეხების საგნები (მაგ., კაცი, სკამი, ხე და ა. შ.);
   1.2. ნაკლებად ხელშესახები ან შეუხებელი საგნები (მაგ., კრებითი სახელები – ჯგუფი, ფარა, ნახირი; ცა, ჰორიზონტი და ა. შ.);
   1.3. საკუთარი სახელები - ადამიანის სახელი და გვარი, გეოგრაფიულ ადგილთა სახელები;
   1.4. გეომეტრიული ფიგურები (წრეწირი, ხაზი, რომბი, კვადრატი და ა.შ.).

2. ნაკლები ან ნულოვანი ხილვადობის არსებითი სახელები:
   2.1. შეგრძნების სამი ფორმის დაკონკრეტებული სახელები: გემო, სუნი, ბგერა;
   2.2. აქროლადი აირები (მაგ., ჰაერი, გაზი, ქარი, ნიავი და სხვა);
   2.3. დასახელებები ანუ სახელწოდებების აღმნიშვნელი საკუთარი სახელები – ორგანიზაციების და ინსტიტუციების სახელწოდებები.

აქ მნიშვნელოვანია ერთი გარემოების ხაზგასმა – რიგი გრამატიკული საკითხებისა უნდა წყდებოდეს კომპეტენტურ

ენათმეცნიერთა შეთანხმების საფუძველზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ენის სალიტერატურო ნორმებს. პირველ ჯგუფში შემავალი რამდენიმე ქვეჯგუფის საკითხიც, სასურველია, იყოს მსჯელობის საგანი. მხედველობაში გვაქვს შემდეგი ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფები:

ნივთიერი ფორმის ხილვადი არსებითი სახელებიდან ბოლო ორი ჯგუფი:

1.3. საკუთარი სახელები - ადამიანის სახელი და გვარი, გეოგრაფიულ ადგილთა სახელები,

1.4. გეომეტრიული ფიგურები (წრეწირი, ხაზი, რომბი, კვადრატი და ა.შ.).

და ნაკლები ან ნულოვანი ხილვადობის არსებითი სახელებიდან ბოლო ერთი ჯგუფი:

2.3 დასახელებები ანუ სახელწოდებების აღმნიშვნელი საკუთარი სახელები – ორგანიზაციების და ინსტიტუციების სახელწოდებები.

3. ნივთიერი ფორმის ხილვადი არსებითი სახელები:

A. მყარი შეხების საგნები (მაგ., კაცი, სკამი ხე და ა. შ.);

B. ნაკლებად ხელშესახები ან შეუხებელი საგნები (მაგ., კრებითი სახელები – ჯგუფი, ფარა, ნახირი; ცა, ჰორიზონტი და ა. შ.);

C. საკუთარი სახელები - ადამიანის სახელი და გვარი, გეოგრაფიულ ადგილთა სახელები;

E. გეომეტრიული ფიგურები (წრეწირი, ხაზი, რომბი, კვადრატი და ა.შ.);

4. ნაკლები ან ნულოვანი ხილვადობის არსებითი სახელები.

A. შეგრძნების სამი ფორმის დაკონკრეტებული სახელები: გემო, სუნი, ბგერა;

B. აქროლადი აირები (მაგ., ჰაერი, გაზი, ქარი, ნიავი და სხვა);

C. დასახელებები ანუ სახელწოდებების აღმნიშვნელი საკუთარი სახელები – ორგანიზაციების და ინსტიტუციების სახელწოდებები;

ერთი თვალსაზრისით, გასაგებია, თუ რატომ უნდა იყოს ეს სახელები კონკრეტულ არსებით სახელთა რიგებში, მაგრამ აქ გარკვეულ წინააღმდეგობას ვაწყდებით: ყველგან როდი გვაქვს არსებითი სახელის (საგნის) ბიოქიმია. როდესაც ზემოხსენებული ჯგუფები შევიტანეთ კონკრეტული სახელების სიაში, ჩვენ შემდეგ გარემოებებს დავეყრდენით – კონკრეტულობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი არის განსაზღვრულობა. განსაზღვრული სახელი (ან არსებითი სახელი განსაზღვრული არტიკლით) კონკრეტულია. ზოგადად, განსაზღვრულობა ნიშნავს დაკონკრეტებას. აქედან გამომდინარე, ჩვენ შევიტანეთ ეს არსებითი სახელები კონკრეტული სახელების სიაში, მაგრამ ცალკე აღებულ საკუთარ სახელს ან დასახელებას, ცხადია, არანაირი ბიოქიმია არ გააჩნია. რატომ ხდება დასაშვები ასეთი (ზემოთ მოყვანილი) ჩვენივე ინტერდისციპლინური განსაზღვრების უგულებელყოფა ამ ფორმებით? საერთოდ, როგორ უნდა მივიღოთ ან გავიაზროთ კონკრეტულ არსებით სახელად რომელიმე ფირმის სახელწოდება, მაგალითად "ლიტერა", "გაენათი", "ნოკია" და ა.შ. პასუხი ერთადაერთია: აქ ჩვენ ბიოქიმიური ნიშნით განსაზღვრულ სახელებს დავამატეთ საკუთარი სახელები, რამდენადაც მიგვაჩნია, რომ საკუთარი

სახელები თავის თავშივე მოიაზრებს განსაზღვრულობის (იმავე კონკრეტულობის) მაღალ ხარისხს. დავით კრისტალი საკუთარ სახელებზე წერს, რომ "საზოგადო სახელებისგან განსხვავებით, არ შეიძლება მათი გამოყენება განმსაზღვრელებთან ერთად" (კრისტალი 1985: 248). ეს სახელები ინდოევროპულ ენებში განსაზღვრულ არტიკლს არ დაირთავენ (განსაკუთრებული გამონაკლისების გარდა), რადგანაც უკვე განსაზღვრულად და კონკრეტულად მოიაზრებიან.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეგვიძლია უკვე შემოთავაზებული განსაზღვრების შესწორება, უფრო ზუსტად კი მას ასე გავასრულებთ: **კონკრეტულია ყველა არსებითი საკუთარი სახელი და სახელი, რომელსაც თავისი ბიოქიმია აქვს.**

მეორე ჯგუფში შევა ყველა არსებითი სახელი, რომელსაც ბიოქიმია არ გაჩნია. ამ ჯგუფშიც გამოიყოფა ქვეჯგუფები თავისი შიდა ჯგუფებით:

1. დერივაციული აბსტრაქტული არსებითი სახელები: -ობა, -ება, სი-ე, სი-ილ- აფიქსებით ნაწარმოები სახელები;
2. საზომი ერთეულების სახელები (წონა, ზომა, განი, მეტრი, ლიტრი, ფორმა და სხვ.):
3. შეგრძნების სამი ფორმის ზოგადი, განუსაზღვრელი სახელები: გემო /მადა, სუნი /ყნოსვა, ბგერა და მათთან სემანტიკურად დაკავშირებული ზოგადი, განუსაზღვრელი არსებითი სახელები, მაგ., მელოდია, პოეზია (ზოგადად და არა კონკრეტული რომელიმე ლექსი ან მელოდია); როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, აქ განვასხვავებთ ჟესტურ ენებს

სამეტყველო ენებისგან, მაგალითად, სიტყვა "მელოდია" ჟესტურ ენებში ნებისმიერი ფორმით იქნება მხოლოდ აბსტრაქტული სახელი – იმის მიუხედავად, იქნება ეს კონკრეტული მელოდია თუ ზოგადად სიტყვა"მელოდია".
4. საწყისები (ნაზმნარი არსებითი სახელები ანუ მოქმედების სახელები, მაგ.., სიარული, სირბილი, ფრენა, მოვლენა, შემთხვევა და ა. შ.);
5. სხვადასხვა ზოგადი ტერმინი და ცნება:

   A. ემოციის ამსახველი არსებითი სახელები (მაგ., სიყვარული, ზიზღი, სიმპათია, შიში, გრძნობა და სხვ.),

   B. კოგნიტიური ცნებების ამსახველი არსებითი სახელები (მაგ., იდეა, აზრი, გონი, ჭკუა, კონცეპტი, თემა, პრობლემა, ფიქრი და სხვ.),

   C. ზოგადი ტერმინები (მაგ., ისტორია, ფიზიკა, კულტურა, ვითარება, გარემოება, სუბსტანცია, მოვლენა, შემთხვევა და სხვ.).

მესამე ჯგუფში შედის ის არსებითი სახელები, რომლებიც მხოლოდ კონტექსტში უპასუხებენ კითხვას – კონკრეტული თუ აბსტრაქტული? ესენია სინტაქსური შეპირობებულობის ცვალებადი ფორმები და ამიტომაც ჩვენ მათ შუალედური ანუ კონტექსტური ფორმები ვუწოდეთ. ზემოთ ასეთი მაგალითებია მოყვანილი, აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივად ეს მცირე ჯგუფია, მაგრამ ამ მესამე ჯგუფსაც აქვს თავისი ქვეჯგუფები:

1. -ობა სუფიქსით ნაწარმოები ფორმები (სტუნდეტობა, ახალგაზრდობა);
2. გემო, სუნი, ფერი, ადგილი, ბგერა/ხმა, ტკივილი (რაც მხოლოდ კონკრეტულ კონტექსტში ხდება კონკრეტული).

მაგალითად, ზოგადად "სუნი" აბსტრაქტულია, მაგრამ იასამნის სუნი კონკრეტულია, მას თავისი ბიოქიმიაც აქვს და ყნოსვის ორგანოებით ხდება მისი აღქმა. ასევე აბსტრაქტულია ცნება "ფერი" და მხოლოდ რაღაცის კონკრეტულად ხილვადი ფერი არის კონკრეტული.

არსებითი სახელების აბსტრაქტული და კონკრეტული ჯგუფების გამოყოფა შეიძლება გრადაციული ტიპისაც იყოს. შესაძლებელია კონკრეტულობის (ან აბსტრაქტულობის) გრადაციის ცხრილების შედგენა კონკრეტულობის ან აბსტრაქტულობის ხარისხის მიხედვით. მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, "ცხვარი" უფრო კონკრეტულია, ვიდრე "ფარა". გრადაციული კლასიფიკაცია იმავდროულად განსაზღვრავს საგნის კონკრეტულობის ნიშნებსაც. ყველაზე მაღალი კონკრეტულობის ხარისხი ექნება სახელებს, რომლებიც აღნიშნავენ მყარ ნივთებს. ეს იქნება არსებითი სახელები, რომელთაც ნივთიერი სახე აქვს და იმავდროულად მათი შეხებაც შეიძლება. საერთოდ, რაც მეტი გრძნობის ორგანოთი არის შესაძლებელი საგნის აღქმა, მით კონკრეტულობის უფრო მეტი ხარისხი ექნება საგანს. მაგალითად, "ცხვარი" თითქმის ხუთივე გრძნობის ორგანოთი შეგვიძლია აღვიქვათ (თუმცა, ცხადია, ცოცხალ ცხვარს გემოს არავინ უსინჯავს, მაგრამ მაინც აქვს თავისი გემო და ეს მგელმაც იცის.) სხვა სახელი, მაგალითად, "ჰაერი" შედარებით ნაკლები კონკრეტულობით ხასიათდება, რადგანაც ხილვადი ნივთიერი სახე არ გააჩნია. რაც უფრო ნაკლები გრძნობის ორგანოებითაა შესაძლებელი ნივთის (საგნის) აღქმა, მით უფრო დაბალია ამ არსებითი სახელის კონკრეტულობის ხარისხი.

გარკვეული თვალსაზრისით, კონკრეტულობის განსაზღვრის ერთ-ერთ პარამეტრად თვლადობა შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ ეს ვერ იქნება სრულყოფილი, რამდენადაც შეიძლება აბსატრაქტული სახელები რაოდენობით რიცხვით სახელებთან ერთადაც შეგვხვდეს წინადადებაში, ანუ თვლადი იყოს აბსტრაქტული სახელი, მაგალითად: "ორი ოცნება მაქვს", ან "ერთი პრობლემა გაჩნდა", ან "ორი აზრის არქონა" და ა.შ.

უნივერსალური იქნებოდა ასევე აბსტრაქტული და კონკრეტული არსებითი სახელების სემანტიკური კლასიფიკაცია. მაგალითად, აბსტრაქტული სახელები შეგვიძლია სამ ჯგუფად დავყოთ:

1. პოზიტიური მახასიათებლებით (თავდადება, ერთგულება, ნდობა, მამაცობა, მეგობრობა, სიხარული, სითამამე, სიკეთე, მადლი და სხვ.);
2. ნეგატიური მახასიათებლებით (ღალატი, სიზარმაცე, ამპარტავნება, სიცრუე, თავხედობა, მტრობა, შური, უმადურობა და სხვ.);
3. ნეიტრალური მახასიათებლებით (ფიქრი, ახალგაზრდობა, მოგონება, ვითარება, ცნება და სხვა).

ასეთი ტიპის კლასიფიკაცია შეგვიძლია ანტონიმური ან სინონიმური ფორმებით გავამდიდროთ და შევქმნათ აბსტრაქტულ სახელთა ანტონიმური და სინონიმური სემანტიკური ცხრილები. ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა აბსტრაქტულ არსებით სახელთა უნივერსალური ტიპოლოგიური ლექსიკონების შექმნის იდეა, სადაც გათვალისწინებული იქნება ჟესტური ენების მოდგომებიც.

ქართული ჟესტური ენა სხვადასხვა საშუალებებით აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს:

სიყვარული

აქ მოცემული გვაქვს გულის ფორმის მონახაზი.

სიძულვილი

წარმოდგენილ სიტყვა-ჟესტში მნიშვნელოვანი ლექსიკურ-გრამატიკული როლი აქვს მიმიკას. ეს არის გულიდან ამოგდება – არსიყვარული. იმავე ჟესტით გადმოიცემა სიტყვა "ზიზღი".

ოცნება ფიქრი აზრი

წარმოდგენილ სამ სიტყვა-ჟესტში მინიშნება ხდება კოგნიტიურ უნარზე.

გედი

აქ მოცემულია შუბლზე ბედისწერის ჟესტი პირდაპირი მინიშნებით.

როგორც ვხედავთ, აბსტრაქტული სახელების წარმოება ქართულ ჟესტურ ენაში სხვადასხვა მეთოდით ხდება. ეს ხშირად ლექსიკური ტიპის მაწარმოებლებია. თუმცა მაინც შესაძლებელია აბსტრაქტული სახელების მორფოლოგიური მაწარმოებლის გამოყოფა. შევადაროთ ქვემომოყვანილი ორი სიტყვა-ჟესტი "ლამაზი" და "სილამაზე":

ლამაზი

სილამაზე

სავარაუდოდ, ბოლო. მეოთხე სურათზე წარმოდგენილი ჟესტი არის აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელი ჟესტი, თუმცა სხვა აბსტრაქტულ სახელებში იგი არ დასტურდება. ამდენად, ჩვენ ამ ეტაპზე გააზრებულად ავარიდეთ თავი მხოლოდ ამ ერთეულის საფუძველზე მოცემული მაწარმოებლის გამოყოფას.

IV. გეოგრაფიული სახელები.

ქართულ ჟესტურ ენაში სივრცის დახასიათებისას ჩვენ ვიმსჯელეთ გეოგრაფიული სახელების შესახებაც. აქ აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ ქართულ ჟესტურ ენაში გვაქვს გეოფრაფიულ სახელთა გარკვეული რაოდენობა. მაგრამ საჭიროა შეიქმნას ენობრივი კომისია, რომელიც დაადგენს და შექმნის ყველა დღემდე არარსებულ საჭირო ტოპონიმს ქართულ ჟესტურ ენაზე. მიმდინარე ეტაპზე ქართულ ჟესტურ ენას, რასაკვირველია, შეუძლია ნებისმიერი გეოგრაფიული დასახელების გადმოცემა დაქტილური ფორმით.

საქართველო

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ (თავში “სივრცე”), ეს სიტყვა-ჟესტია “ქართული ქვეყანა”, ხოლო ქვემომოყვანილი სიტყვა-ჟესტი – “ქართული ქალაქი”:

თბილისი

V. ნივთიერებათა სახელები.

ქართულ ჟესტურ ენაში, ისევე როგორც ქართულ სამეტყველო ენაში გვაქვს ნივთიერებათა სახელები.

ღვინო

აქ გვაქვს ალკოჰოლის გამომხატველი ჟესტი, რომელიც სამეტყველო ენათა პარალინგვისტური ჟესტითაც იგივე ელემენტია.

წყალი

მოცემული სიტყვა-ჟესტი დალევის ლექსიკურ-კინეტიკური ფორმის შემცველი ჟესტია.

ცეცხლი

აქ გვაქვს მრავალფაზიანი ორხელიანი სიმეტრიული დინამიკური სიტყვა-ჟესტი.

მიწა

წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი არის ორხელიანი ასიმეტრიული ორფაზიანი ჟესტი.

VI. კრებითი სახელები.

ისევე როგორც ქართულ სამეტყველო ენაში, ქართულ ჟესტურ ენაშიც არის კრებითი სახელები. საგულისხმოა, რომ ამ ენაში არ არის ისეთი სიტყვები, როგორებიცაა “ფარა”, “ხროვა”, “ჯოგი”, “ნახირი” და ა.შ. სიტყვები “ჯგუფი” და “გუნდი” ქართულ ჟესტურ ენაში ერთი და იმავე ფორმით გადმოიცემა – სიმრავლისა და კრებითობის აღმნიშვნელი ჟესტით. ქვემომოყვანილი ორხელიანი სიმეტრიული ჟესტი ხშირად ადამიანთა ჯგუფის აღსანიშნავად გამოიყენება.

ჯგუფი

მომღერლების გუნდი

აქ პირველი სამი სურათი ასახავს სიტყვას ‘მომღერალი”, შემდეგი ოთხი სურათი – მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე გვიჩვენებს ადამიანთა სიმრავლის განმეორებად ნიშანს და ბოლო ორი სურათი ასახავს სიტყვას “გუნდი”.

ჩიტების გუნდი

წარმოდგენილ ფორმაში პირველი ორი სურათი ასახავს სიტყვას “ჩიტი”. შემდეგ მესამე ფოტოზე გვაქვს მოცემული ზემოთ აწეული სიმრავლის ზოგადი ნიშანი და ბოლო ორი ფოტო ასახავს სიტყვა-ჟესტს “გუნდი”.

ხალხი

ეს არის ერთხელიანი მრავალფაზიანი სიტყვა-ჟესტი, რომელიც ადამიანის კოგნიტიურ უნარებზე მიუთითებს.

ხალხები

სიტყვა-ჟესტს “ხალხი” დაერთვის ზოგადი მრავლობითობის ნიშანი.

ცხვარი

ეს არის ორხელიანი სიმეტრიული მრავალფაზიანი სიტყვა-ჟესტი. აქ მინიშნებაა ცხვრის დაგრეხილ რქებზე.

ცხვრის ფარა

ქართული ჟესტური ენა "ცხვრის ფარას" გადმოსცემს როგორც "ცხვრები". ამ ენაში არა გვაქვს სიტყვა "ფარა".

წვრილმანი

წარმოდგენილი ორნაწილიანი სიტყვა-ჟესტი არის ორხელიანი ასიმეტრიული მრავალფაზიანი ჟესტი.

VII. საზოგადო და საკუთარი სახელები.

ქართულ ჟესტურ ენაში საზოგადო და საკუთარი სახელები მიდგომის პრინციპით განსხვავდებიან. საზოგადო სახელებს აქვთ შესაბამისი ჟესტები, ხოლო საკუთარი სახელები, მცირეოდენი გამონაკლისების გარდა, ძირითადად დაქტილური ფორმებით გადმოიცემა. ეს გამონაკლისები უმეტესწილად არის ფართოდ გავრცელებული გეოგრაფიული სახელები.

საერთოდ, ჟესტურ ენებში მიღებულია ადამიანის სახელების დაქტილური გადმოცემა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ენის მატარებლები მაინც ქმნიან კონკრეტულ სიტყვა-ჟესტებს მათთან ხშირ კონტაქტში მყოფი ადამიანთა სახელების გადმოსაცემად. ასეთი შექმნილი ჟესტები ეყრდნობა ამ სახელდებულ ადამიანთა რაიმე მახასათებელ გარეგნულ, შინაგან ან ფუნქციურ-როლებრივ ნიშნებს. ამ ტიპის წარმოების ადამიანთა სახელები თავისი სემანტიკური ბუნებით მეტსახელების სისტემას მოგვაგონებს. ასეთი სიტყვა-ჟესტები არ გავრცელდება იმავე სახელის მქონე სხვა ადამიანებზე. მაგალითად, საქართველოს ყრუთა კავშირის პრეზიდენტს ამირან ბატატუნაშვილს, რომელსაც ყველა "ბადრით" მიმართავს ამ კავშირის წევრების მიერ დარქმეული აქვს ასეთი საკუთარი სახელის ჟესტი:

ბადრი

ეს ერთხელიანი ორფაზიანი ჟესტი ასახავს ამ ადამიანის გარეგნულ ნიშანს და აქ მითითება ხდება მის ლოყებზე. ვერც ერთ სხვა ადამიანს, რომელსაც ჰქვია “ბადრი” ამავე ჟესტით ვერ მოვიხსენიებთ.

საქართველოს ყრუთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტს მაია მეტონიძეს, რომელიც არის ბადრი ბატატუნაშვილის მეუღლე ამ კავშირის წევრები ასეთი ჟესტით მოიხსენიებენ:

მაია

ეს ორნაწილიანი ჟესტი ნიშნავს “ბადრის მეუღლე”. იმავე პიროვნებას აქვს მეორე ჟესტური სახელიც:

მაია

ამ ერთხელიანი ორფაზიანი ჟესტით ასახულია ამ ადამიანის გარეგნული მახასიათებელი, კერძოდ – ხალი ლოყაზე. ორი სახელი განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ეს პიროვნება არის ამ კავშირის ადმინისტრაციის მეტყველი წარმომადგენელი, ყრუთა კავშირის წევრების ინტერესების გამომხატველი სხვადასხვა საზოგადოებაში, რომელთანაც ინტენსიური ურთიერთობა აქვთ ყრუებს.

ნათია

აქ წარმოდგენილია სურათზე გადაღებული პიროვნების სახელის ერთხელიანი მრავალფაზიანი ჟესტი, რომელიც ხაზს უსვამს მის ბავშვურ ხასიათს.

ესმა

ესმა არის ამ თემის თარჯიმანი. წარმოდგენილი ერთხელინი ორფაზიანი ჟესტი ასახავს ესმას დედის, ემას, გარეგნულ მხარეს. ეს ქალბატონი იყო ამ თემის წევრი და მითითებულ ადგილზე ჰქონდა ნაიარევი. მის ქალიშვილზე ეს სახელი მემკვიდრეობით გადავიდა.

იგივე ენობრივი მოვლენაა სახელის მემკვიდრეობითი გადაცემა ბუნებრივი გარეგნული ნიშნის მიხედვით.

ფარხადი

ფარხად აბასოვის მამას მითითებულ ადგილზე აქვს ხალი. მამა-შვილ აბასოვებს თემის წევრები ზედსართავებით განასხვავებენ. საჭიროების შემთხვევაში ამ ერთხელიან ორფაზიან ჟესტს ერთვის მეორე ჟესტი "დიდი" – მამის აღსანიშნად და "პატარა" ფარხადის აღსანიშნად.

თამარი

ამ წიგნის ავტორი, თქვენი მონა-მორჩილი, აღნიშნულია ერთხელიანი ორფაზიანი ჟესტით, რომელიც ნიშნავს "ლინგვისტს". აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვა "ლინგვისტს" ქართულ ჟესტურ ენაში შეესაბამება მეორე ჟესტიც:

ლინგვისტი

ეს არის ორხელიანი, ორფაზიანი, სიმეტრიული ჟესტი. ეს ჟესტი არ გამოიყენება ჩემი სახელისთვის. თემის წევრები მე მხოლოდ ზემოთ აღნიშნული ჟესტით მომიხსენიებენ.

VIII. მოქმედების სახელები.

ქართულ ჟესტურ ენაში, ისევე როგორც ქართულ სამეტყველო ენაში გვაქვს მოქმედების სახელები. მოქმედების სახელები შედარებით მრავალფაზიანია და მეტი დინამიკურობით ხასიათდება.

ლოცვა

აქ მოცემული გვაქვს ლოცვის შესრულების, პირჯვრის გადაწერის შესაბამისი მოძრაობის პანტომიმური ხატი.

ცხოვრება

წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი სემანტიკურად უკავშირდება სიტყვა "სხეულს", რამდენადაც ცხოვრება მხოლოდ სხეულით არის შესაძლებელი.

ცეკვა

მოცემული ორხელიანი სიმეტრიული სიტყვა-ჟესტი წყვილად ცეკვის მოძრაობას გადმოგვცემს ორ-ორი თითით.

სიარული

წარმოდგენილი ერთხელიანი სიტყვა-ჟესტი ადამიანის, ორფეხის შესაბამის მოქმედებას - სიარულს ასახავს.

ხატვა

ეს ერთხელიანი ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი "ხატვა" ფუნჯის მოძრაობას გვიჩვენებს.

აღსანიშნავია, რომ ჟესტურ ენებში მოქმედების სახელები და ზმნები ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რეალურად მათი გამიჯვნა ხდება მხოლოდ კონკრეტულ წინადადებასა და კონკრეტულ ენობრივ სიტუაციაში.

IX. უარყოფითი (უკუთქმითი) სახელები.

ქართულ ჟესტურ ენაში, ისევე როგორც ქართულ სამეტყველო ენაში გავქვს უარყოფითი (უკუთქმითი) სახელები. ზოგ ფორმებში უარყოფითი სემანტიკა გადმოიცემა როგორც ამა თუ იმ ნივთის ან თვისების არქონა.

გული

უგულო

მეორე სურათზე ასახული მეორე ჟესტი ნიშნავს “არქონას”. მოცემული სიტყვა-ჟესტი სიტყვასიტყვით ნიშნავს გულის არქონას.

სული

უსულო

მეორე სურათზე ასახული ბოლო ჟესტი ნიშნავს “არქონას.” მოცემული სიტყვა-ჟესტი სიტყვასიტყვით ნიშნავს სულის არქონას.

ხშირად უარყოფითი ნაწილაკი “გარეშე” აწარმოებს უკუთქმით ლექსიკას. საგულისხმოა, რომ ეს ნაწილაკი წინ დაერთვის სახელებს.

არა - გარეშე

ფაქტობრივად, ზემოხსენებული ნაწილაკით გაფორმებული უარყოფითი ფორმები შეიძლება სიტყვასიტყვით ასე ითარგმნოს - “გარეშე იმედისა”.

იმედი

სიტყვა-ჟესტი ბუნებრივადაა გულთან დაკავშირებული (მეგულება, მეიმედება).

უიმედოგა

აქ გვაქვს უარყოფითი ნაწილაკი “გარეშე”, რომელიც იწყებს სიტყვა-ჟესტს. იგი ასახულია პირველ და მეორე სურათებზე, ხოლო მესამე და მეოთხე სურათებზე კი გამოსახულია სიტყვა ”იმედი”.

პროგლემა

ამ სიტყვა-ჟესტში მიმიკაც ასრულებს ლექსიკურ როლს.

უპროგლემო

აქ გვაქვს უარყოფითი ნაწილაკი “გარეშე”, რომელიც იწყებს სიტყვა-ჟესტს. იგი ასახულია პირველ-მეორე სურათებზე. ხოლო მესამე და მეოთხე სურათებზე კი გამოსახულია სიტყვა ”პრობლემა”.

პროგლემა არ არის

მოცემულ წინადადებაში პირველი ორი სურათი ასახავს სიტყვა-ჟესტს “პრობლემა”. შემდეგ მოდის უარყოფითი ნაწილაკი “არა” და ბოლო ორი – მეოთხე და მეხუთე სურათები გვიჩვენებენ ზმნას “არის”.

აღსანიშნავია, რომ ქართული ჟესტური ენის ლექსიკა, მოთხოვნის შესაბამისად, ფეხდაფეხ მიუყვება ტექნიკურ პროგრესს. ენაში გვაქვს შესაბამისი უახლესი ერთეულები:

ინტერნეტი

მოცემული სიტყვა-ჟესტი იკონოგრაფიულად ასახავს კონტაქტს.

კომპიუტერი

სიტყვა-ჟესტი “კომპიუტერი” მისი კლავიატურის შესაბამისი მოქმედების – ბეჭდვის პანტომიმური ჟესტია. აქ გვაქვს სახელის მოქმედებით დახასიათება, ანუ რა მოქმედება სრულდება ამ ნივთთან დაკავშირებით.

ჩიპი

სიტყვა-ჟესტი “ჩიპი” პანტომიმური ჟესტია. იგი უჩვენებს დასახელებულ საგნთან დაკავშირებულ მოძრაობას – ჩიპის შედებას კომპიუტერში.

დისკი

წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი იკონოგრაფიული ხასიათისაა და დისკის სიმრგვალეს გვიჩვენებს.

გვაქვს ორი ჟესტი სიტყვისთვის “ფოტოაპარატი”. აქედან პირველი შედარებით პროფესიული დანიშნულების მქონეა.

ფოტოაპარატი

ფოტოაპარატი

ეს იკონოგრაფიული ფორმის ორხელიანი სიმეტრიული ორფაზიანი სიტყვა-ჟესტია.

3. მრავლობითობა

საგნის მრავლობითობა ჟესტურ ენებში ხშირად წარმოდგენილია განმეორებადი ჟესტებით. ეს უნივერსალური მახასიათებელია ამ ტიპის ენებისათვის. რასაკვირველია, ქართულ ჟესტურ ენაშიც გვაქვს ასეთი ფორმები:

ფოტოაპარატი

ფოტოაპარატები

ხე

ხეები

ქართული ჟესტური ენა შემოქმედებითად უდგება მრავლობითობის წარმოებას და გამეორებადი ფორმების ნაირსახეობებს ქმნის. ქვემომოყვანილი ჟესტი წარმოდგენილია წყლის ნაკადის მაჩვენებელი განმეორებადი ფორმებით.

წყალი

წყლები

წყალდიდობა

აქ კი უკვე კომპოზიტური წარმოება გავაქვს. აქ ჟესტის მეორე ნაწილი არის “გადიდება”, რაც ასახულია მესამე და მეოთხე სურათებზე.

თავისებურად აწარმოებს მრავლობითობას ნივთიერებათა სახელი “ღვინო:”

ღვინო

ღვინოები

წარმოდგენილ სიტყვა-ჟესტში მესამე და მეოთხე სურათებზე მრავლობითობის ფორმაა მოცემული. ასეთი გადმოცემული სიმრავლე ნაირგვარობას გულისხმობს.

ქართულ ჟესტურ ენაში საგნის მრავლობითობას აქვს ვინ და რა კლასის მიხედვით განსხვავებული თავისი შესაბამისი მორფოლოგიური ნიშნები:

1. ადამიანთა სიმრავლე



ადამიანთა სიმრავლე

კაცი

კაცები

2. მრავლობითობა ზოგადად

მრავლოგითოგა

მგელი

მგლეგი

სიმრავლე ხშირად გადმოიცემა სიტყვა-ჟესტით “ბევრი”. ქვემომოყვანილ მაგალითში პირველი ორი სურათი სწორედ ამ სიტყვა-ჟესტს ასახავს.

ბევრი კალამი

როგორც ვხედავთ, აქ არის მინიშნება სემანტიკაზე “ყელამდე”.

4. ბრუნება

ბრუნვა არის წინადადებაში სხვა სიტყვებთან ურთიერთობის ფორმა. საერთოდ, ენათმეცნიერება იცნობს შემდგომ ბრუნვებს:

- აბლატივი
- აბსოლუტივი
- აკუზატივი
- ბენეფაქტივი
- გენიტივი
- დატივი
- ელატივი
- ეკუატივი
- ერგატივი
- ესივი
- ვოკატივი
- ილატივი
- ინესივი
- ინსტრუმენტალისი
- კაუზატივი
- კომიტატივი
- ლატივი
- ლოკატივი
- ნომინატივი
- პარტიტივი
- პროლატივი
- სუპერესივი
- ტრანსლატივი

სახელთა ბრუნება ჟესტურ ენებში ფარდობითი ცნებაა. ამ ენებში ბრუნვის გაგება მეტნაკლებად აღიქმება მაშინ, როდესაც კალკირებულ ენებზე ვსაუბრობთ, ან როცა საუბარია ბილინგვურ შეპირისპირებით გრამატიკულ მოვლენებზე. თავისთავად ჟესტური ენების უმეტესობა, ლაკონიურობისა და რაციონალიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, თავს არიდებს სახელთა ბრუნების გაფორმებას. ამ ფონზე მეტად მნიშვნელოვანია ერგატივის გაფორმება ქართულ ჟესტურ ენაში.

საკითხის უკეთ გასაანალიზებლად ქვემოთ ერთმანეთს შევუპირისპიროთ ქართული სამეტყველო და ჟესტური ენების სახელთა ბრუნვის ფორმები. სახელები წინადადებაში ან ფრაზაშია მოცემული, რომ ჟესტური ენისთვის ადვილად აღსაქმელი იყოს ფორმათა სხვაობა.

I. სახელობითი ბრუნვა

კაცი არის

აქ პირველი სურათი არის სიტყვა-ჟესტი "კაცი". შესაბამის სამეტყველო ენის ფორმატში ეს სიტყვა არის სახელობით ბრუნვაში და გაფორმებულია ბრუნვის ნიშნით. არის თუ

არა იგივე სიტყვა სახელობით ბრუნვაში ჟესტურ ენაში? რამდენადაც აქ არა გვაქვს ბრუნვის ნიშანი ან სხვა რამე მარკერი, რთულია ცალსახად დადებითი პასუხის გაცემა ამ კითხვაზე, მაგრამ ამ კონკრეტულ წინადადებაში მოცემული სიტყვა-ჟესტის სინტაქსური როლიდან გამომდინარე, თავისუფლად შეიძლება მისი ფორმის გააზრება სახელობით ბრუნვად. ბევრ სამეტყველო ენაში ეს ბრუნვა ან საერთოდ მარკერის გარეშეა, ან ნომინალურად ფორმდება.

II. მოთხრობითი ბრუნვა

ქართულ ჟესტურ ენას აქვს ერგატივის ნიშანი:



ეს არის ერთხელინი ორფაზიანი ჟესტი.

კაცმა დახატა

ამ წინადადებაში პირველ სურათზე მოცემულია სიტყვა-ჟესტი “კაცი”. მეორე და მესამე სურათები ასახავენ ერგატივის ნიშანს – “კაცმა”. ეს ჟესტი არის მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი “-მა” და იგივე ჟესტია “ადამიანის” აღმნიშვნელი სიტყვა-ჟესტი. სიტყვასიტყვითი თარგმანი “კაცმა” იქნება შემდეგნაირად – “კაცი” “ადამიანი”. საერთოდ, მოთხრობითი ბრუნვა არის მოაზროვნე სუბიექტის მიერ შესრულებული აქტი და, შესაბამისად, ერგატივის რეფერენტები, ცხადია, ვინ-კატეგორიას უკავშირდება. მეოთხე და მეხუთე ფოტოებზე არის ზმნა-შემასმენლის ამსახველი სიტყვა-ჟესტი “დახატა”.

ქართული ჟესტური ენა ერგატიულ ბრუნვას მხოლოდ ადამიანის კატეგორიას უკავშირებს. ქართულ სამეტყველო ენაში, შესაძლებელია, ადამიანის გარდა ერგატიულ ბრუნვაში გვქონდეს სხვა სულიერი და უსულო არსებითი სახელებიც, ქართული ჟესტური ენა კი ამას არ დაუშვებს. აქ ერგატივი მხოლოდ მოაზროვნე სუბიეტის – ადამიანის ბრუნვაა.

III. მიცემითი ბრუნვა

კაცს მივეცი

აქ პირველი სურათი არის სიტყვა-ჟესტი “კაცი“. შემდეგ მოდის ობიექტური მიმართების ნიშანი. ეს, ფაქტობრივად, არის იგივე, რაც მიცემითი ბრუნვის ნიშანი. ჩვენ პირდაპირ

არ დავარქვით მას მიცემითი ბრუნვის ნიშანი, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ბრუნვის ნიშნის (-ს) დაქტილური გადმოცემა. ამის ნაცვლად, ჩვენ გვაქვს ირიბი მიმართების მორფოსინტაქსური ნიშნის შესაბამისი ჟესტი და ეს ნიშანი განვსაზღვრეთ როგორც ობიექტური მიმართების ნიშანი. ბრუნვათა ძირითადი ფუნქცია სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობების მოწესრიგებაა კონკრეტული ენის ფარგლებში, მიმართების ეს ნიშანი კი წარმატებით მუშაობს ქართული ჟესტური ენის მორფოსინტაქსში. მესამე და მეოთხე სურათებზე წარმოდგენილია ზმნა "მივეცი" – აქედან იქით მიმართული დინამიკით.

ეს ბრუნვა შესაძლოა მიმიკური ფორმითაც იქნეს გადმოცემული, როდესაც ჟესტურ ენაზე მოსაუბრეს მაინცდამაინც არ სურს, რომ ობიექტი შემჩნეული იყოს სხვების მიერ. ერთმანეთს შევადაროთ ქვემოთ მოყვანილი ორი ფორმა:

მე კაცს ვუთხარი.

ამ წინადადებაში პირველი ჟესტია სუბიექტი "მე", ირიბი ობიექტი "კაცი" კი მეორე ჟესტია და დატიური ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, რაც ასახულია მესამე ფოტოზე. ბოლო ორი სურათი გადმოგვცემს ზმნას "ვუთხარი".

მე კაცს ვუთხარი.

იმავე წინადადებაში პირველი ირიბი ობიექტის შემდეგ მესამე ფოტოზე ასახულია მიმიკური ჟესტი დატიური ბრუნვის ფორმის ნაცვლად.

IV. ნათესაობითი ბრუნვა

კაცის წიგნი

აქაც პირველი სურათი არის სიტყვა-ჟესტი "კაცი". მეორე სურათზე არის მოცემული კუთვნილებით-დანიშნულებითი ჟესტი. მესამე და მეოთხე ფოტოები ასახავენ სიტყვა-ჟესტს "წიგნი".

მეორე სურათზე ასახული კუთვნილებით-დანიშნულებითი ჟესტი, მორფოსინტაქსური ფუნქციური თვალსაზრისით, შეესაბამება ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს.

V. მოქმედებითი ბრუნვა

კაცით ვამაყობ

აქაც პირველი სურათი არის სიტყვა-ჟესტი "კაცი". მეორე სურათზე არის მოცემული კუთვნილებით-დანიშნულებითი ჟესტი. მესამე და მეოთხე ფოტოები კი გვიჩვენებენ ზმნურ სიტყვა-ჟესტს "ვამაყობ".

მეორე სურათზე ასახული კუთვნილებით-დანიშნულებითი ჟესტი იგივეა, რაც იყო წინა მაგალითში – ფუნქციური თვალსაზრისით, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის შესაბამისი. როგორ შეიძლება იმავე ჟესტის გამოყენება ინსტრულმენტალისში? აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქართული სამეტყველო ენაში ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვათა შორის არსებული ფუნქციური-ფორმობრივი მსგავსებანი ამგვარად გაფორმდა ქართულ ჟესტურ ენაში მისი რაციონალიზმის საფუძველზე.

ზემოთ წარმოდგენილი მასალა გვიჩვენებს, რომ ქართული სამეტყველო ენის სამ ბრუნვას: მიცემითს, ნათესაობითსა და მოქმედებითს ერთი ფორმა და ერთი და იგივე ნიშანი შეესაბამება ქართულ ჟესტურ ენაში. ფაქტობრივად, ამ ბრუნვებს გადმოსცემს ერთი და იგივე ჟესტი, რომელიც ხაზს უსვამს ამ ბრუნვათა შორის არსებულ ფუნქციურ-ფორმობრივ

მსგავსებებს. ეს ჟესტი არის მიმართების ჟესტი და ეს იგივეა, რაც კუთვნილებით-დანიშნულებითი ჟესტი ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში:

მიმართების ნიშანი

ეს არის ერთხელიანი ორფაზიანი ჟესტი.

VI. ვითარებითი ბრუნვა

კაცად გადაიქცა

ამ წინადადებაში პირველი სურათი არის სიტყვა-ჟესტი "კაცი". მეორე და მესამე სურათები კი გადმოსცემენ ზმნას "გადაიქცა". აქ არა გვაქვს ბრუნვის ნიშნით გაფორმებული ფორმა. საერთოდ, ქართულ ჟესტურ ენას უჭირს ამ შინაარსის აღქმა და ზოგჯერ ამ ბრუნვის შინაარსის გაიგივება ხდება მოთხრობითთან, რაც ბუნებრივად მოგვაგონებს სვანური ენის (და ასევე კავკასიურ ენებში არსებულ) შესაბამისი ორმაგი

ბრუნების ფორმებს, ე.წ. ერგატიული ბრუნების ფაქტებს. ვითარებითი ბრუნვის უფორმო ვარიანტი კი ბუნებრივად ემსგავსება სახელობითი ბრუნვის უნიშნო ფორმას.

VII. წოდებითი ბრუნვა

ქართულ ჟესტურ ენას აქვს წოდებითი ბრუნვის ნიშანი. ეს არის ერთხელიანი ორფაზიანი მიმართვის ჟესტი:

კაცო, თქვი

აქ პირველი სურათი არის სიტყვა-ჟესტი "კაცი". მეორე ფოტოზე კი ასახულია მიმართვის ჟესტი. მესამე სურათზე მოცემული გვაქვს ზმნა "თქვი" და ბოლო მეოთხე სურათი ასახავს ბრძანებით ნიშანს.

მეორე ფოტოზე მოცემულ მიმართვის ჟესტს (ზემოთ აღწერილი მიცემითი ბრუნვის მიმართების ნიშნის მსგავსად)

არ ვუწოდეთ წოდებითი ბრუნვის ნიშანი, რამდენადაც აქ არა გვაქვს მოსალოდნელი დაქტილური ფორმა, არამედ აქ არის სინტაქსური მიდგომა.

ქართულ ჟესტურ ენაში ერგატივის მსგავსად, ვოკატივიც არის მხოლოდ ვინ-კატეგორიის ბრუნვა, რამდენადაც მიმართვა დასაშვებია მხოლოდ კომუკინატორ პირთან და ეს პირი ყოველთვის ადამიანია.

როდესაც წინადადებაში გვაქვს სახელი ვოკატივში, ბრძანებითობის ნიშანი შეიძლება გამოტოვებული იყოს, რადგანაც მიმართვის ეს ფორმა სემანტიკურად გადაკვეთს ბრძანებითობის შინაარსს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართულ ჟესტურ ენაში გვაქვს

ოთხი გაფორმებული ბრუნვა:

1. ნომინატივი – ლექსიკური ფორმით,
2. ერგატივი – ბრუნვის ნიშნით,
3. დესტინატივ-პოსესივი (მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი) – მიმართების დესტინატიურ-პოსესიური ნიშნით,
4. ვოკატივი – ბრუნვის ნიშნით.

ნაცვალსახელი

ამ თავში დახასიათებულია ქართული ჟესტური ენის ნაცვალსახელი და აღწერილია მისი ჯგუფები; მოცემულია ამ ენაში არსებულ ნაცვალსახელთა ფუქნციურ-ფორმალური ანალიზი.

სამეტყველო ენებში ნაცვალსახელი განისაზღვრება როგორც სახელების ნაცვალი სიტყვა, მაგრამ არა ყოველთვის, არამედ გარკვეულ შემთხვევაში, ე. ი. ზოგჯერ ნაცვალსახელი რეალურად არც ერთი სახელის ნაცვალი არ არის. უმეტესწილად კითხვითი, მიმართებითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, უკუქცევითი, ურთიერთობითი და უარყოფითი ნაცვალსახელების თავისთავადი ფორმები კი არ გამოიყენება სახელთა ნაცვლად, არამედ ამ ფორმებს აქვთ საკუთარი მორფოსინტაქსური არეალი.

ქართულში ნაცვალსახელს აქვს შემდეგი ჯგუფები:

პირისა, ჩვენებითი, კითხვითი, კუთვნილებითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი, ურთიერთობითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, უარყოფითი, უკუქცევითი.

1. პირის ნაცვალსახელები

პირის ნაცვალსახელები კომუნიკაციის პროცესში მონაწილე (პირველი და მეორე პირები) და არამონაწილე (მესამე პირი) პირებს მიუთითებენ.

მე

ეს არის მარტივი სტატიკური სიტყვა-ჟესტი, რომელიც პირდაპირ მიუთითებს პირველ პირზე. ეს ფორმა ხშირად შეიძლება გამოტოვებულიც იყოს წინადადებაში, რადგანაც ჟესტურ ენებში სხეული არის სუბიექტი.

ჩვენ

წარმოდგენილი პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “ჩვენ” არის ერთხელიანი მრავალფაზიანი ჟესტი.

შენ

წარმოდგენილი სტატიკური ერთხელიანი სიტყვა-ჟესტი პირდაპირ მიუთითებს მოსაუბრე მეორე პირზე. ასეთი ტიპის პირდაპირ ხელის გაშვერას ყოველთვის ერიდება ჟესტურად მოსაუბრე, რომ ფამილარობაში არ ჩამოერთვას ნათქვამი. თუმცა აუცილებლობიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ეს ჟესტი მაინც საკმაოდ ხშირადაა გამოყენებული ენაში.

თქვენ

წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი "თქვენ" - მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი – არის ერთხელიანი მრავალფაზიანი ჟესტი.

ის

ის არის მარტივი სტატიკური სიტყვა-ჟესტი, რომელიც მიუთითებს შორს მყოფ მესამე პირზე.

ისინი

მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი "ისინი" არის ორნაწილიანი, ერთხელიანი მრავალფაზიანი ჟესტი. წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტის პირველი ნაწილია ამავე ნაცვალსახელის მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ფორმა, რაც წარმოდგენილია პირველ სურათზე, ხოლო მომდევნო ოთხ სურათზე ადამიანის სიმრავლის ნიშანია ასახული. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული სამეტყველო ენისგან განსხვავებით, ქართულ ჟესტურ ენაში სიტყვა "ისინი" მხოლოდ ვინ-კატეგორიის კუთვნილებაა. უსულო საგნისთვის

ამ ნაცვალსახელის მრავლობითი ფორმა არ გამოიყენება. შესაბამისად, მრავლობით ფორმაში მდგარ ამ სიტყვა-ჟესტს დაერთვის ადამიანის სიმრავლის ნიშანი.

ეს

წარმოდგენილი ნაცვალსახელი ახლომყოფ, პირველ პირთან მყოფ მესამე პირზე მიუთითებს. ამ სიტყვა-ჟესტში აქტიური როლი აქვს მითითებით-ჩვენებით მიმიკას.

ესენი

ამ ნაცვალსახელის მრავლობით ფორმაში გვაქვს გამეორებითი ჟესტი.

ეგ

ნაცვალსახელი "ეგ" ("წინმდებარე") მეორე პირთან მყოფ მესამე პირზე მიუთითებს. ამ სიტყვა-ჟესტშიც აქტიური როლი აქვს მითითებით-ჩვენებით მიმიკას.

ეგენი

წარმოდგენილი ნაცვალსახელის მრავლობით ფორმაში გვაქვს ერთხელიანი განმეორებითი ჟესტი.

ქართულ სამეტყველო ენაში “ის” პირის ნაცვალსახელის მიცემითი ფორმაა “მას”.

მას

ეს არის ორფაზიანი ერთხელიანი სიტყვა-ჟესტი, რომელიც, ფაქტობრივად, იმეორებს მიმართების ნიშანს.

მიმართების ნიშანი

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს ნიშანი არის ირიბი მიმართების ნიშანი და ამდენად, ცხადია, იგი იმეორებს მიცემითი ბრუნვის ფორმას და ფუნქციას.

ქართულ ჟესტურ ენაში “მას” და “იმას” (ისევე როგორც “მან” და “იმან”) ერთი ფორმაა, რამდენადაც ორივე სიტყვა პირველი პირიდან მოშორებულ მესამე პირზე მიუთითებს.

ამას

ფორმაში “ამას” ასევე წარმოდგენილია ირიბი მიმართების ნიშანი და ეს არის იგივე მიმართულება, რაც გვაქვს ფორმაში “ეს”. ამდენად, ფაქტობრივად, აქ გვაქვს ერთი და იმავე ჟესტის ორჯერადი წარმოდგენა, სადაც პირველი არის ნაცვალსახელური სემანტიკის მქონე და მეორე კი ირიბი მიმართების ნიშანია მიცემითი ბრუნვის ფუნქციით.

მაგას

ფორმა “მაგას” ასევე წარმოდგენილია ირიბი მიმართების ნიშნით და ეს არის იგივე მიმართულება, რაც გვაქვს ფორმაში “ეგ”. აქაც გვაქვს ერთი და იმავე ჟესტის ორჯერადი წარმოდგენა, სადაც პირველი არის ნაცვლასახელური სემანტიკის მქონე და მეორე კი ირიბი მიმართების ნიშანია მიცემითი ბრუნვის ფუნქციით.

იმან

“მან” და “იმან” ერთი და იგივე ერთეულებია. აქ პირველ სურათზე წარმოდგენილია ნაცვალსახელი “ის”, რომელსაც ერთვის მეორე და მესამე სურათებზე ასახული ერგატიული ნიშანი.

ამან

აქ პირველ სურათზე წარმოდგენილია ნაცვალსახელი “ეს”, რომელსაც ერთვის მეორე და მესამე სურათებზე ასახული ერგატიული ნიშანი.

მაგან

მოცემულ ფორმაში პირველ სურათზე წარმოდგენილია ნაცვალსახელი “ეგ”, რომელსაც ერთვის მეორე და მესამე სურათებზე ასახული ერგატიული ნიშანი.

იმათ

წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი არის მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “ისინი” – მიცემითი და მოთხრობითი ბრუნვების შესაბამისი სემანტიკური ჟესტი. ასეთი ფორმა საზიაროა სხვადასხვა ბრუნვისთვის და კუთვნილებითობის ანუ პოსესიურობის ნიშნით – მოხრილი, ნახევრად შეკრული მუჭით აღინიშნება. ენობრივი თვლასაზრისით, სავსებით გამართლებული და ნათელია ქართული ჟესტური ენის ასეთი მორფოლოგიური გადაწყვეტლება.

ფორმები “იმათ” და “მათ” ერთი და იმავე ჟესტითაა გადმოცემული.

აქ წარმოდგენილი არის “ის” ნაცვალსახელისთვის დამახასიათებელი განლაგებითა და მოძრაობით – აქ გვაქვს შორს მყოფ პირზე მითითების ტრაექტორია.

ამათ

ეს სიტყვა-ჟესტი არის მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “ესენი” – მიცემითი და ერგატიული ბრუნვების შესაბამისი სემანტიკური ჟესტია კუთვნილებითობის ანუ პოსესიურობის ნიშნით. ფორმა “ამათ” იმეორებს “ამ” ნაცვალსახელისთვის დამახასიათებელ განლაგებას და მოძრაობას – ახლოს მყოფ პირზე მინიშნების ტრაექტორიას.

მაგათ

მოცემული სიტყვა-ჟესტი არის მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “ეგენი” და მისი მიცემითი და ერგატიული ბრუნვების შესაბამისი სემანტიკური ჟესტი კუთვნილებითობის ანუ პოსესიურობის ნიშნით. ფორმა “მაგათ” იმეორებს “მაგ” ნაცვალსახელისთვის დამახასიათებელ განლაგებასა და მოძროაბას – ახლოს მყოფ პირზე მინიშნების ტრაექტორიას.

უნდა აღინიშნოს, რომ პირის ნაცვალსახელებში მიმართებითი ნაწილაკი “ც“ განსხვავებული ჟესტია. ჩვენ ზემოთ აღვწერეთ ნაწილაკი “ც“ კითხვით სიტყვებში. ეს იყო საჩვენებლი თითის მოძრაობა ერთხელიანი ორფაზიანი ოდენ გრამატიკული ჟესტი. ნაცვალსახელებში კი ეს ნაწილაკი თანაობასა და მსგავსების სემანტიკას მოიცავს და, შესაბამისად, ფორმაც განსხვავებული აქვს.

ც

მეც

შენც

ისიც

ესეც

ეგეც (ეგაც)

ჩვენც

თქვენც

ისინიც

ესენიც

ეგენიც

როგორც ვხედავთ, პირის ნაცვალსახელებთან მიმართებითი ნაწილაკი "ც" გადმოცემულია როგორც მსგავსების ნიშანი:

ც

2. ჩვენებითი ნაცვალსახელები:

ისევე როგორც ქართულ სამეტყველო ენაში, ქართულ ჟესტურ ენაშიც პირველ პირთან სიახლოვის მიხედვით განისაზღვრება ჩვენებითი ნაცვალსახელების ფორმები – "ეს", "ეგ," "ის" და მათი სათანადო მრავლობითი ფორმები "ესენი", "ეგენი", "ისინი". ეს ფორმები ამ ენებში მეორდება – ერთი და იგივე ფორმებია ზემოთ ჩამოთვლილი პირის და ჩვენებითი ნაცვალსახელები. ამ მხრივ, ქართული სამეტყველო ჟესტური ენა პარალელურ სურათს იძლევა.

ქართულ ჟესტურ ენაში ჩვენებითი ნაცვალსახელები "ასეთი," "ეგეთი," "ისეთი" წარმოდგენილია შესაბამისი ჩვენებითი ნაცვალსახელებით "ეს," "ეგ," "ის" და მათ დაერთვის მსგავსების ნიშანი.

მსგავსების ნიშანი:



მსგავსების ნიშანი

ეს ჟესტი თავისი დინამიკით გულისხმობს მსგავსებას, ერთად დგომას, ერთნაირობას. აღსანიშნავია, რომ იმავე ჟესტს აქვს ორხელიანი ვერსიაც, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ:



მსგავსების ნიშანი

ჩვენებით ნაცვალსახელთა ფორმები: "ამნაირი," "მაგნაირი," "იმნაირი," "ამისთანა," "მაგისთანა" და "იმისთანა" იგივე ჟესტური ფორმებია, რაც "ასეთი," "ეგეთი," "ისეთი."

ეს – ასეთი – ამისთანა – ამნაირი
ეგ – ეგეთი – მაგისთანა – მაგნაირი
ის – ისეთი – იმისთანა – იმნაირი

ასეთი

როგორც ვხედავთ, პირველ სურათზე ჯერ წარმოდგენილია ჩვენებითი ნაცვალსახელი “ეს” და მას დაერთვის მსგავსების ნიშანი, რომელიც ასახულია მეორე, მესამე და მეოთხე სურათებზე.

ეგეთი

აქ ჯერ წარმოდგენილია ჩვენებითი ნაცვალსახელი “ეგ” პირველ სურათზე და მას დაერთვის მსგავსების ნიშანი, რომელიც ასახულია მეორე, მესამე და მეოთხე სურათებზე.

იცეთი

აქაც პირველ სურათზე წარმოდგენილია ჩვენებითი ნაცვალსახელი “ეს” და მას დაერთვის მსგავსების ნიშანი, რომელიც ასახულია მეორე, მესამე და მეოთხე სურათებზე.

3. კითხვითი ნაცვალსახელები:

ეს ჯგუფი გამოხატავს კითხვას. ჟესტურ მეტყველებაში კითხვით ნაცვალსახელებს კითხვითი მიმიკაც ერთვის.

ვინ?

ვინ?

კითხვითი ნაცვალსახელი “ვინ?” ერთხელიანი ჟესტითაა წარმოდგენილი ენაში.

რა?

რა?

კითხვითი ნაცვალსახელი “რა?” ერთხელიანი დინამიკური ჟესტია.

როგორი?

წარმოდგენილი კითხვითი ნაცვალსახელი “როგორი?” არის ერთხელიანი მრავალფაზიანი დინამიკური ჟესტი.

როდინდელი?

კითხვითი ნაცვალსახელი “როდინდელი?” ორნაწილიანი, ერთხელიანი ჟესტია, რომლის პირველი ნაწილი წარმოდგენილია პირველ სურათზე და აღნიშნავს “დროს”. მეორე და მესამე სურათებზე ასახულია წარსულის ნიშანი.

სადაური?

წარმოდგენილი კითხვითი ნაცვალსახელი “სადაური?” ორნაწილიანი ჟესტია, რომლის პირველი ნაწილი არის ერთხელიანი კითხვითი ზმნიზედა “სად?” და ასახულია პირველ სურათზე. მეორე და მესამე სურათებზე წარმოდგენილი ადგილის, ადგილიდან ამოსვლის ანუ სადაურობის ჟესტური სემანტიკა.

რომელი?

წარმოდგენილი კითხვითი ნაცვალსახელი "რომელი?" არის ერთხელიანი, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი.

რამდენი?

კითხვითი ნაცვალსახელი "რამდენი?" არის ერთხელიანი მრავალფაზიანი დინამიკური ჟესტი, რომელიც სრულდება კითხვით მიმიკასთან ერთად.

რანაირი?

წარმოდგენილი კითხვითი ნაცვალსახელი "რანაირი?" არის ორხელიანი სიმეტრიული დინამიკური ჟესტი, რომელსაც ერთვის კითხვითი მიმიკა.

4. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

ეს ჯგუფი გამოხატავს კუთვნილებით ურთიერთობას საგანსა და ნაცვალსახელით ნაგულისხმევ პირს შორის.

ჩემი

ეს არის ერთხელიანი ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი, რომელიც აღნიშნავს პირველი პირის მხოლობითი რიცხვის კუთვნილებით ნაცვალსახელს – "ჩემი".

ჩვენი

ეს არის ერთხელიანი მრავალფაზიანი სიტყვა-ჟესტი, რომელიც პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის მრავლობითი ფორმაა და ერთვის კიდეც ზოგადი სიმრავლის ნიშანი – ხელით შემოხაზული არასრული წრე და თითებიც უფრო განზე გაშლილია სიმრავლის ნიშნად.

ქართულ ჟესტურ ენაში არის კუთვნილებითობის ნიშანი და ეს არის ერთხელიანი ჟესტი – ნახევრად შეკრული მუჭი.

კუთვნილების ნიშანი

შენი

წარმოდგენილი კუთვნილებითი ნაცვალსახელი "შენი" არის ერთხელიანი ორფაზიანი დინამიკური სიტყვა-ჟესტი კუთვნილებითობის ნიშნით გამოხატული და მიმართული კომუნიკანტი პირისკენ.

თქვენი

ეს არის ერთხელიანი ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი, რომელიც აღნიშნავს მეორე პირის მრავლობითი რიცხვის კუთვნილებითი ნაცვალსახელს "თქვენი". შესაბამის მხოლობით ფორმასთან შედარებით უფრო შორს არის ხელი წაწეული სიმრავლის გაგებით და ნახევარწრეა ხელით მოხაზული.

იმისი

წარმოდგენილი კუთვნილებითი ნაცვალსახელი "იმისი" იგივე ფორმაა, რაც "მისი". ეს არის ორნაწილიანი ჟესტი. აქ ჯერ ხდება კუთვნილებითობის ჩვენება პირველ და მეორე სურათებზე და შემდეგ კი მითითება ფორმაზე "ის" – მესამე და მეოთხე სურათებზე.

იმათი

ორნაწილიანი ჟესტით წარმოდგენილი კუთვნილებითი ნაცვალსახელი "იმათ" იგივე ფორმაა, რაც "მათი". აქ ჯერ ხდება მითითება ფორმაზე "ის" პირველ და მეორე სურათებზე და შემდეგ კი კუთვნილებითობის ჩვენება – მესამე და მეოთხე სურათებზე. ფაქტობრივად, გვაქვს ჟესტის ნაწილების შებრუნება მრავლობით რიცხვში.

ამისი

წარმოდგენილი კუთვნილებითი ნაცვალსახელი “ამისი” არის ორნაწილიანი ჟესტი. აქ ჯერ გვაქვს მითითება ფორმაზე “ეს” პირველ და მეორე სურათებზე და შემდეგ კი – კუთვნილებითობის ჩვენება მესამე და მეოთხე სურათებზე.

ამათი

წარმოდგენილი კუთვნილებითი ნაცვალსახელი “ამათი” არის ორნაწილიანი ჟესტი. აქ ჯერ გვაქვს მითითება ფორმაზე “ეს” პირველ და მეორე სურათებზე და შემდეგ კი – მრავლობითობის ნიშნით განმეორებადი კუთვნილებითობის ჩვენება მესამე, მეოთხე და მეხუთე სურათებზე ნახევარწრის ტრაექტორიით.

მაგისი

წარმოდგენილი კუთვნილებითი ნაცვალსახელი “მაგისი” არის ორნაწილიანი ჟესტი. აქ ჯერ გვაქვს მითითება ფორმაზე “ეგ” პირველ და მეორე სურათებზე და შემდეგ კი – კუთვნილებითობის ჩვენება მესამე და მეოთხე სურათებზე.

მაგათი

წარმოდგენილი კუთვნილებითი ნაცვალსახელი “მაგათი” არის ორნაწილიანი ჟესტი. აქ ჯერ გვაქვს მითითება ფორმაზე “ეგ” პირველ და მეორე სურათებზე და შემდეგ კი – მრავლობითობის ნიშნით განმეორებადი კუთვნილებითობის ჩვენება ნახევარწრის ტრაექტორიით მესამე, მეოთხე და მეხუთე სურათებზე.

როგორც ვხედავთ, კუთვნილებით ნაცვალსახელებში მრავლობითობა ან ფორმათა გადასმითაა მოცემული, ან კუთვნილებითი ჟესტით ნახევარწრის ვექტორზე შესრულებული მოძრაობით.

5. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები

ვისი?

წარმოდგენილ ნაცვალსახელში პირველ სურათზე მოცემულია კითხვითი ნაცვალსახელი "ვინ?", ხოლო მეორე და მესამე სურათებზე კი გამოსახულია კუთვნლების ჟესტი.

რისი?

ამ ფორმაში პირველ სურათზე მოცემულია კითხვითი ნახვალსახელი "რა?" ხოლო მეორე და მესამე სურათებზე კი გამოსახულია კუთვნილების ჟესტი.

6. კუთვნილებით-უკუქცევითი ნაცვალსახელი

თავისი

თავისი

ნაცვალსახელი "თავისი" არის მრავალფაზიანი ორხელიანი ასიმეტრიული დინამიკური ჟესტი. ბოლო მეოთხე სურათზე ასახულია კუთვნილებითობის ჟესტი, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში რეფლექსურობის მორფოლოგიური ნიშანია.

თავისთვის

აქ წარმოდგენილია კუთვნილებით-უკუქცევითი ნაცვალსახელი "თავისი" "-თვის" თანდებულით. ეს უკანასკნელი კი ბოლო ორ - მეოთხე და მეხუთე სურათებზეა ასახული. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაცვალსახელის "-თვის" თანდებულიან ფორმას უკვე აღარ სჭირდება კუთვნილებითობის ჟესტი, რადგანაც წარმოდგენილი "-თვის" თანდებული თავად ატარებს პოსესიურ სემანტიკას.

7. მიმართებითი ნაცვალსახელები

ეს ნაცვალსახელები იწარმოებიან კითხვითი ნაცვალ-სახელებიდან "-ც" ნაწილაკის დართვით. შესაბამისად, ასეთ სიტყვა-ჟესტებში ბოლო ფაზაში გამოყოფილია "-ც" მიმართებითი ნაწილაკი და ეს არის ერთხელიანი მყარი ანუ სტატიკური ჟესტი.

-ც

ვინც

აქ პირველ სურათზეა "ვინ?" ნაცვალსახელი და მეორეზე კი "-ც" ნაწილაკია წარმოდგენილი.

რაც

აქაც იგივე ენობრივი სურათი გვაქვს. პირველ სურათზეა "რა?" კითხვითი ნაცვალსახელი და მეორეზე კი ც-ნაწილაკია წარმოდგენილი.

როგორიც

პირველ და მეორე სურათებზე წარმოდგენილია კითხვითი ნაცვალსახელი "როგორი?" და ბოლო მესამე სურათზე კი "-ც" ნაწილაკია წარმოდგენილი.

როდინდელიც

კითხვითი ნაცვალსახელი “როდინდელი?” წარმოდგენილია პირველ, მეორე და მესამე სურათებზე, ხოლო მეოთხე სურათზეა “-ც” ნაწილაკი.

სადაურიც

კითხვითი ნაცვალსახელი “სადაური?” წარმოდგენილია პირველ, მეორე და მესამე სურათებზე, ხოლო მეოთხე სურათზე კი ასახულია “-ც” ნაწილაკი.

რომელიც

კითხვითი ნაცვალსახელი “რომელი?” წარმოდგენილია პირველ და მეორე სურათებზე, ხოლო მესამე სურათზე კი ასახულია “-ც” მიმართებითი ნაწილაკი.

რამდენიც

კითხვითი ნაცვალსახელი “რამდენი?” წარმოდგენილია პირველ, მეორე და მესამე სურათებზე, ხოლო მეოთხე სურათზე კი ასახულია “-ც” ნაწილაკი.

რანაირიც

კითხვითი ნაცვალსახელი “რანაირი?” წარმოდგენილია პირველ და მეორე სურათებზე, ხოლო მესამე სურათზე კი ასახულია “-ც” მიმართებითი ნაწილაკი.

ვისიც

კითხვითი ნაცვალსახელი “ვისი?” წარმოდგენილია პირველ, მეორე და მესამე სურათებზე, ხოლო მეოთხე სურათზე კი ასახულია “-ც” ნაწილაკი.

რისიც

კითხვითი ნაცვალსახელი “რისი?” წარმოდგენილია პირველ, მეორე და მესამე სურათებზე, ხოლო მეოთხე სურათზე კი ასახულია “-ც” ნაწილაკი.

“-მე” ნაწილაკიანი ნაცვალსახელები

ქართულ ჟესტურ ენაში “-მე” ნაწილაკს აქვს შესაბამისი ერთხელიანი ორფაზიანი ჟესტი, რომელიც დაერთვის კითხვით ნაცვალსახელებს:



-მე

ვინმე

წარმოდგენილ ნაცვალსახელში პირველი სურათი ასახავს “ვინ?” კითხვით ნაცვალსახელს, ხოლო მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია “-მე” ნაწილაკი.

რამე

წარმოდგენილ ნაცვალსახელში პირველი სურათი ასახავს კითხვით ნაცვალსახელს “რა?” ხოლო მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია “-მე” ნაწილაკი.

რომელიმე

წარმოდგენილ ნაცვალსახელში პირველი სურათი ასახავს კითხვით ნაცვალსახელს “რომელი?” ხოლო მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია “-მე” ნაწილაკი.

როგორიმე

წარმოდგენილ ნაცვალსახელში პირველი სურათი ასახავს კითხვით ნაცვალსახელს “როგორი?” ხოლო მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია “-მე” ნაწილაკი.

რამდენიმე

წარმოდგენილ ნაცვალსახელში პირველი, მეორე და მესამე სურათები ასახავს კითხვით ნახვალსახელს “რამდენი?” ხოლო ბოლო, მეოთხე სურათზე მოცემულია “-მე” ნაწილაკი.

“-ღაცა” ნაწილაკიანი ნაცვალსახელები

ქართული ჟესტური ენა არ აწარმოებს “-ღაცა” ნაწილაკიან ნაცვალსახელებს. “-ც” და “-მე” ნაწილაკებისაგან განსხვავებით, “-ღაცა” ნაწილაკის გამოყოფა ქართულ ჟესტურ ენაში ცალსახად ვერ ხერხდება, რადგანაც ასეთი ჟესტური ფორმები მთლიანად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ამ

გარემოებას ემატება ისიც, რომ ქართულ ჟესტურ ენაში არ გვაქვს “-ღაცა” ნაწილაკიან ნაცვალსახელურ ფორმათა ისეთი მდიდარი პალიტრა, როგორც ეს ქართულ სამეტყველო ენაშია. აქ გვაქვს ფორმები “რომელიღაც”, “რამდენიღაც”, “როგორიღაც”.

ვიღაცა

ფორმა “ვიღაცა” წარმოდგენილია გაორმაგებული ჟესტით “ვინ” და მიმიკით.

რაღაცა

სიტყვა-ჟესტი “რაღაცა” წარმოდგენილია კითხვითი ნაცვალსახელით “რა?”, რომელიც მოცემული გვაქვს პირველ სურათზე და სხვაობის ნიშნით, რომელიც ასახულია მეორე და მესამე ფოტოებზე. ფაქტობრივად, ეს ნიშნავს “რაღაც სხვა” და მას ემატება შესაბამისი მიმიკაც.

8. ურთიერთოგითი ნაცვალსახელები

სახელწოდებიდან გამომდინარე, ამ ტიპის ნაცვალსახელები გარკვეულ ურთიერთობას გულისხმობს. შესაბამისად, აქ ყოველთვის ერთზე მეტი პირია წარმოდგენილი.

ერთმანეთი

წარმოდგენილი ნაცვალსახელი ურთიერთმიმართების ამსახველი ორხელიანი სიმეტრიული მრავალფაზიანი ჟესტით გამოხატება. ქართული ჟესტური ენა არ განასხვავებს ფორმებს “ერთმანეთი”, “ერთიმეორე” და “ერთურთი”.

9. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები

ფორმები “თვით” და “თვითონ” მომდინარეობს ფორმიდან “თავი” (მოქმ. თავ-ით).

თვითონ

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი “თვითონ” არის ცალხელიანი ორფაზიანი ჟესტი.

ყოველი

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი "ყოველი" არის ორხელიანი სიმეტრიული დინამიკური სიტყვა-ჟესტი.

ყველა

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი "ყველა" არის ერთხელიანი დინამიკური სიტყვა-ჟესტი, რომელიც გვიჩვენებს სიმრავლეს არასრული წრის შემოხაზვით.

სხვა

ორხელიანი სიმეტრიული ორფაზიანი ჟესტით განსაზღვრებითი ნაცვალსახელი "სხვა" განზე გაწეული თითებით ასახავს სხვაობას, განსხვავებას. ეს სიტყვა განასხვავებს კლასის კატეგორიას. აქ აღწერილია ნივთის სხვადასხვაობა.

სხვა

წარმოდგენილი ფორმა არის ერთხელიანი ორფაზიანი ჟესტი. ეს ფორმა გამოიყენება მხოლოდ ადამიანის მიმართ.

სხვადასხვა

ორხელიანი სიმეტრიული ორფაზიანი ჟესტით სიტყვა-ჟესტი "სხვადასხვა" არის განმეორებითი ფორმა ზემოთ წარმოდგენილი ორხელიანი სიმეტრიული ორფაზიანი ჟესტისა "სხვა".

10. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები "ერთი" და "კაცი" ფორმალურად შეიძლება იმავე ჟესტებით წარმოვადგინოთ, როგორც ეს იქნება შესაბამისი რიცხვი "ერთი" ან საგანი

“კაცი”. აღსანიშნავია, რომ ეს ფორმები ქართულ ჟესტურ ენაში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ფუნქციით არ გამოიყენება.

ზოგი

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი “ზოგი” არის ორხელიანი სიმეტრიული ჟესტი.

ზოგიერთი

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი “ზოგიერთი” არის კომპოზიტი, რომლის პირველი ნაწილია პირველ და მეორე სურათებზე ორხელიანი სიმეტრიული ჟესტით წარმოდგენილი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი “ზოგი”, რომელსაც მოსდევს მესამე ფოტოზე ასახული კომპოზიტის მეორე ნაწილი “ერთი”.

11. უარყოფითი ნაცვალსახელები

უარყოფითი ნაცვალსახელები, როგორც ამას სახელწოდებაც გვიჩვენებს, მოიაზრებენ უარყოფას. ნაცვალსახელთა ეს ჯგუფი იწარმოება კითხვით ნაცვალსახელებზე “ვინ” და “რა” უარყოფითი ფორმების დართვით. ზოგჯერ “რას” მაგივრობას სწევს “ფერი”.

არავინ

უარყოფითი ნაცვალსახელი “არავინ” არის ერთხელიანი დინამიკური მრავალფაზიანი ჟესტი, რომელიც წრიული მოძრაობით ასახავს სიცარიელეს, არყოფნას.

ვერავინ

უარყოფითი ნაცვალსახელი “ვერავინ” არის ერთხელიანი მრავალფაზიანი დინამიკური ორნაწილიანი ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია “ვერ” და ეს ასახულია პირველ და მეორე სურათებზე. ხოლო მეორე და მესამე სურათებზე ასახული ჟესტი იმეორებს ფორმას “არა.” “არავინ” როგორც ჟესტური კომპოზიტი სიტყვასიტყვით თარგმანში ასეა: “ვერა-არა.”

არაფერი

უარყოფითი ნაცვალსახელი “არაფერი” არის ორხელიანი დინამიკური მრავალფაზიანი ჟესტი, რომელიც წრიული მოძრაობით ასახავს უარყოფით ველს. ეს სიტყვა-ჟესტი შეიძლება ცალი ხელითაც იყოს გადმოცემული, როგორც ეს მომდევნო სიტყვა-ჟესტის (“ვერაფერი”) ბოლო მესამე სურათზეა ასახული.

ვერაფერი

უარყოფითი ნაცვალსახელი “ვერაფერი” არის ერთხელიანი დინამიკური მრავალფაზიანი ორნაწილიანი ჟესტი, რომლის პირველი ნაწილი “ვერა” წარმოდგენილია პირველ და მეორე სურათებზე. ხოლო მეორე ნაწილი კი ბოლო მესამე სურათზეა მოცემული და ცალი ხელის წრიული მოძრაობით ასახვს უარყოფით ველს.

ნურაფერი

უარყოფითი ნაცვალსახელი “ნურაფერი” არის ერთხელიანი ორნაწილიანი სიტყვა-ჟესტი, რომლის პირველი ნაწილი გამოსახულია პირველ და მეორე სურათებზე. ეს არის დაქტილი “ნ”, რომელიც ნახევრწრის მოძრაობას ასრულებს. მეორე ნაწილი კი არის ცალი ხელის წრიული მოძრაობით ასახული უარყოფითი ველი.

ნურავინ

უარყოფითი ნაცვალსახელი “ნურავინ” არის ერთხელიანი ორნაწილიანი სიტყვა-ჟესტი, რომლის პირველი ნაწილი გამოსახულია პირველ და მეორე სურათებზე. ეს არის დაქტილი “ნ”, რომელიც აქაც ნახევრწრის მოძრაობას ასრულებს. მეორე ნაწილი კი არის ცალხელიანი სიტყვა-ჟესტი “ვინ” და ეს ჟესტიც წრიულ ფორმაზე მოძრაობს – უარყოფით ველში.

12. უკუქცევითი ნაცვალსახელი

თავი

უკუქცევითი ნაცვალსახელი “თავი” იგივე სიტყვა-ჟესტია, რაც შესაბამისი საგანი (ანუ არსებითი სახელი).

13. პირის მიმიკური (არაჟესტური) ნაცვლსახელები

ქართულ ჟესტურ ენას აქვს პირის ნაცვალსახელთა არაჟესტური, ოდენ მიმიკური წარმოდგენის საშუალება და სხვადასხვა სიტუაციაში ჟესტური მეტყველებისას ეს ენა საკმაოდ ხშირად იყენებს ამ საშუალებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის პირის ნაცვალსახელები ქირემული კომპონენტების გარეშე, ანუ მიმიკური ჟესტები, რომლებიც (როგორც ეს ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი ფორმებიდან) ქირემების გარეშეც ცხადად მიუთითებენ კონკრეტულ ენობრივ ერთეულებზე.

მე

პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “მე” თავის ქვემოთ დახრით გადმოიცემა.

შენ

მეორე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “შენ” თავის წამოწევით და მოსაუბრე პირისკენ მიმართვით და შესაბამისი მზერით გადმოიცემა.

ის

მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “ის” თავის გვერდზე გადახრით და მესამე – შორს მყოფი პირისკენ მიმართული შესაბამისი მზერით გადმოიცემა.

ეს

მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “ეს” თავის გვერდზე გადახრით და მესამე – ახლოს მყოფი პირისკენ მიმართული შესაბამისი მზერით გადმოიცემა.

ეგ

მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “ეგ” თავის წინ და ქვემოთ გადახრით და მეორე პირთან ახლოს მყოფი მესამე პირისკენ მიმართული შესაბამისი მზერით გადმოიცემა.

ჩვენ

პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “ჩვენ” თავის გვერდზე გადახრით, მარცხნიდან მარჯვნივ ნახევარწრიული მოძრაობითა და შესაბამისი მზერით გადმოიცემა.

თქვენ

მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “თქვენ” თავის გვერდზე გადახრით, მარჯვნიდან მარცხნივ ნახევარწრიული მოძრაობითა და მეორე, მოსაუბრე პირისკენ მიმართული მზერით გადმოიცემა.

ისინი

მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “ისინი” თავის გვერდზე გადახრით, განმეორებითი მიმიკური ჟესტებით და მესამე, შორს მყოფი პირისკენ მიმართული მზერით გადმოიცემა.

ესენი

მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “ესენი” თავის გვერდზე გადახრით, განმეორებითი მიმიკური ჟესტებით და პირველ პირთან ახლოს მყოფი მესამე პირისკენ მიმართული მზერით გადმოიცემა.

ეგენი

მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “ეგენი” თავის გვერდზე გადახრით, განმეორებითი მიმიკური ჟესტებით და მანდ, მეორე პირთან ახლოს მყოფი მესამე პირისკენ მიმართული მზერით გადმოიცემა.

მოქმედება

ამ თავში აღწერილია ქართული ჟესტური ენის ზმნა და მისი მორფოლოგიური კატეგორიები: პირიანობა, გეზი, ორიენტაცია, დრო, ასპექტი, გზისობა, გვარი, ქცევა, რეფლექსივი და კონტაქტი. წარმოდგენილია რანგობრივი მიმართებები. მოცემულია ზმნის უღვლილება და ამ სისტემის შესაბამისობა ქართული სამეტყველო ენის უღვლილების სისტემასთან.

1. ზმნათა სემანტიკური კლასიფიკაცია

საერთოდ, ნებისმიერ ენაში მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა არის ზმნა – პირიანი ან უპირო.

მოქმედება

ეს არის ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი შესაბამისი მიმიკით.

ჟესტურ ენებში ზოგადად სახელებსა და ზმნებს შორის სხვაობა ჟესტური მოძრაობის თვალსაზრისით ნაკლებად აღინიშნება. ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ ზმნები თითქმის არ გადმოიცემა სტატიკური ჟესტებით და მხოლოდ მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნებია აქ გამონაკლისი, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდან

ჩანს. უმეტეს შემთხვევაში ზმნები გადმოიცემა პანტომიმური მოძრაობის მრავალფაზიანი ჟესტებით. სახელები კი ნაკლებფაზიანი მყარი, სტატიკური ან ორფაზიანი ჟესტებით არის ასახული ჟესტურ ენებში, როცა ისინი მათთვის დამახასიათებელი მოძრაობით არაა გადმოცემული. ამ მხრივ, გამონაკლისი არც ქართული ჟესტური ენაა. თუმცა, საბოლოო დასკვნა ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ შესაბამისი სიხშირის ლექსიკონების საფუძველზე შეიძლება დაიდოს.

ზმნათა სემანტიკური კლასიფიკაცია არის ზოგადი სემანტიკური კლასიფიკაცია, სადაც გამოყოფილია ძირითადი ჯგუფები შესაბამისი საოპოზიციო სემანტიკური წყვილებით. აღსანიშნავია, რომ ქართული ჟესტური ენა თავისუფლად აწარმოებს ყველა ჯგუფის ფორმებს.

ქვემოთ მოვიყვანთ მაგალითებს საწყისის ფორმით, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირად საწყისი განსხვავებულია პირიანი ფორმებისგან. საერთოდაც, ძალიან მნიშვნელოვანია ინფინიტივის საკითხი ქართულ ჟესტურ ენაში. ნებისმიერი ზმნა დამატებითი ელემენტების გარეშეც შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ოდენ ძირითადი ლექსიკური ფორმატით – ანუ ინფინიტივთან გათანაბრებული. ეს ამ ენისთვის დამახასიათებელია და საკმაოდ ხშირი მოვლენაცაა. საწყისის ანუ ინფინიტივის ჟესტური რეფერენციის თემა აუცილებლად უნდა გახდეს შემდგომი კვლევების საგანი.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ამ ენაში ეგზისტენსისა და ქონა-ყოლის ზმნები ერთია:

აქვს

ერთი და იგივე ორხელიანი, ასიმეტრიული ჟესტი გამოხატავს ზმნას “არის”, “აქვს”, “ჰყავს”. ზმნებში განფენილი კლასის მორფო-სემანტიკური კატეგორიის არსს დაწვრილებით მომოვიხილავთ თავში “კლასი”.

1. **მოძრაობის** აღმნიშვნელი ზმნები (მიდის, მიფრინავს, მიცურავს) და **მდგომარეობის** აღმნიშვნელი ზმნები (ზის, წევს, დგას, აბია)

ცურვა

ეს არის მოძრაობის აღმნიშვნელი პანტომიმური ზმნა ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი ჟესტით.

ფრენა

ეს არის მოძრაობის აღმნიშვნელი პანტომიმური ზმნა ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი ჟესტით, რომელიც გვიჩვენებს ჩიტის ფრენას, რამდენადაც ეს ზმნა სუბიექტის მიხედვით განასხვავებს კლასის კატეგორიას.

ჯდომა

ეს არის მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნა, გადმოცემული ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტით.

წოლა

ეს არის მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნა ორხელიანი, ასიმეტრიული, მყარი, სტატიკური ჟესტით.

დგომა

“დგომა” არის მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნა ორხელიანი, ასიმეტრიული, მყარი, სტატიკური ჟესტით.

2. **ფიზიოლოგიური სემანტიკის ზმნები** ქვეჯგუფებით: სმაჭამა, (მონელება და გასტრონომიული ფიზიოლოგიის სხვა ზმნური ტერმინები), ჯანმრთელობა (ავადმყოფობა, კვდომა,

სიცოცხლე) და **კოგნიტიური სემანტიკის** ზმნები (ფიქრობს, ოცნებობს, აზროვნებს, მოიგონა, მიაჩნია, დაიჯერა...).

ცხოვრება

ეს არის ფიზიოლოგიური სემანტიკის ზმნა ორხელიანი, სიმეტრიული, მყარი, სტატიკური ჟესტით. ეს ფორმა სხეულთანაა დაკავშირებული.

ავად ყოფნა

ეს არის ფიზიოლოგიური სემანტიკის ორნაწილიანი ზმნა. პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი და მეორე ნაწილია ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი.

ოცნება

ეს არის კოგნიტიური სემანტიკის ზმნა ერთხელიანი, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტით.

მოგონება

ეს არის კოგნიტიური სემანტიკის ზმნა ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტით.

დაჯერება

ეს არის კოგნიტიური სემანტიკის ზმნა ორნაწილიანი ჟესტით. პირველი ნაწილი არის ერთხელიანი, ორფაზიანი ჟესტი და მეორე ნაწილი კი არის ასიმეტრიული, ორხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი დომინანტი მარჯვენა ხელით.

3. **ემოციის** სემანტიკის ზმნები (**პოზიტიური და ნეგატიური** - გაიკვირვა, შეეშინდა, ეწყინა, გაიცინა, იტირა, იხალისა).

გაცინება

ეს არის პოზიტიური ემოციის სემანტიკის ზმნა სიმეტრიული, ორხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტით.

ტირილი

ეს არის ნეგატიური ემოციის სემანტიკის ზმნა სიმეტრიული, ორხელიანი, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტით.

შეშინება

ეს არის ნეგატიური ემოციის სემანტიკის მქონე ორნაწილიანი ზმნური ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი და მეორე ნაწილი კი არის ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი.

4. **სამუშაოს შესრულების** გამომხატველი ზმნები

ინტელექტუალურ-შემოქმედებითი (ხატავს, წერს, გამოიგონა, შექმნა, თამაშობს, იზარმაცა, იბეჯითა) **ფიზიკური** (ხნავს, აშენებს, ბარავს, გაამაგრა).

ხატვა

ეს არის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი სამუშაოს შესრულების გამომხატველი ზმნა ერთხელიანი, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტით.

წერა

ეს არის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი სამუშაოს შესრულების გამომხატველი ზმნა ასიმეტრიული, ორხელიანი, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტით.

ზარმაცობა

ეს არის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი სემანტიკის ნეგატიური ველის მქონე ზმნა ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტით.

გეჯითოობა

ეს არის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი პოზიტიური სემანტიკის მქონე ზმნა ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტით.

ხვნა

ეს არის ფიზიკური სამუშაოს შესრულების სემანტიკის ზმნა ორხელიანი, ასიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი მარჯვენა დომინანტი ხელით.

შენება

ეს არის ფიზიკური სამუშაოს შესრულების სემანტიკის ზმნა ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი, პანტომიმური, დინამიკური ჟესტით.

გარვა

ეს არის ფიზიკური სამუშაოს შესრულების სემანტიკის ზმნა ერთხელიანი, ორფაზიანი, პანტომიმური, დინამიკური ჟესტით.

გამაგრება

ეს არის ფიზიკური სამუშაოს შესრულების სემანტიკის ზმნა ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტით. აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც ქართულ სამეტყველო ენაში, ქართულ ჟესტურ ენაშიც იგივე ზმნა შესაძლოა კონტექსტში მოვიაზროთ როგორც გარკვეული ემოციის მქონე სემანტიკური ფორმა.

5. **კლება-მატების** აღმნიშვნელი ზმნები (გაყო, დაანაწილა, დაშალა, გამრავლდა, მოემატა, მიიღო, წაერთვა, გამოაკლდა).

გაყოფა

ეს არის კლება-მატების სემანტიკის ზმნა გადმოცემული ორხელიანი, ასიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტით.

დანაწილება

“დანაწილება” არის კლება-მატების სემანტიკის ზმნა, გამოსახული ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტით.

გამრავლება

“გამრავლება” არის კლება-მატების სემანტიკის ზმნა, წარმოდგენილი ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტით.

მატება

“მატება” არის კლება-მატების სემანტიკის ზმნა, წარმოდგენილი ორხელიანი, ასიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტით, სადაც დომინანტია მარჯვენა ხელი. თუმცა აქ გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ცაციობის შემთხვევაში ან სათანადო კინეტიკურ პირობებში, შესაძლოა, ყველა ამ შემთხვევაში მარცხენა იყოს დომინანტი.

კლება

“მატება” არის კლება-მატების სემანტიკის ზმნა, გადმოცემული ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტით.

6. **მეტყველების** სემანტიკის ზმნები (**პოზიტიური და ნეგატიური**)

(ვთქვი, იცრუა, ილოცა, დაწყევლა)

თქმა

“თქმა” არის მეტყველების სემანტიკის ზმნა, წარმოდგენილი ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტით.

სიცრუე

“სიცრუე” არის მეტყველების სემანტიკის ზმნა, ასახული ორხელიანი, ასიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტით. ჟესტის სემანტიკა დაკავშირებულია სიტყვასთან “ეშმაკი.”

7. ზმნათა **პატივისცემითი** ფორმები და **ობსენიტური** ზმნები (ბრძანდება, ბრძანა, გახლავთ და ...).

ქართულ ჟესტურ ენაში აღინიშნება ე. წ. “პატივისცემითი” ტიპის ზმნურ ფორმათა ნაკლებობა. საერთოდ, ყველა ჟესტური ენა გაურბის თავაზიანობის ველის დამატებითი ერთეულების შემოტანას. რაც შეეხება ობსენიტურ ფორმებსა და სკაბრეზულ გამოთქმებს, აქ საკმარისი სიუხვეა. ხშირად გააზრებულად ორაზროვნებასაც აქვს ადგილი.

ზმნათა კლასიფიკაცია წარმოების თვალსაზრისით:

1. პირველადი ზმნური ფორმები (ვმუშაობ, ვწერ, ვხატავ) ამ ტიპის ფორმები უხვადაა ნებისმიერ ენაში.
2. ნასახელარი ფორმები (დაკაცდა, გაწითლდა). ეს ჯგუფი ქართულ ჟესტურ ენაში ძირითადად წარმოდგენილია ორნაწილიანი ჟესტებით, სადაც პირველი ნაწილი არის სახელური ფორმა, ხოლო მეორე არის ზმნური ნაწილი – რაც ნიშნავს “გახდა”, “მოედო”, “გადაიქცა” ან სხვა ამ ტიპის სემანტიკური ერთეულის შემცველია.

ვწითლდები

პირველ და მეორე სურათებზე მოცემულია სიტყვა-ჟესტის სახელური ნაწილი “წითელი”, რამდენადაც ეს ფორმა არის ნაწარმოები ზედსართავი სახელისგან “წითელი”. მესამე და მეოთხე სურათებზე კი ასახულია ზმნური ნაწილი (“მოედო”).

ᲗᲔᲗᲠᲓᲔᲒᲘ

მოცემული ფორმა არის ნაწარმოები ზედსართავი სახელისგან “თეთრი” და სიტყვა-ჟესტის ეს ნაწილი წარმოდგენილია პირველ და მეორე ფოტოებზე. მესამე და მეოთხე სურათებზე ასახულია ზმნური ნაწილი.

ᲥᲕᲐᲕᲓᲔᲒᲐ

ეს არის ორხელიანი, ასიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი, სადაც იკარგება პირველადი სახელი – იგი მთლიანად იცვლის ფორმას.

ქართულ ჟესტურ ენაში შესაძლოა ზმნადქცეული სახელი დაშორდეს პირველად ფორმას და შექმნას დამოუკიდებელი ჟესტი, როგორც ეს წარმოდგენილია ფორმაში “ქვავდება”.

4. სახელთან კომბინირებული სემანტიკები (თაყვანი ვეცი, გულისხმა ვყავ, პირი დავაღე)

ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘ ᲕᲔᲪᲘ

წარმოდგენილ ფორმა არის კომპოზიტური წყობის ორნაწილიანი ჟესტი. პირველი ნაწილი არის სიტყვა-ჟესტი “თაყვანი”, რომელიც მოცემულია პირველ და მეორე სურათებზე, ხოლო მესამე და მეოთხე სურათებზე ასახულია ზმნური ნაწილი “ვეცი”.

საერთოდ, ქართული ჟესტური ენა გაურბის ამ ტიპის ზმნათა წარმოებებს.

2. პირის კატეგორია და პოლიპერსონალიზმი

ქართული ზმნა არის პოლიპერსონალური, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ზმნას შეუძლია სუბიეტური და ობიექტური პირების მორფოლოგიური რეფერენცირება. ეს არის ქართული სამეტყველო ენის გრამატიკის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელიც უამრავ მორფო-სინტაქსურ მოვლენას განაპირობებს ამ ენაში.

თანამედროვე ქართულ ენთამეცნიერებაში არსებობს მოსაზრება, რომ ზმნის პირიანობა არის მორფოლოგიური კატეგორია და იგულისხმება მხოლოდ ზმნაში რეფერენ-

ცირებული პირები. “უხატავს” –ერთპირიანი ფორმაა, “მიხატავს” – ორპირიანი. ამავე თეორიის მიხედვით, ორივე ზმნა არის სამვალენტიანი და ვალენტობა კი სინტაქსური მოვლენაა. ნებისმიერი ლინგვისტური სიახლე მისაღებია, როცა ის აბსოლუტური სიზუსტით ჯდება ენის მორფოლოგიურ პარადიგმატიკასა და სინტაგმატიკაში. პირიანობისა და ვალენტობის საკითხი ქართულ სამეტყველო ენაში სერიოზულ დაზუსტებას მოითხოვს. ჩვენი აზრით, პირიანობა, როგორც მორფოლოგიური კატეგორია, ზედმიწევნით კორექტული ანალიზით არის მოცემული ტრადიციულ გრამატიკაში და არ შეიძლება ქართული სამეტყველო ენის ზმნაში ნულოვანი მარკირების მქონე ან საერთოდ არამარკირებული პირები (Od. III) არ ჩაითვალოს პირიანობის შემადგენელ ელემენტებად, რადგან უღლების პარადიგმები პირიანობის სწორედ ასეთ გაგებას ემყარება და ამ პრინციპებზეა აგებული. პირიანობის შემოთავაზებულ ახლებურ გააზრებას მრავალი წინააღმდეგობა ახლავს თან:

1. ამ თეორიის მიხედვით, “უშენებს” ერთპირიანი ზმნაა, “მიშენებს” – ორპირიანი. აქ მხოლოდ ირიბი ობიექტური პირი შეიცვალა. მწკრივში პირის ცვლილებამ (ამ შემთხვევაში ობიექტური პირის მიხედვით უღვლილებამ) არ უნდა გამოიწვიოს პირიანობის ცვლა. ე. ი. პარადიგმატიკა ამ თეორიას არ ადასტურებს.

2. ამ თეორიის მიხედვით, უპიროა ზმნები: წერ, ხატავ, გაიგე, დახატე და ა. შ. ეს კი, ცხადია, ყოვლად მიუღებელია.

3. ამ თეორიის მიხედვით, ირღვევა ზმნის დერივაციულ კატეგორიათა სისტემა (გვარი, ქცევა, გარდამავლობა). “მიხატავს” გარდაუვალი ზმნაა, რადგანაც პირდაპირი პირი (O d. III) არ არის მარკირებული. ამ ლოგიკით გარდამავლობა პირების მიხედვით იქნება გამოხატული. “ხატავს” გარდაუვალია და “მხატავს” გარდამავალი. ეს კი, რა თქმა უნდა, არალოგიკურია.

4. თუ ვალენტობა სინტაქსური კატეგორიაა, მაშინ ვალენტობის ცვლამ არ უნდა გამოიწვიოს მორფოლოგიური ცვლილებანი. ფორმა “ვაშენებ” ერთპირიანი და ორვალენტიანია. “ვუშენებ” ერთპირიანი და სამვალენტიანი. ფაქტობრივად, გავზარდეთ ვალენტობა და მივიღეთ ქცევის სხვა მორფოლოგიური ფორმა. სინტაქსური კატეგორიების ამგვარი ზემოქმედება მორფოლოგიურ კატეგორიებზე გამორიცხულია.

5. დასაზუსტებელია ტერმინოლოგიაც. თუ ვალენტობას მივიჩნევთ სინტაქსურ კატეგორიად, მაშინ უნდა ვისაუბროთ პრედიკატის ვალენტობაზე და არა ზმნის ვალენტობაზე. ე. ი. გვექნება ზმნის პირიანობა და შესაბამისად, პრედიკატის ვალენტობა.

6. მიუღებელია ცალკე აღებული ზმნის ფორმის სინტაქსური ანალიზი ვალენტობის თვალსაზრისით. ისევე როგორც “კაცი” არ არის არც ქვემდებარე, არც დამატება და არც შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი და, საერთოდ, ის ცალკე აღებული ანუ წინადადების გარეშე, ვერ იქნება ვერანაირი სინტაქსური ერთეული და ვერც ვერანაირი სინტაქსური კატეგორიის მატარებელი. ამდენად, ცალკე პირიანი ზმნა ნულოვანი ვალენტობისაა (და არა ნულვალენტიანი “წვიმს”

– როგორც ეს ხშირად არის გაგებული. ესენი სხვადასხვა ტერმინებია.) საერთოდ, ნათელი ჭეშმარიტებაა ის, რომ წინადადების გარეშე სინტაქსი არ არსებობს.

7. თუ პირიანობას მხოლოდ რეფერენცირებული პირებით განვსაზღვრავთ, დავიცვათ იგივე პრინციპი სინტაქსშიც. მაშინ ვალენტობა განისაზღვრება კონკრეტულ წინადადებაში გამოსახული ანუ რეალიზებული აქტანტების რაოდენობით. ძალიან ხშირად, გასაგები მიზეზების გამო, პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები წინადადებაში გამოტოვებულია და იგულისხმება. "ვუშენებ სახლს მეზობელს" – ასეთ შემთხვევაში "ვუშენებ" უნდა გავიაზროთ ორვალენტიან პრედიკატად და არა სამვალენტიან ზმნად, რადგანაც ვალენტობის გამომხატველი მესამე აქტანტი წინადადებაში არ არის, ანუ არ ხდება მისი რეფერენცირება. მორფოლოგიურ პირიანობას ვერ მოაკლდება არამარკირებული აქტანტები და მათი სემანტიკა, ხოლო სინტაქსურ ვალენტობას უფრო შეიძლება მოაკლდეს.

8. ამ თეორიით აუხსნელი რჩება ინვერსიული ზმნების საკითხი. ორპირიანი და ორვალენტიანია ზმნები "მეძინება", "მძინავს". ეს კი მთელ რიგ გაუგებრობებს წარმოქმნის.

ინდოევროპული ენათმეცნიერების მიბაძვით ხშირად ინფინიტიური ფორმა განიხილება როგორც ამოსავალი. მართალია, არსებობს ლოგიკურ-სემანტიკურად გარდამავალი ზმნები, მაგალითად, "წერა", "კეთება" და ა შ. თუმცა "ვწერ" და "იწერება" სულაც არაა ერთი სემანტიკურად. ამდენად, ამოსავალი ვერ იქნება "წერა" ინფინიტივი. ადრესატის უგულებელყოფა კონკრეტული ფორმის სემანტიკისათვის

სრულიად მიუღებელია. "ვუხატავ" და "ვხატავ" სხვადასხვა მორფო-სემანტური ღირებულების ფორმებია. დამოუკიდებელი სემანტიკა არ არსებობს ფორმისათვის. ისევე როგორც არ არსებობს დამოუკიდებელი სინტაქსი მორფოსინტაქსის გარეშე. თუ ინფინიტიური ფორმებით განვიხილავთ სემანტიკურ დონეს, მაშინ გამოვა, რომ "იხატება" და "ვხატავ" ერთი სემანტიკური ველის სიტყვებია ("ხატვა"), რაც, ცხადია, არაა სწორი. სიტყვას ერთდროულად გააჩნია რამდენიმე დონე: ფონოლოგიური, მორფოლოგიური და ლექსიკურ-სემანტიკური, მაგრამ არა სინტაქსური, რადგანაც სინტაქსი არ არსებობს წინადადების გარეშე. რაც შეეხება ლოგიკურ-სემანტიკურს, ეს არის ენის იერარქიის სემანტიკური დონე. N ფორმას გააჩნია კონკრეტული მორფო-სემანტიკა და აქ აუცილებელად გასათვალისწინებელია მორფოლოგიურად რეფერენცირებული და არარეფერენცირებული ობიექტური პირები.

ინდოევროპული ენების დონეზე და, საერთოდ, ტიპოლოგიური კვლევისათვის (აგრეთვე პოლიპერსონალური ენების შესწავლის თვალსაზრისითაც) საკმაოდ ღირებულია ვალენტობისა და ადგილიანობის ცნებები. თ. გამყრელიძის ნაშრომში "ზმნის "პირიანობა" და "ვალენტობა" სინტაქსურ კატეგორიად მოიხსენიება ვალენტობა, მაგრამ პრაქტიკულად გაიაზრება მორფოლოგიურ კატეგორიად. როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, აქ ტერმინია გადაწეული და, ფაქტობრივად, ეს არის პირიანობის ტრადიციული გაგება. იგი მსჯელობს ზმნის (და არა პრედიკატის) ვალენტობაზე. აქ სიახლე, არსებითად, მორფოლოგიაშია შემოთავაზებული და ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო სრულიად მიუღებელია ქართული სამეტყველო ენის ზმნური სისტემისათვის.

ამდენად, ქართულ ენაში ვალენტობის ცნების გააზრება ინდოევროპული მოდელის მიხედვით შეცდომა იქნებოდა. ტიპოლოგიური კვლევისათვის ღირებული იქნება, რომ ვალენტობა მიჩნეული იყოს არა სინტაქსურ, არამედ სემანტიკურ კატეგორიად. მაშინ ვალენტობის მორფო-სემანტიკა შესაბამისად განსხვავებულად აისახება მონოპერსონალურ და პოლიპერსონალურ ენებში. თუ ვალენტობას გავიაზრებთ სემანტიკურ კატეგორიად (როგორც ადგილიანობაა მიჩნეული), შეგვიძლია უნივერსალური ერთეულების გამოყოფაც. კერძოდ, აბსოლუტური ლინგვისტური უნივერსალია იქნება შემდეგი – **ყველა ენაში არსებობს განსხვავებული ვალენტობის ზმნები და ამ სხვაობათა რეალიზება კი კერძო გრამატიკათა პრობლემებია.**

გვაქვს სამი ფორმის პირის **რომელობა:**

1. არის მოუბარი პირველი პირი,
2. მსმენელი და თანამოუბარი არის მეორე პირი და
3. კომუნიკაციის აქტის მიღმა არსებულია მესამე პირი.

მეტყველების აქტში მონაწილე კომუნიკატორი პირები, როგორც წესი, ვინ-კატეგორიის პირებია. ხოლო მესამე პირი შეიძლება იყოს ვინ ან რა-კატეგორიის. ეს პირი უფრო ფართო სპექტრით ხასიათდება. რასაკვირველია, იგივე ენობრივი კანონზომიერებები ვრცელდება ჟესტურ მეტყველებაზეც.

ზემოთ განხილული ქირემულ-მიმიკური და მიმიკური პირის ნაცვალსახელები წარმოადგენს ზმნის პირებს:

პირველი პირი, მხოლობითი რიცხვი:

მე

მე

პირველი პირი, მრავლობითი რიცხვი:

ჩვენ

ჩვენ

მეორე პირი, მხოლობითი რიცხვი:

შენ

შენ

მეორე პირი, მრავლობითი რიცხვი:

თქვენ

თქვენ

მესამე პირი, მხოლობითი რიცხვი:

ის

ის

ეს

ეს

ეგ

ეგ

მესამე პირი, მრავლობითი რიცხვი:

ისინი

ისინი

ესენი

ესენი

ეგენი

ეგენი

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ჟესტური ენების ზოგი ზმნა ხშირად თავისთავში მოიაზრებს ობიექტსაც. მაგალითად, ასეთია ზმნები: "ვუთხარი," "მივეცი," "გამოვართვი," "წავუღე" და ა.შ. ამ ზმნებს კინეტიკაში აქვთ ჩადებული ობიექტის გამოხატვა. ამდენად, ასეთი ფორმები იქაც კი პოლიპერსონალურია, სადაც სამეტყველო ენები ცალსახად მონოპერსონალურ სისტემას იძლევა (მაგ.: ამერიკული, ბრიტანული, ფრანგული, გერმანული, რუსული ჟესტური ენები). ამის ფონზე, რა თქმა უნდა, პოლიპერსონალური სამეტყველო სტრუქტურებიდან კალკირებული ჟესტური ენები იოლად აყალიბებენ შესაბამის პოლიპერსონალურ სისტემებს.

3. სუბიექტური და ობიექტური პირები

პირის როგორობა არის სამი ფორმის. ზმნის პირი შეიძლება იყოს:

1. სუბიექტი,
2. პირდაპირი ობიექტი ან
3. ირიბი ობიექტი.

სუბიექტური პირი მოქმედი პირია თავისი მეტ-ნაკლები აქტივობით. პირდაპირი ობიექტი არის სამოქმედო საგანი და ირიბი ობიექტი კი არის ზმნის მოქმედებაში ირიბად ჩართული, დაინტერესებული აქტანტი. გარდა უშუალოდ საგნისა, ცხადია, ზმნის პირები, შესაძლოა, ნაცვალსახელური ფორმითაც იყოს წარმოდგენილი. მესამე პირის ზემოთ ჩამოთვლილი სახელობითი ბრუნვის ფორმის გარდა ნაცვალსახელები შესაძლოა შეგვხვდეს დატივსა და ერგატივშიც. როგორც ზემოთ ითქვა, მიცემითი ფორმა მიმართების ნიშნით იქნება წარმოდგენილი.



მიმართების ნიშანი

მას

ამას

მაგას

ნაცვალსახელი ან სახელი შეიძლება გვქონდეს ერგატივის ნიშნით, როგორც გარდამავალი ზმნის ვინ-კატეგორიის სუბიექტი:

იმან

ამან

მაგან

მრავლობით ფორმაში იქნება მიცემითი და ერგატიული ბრუნვების შესაბამისი საზიარო ფორმის სემანტიკური ჟესტები:

იმათ

ამათ

მაგათ

ზმნის პოლიპერსონალიზმი გულისხმობს სუბიექტის და ობიექტის ასახვას ზმნაში. ქართულ სამეტყველო ენაში პოლიპერსონალური სტრუქტურის შექმნა მოტივირებულია პირისა და კლასის კატეგორიათა სინქრონიული რეფერენციით, ანუ ერთ ფორმაში ამ ორი კატეგორიის გამოხატვა ბიძგს აძლევს პოლიპერსონალური სემანტიკის განვითარებას. საერთოდ,

ჟესტური ენები თავისი ბუნებით მონოპერსონალური ენებია, რადგანაც აქ ძირითადად საერთო ზმნური ფუძის წარდგენა და ზმნასთან შეთანხმებული პირის ნაცვალსახელების წყობა განაპირობებს სუბიექტისა და ობიექტების სინტაქსურ როლებს. თანაც ამ ენებში ცალ-ცალკე გამოისახება დამოუკიდებელი ჟესტები, რასაკვირველია, ძალიან რთულია ზმნური ფორმის მთლიანობის აღქმა და საუბარი პოლიპერსონალიზმზე. თუმცა ამ კუთხით შეიძლება ითქვას, რომ ქართული ჟესტური ენა არის უნიკალური ენა ზმნური კატეგორიების გრამატიკალიზაციის თვალსაზრისით. ერთი მხრივ, იგი იზიარებს ჟესტურ ენათათვის დამახასიათებელ გამოხატვის ეკონომიკურ პრინციპებს, ამ ენათა ამორფულობას და, მეორე მხრივ, ეს ენა ცდილობს შეძლებისდაგვარად სრულად ასახოს ქართული სამეტყველო ენის პოლიპერსონალური ზმნის მდიდარი პალიტრა. ქართულ ჟესტურ ენაში არის მიმართების ნიშანი, პირდაპირი და ირიბი ობიექტის ნიშნები, ერგატივი. აქ გვაქვს პირდაპირი და ირიბი ობიექტების მკვეთრად გამოხატული მორფოსინტაქსი. ძალიან რთული იქნება ასეთი ენობრივი სურათის ფონზე ქართული ჟესტური ენის ზმნის მონოპერსონალურად მიჩნევა. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ყველაზე ზუსტი მიდგომა იქნება, თუკი ამ ტიპის ზმნებს განვსაზღვრავთ როგორც გრადაციული პოლიპერსონალიზმის ფორმებს – თუნდაც იმის გამო, რომ ქართული ჟესტური ენის ზმნებს აქვთ თან-დართული ობიექტის ნიშანი, რაც აშკარად არის პოლიპერსონალიზმის მორფოლოგიური კომპონენტი.

ობიექტის ნიშანი არის ერთხელიანი, ორფაზიანი ჟესტი ირიბი ობიექტის ვექტორით, ანუ ამ ჟესტის მიმართულება კონკრეტულად არის განსაზღვრული ირიბი ობიექტისკენ.



ობიექტის ნიშანი

ეს არის ერთხელიანი ჟესტი და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ნიშანი მიემართება ირიბი ობიექტისკენ. თავისთავად, ამ ნიშნის მორფოლოგიური ფუნქცია ნათელია – იგი ასახავს ზმნის ირიბ ობიექტს.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ იმავე ტიპის ორხელიანი ჟესტი სასხვისო ქცევის გამომხატველია. ამ ჟესტის შესახებ დაწვრილებით ვისაუბრებთ ქვეთავში "ქცევა".

სასხვისო ქცევის ნიშანი

ქართული ჟესტური ენა გაურბის რა რეფერენტთა გაორმაგებას, ობიექტის ნიშანი და სასხვისო ქცევის ნიშანი ზმნაში ერთდროულად არ უნდა იქნეს წარმოდგენილი. ეს ორი ნიშანი თვისებრივად ერთი და იმავე სემანტიკის ნიშნებია და, შესაბამისად, ჟესტური ფორმაც ამიტომ აქვთ მსგავსი. საერთოდ, ირიბი ობიექტისა და ვერსიის კატეგორიის მორფოსინტაქსური და სემანტიკური სიახლოვე თვალშისაცემი ზოგადი ლინგვისტური მოვლენაა და ამ თვალსაზრისით, არც ქართული ჟესტური ენაა გამონაკლისი.

ქართულ ჟესტურ ენაში ირიბი ობიექტი შეიძლება მოცემული გვქონდეს:

1. ნაცვალსახელით ან სახელით,
2. ნაცვალსახელით ან სახელით და მიმართების ნიშნით,
3. ნაცვალსახელით ან სახელით და ობიექტის ნიშნით,
4. ნაცვალსახელით ან სახელით, მიმართების ნიშნით და ობიექტის ნიშნით.

საერთოდ, პირდაპირი ობიექტი უმეტესად მესამე პირის მხოლობითი რიცხვის უსულო კატეგორიის საგანია და ხშირად არ ხდება მისი მარკირება როგორც ქართულ სამეტყველო ენაში, ასევე ქართულ ჟესტურ ენაშიც. პირდაპირი ობიექტი შეიძლება გადმოცემული იყოს ნომინატივით ან ობიექტის ბრუნვით – ეს არის დატივი, ანუ პოსესიურ-დესტინაციური ბრუნვა. ზოგ ზმნაში პირდაპირი ობიექტი ასახულია თავისი კერძო ნიშნით ამ ზმნის სემანტიკიდან გამომდინარე, მაგ. მხატავს, გწერ. ასეთ შემთხვევებში ეს ობიექტი იკონოგრაფიული ფორმატითაა წარმოდგენილი. ქართულ ჟესტურ ენაში პირდაპირი ობიექტი შეიძლება მოცემული გვქონდეს:

1. ნაცვალსახელით ან სახელით,
2. ნაცვალსახელით ან სახელით და დატივით / პოსესიურ-დესტინაციური ბრუნვით,
3. ნაცვალსახელით ან სახელით და პირდაპირი ობიექტის ნიშნით,
4. მეოთხე თეორიული ვარიანტი

– პირდაპირი ობიექტის ასახვა ნაცვალსახელით ან სახელით და პირდაპირი ობიექტის ნიშნითა და პოსესიურ-დესტინაციური ბრუნვით ქართულ ჟესტურ ენაში არ გვხვდება.

იმ ენებში, სადაც ასეთი ზმნური პოლიპერსონალიზმი არა გვაქვს, ცხადია, სიტყვათა რიგი ალაგებს სუბიექტისა და ობიექტის როლებს წინადადებაში. ეს სინტაქსური საშუალება არც ქართულ ჟესტურ ენაში არის სრულად იგნორირებული და ამის უპირველესი მიზეზი ისევ მონოპერსონალური სტრუქტურის მქონე ენათა რუსულ-საბჭოური ენობრივი გავლენა და საფუძველი გახლავთ.

ვნახოთ, როგორ აისახება ქართული სამეტყველო ენაში არსებული ზმნის პირთა კომბინაციის ცხრილი ქართული ჟესტური ენის შესაბამისი ზმნის ფორმებში.

ორპირიანი ფორმები:

/Od.	I s.	II s.	III s.	I pl.	II pl.	III pl.
I s.	------	გხატავ	ვხატავ	-------	გხატავთ	ვხატავ
II s.	მხატავ	------	ხატავ	ვხატავ	-------	ხატავ
III s.	მხატავს	გხატავს	ხატავს	გვხატავს	გხატავთ	ხატავს
I pl.	-------	გხატავთ	ვხატავთ	-------	გხატავთ	ვხატავთ
II pl.	მხატავთ	-------	ხატავთ	გვხატავთ	-------	ხატავთ
III pl.	მხატავენ	გხატავენ	ხატავენ	გვხატავენ	ხატავენ	ხატავენ

ШЕН МЕ МХАТАВ

პირველ სურათზე მოცემულია პირდაპირი ობიექტი “მე”. მეორე სურათზე გამოსახულია სუბიექტი “შენ”. მესამე და მეოთხე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “მხატავ”.

ШЕН МЕ МХАТАВ

იმავე ფორმაში “შენ მე მხატავ” მეხუთე და მეექვსე სურათებზე მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება მე- ტრაექტორიით, რადგანაც აქ გვაქვს პირველი პირის პირდაპირი ობიექტი. პირდაპირი ობიექტი ამ ზმნაში მოცემულია სახითი მითითებით (ჩემს სახეს ხატავ), ხოლო პირის რომელობა ამ მითითების ტრაექტორიითა განსაზღვრული. ასეთი ფორმა მხოლოდ ამ კონკრეტული ზმნისთვისაა დამახასიათებელი და აქაც არაობლიგატორულია, როგორც ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს. ამ ორი შესაძლო ფორმიდან ენა ორივეს უშვებს, ე. ი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირდაპირი ობიექტის გადმოცემა არაობლიგატორულია. საზოგადოდ, სხვა ზმნებთან კი თუ უშუალოდ საგნის აღმნიშვნელი ჟესტით არაა მოცემული პირდაპირი ობიექტი, ის შეიძლება საერთოდ არც იყოს ჟესტურად მარკირებული – განსაკუთრებით სამპირიან ზმნებთან.

ის მე მხატავს

პირველ სურათზე მოცემულია სუბიექტი “ის”. მეორე სურათზე ასახულია პირდაპირი ობიექტი “მე”. მესამე და მეოთხე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “მხატავს”.

ის მე მხატავს

იმავე ფორმაში მეხუთე და მეექვსე სურათებზე მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება მე-ტრაექტორიით, რადგანაც აქ გვაქვს პირველი პირის პირდაპირი ობიექტი.

თქვენ მე მხატავთ

პირველ და მეორე სურათებზე მოცემულია სუბიექტი “თქვენ”. მესამე სურათზე გამოსახულია პირდაპირი ობიექტი “მე”. მეოთხე და მეხუთე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “მხატავთ”.

თქვენ მე მხატავთ

იმავე ფორმაში მეექვსე და მეშვიდე სურათებზე კი მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება მეტრაექტორიით, რადგანაც აქაც გვაქვს პირველი პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

ისინი მე მხატავენ

პირველ, მეორე და მესამე სურათებზე მრავლობითობის განმეორებითი ჟესტით მოცემულია სუბიექტი “ისინი”. მეოთხე სურათზე გამოსახულია პირდაპირი ობიექტი “მე”. მეხუთე და მეექვსე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “მხატავენ”.

ისინი მე მხატავენ

იმავე ფორმაში მეშვიდე და მერვე სურათებზე კი მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება მეტრაექტორიით, რადგანაც აქაც გვაქვს პირველი პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

მე შენ გხატავ

პირველ სურათზე მოცემულია სუბიექტი “მე”. მეორე სურათზე წარმოდგენლია პირდაპირი ობიექტი “შენ”. მესამე და მეოთხე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “გხატავ”.

მე შენ გხატავ

იმავე ფორმაში “მე შენ გხატავ” მეხუთე და მეექვსე სურათებზე მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება შენ- ტრაექტორიით, რადგანაც აქ არის მეორე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

ის შენ გხატავს

პირველ სურათზე მოცემულია სუბიექტი “ის”. მეორე სურათზე წარმოდგენლია პირდაპირი ობიექტი “შენ”. მესამე და მეოთხე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “გხატავს”.

ის შენ გხატავს

იმავე ფორმაში “ის შენ გხატავს” მეხუთე და მეექვსე სურათებზე კი მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება შენ- ტრაექტორიით, რადგანაც აქ არის მეორე პირის

ჩვენ შენ გხატავთ

პირველ, მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია სუბიექტი “ჩვენ”. მეოთხე სურათზე წარმოდგენლია პირდაპირი ობიექტი “შენ”. მეხუთე და მეექვსე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “გხატავთ”.

ჩვენ შენ გხატავთ

იმავე ფორმაში “ჩვენ შენ გხატავთ” მეშვიდე და მერვე სურათებზე მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება შენ- ტრაექტორიით, რადგანაც აქ არის მეორე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

ისინი შენ გხატავენ

პირველ, მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია სუბიექტი “ისინი” მრავლობითობის განმეორებითი ჟესტით. მეოთხე სურათზე წარმოდგენლია პირდაპირი ობიექტი “შენ”. მეხუთე და მეექვსე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “გხატავენ”.

ისინი შენ გხატავენ

იმავე ფორმაში “ისინი შენ გხატავენ” მეშვიდე და მერვე სურათებზე კი მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება შენ-ტრაექტორიით, რადგანაც აქ არის მეორე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

მე მას ვხატავ

პირველ სურათზე მოცემულია სუბიექტი “მე”. მეორე და მესამე სურათებზე წარმოდგენლია პირდაპირი ობიექტი “მას” მიმართების ნიშნით. მეოთხე და მეხუთე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “ვხატავ”.

მე მას ვხატავ

იმავე ფორმაში “მე მას ვხატავ” მეექვსე და მეშვიდე სურათებზე მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება მას-ტრაექტორიით, რადგანაც აქ არის მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

შენ ხატავ მას

პირველ სურათზე მოცემულია სუბიექტი “შენ”. მეორე და მესამე სურათებზე წარმოდგენლია ზმნის ფორმა “ხატავ”. მეოთხე, მეხუთე მეექვსე და მეშვიდე სურათებზე ასახულია პირდაპირი ობიექტი “მას” მიმართების ნიშნით.

შენ ხატავ მას

იმავე ფორმაში “შენ მას ხატავ” მეექვსე და მეშვიდე სურათებზე მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც

მიემართება მას-ტრაექტორიით, რადგანაც აქ არის მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

ის მას ხატავს

პირველ სურათზე მოცემულია სუბიექტი “ის”. მეორე სურათზე წარმოდგენლია პირდაპირი ობიექტი “მას”. მესამე და მეოთხე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “ხატავს”.

ის მას ხატავს

იმავე ფორმაში “ის მას ხატავს” მეხუთე და მეექვსე სურათებზე კი მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება მას-ტრაექტორიით, რადგანაც აქ არის მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

ჩვენ მას ვხატავთ

პირველ, მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია სუბიექტი “ჩვენ”. მეოთხე სურათზე წარმოდგენლია პირდაპირი ობიექტი “მას”. მეხუთე და მეექვსე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “ვხატავთ”.

ჩვენ მას ვხატავთ

იმავე ფორმაში “ჩვენ მას ვხატავთ” მეშვიდე და მერვე სურათებზე კი მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება მას-ტრაექტორიით, რადგანაც აქ არის მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

თქვენ ხატავთ მას

პირველ და მეორე სურათზე მოცემულია სუბიექტი “თქვენ”. მესამე და მეოთხე სურათებზე წარმოდგენლია ზმნის ფორმა “ხატავთ”. მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე სურათებზე ასახულია პირდაპირი ობიექტი “მას” მიმართების ნიშნით.

თქვენ ხატავთ მას

იმავე ფორმაში “თქვენ ხატავთ მას” მეშვიდე და მერვე სურათებზე მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება მას-ტრაექტორიით, რადგანაც აქ არის მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

ისინი მას ხატავენ

პირველ, მეორე და მესამე სურათებზე მრავლობითობის განმეორებითი ჟესტით მოცემულია სუბიექტი “ისინი”. მეოთხე სურათზე წარმოდგენლია პირდაპირი ობიექტი “მას”, მეხუთე სურათზე გამოსახულია მიმართვების ჟესტი. მეექვსე და მეშვიდე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “ხატავენ”.

ისინი მას ხატავენ

იმავე ფორმაში “ისინი მას ხატავენ” მერვე და მეცხრე სურათებზე მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც

მიემართება მას-ტრაექტორიით, რადგანაც აქ არის მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

შენ ჩვენ გვხატავ

პირველ სურათზე მოცემულია სუბიექტი “შენ”. მეორე, მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახულია პირდაპირი ობიექტი “ჩვენ”. მეხუთე და მეექვსე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “გვხატავ”.

შენ ჩვენ გვხატავ

იმავე ფორმაში “შენ ჩვენ გვხატავ” მეშვიდე და მერვე სურათებზე კი მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება ჩვენ-ტრაექტორიით, რადგანაც აქ გვაქვს პირველი პირის მრავლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

ის ჩვენ გვხატავს

პირველ სურათზე მოცემულია სუბიექტი “ის”. მეორე, მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახულია პირდაპირი ობიექტი “ჩვენ”. მეხუთე და მეექვსე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “გვხატავს”.

ის ჩვენ გვხატავს

იმავე ფორმაში “ის ჩვენ გვხატავს” მეშვიდე და მერვე სურათებზე მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება ჩვენ-ტრაექტორიით, რადგანაც აქ გვაქვს პირველი პირის მრავლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

თქვენ ჩვენ გვხატავთ

პირველ და მეორე სურათებზე მოცემულია სუბიექტი “თქვენ”. მესამე, მეოთხე და მეხუთე სურათებზე გამოსახულია პირდაპირი ობიექტი “ჩვენ”. მეექვსე და მეშვიდე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “გვხატავთ”.

თქვენ ჩვენ გვხატავთ

იმავე ფორმაში “თქვენ ჩვენ გვხატავთ” მერვე და მეცხრე სურათებზე კი მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება ჩვენ-ტრაექტორიით, რადგანაც აქ გვაქვს პირველი პირის მრავლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

ისინი ჩვენ გვხატავენ

პირველ, მეორე და მესამე სურათებზე მრავლობითობის განმეორებითი ჟესტით მოცემულია სუბიექტი “ისინი”. მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სურათებზე გამოსახულია პირდაპირი ობიექტი “ჩვენ”. მეშვიდე და მერვე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “გვხატავენ”.

ისინი ჩვენ გვხატავენ

იმავე ფორმაში “ისინი ჩვენ გვხატავენ” მეცხრე და მეათე სურათებზე კი მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება ჩვენ-ტრაექტორიით, რადგანაც აქ გვაქვს პირველი პირის მრავლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

მე თქვენ გხატავთ

პირველ სურათზე მოცემულია სუბიექტი “მე”. მეორე და მესამე სურათებზე გამოსახულია პირდაპირი ობიექტი “თქვენ”. მეოთხე და მეხუთე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “გხატავთ”.

მე თქვენ გხატავთ

იმავე ფორმაში “მე თქვენ გხატავთ” მეექვსე და მეშვიდე სურათებზე მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება თქვენ-ტრაექტორიით, რადგანაც აქ გვაქვს მეორე პირის მრავლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

ის გხატავთ თქვენ

პირველ სურათზე მოცემულია მესამე პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “ის”. მეორე და მესამე სურათებზე გამოსახულია ზმნის ფორმა “გხატავთ”. პირდაპირი ობიექტი “თქვენ” ასახულია მეოთხე და მეხუთე სურათებზე.

ის გხატავთ თქვენ

იმავე ფორმაში “ის გხატავთ თქვენ” მეექვსე და მეშვიდე სურათებზე კი მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება თქვენ-ტრაექტორიით, რადგანაც აქ გვაქვს მეორე პირის მრავლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

ჩვენ თქვენ გხატავთ

პირველ, მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია სუბიექტი “ჩვენ”. მეოთხე და მეხუთე სურათებზე გამოსახულია პირდაპირი ობიექტი “თქვენ”. მეექვსე და მეშვიდე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “გხატავთ”.

ჩვენ თქვენ გხატავთ

იმავე ფორმაში მერვე და მეცხრე სურათებზე კი მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება თქვენ-ტრაექტორიით, რადგანაც აქ გვაქვს მეორე პირის მრავლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

ისინი თქვენ გხატავენ

პირველ, მეორე და მესამე სურათებზე მრავლობითობის განმეორებითი ჟესტით მოცემულია სუბიექტი “ისინი”. მეოთხე და მეხუთე სურათებზე გამოსახულია პირდაპირი ობიექტი

“თქვენ”. მეექვსე და მეშვიდე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “გხატავენ”.

ისინი თქვენ გხატავენ

იმავე ფორმაში “ისინი თქვენ გხატავენ” მერვე და მეცხრე სურათებზე მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება თქვენ-ტრაექტორიით, რადგანაც აქ გვაქვს მეორე პირის მრავლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

მე მათ ვხატავ

პირველ სურათზე მოცემულია სუბიექტი “მე”. მეორე და მესამე სურათებზე გამოსახულია პირდაპირი ობიექტი “მათ”. მეოთხე და მეხუთე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “ვხატავ”.

მე მათ ვხატავ

იმავე ფორმაში “მე მათ ვხატავ” მეექვსე და მეშვიდე სურათებზე კი მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება მათ-ტრაექტორიით, რადგანაც აქ გვაქვს მესამე პირის მრავლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

შენ მათ ხატავ

პირველ სურათზე მოცემულია სუბიექტი “შენ”. მეორე და მესამე სურათებზე გამოსახულია პირდაპირი ობიექტი “მათ”. მეოთხე და მეხუთე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “ხატავ”.

შენ მათ ხატავ

იმავე ფორმაში “შენ მათ ხატავ” მეექვსე და მეშვიდე სურათებზე კი მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება მათ-ტრაექტორიით, რადგანაც აქ გვაქვს მესამე პირის მრავლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

ის მათ ხატავს

პირველ სურათზე მოცემულია სუბიექტი “ის”. მეორე და მესამე სურათებზე გამოსახულია პირდაპირი ობიექტი “მათ”. მეოთხე და მეხუთე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “ხატავს”.

ის მათ ხატავს

იმავე ფორმაში მეექვსე და მეშვიდე სურათებზე კი მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება მათ-ტრაექტორიით, რადგანაც აქ გვაქვს მესამე პირის მრავლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

ჩვენ მათ ვხატავთ

პირველ, მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია სუბიექტი “ჩვენ”. მეოთხე სურათზე გამოსახულია პირდაპირი ობიექტი “მათ”. მეხუთე და მეექვსე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “ვხატავთ”.

ჩვენ მათ ვხატავთ

იმავე ფორმაში “ჩვენ მათ ვხატავთ” მეშვიდე და მერვე სურათებზე კი მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება მათ-ტრაექტორიით, რადგანაც აქ გვაქვს მესამე პირის მრავლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

თქვენ მათ ხატავთ

პირველ და მეორე სურათებზე მოცემულია სუბიექტი “თქვენ”. მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახულია პირდაპირი ობიექტი “მათ”. მეხუთე და მეექვსე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “ხატავთ”.

თქვენ მათ ხატავთ

იმავე ფორმაში “თქვენ მათ ხატავთ” მეშვიდე და მერვე სურათებზე კი მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება მათ-ტრაექტორიით, რადგანაც აქ გვაქვს მესამე პირის მრავლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

ისინი მათ ხატავენ

პირველ, მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია სუბიექტი “ისინი” მრავლობითობის განმეორებითი ჟესტით. მეოთხე და მეხუთე სურათებზე გამოსახულია პირდაპირი ობიექტი “მათ”. მეექვსე და მეშვიდე სურათებზე ასახულია ზმნის ფორმა “ხატავენ”.

ისინი მათ ხატავენ

იმავე ფორმაში მერვე და მეცხრე სურათებზე კი მოცემულია ობიექტის ნიშანი, რომელიც მიემართება მათ-ტრაექტორიით, რადგანაც აქ გვაქვს მესამე პირის მრავლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი.

როგორ გამოიყურება ენობრივი სიტუაცია ქართულ ჟესტურ ენაში, როდესაც იმავე ზემოთ წარმოდგენილ ზმნურ ფორმებში პირდაპირი ობიექტი არის არა ნაცვალსახელი, არამედ სახელი? ორპირიან ფორმებთან აქაც გვაქვს ორი თეორიული ვარიანტი:

1. მე ვხატავ სახლს – წარმოდგენილია მიმართების ნიშანი პირდაპირ ობიექტთან:

მე ვხატავ სახლს

პირველ სურათზე მოცემულია სუბიექტი, პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი "მე". მეორე და მესამე სურათებზე ასახულია ზმნის ძირითადი ლექსიკური ერთეული "ვხატავ". მეოთხე და მეხუთე სურათებზე გამოსახულია პირდაპირი ობიექტი "სახლს". აქედან ბოლო, მეხუთე სურათზე გამოსახულია მიმართების ნიშანი, რომელიც დაერთვის პირდაპირ ობიექტს.

2. მე ვხატავ სახლს – წარმოდგენილია ოდენ ლექსიკური ერთეულები:

მე ვხატავ სახლს

პირველ სურათზე მოცემულია სუბიექტი, პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი "მე". მეორე და მესამე სურათებზე ასახულია ზმნის ძირითადი ლექსიკური ერთეული "ვხატავ". მეოთხე სურათზე გამოსახულია პირდაპირი ობიექტი "სახლს".

საგულისხმოა, რომ ქართულ ჟესტურ ენას აქვს სათანადო ენობრივი შესაძლებლობები, რომ მაინცდამაინც ნაცვალსახელური ფორმატით არ ასახოს ზმნის პირები, არამედ მას შეუძლია სხვა ტიპის ზმნური ენობრივი ფორმით ანუ პოლიპერსონალური ფორმატით მოგვცეს ჟესტები. ქართულ ჟესტურ ენას შეუძლია, თავიდან აიცილოს ობიექტური პირის ნაცვალსახელის გამოყენება:

მიხატავ შენ მე მას

პირველ სურათზე გამოსახულია სუბიექტი - მეორე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი "შენ". მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია ზმნის ფორმა "მიხატავ". აქ პირდაპირი ობიექტი არ არის მოცემული. არც ირიბი ობიექტია ფორმაში ასახული და ამის ნაცვლად მეოთხე და მეხუთე სურათებზე ასახულია ირიბი ობიექტის ნიშანი მე-ტრაექტორიით.

უხატავ შენ მას მას

პირველ სურათზე გამოსახულია სუბიექტი – მეორე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი "შენ". მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია ზმნის ფორმა "უხატავ". აქ პირდაპირი ობიექტი "მას" არ არის მოცემული, არც ირიბი ობიექტია

ასახული და ამის ნაცვლად მეოთხე და მეხუთე სურათებზე ასახულია ირიბი ობიექტის ნიშანი მას-ტრაექტორიით.

გიხატავ მე შენ მას

პირველ სურათზე გამოსახულია სუბიექტი – პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი "მე". მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია ზმნის ფორმა "გიხატავ". პირდაპირი ობიექტი არ არის გადმოცემული. ირიბის ნაცვლად კი მეოთხე და მეხუთე სურათებზე ასახულია ირიბი ობიექტის ნიშანი შენ-ტრაექტორიით.

ქართულ ჟესტურ ენას შეუძლია თავიდან აიცილოს სუბიექტური პირის ნაცვალსახელის გამოყენებაც. პირველ პირთან ეს საერთოდ არ არის პრობლემა. შეიძლება ითქვას, საერთოდაც არაობლიგატორულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტური პირის აღმნიშვნელი "მე" ნაცვალსახელის გამოყენება, რამდენადაც ზოგადად, ჟესტურ ენებში სხეული არის სუბიექტი – ანუ პირველი კომუნიკატორი პირი.

ვუხატავ მე მას მას

პირველ სურათზე გამოსახულია სუბიექტი – პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი "მე". მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია ზმნის ფორმა "ვუხატავ". პირდაპირი ობიექტი "მას" მიმართების ნიშნით ასახულია მეოთხე და მეხუთე სურათებზე. ხოლო მეექვსე და მეშვიდე სურათებზე გამოსახულია ირიბი ობიექტის ნიშანი მას-ტრაექტორიით.

ვუხატავ მე მას მას

ზმნის იმავე ფორმაში – "ვუხატავ" (მე მას მას) სუბიექტი – პირველი პირის მხოლობითი რიხცვის ნაცვალსახელი "მე" გამოტოვებულია. პირველ და მეორე სურათებზე მოცემულია ზმნის ფორმა "ვუხატავ". პირდაპირი ობიექტი "მას" მიმართების ნიშნით ასახულია მესამე და მეოთხე სურათებზე. ხოლო მეხუთე და მეექვსე სურათებზე გამოსახულია ირიბი ობიექტის ნიშანი მას-ტრაექტორიით.

ქართულ ჟესტურ ენაში სუბიექტური პირი მიმიკითაც შეიძლება იყოს გადმოცემული.

უხატავ შენ მას მას

პირველ და მეორე სურათებზე მიმიკით და არა ჟესტით გამოსახულია სუბიექტი – მეორე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი "შენ". მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემულია ზმნის ფორმა "უხატავ". მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი "მას" მიმართების ნიშნით ასახულია მეხუთე და მეექვსე სურათებზე. ხოლო მეშვიდე და მერვე სურათებზე გამოსახულია ირიბი ობიექტის ნიშანი მას-ტრაექტორიით.

უხატავს ის მას მას

პირველ და მეორე სურათებზე მიმიკით და არა ჟესტით გამოსახულია სუბიეტი – მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი "ის". მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემულია ზმნის ფორმა "უხატავს". პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი "მას" მიმართების ნიშნით ასახულია მეხუთე და მეექვსე სურათებზე. ხოლო მეშვიდე და მერვე სურათებზე წარმოდგენილია ირიბი ობიექტის ნიშანი მას-ტრაექტორიით.

ქართულ ჟესტურ ენას საერთოდ შეუძლია თავიდან აიცილოს სუბიექტური და ობიექტური პირის ნაცვალსახელების შესაბამისი ჟესტების გამოყენება.

უხატავ შენ მას მას

პირველ და მეორე სურათებზე მიმიკით და არა ჟესტით გამოსახულია სუბიექტი – მეორე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “შენ”. მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემულია ზმნის ფორმა “უხატავ”. მეხუთე და მეექვსე სურათებზე ნაცვლად მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ირიბი ობიექტისა “მას”, გამოსახულია ობიექტის ნიშანი მასტრაექტორიით. მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “მას” გადმოცემული არ არის და ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ამ ენისთვის.

მიხატავს ის მე მას

პირველ და მეორე სურათებზე მიმიკით და არა ჟესტით გამოსახულია სუბიექტი – მესამე პირის მხოლობითი რიხცვის ნაცვალსახელი “ის”. მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემულია ზმნის ფორმა “მიხატავს”. მეხუთე და მეექვსე სურათებზე ნაცვლად მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ირიბი ობიექტისა “მე”, წარმოდგენილია ობიექტის ნიშანი მეტრაექტორიით. მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “მას” გადმოცემული არ არის.

რამდენადაც ქართულ ჟესტურ ენას აქვს საშუალება, რომ გადმოსცეს ობიექტი თავისი დამატებითი ნიშნით, ეს იძლევა იმის საფუძველს, რომ სინტაქსი იყოს თავისუფალი. ზმნის სუბიექტური და ობიექტური პირების განსაზღვრისათვის სიტყვათა რიგი უკვე რელევანტური აღარაა. მაგალითად, რომელიმე “გიხატავ” ფორმას ყველა შესაძლო კომბინაცია შეიძლება ჰქონდეს. ქვემოთ მოყვანილ ფორმებში მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “მას” გადმოცემული არ არის. ცხადია, თუკი ეს პირდაპირი ობიექტიც იქნება ასახული, შესაძლებელ ფორმათა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. აქ ჩვენ გააზრებულად ავარიდეთ თავი სასხვისო ქცევის ნიშნის ორხელიანი ჟესტის წარმოჩინებას და მხოლოდ ზმნის პირთა რეფერენციით შემოვიფარგლეთ. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ირიბი ობიექტისა და სასხვისო ქცევის ნიშნები ზმნაში ერთდროულად არ გვხვდება. ენაში ეს გააზრებულია, როგორც რეფერენტთა სიჭარბე და როდესაც ქცევის ნიშანია წარმოდგენილი, ის თავის თავში მოიცავს ირიბი ობიექტის მარკირებასაც.

გიხატავ მე შენ მას

“გიხატავ” (მე შენ მას) მოცემული წყობა იწყება სუბიექტით – პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელით “მე”, რომელიც ასახულია პირველივე სურათზე. მეორე სურათზე მოცემულია პირდაპირი ობიექტი – მეორე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელით “შენ”. მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახულია ზმნის ფორმა ”გიხატავ”.

მეხუთე და მეექვსე ფოტოებზე კი მოცემულია ირიბი ობიექტის ნიშანი შენ-ტრაექტორიით. მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი "მას" გადმოცემული არ არის. საკმაოდ ხშირია, როდესაც პირდაპირი ობიექტი არის მესამე პირის უსულო საგანი და მისი მარკირება თანამედროვე სამეტყველო ქართულშიც არ ხდება. ქართულ ჟესტურ ენაშიც ხშირად არ აისახება, არამედ იგულისხმება ასეთი ობიექტი, ან ის პირდაპირ საგნითაა გადმოცემული.

გიხატავ მე შენ მას

"გიხატავ" (მე შენ მას) მოცემული წყობა იწყება პირდაპირი ობიექტით – მეორე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელით "შენ", რომელიც ასახულია პირველ სურათზე. მეორე სურათზე მოცემულია სუბიექტით – პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი "მე". მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახულია ზმნის ფორმა "გიხატავ". მეხუთე და მეექვსე ფოტოებზე კი მოცემულია ირიბი ობიექტის ნიშანი შენ-ტრაექტორიით. მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი "მას" მარკირებული არ არის.

გიხატავ მე შენ მას

"გიხატავ" (მე შენ მას) მოცემული წყობა იწყება სუბიექტით – პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელით "მე", რომელიც ასახულია პირველსავე სურათზე. მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია ზმნის ფორმა "გიხატავ". მეოთხე სურათზე გამოსახულია პირდაპირი ობიექტი – მეორე პირის მხოლობითი რიხცვის ნაცვალსახელით "შენ". მეხუთე და მეექვსე ფოტოებზე კი მოცემულია ირიბი ობიექტის ნიშანი შენ-ტრაექტორიით. მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი "მას" გადმოცემული არ არის.

გიხატავ მე შენ მას

"გიხატავ" (მე შენ მას) მოცემული წყობა იწყება პირდაპირი ობიექტით – მეორე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელით "შენ", რომელიც ასახულია პირველ სურათზე. მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია ზმნის ფორმა "გიხატავ". მეოთხე სურათზე გამოსახულია სუბიექტი – პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი "მე". მეხუთე და მეექვსე ფოტოებზე კი მოცემულია ირიბი ობიექტის ნიშანი შენ-ტრაექტორიით. მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი "მას" გადმოცემული არ არის.

გიხატავ მე შენ მას

“გიხატავ” (მე შენ მას) მოცემული წყობა იწყება ზმნის ფორმით ”გიხატავ”, რომელიც ასახულია პირველ და მეორე სურათებზე. მესამე სურათზე მოცემულია სუბიექტი – პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “მე”. მეოთხე სურათზე გამოსახულია ირიბი ობიექტით – მეორე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “შენ” და ბოლო ორ სურათზე – მეხუთე და მეექვსე ფოტოებზე კი წარმოდგენილია ირიბი ობიექტის ნიშანი შენ-ტრაექტორიით. მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “მას” გადმოცემული არ არის.

გიხატავ მე შენ მას

“გიხატავ” (მე შენ მას) მოცემული წყობა იწყება ზმნის ფორმით ”გიხატავ”, რომელიც ასახულია პირველ და მეორე სურათებზე. მესამე სურათზე მოცემულია ირიბი – მეორე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “შენ”. მეოთხე სურათზე გამოსახულია სუბიექტი – პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “მე”. ბოლო ორ სურათზე – მეხუთე და მეექვსე ფოტოებზე კი მოცემულია ირიბი ობიექტის ნიშანი შენ-ტრაექტორიით. მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “მას” გადმოცემული არ არის.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ენობრივი სურათი დამახასიათებელი არის მხოლოდ პოლიპერსონალური ზმნის მქონე ენათათვის. ამდენად, ეს ლინგვისტური ფაქტი ქართულ ჟესტურ ენას სტრუქტურულად

განასხვავებს სხვა ჟესტური ენებისგან. ცხადია, ამას საფუძვლად უდევს ქართული სამეტყველო ენისთვის დამახასიათებელი მდიდრული ზმნური პალიტრა.

4. გეზი და ორიენტაცია

ქართულ ჟესტურ ენაში აღინიშნება გეზისა და ორიენტაციის მორფოსემანტიკური კატეგორიების არსებობა. როგორც ეს უკვე ზემოთ აღვნიშნეთ (თავში “სივრცე”), ქართულ სამეტყველო ენაში ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრად გამოხატული სივრცითი გრამატიკული ფორმებია ზმნისწინები და ეს ენობრივი მოვლენა იმავენაირი მდიდარი პალიტრით მეორდება ქართულ ჟესტურ ენაშიც. ამ ორივე ენაში ზმნისწინების უპირველესი მორფოსემანტიკური ფუნქციაა ზმნის მოქმედების მიმართულების გადმოცემა. მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან ეს ფუნქცია განსაკუთრებით თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი. ენაში წარმოდგენილია სააქეთო ორიენტაცია ანუ პირველი პირისკენ მიმართული ზმნის მოქმედება და საოპოზიციოდ გვაქვს საიქეთო ორიენტაციაც – ზმნის მოქმედების მიმართულება არა მოსაუბრე პირისკენ ან პირველი პირიდან სხვა მიმართულებით განსული მოქმედება. ზმნისწინის მიერ გამოხატული სააქეთო ორიენტაციის ხაზი მკერდის დონეზე გადის.

ქართულ ჟესტურ ენაში ზმნისწინით ნაჩვენებია შემდეგი მიმართულებები:

აფრინდა

ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება ქვემოდან ზემოთ. ეს არის საიქეთო ორიენტაციის ზმნისწინი.



ამოფრინდა

ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება ქვემოდან ზემოთ, იქით, სადაც მოსაუბრე (პირველი) პირია. წარმოდგენილი ზმნისწინის ფორმაში გვაქვს სააქეთო ორიენტაცია.



ჩაფრინდა

ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება ზემოდან ქვემოთ. ეს არის საიქეთო ორიენტაციის ზმნისწინი.



ჩამოფრინდა

ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება ზემოდან ქვემოთ, იქით, სადაც მოსაუბრე (პირველი) პირია. აქ არის სააქეთო ორიენტაცია.



შეფრინდა

როგორც ისარი გვიჩვენებს, ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება გარედან შიგნით. ეს არის საიქეთო ორიენტაციის ზმნისწინი.



შემოფრინდა

ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება გარედან შიგნით, იქით, სადაც მოსაუბრე (პირველი) პირია. წარმოდგენილი ზმნისწინის ფორმაში გვაქვს სააქეთო ორიენტაცია.



გაფრინდა

როგორც ისარი გვიჩვენებს, ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება შიგნიდან გარეთ. ეს არის საიქეთო ორიენტაციის ზმნისწინი.



გამოფრინდა

მოქმედება სრულდება შიგნიდან გარეთ, იქით სადაც მოსაუბრე (პირველი) პირია. ზმნისწინის ფორმაში წარმოდგენილი გვაქვს სააქეთო ორიენტაცია.



გადაფრინდა

ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება ბარიერის გადალახვით. ეს არის საიქეთო ორიენტაციის ზმნისწინი.



გადმოფრინდა

მოქმედება სრულდება ბარიერის გადალახვით, იმ მიმართულებით, სადაც მოსაუბრე (პირველი) პირია. ზმნისწინის ფორმაში წარმოდგენილი გვაქვს სააქეთო ორიენტაცია.



წავიდა

როგორც ისარი გვიჩვენებს, ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება აქედან იქით. ეს არის საიქეთო ორიენტაციის ზმნისწინი.



წამოვიდა

ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება აქედან იქით, იმ მიმართულებით, სადაც მოსაუბრე (პირველი) პირია. წარმოდგენილ ზმნისწინიან ფორმაში გვაქვს სააქეთო ორიენტაცია.

s ←

მო

მოფრინდა

როგორც ისარი გვიჩვენებს, ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება იქიდან აქეთ, სადაც მოსაუბრე (პირველი) პირია. ეს არის სააქეთო ორიენტაციის ზმნისწინი.

→

მი

მიფრინდა

ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება აქედან იქით. ეს არის საიქეთო ორიენტაციის ზმნისწინი.

←
→

მი-მო

მიმოდის

როგორც ისრები გვიჩვენებს, “მი-მო-” და “და-” ზმნისწინებთან ზმნით გამოხატული მოქმედება სრულდება აქეთ-იქით.

↔

და

დაფრინავს

უნდა აღინიშნოს, რომ “და-” ზმნისწინის პირველადი ფუნქციაა ზემოდან ქვემოთ მიმართული ზმნის მოქმედების გადმოცემა.

დ ა

დაფრინდა

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ მოყვანილ მაგალითებში გააზრებულად ავარიდეთ თავი ზმნის პირების დართვას, ასევე დროისა და ასპექტის გამომსახველი ჟესტების დართვას, რამდენადაც ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანი იყო კონკრეტული ზმნური კატეგორიის – ზმნისწინის სივრცითი მიმართულებების ჩვენება. აქედან გამომდინარე, ჩვენ მხოლოდ ზმნის სრული ფორმის ნაწილი - სრული ჟესტის ლექსიკური ფრაგმენტი ავიღეთ, სადაც სივრცითი მაჩვენებელია დაფიქსირებული.

აქვე გვინდა დავუმატოთ ისიც, რომ ზემოთ მოყვანილ მაგალითებში "ფრენა" ზმნა ჩიტის ფრენას მოიაზრებს. საერთოდ კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ ჟესტურ ენაში ეს ზმნა კლასის კატეგორიას განასხვავებს.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქართულ ჟესტურ ენაში მოქმედება ხშირად აისახება პანტომიმური მოძრაობით და ჟესტის მეორე ნაწილია ზმნისწინი, განსხვავებით

ქართული სამეტყველო ენისგან, სადაც იგი წინ უძღვის ზმნას. მნიშვნელოვანია, იმის ხაზგასმა, რომ ქართულ ჟესტურ ენაში ხშირად პანტომიმური მოძრაობა ხელით მიჰყვება ზმნისწინის ვექტორულ ისარს და არა გვაქვს ცალკე გამოკვეთილი ზმნისწინი.

ქართულ ჟესტურ ენაში ზმნები, უმეტესწილად, პანტომიმური მრავალფაზიანი ჟესტებით პირდაპირ იძლევიან მოქმედების ტრაექტორიის ვექტორებს. მდგომარეობის გამომხატველი ზმნებში (დევს, წევს, ზის, დგას) ლოკალური აღწერითი ჟესტი გადმოსცემს საგნის სივრცეში განლაგებას.

5. ზმნის დრო

ზემოთ მოყვანილ თავში "დრო" წარმოვადგინეთ ქვეთავი "მოქმედების დრო", სადაც ვისაუბრეთ ზმნის დროებზე და აღვნიშნეთ, რომ დროის გადმოცემისას მიმიკას აქვს გრამატიკული მნიშვნელობა. ერთი და იმავე ჟესტი სხვადასხვა დროით შინაარსს იძენს კონკრეტული მიმიკით. მოქმედების დრო შემდეგი მიმიკით გადმოიცემა:

აწმყო არის აწურული ლოყებითა და გრძივად მოჭუტული თვალებით გადმოცემული მიმდინარე დრო.

მომავალი გადმოიცემა აწეული წარბებით და თხოვნითი სავარაუდო- სამომავლო ელფერით.

წარსული უფრო კატეგორიული მიმიკით ხასიათდება, როგორც მომხდარი ფაქტი.

გარდა მიმიკისა, ზმნის დროთა გადმოსაცემად ჟესტური ერთეულებიც გამოიყენება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კონკრეტული განსახილველი საკითხის უკეთ წარმოჩინების მიზნით ჩვენ გააზრებულად ვარიდებთ თავს ზმნის პირების წარმოდგენას ქვემოთ მოყვანილ ფორმებთან და მხოლოდ დროისა და ზმნის ლექსიკურ ფორმებს წარმოვადგენთ, ანუ აქ წარმოდგენილია სრული ფორმის ფრაგმენტი. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ფორმები, რა თქმა უნდა, პირთა კომბინაციის კონკრეტული ფორმებია და ზემოთ აღწერილი მოდელების მიხედვით იქნება წარმოდგენილი სრულყოფილი სახით.

1. ხატავს

ხატავს

2. მომავალი დრო წინ წაწეული ხელით გამოსახული ჟესტით გამოისახება:



მომავალი დრო

დახატავს

აქ მომავალი დროის გამომხატველი ჟესტი გვაქვს. ჯერ ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ამსახველი ჟესტია გამოსახული პირველ ორ სურათზე და მერე მოდის მომავალი დროის ჟესტი მესამე და მეოთხე სურათებზე – წინ წაწეული ხელით გამოსახული ჟესტი. თუმცა ზოგი წყარო ამ ორ ფორმანტს სხვა თანამიმდევრობითაც გვიჩვენებს:

დახატავს

აქ ჯერ მომავალი დროის ჟესტია გამოსახული პირველ ორ სურათზე და მერე მოდის ზმნის ამსახველი ჟესტი – მესამე და მეოთხე სურათებზე.

3. წარსულის მაჩვენებელი ჟესტი უკან გადაქნეული ხელით გამოსახული ჟესტია.

წარსული დრო

აღსანიშნავია, რომ სრული წარსული დროის გადმოსაცემად ქართულ ჟესტურ ენას აქვს შესაბამისი გრამატიკული ერთეული:

სრული წარსული დროის გამომხატველი ნიშანი "უკვე" არის ორი ხელის მკერდის დონეზე დაქნევა, როგორც ხდება სველი ხელების გაფერთხვა. ზოგჯერ ეს ნიშანი შეიძლება ერთა ხელითაც იყოს წარმოდგენილი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ფორმაში "დახატა".

ერთხელიანი სრული დროის ჟესტი:

სრული დრო

როდესაც ჟესტურ ფორმაში გვაქვს სრული დრო, იქ წარსული დროის ნიშანი აღარ იქნება, რადგანაც ეს უკვე თავისთავად მოიაზრებს შესრულებულ ზმნურ აქტს. თუმცა ზოგჯერ ადგილი აქვს რეფერენტთა სიჭარბესაც. ეს იშვიათი შემთხვევებია ამ ენაში.

დახატა

წარმოდგენილ ფორმაში ჯერ ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ამსახველი ჟესტია გამოსახული პირველ ორ სურათზე და მერე მოდის წარსული დროის ჟესტი მესამე და მეოთხე სურათებზე. თუმცა ზოგი წყარო ამ ორ ფორმანტს სხვა თანამიმდევრობითაც გვიჩვენებს:

დახატა

ამ ფორმაში გვაქვს ჯერ წარსული სრული დროის აღმნიშვნელი ჟესტი პირველ ორ სურათზე და შემდეგ მოდის ზმნა მესამე და მეოთხე სურათებზე.



განგრძოგითოგის ნიშანი

ხატავდა

წარმოდგენილ ფორმაში პირველ და მეორე სურათებზე ასახულია ზმნის ძირითადი ლექსიკური ჟესტი. მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახულია წარსული დროის ნიშანი. მეოთხე და მეხუთე სურათებზე მოცემულია მოქმედების განგრძობითობის ნიშანი.

ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მიმდინარე ეტაპზე, როდესაც ჯერ არის შემუშავებული ქართული ჟესტური ენის ნორმები, აღინიშნება დიდი სხვადასხვაობა ზმნის ფორმებში მოცემული დრო-კილოთა გამომხატველი ჟესტების თანამიმდევრობის თვალსაზრისით. მაგალითად, გვაქვს ასეთი ვარიანტები:

1. არა გვაქვს წარსული დროის ნიშანი და ეს დასაშვებია, რადგანაც ამ ფორმაში სრული დრო ნიშნავს უკვე დასრულებულ, უკვე შესრულებულ მოქმედებას.

მან მე დამხატა

პირველი სამი სურათი გვიჩვენებს მესამე პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტს "მან". ერგატივის ნიშანი მოცემული გვაქვს მეორე და მესამე სურათებზე. მეოთხე სურათზე გამოსახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი "მე". მეხუთე და მეექვსე სურათებზე გადმოცემულია ზმნის ლექსიკური ფორმა "დამხატა". მეშვიდე და მერვე სურათებზე გადმოცემულია პირდაპირი ობიექტის ნიშანი მე-ტრაექტორიით და მეცხრე და მეათე სურათებზე ასახულია სრული დროის ნიშანი.

2. გვაქვს სრული დროის ნიშანიც და წარსული დროის ნიშანიც:

მან მე დამხატა

პირველი სამი სურათი გვიჩვენებს მესამე პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტს “მან”. ერგატივის ნიშანი მოცემული გვაქვს მეორე და მესამე სურათებზე. მეოთხე სურათზე გამოსახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “მე”. მეხუთე და მეექვსე სურათებზე გადმოცემულია წარსული დროის ნიშანი. მეშვიდე და მერვე სურათებზე წარმოდგენილია

ზმნის ლექსიკური ფორმა “დამხატა”. მეცხრე და მეათე სურათებზე გადმოცემულია პირდაპირი ობიექტის ნიშანი მე-ტრაექტორიით და მეთერთმეტე და მეთორმეტე სურათებზე ასახულია სრული დროის ნიშანი.

3. გვაქვს წარსული დროის ნიშანი და არა გვაქვს სრული დროის ნიშანი:

მან მე დამხატა

პირველი სამი სურათი გვიჩვენებს მესამე პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტს “მან”. ერგატივის ნიშანი მოცემული გვაქვს მეორე და მესამე სურათებზე. მეოთხე სურათზე გამოსახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “მე”. მეხუთე და მეექვსე სურათებზე გადმოცემულია წარსული დროის ნიშანი. მეშვიდე და მერვე სურათებზე წარმოდგენილია ზმნის ლექსიკური ფორმა “დამხატა”. მეცხრე და მეათე სურათებზე გადმოცემულია პირდაპირი ობიექტის ნიშანი მე-

ტრაექტორიით. როგორც ვხედავთ, ეს ფორმა იმეორებს წინა ფორმას ბოლო ორი სურათის გამოკლებით.

6. ასპექტი

ასპექტი არის ქართული ზმნის კატეგორია, რომელიც ზმნით გამოხატულ მოქმედებას გვიჩვენებს დასრულებული ან დაუსრულებელი სახით. ამრიგად, ქართულში გვაქვს ორი ტიპის ასპექტი: სრული და უსრული. ამ თვალსაზრისით, შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ წინა ქვეთავში მოყვანილი ორი მაგალითი “ხატავდა” და “დახატა” ან ქვემოთ მოყვანილი ორი ფორმა “მან მე დამხატა” და “ის მე მხატავდა”.

მან მე დამხატა

აქ პირველი სამი სურათი გვიჩვენებს მესამე პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტს “მან”. ერგატივის ნიშანი მოცემული გვაქვს მეორე და მესამე სურათებზე. შემდეგ მეოთხე სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “მე”. მეხუთე და მეექვსე სურათებზე გადმოცემულია ზმნის ლექსიკური ფორმა “დამხატა”. მეშვიდე და მერვე სურათებზე მოცემულია პირდაპირი ობიექტის ნიშანი

მე-ტრაექტორიით და ბოლო ორ სურათზე მეცხრე და მეათე სურათებზე გამოსახულია სრული დროის ნიშანი.

ის მე მხატავდა

აქ პირველი სურათი გვიჩვენებს მესამე პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტს “ის”. მეორე სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “მე”. მესამე და მეოთხე სურათებზე გადმოცემულია ზმნის ლექსიკური ფორმა “მხატავდა”.

მეხუთე და მეექვსე სურათებზე მოცემულია პირდაპირი ობიექტის ნიშანი მე-ტრაექტორიით და ბოლო ორ სურათზე კი გამოსახულია მოქმედების განგრძობითობის ნიშანი.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ქართულ ჟესტურ ენაში სრული დროის ნიშანი არის შესაბამისი ორხელიანი ან ერთხელიანი ჟესტი, რომელიც ნიშნავს უკვე მომხდარს, დასრულებულს. ეს არის სველი ხელების დაფერთხვის პანტომიმური ჟესტი.

იგივე ნიშანი შეგვიძლია მივიჩნიოთ სრული ასპექტის ნიშნად. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ქართულ სამეტყველო ენაში ზმნისწინს აქვს ასპექტის დასრულების ფუნქცია. ეს ფუნქცია მას ქართულ ჟესტურ ენაში არ გააჩნია და, საერთოდ, ზმნისწინის ფუნქციები ამ ენაში მხოლოდ სივრცითი მიმართებების გადმოცემით შემოიფარგლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზმნისწინს ქართულ ჟესტურ ენაში მხოლოდ გეზისა და ორიენტაციის მორფო-სემანტიკურ ფუნქციათა გადმოცემა შეუძლია.

უსრული ასპექტის ჟესტური ნიშანი არის ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, რომელიც მიუთითებს, რომ მოქმედება გრძელდება ან დიდხანს გრძელდებოდა. შესაბამისად, ეს ნიშანი შეგვიძლია მივიჩნიოთ უსრული ასპექტის ნიშნად.



განგრძოგითოგის ნიშანი

განგრძობითი დროები, სათანადოდ, გაგრძელებული და შენელებული პანტომიმური მოძრაობებით გადმოიცემა. ზოგჯერ ხდება ჟესტის ნელი მოძრაობით განმეორება. ერთმანეთს შევუდაროთ ქვემოთ მოყვანილი ფორმები:

ხატავდა

პირველ და მეორე სურათებზე მოცემული გვაქვს "ხატავდა" ზმნის ძირეული ლექსიკური ფორმა. მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახულია წარსული დროის ჟესტი, ხოლო ბოლო ორ ფოტოზე – მეხუთე და მეექვსე ფოტოებზე ასახულია განგრძობითობის ნიშანი.

ხატავდა

პირველ და მეორე სურათებზე მოცემული გვაქვს "ხატავდა" ზმნის ძირეული ლექსიკური ფორმა, რომელიც ასევე მეორდება მესამე და მეოთხე სურათებზეც.

წერდა

პირველ და მეორე სურათებზე მოცემული გვაქვს "წერდა" ზმნის ძირეული ლექსიკური ფორმა. მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახულია წარსული დროის ჟესტი, ხოლო ბოლო ორ ფოტოზე – მეხუთე და მეექვსე ფოტოებზე ასახულია განგრძობითობის ნიშანი.

წერდა

პირველ და მეორე სურათებზე მოცემული გვაქვს "წერდა" ზმნის ძირეული ლექსიკური ფორმა, რომელიც ასევე მეორდება მესამე, მეოთხე და მეხუთე სურათებზეც.

აკეთებდა

პირველ და მეორე სურათებზე მოცემული გვაქვს "აკეთებდა" ზმნის ძირეული ლექსიკური ფორმა. მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახულია წარსული დროის ჟესტი, ხოლო ბოლო ორ სურათზე – მეხუთე და მეექვსე ფოტოებზე ასახულია განგრძობითობის ნიშანი.

აკეთებდა

პირველ და მეორე სურათებზე მოცემული გვაქვს “წერდა” ზმნის ძირეული ლექსიკური ფორმა, რომელიც ასევე მეორდება მესამე და მეოთხე სურათებზეც.

როგორც ვხედავთ, ყოველ მეორე მაგალითში წარსული დროის ნიშანი არაა გადმოცემული. თხრობისას ერთხელ მინიშნებული წარსული დროის ჟესტი შეიძლება უკვე აღარ განმეორდეს გაბმულ მეტყველებაში. განგრძობითობის გადმოცემა კი მოქმედების ამსახველი ჟესტის განმეორებით ხდება (აქვე დავსძენთ იმასაც, რომ ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ჩვენ გააზრებულად არ ავსახეთ ზმნის პირები).

ისევე, როგორც დროის ზმნურ კატეგორიას, განგრძობითობის გამოხატვასაც აქვს თავისი შესაბამისი ვარიანტები ქართულ ჟესტურ ენაში:

1. ფორმაში გვაქვს წარსული დროის ნიშანიც და განგრძობითობის ნიშანიც:

ის მე მხატავდა

აქ პირველი სურათი გვიჩვენებს მესამე პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტს “ის”. მეორე სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “მე”. მესამე და მეოთხე

სურათებზე გადმოცემულია წარსული დროის ნიშანი. მეხუთე და მეექვსე სურათებზე წარმოდგენილია ზმნის ლექსიკური ფორმა “მხატავდა”. მეშვიდე და მერვე სურათებზე მოცემულია პირდაპირი ობიექტის ნიშანი მე-ტრაექტორიით და ბოლო ორ სურათზე კი გამოსახულია მოქმედების განგრძობითობის ნიშანი.

2. ფორმაში გვაქვს განგრძობითობის ნიშანი და არა გვაქვს წარსული დროის ნიშანი:

ის მე მხატავდა

პირველი სურათი გვიჩვენებს მესამე პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტს “ის”. მეორე სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “მე”. მესამე და მეოთხე

სურათებზე წარმოდგენილია ზმნის ლექსიკური ფორმა “მხატავდა”. მეხუთე და მეექვსე სურათებზე მოცემულია პირდაპირი ობიექტის ნიშანი მე-ტრაექტორიით. მეშვიდე და მერვე სურათებზე კი გამოსახულია მოქმედების განგრძობითობის ნიშანი.

3. ფორმაში გვაქვს წარსული დროის ნიშანი და არა გვაქვს განგრძობითობის ნიშანი. ცხადია, ასეთ ფორმაში განგრძობითობა აღარ იკითხება მკაფიოდ. მაგრამ რადგანაც არა გვაქვს სრული დროის ნიშანი, ასეთი ფორმა მაინც ძალაშია და საბოლოოდ, ქართული ჟესტური ენის ნორმათა დადგენამ უნდა გადაწყვიტოს ამ ტიპის საკითხები.

ის მე მხატავდა

აქ პირველი სურათი გვიჩვენებს მესამე პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტს "ის". მეორე სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი "მე". მესამე და მეოთხე

სურათებზე გადმოცემულია წარსული დროის ნიშანი. მეხუთე და მეექვსე სურათებზე წარმოდგენილია ზმნის ლექსიკური ფორმა "მხატავდა". მეშვიდე და მერვე სურათებზე მოცემულია პირდაპირი ობიექტის ნიშანი მე-ტრაექტორიით.

7. გზისობა

აკად. ა. შანიძის განსაზღვრებით, "გზისობა არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენგზის არის მოქმედება ჩადენილი, ერთგზის თუ მრავალგზის, ანუ ერთხელ თუ მრავალჯერ" (შანიძე, 1980:210). შესაბამისად, ქართულ ზმნას აქვს საშუალება, აღნიშნოს მოქმედების ჩადენის რაოდენობა. როგორც ზმნური მორფოლოგიური კატეგორია, მრავალგზისობა არის უღლების კატეგორია და ხოლმეობითობის შინაარსით განისაზღვრება ქართულში.

ქართულ ჟესტურ ენას აქვს საშუალება, რომ უჩვენოს ზმნის მრავალგზისი მოქმედება. ამისათვის მას აქვს სათანადო მორფოლოგიური ჟესტური ნიშანი:

ხოლმე

ეს არის "ხოლმე" ერთხელიანი დინამიკური ჟესტი, რომელიც დაერთვის ზმნას და გვიჩვენებს განმეორებით მოქმედებას.

ხატავდა ხოლმე

პირველ და მეორე სურათებზე მოცემული გვაქვს “ხატავდა” ზმნის ძირეული ლექსიკური ფორმა. მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახულია გზისობის ჟესტი “ხოლმე”.

აკეთებდა ხოლმე

პირველ და მეორე სურათებზე მოცემული გვაქვს “აკეთებდა” ზმნის ცენტრალური ლექსიკური ფორმა. მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახულია გზისობის ჟესტი “ხოლმე”.

წერდა ხოლმე

პირველ და მეორე სურათებზე მოცემული გვაქვს “წერდა” ზმნის ცენტრალური ლექსიკური ფორმა. მესამე და მეოთხე სურათებზე წარმოდგენილია გზისობის ჟესტი “ხოლმე”.

მოქმედების მრავალგზისობა, შესაძლოა, რიცხვითი ფორმებითაც იყოს გადმოცემული:

ორჯერ

ეს არის ორხელიანი ასიმეტრიული ჟესტი, ორი თითით შესრულებული ნახევარწრიული მოძრაობა.

სამჯერ

ეს არის ორხელიანი ასიმეტრიული ჟესტი, სამი თითით შესრულებული ნახევარწრიული მოძრაობა.

ბევრჯერ

ეს არის ერთხელიანი, ორნაწილიანი ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია “ბევრი” (“ყელამდე”) და “რ” დაქტილით

შესრულებული ნახევარწრიული მოძრაობა. ეს გახლავთ ერთ-ერთი იშვიათი ფორმის ჟესტი, რომელიც რ-დაქტილით ბოლოვდება, სავარაუდოდ, რუსულის გავლენით – “много раз”.

ისევე როგორც ზემოთ განხილულ გრამატიკულ კატეგორიებს – ზმნის დროსა და ასპექტს, გზისობის ზმნური კატეგორიის გამოხატვასაც აქვს თავისი ვარიანტები ქართულ ჟესტურ ენაში:

1. ფორმაში არის წარსულის ნიშანიც და არის გზისობის ნიშანიც:

ის მე მხატავდა

პირველი სურათი გვიჩვენებს მესამე პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტს “ის”. მეორე სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “მე”. მესამე და მეოთხე

სურათებზე გადმოცემულია წარსული დროის ნიშანი. მეხუთე და მეექვსე სურათებზე წარმოდგენილია ზმნის ლექსიკური ფორმა “მხატავდა”. მეშვიდე და მერვე სურათებზე მოცემულია პირდაპირი ობიექტის ნიშანი მე-ტრაექტორიით და ბოლო ორ სურათზე კი გამოსახულია ხოლმეობითობის ნიშანი.

2. ფორმაში არის გზისობის ნიშანი და არ არის წარსულის ნიშანი:

ის მე მხატავდა

პირველი სურათი გვიჩვენებს მესამე პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტს “ის”. მეორე სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “მე”. მესამე და მეოთხე

სურათებზე წარმოდგენილია ზმნის ლექსიკური ფორმა “მხატავდა”. მეხუთე და მეექვსე სურათებზე მოცემულია პირდაპირი ობიექტის ნიშანი მე-ტრაექტორიით და ბოლო ორ სურათზე კი გამოსახულია ხოლმეობითობის ნიშანი.

3. ფორმაში არის წარსულის ნიშანი და არ არის გზისობის ნიშანი:

ის მე მხატავდა

პირველი სურათი გვიჩვენებს მესამე პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტს "ის". მეორე სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი "მე". მესამე და მეოთხე

სურათებზე წარმოდგენილია წარსული დროის ნიშანი. მეხუთე და მეექვსე სურათებზე მოცემულია ზმნის ლექსიკური ფორმა "მხატავდა". ბოლო ორ სურათზე კი გამოსახულია პირდაპირი ობიექტის ნიშანი მე-ტრაექტორიით.

ეს ფორმა დაემთხვევა განგრძობითობის იმ ფორმას, სადაც გვაქვს წარსული დროის ნიშანი და არა გვაქვს განგრძობითობის ნიშანი. თუმცა აქ უნდა აღინიშნოს დროის აღმნიშვნელ სემანტიკათა საერთო ზმნური საფუძველიც.

8. გვარი

გვარი არის ზმნის კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს ურთიერთობას ზმნით გამოხატულ მოქმედებასა და სუბიექტს შორის. ქართულ სამეტყველო ენაში არის სამი ტიპის გვარი:

1. მოქმედებითი გვარი – ეს არის გარდამავალი ზმნები, როდესაც სუბიექტი მოქმედებს და აქვს სამოქმედო საგანი პირდაპირი ობიექტის სახით, მაგალითად: აგორებს, ადუღებს.

2. ვნებითი გვარი – არის ზმნის ფორმა, როდესაც სუბიექტი თავად განიცდის ზემოქმედებას და არის შედარებით პასიური. აქ გვაქვს ერთპირიანი ან ორპირიანი გარდაუვალი ზმნები; მაგალითად: გორდება, დუღდება.

3. საშუალი გვარი – არის ზმნის ფორმა, როდესაც სუბიექტი მოქმედებს, მაგრამ არა აქვს სამოქმედო საგანი პირდაპირი ობიექტის სახით. ეს არის ერთპირიანი ან ორპირიანი გარდაუვალი ზმნები; მაგალითად: გორავს, დუღს.

ასეთია გვარის კატეგორიის კლასიკური გაგება. ქართული სამეტყველო ენის გვარის ოპოზიცია კი ქართულ ჟესტურ ენაში ასე გამოიყურება:

მოქმედებითი გვარის ფორმებში მნიშვნელოვანია პირდაპირი ობიექტის კლასი. ხშირად მოქმედება ამის მიხედვით არის განსხვავებული.

კალამს ვმალავ

აქ პირველ ორ სურათზე მოცემულია სიტყვა “კალამი” დატივში – პოსესიურ-დესტინაციურ ბრუნვაში. მესამე და მეოთხე სურათები კი ასახევენ მოქმედებითი გვარის ზმნას “ვმალავ”.

ადამიანს ვმალავ

აქ პირველ ორ სურათზე მოცემულია სიტყვა-ჟესტი “ადამიანი” (ანუ ორფეხი) დატივში – პოსესიურ-დესტინაციურ ბრუნვაში. მესამე და მეოთხე სურათები კი ასახავენ მოქმედებითი გვარის ზმნას “ვმალავ”.

ის აშენებს

აქ პირველ სურათზე მოცემულია სუბიექტი ის. მეორე და მესამე სურათები კი ასახავენ მოქმედებითი გვარის ზმნას “აშენებს”.

ქვას აგორებს

აქ პირველ სამ სურათზე მოცემულია სიტყვა “ქვას” აქედან მესამე სურათზე არის პოსესიურ-დესტინაციური ბრუნვის ნიშანი. მეოთხე და მეხუთე სურათები კი ასახევენ მოქმედებითი გვარის ზმნას “აგორებს”.

ვნებითი გვარი – აქ კლასის მიხედვით განსხვავებული აქტანტი არის ამ ფორმათა კონვერსირებული სუბიექტი.

ვიმალეგი

ეს არის ერთპირიანი, აბსოლუტური ფორმის ვნებითი. აქ ასახულია ორფეხი ანუ ადამიანის კლასი.

ვემალები

ეს არის ორპირიანი, რელაციური ვნებითი. პირველ სურათზე მოცემულია ირიბი ობიექტი “მას”. მეორე და მესამე სურათებზე კი აქ ასახულია ორფეხის (ადამიანის კლასის) მოქმედების გამომხატველი ვნებითი გვარის ზმნა “ვემალები”.

შენდება

პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია ვნებითი გვარის ზმნა “შენდება” და ბოლო ორ სურათზე მოცემული გვაქვს მოქმედების გაგრძელების მანიშნებელი ჟესტი.

კეთდება

პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია ვნებითი გვარის ზმნა “კეთდება” და ბოლო ორ სურათზე მოცემული გვაქვს ვნებითის დამახასიათებელი მოქმედების გაგრძელების მანიშნებელი ჟესტი. საგულისხმოა, რომ ეს ჟესტი განსხვავდება ზემოთ განხილული უსრული დროის ჟესტისგან.

ქვა გორდება

პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი “ქვა”. მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემულია ვნებითი გვარის ზმნა “გორდება” – ქვის დაგორების აღმნიშვნელი მოძრაობით, ანუ კლასის გამოხატვით. ბოლო ორ სურათზე კი მოცემული გვაქვს მოქმედების გაგრძელების მანიშნებელი ჟესტი.

წითლდება

მოცემულ ფორმაში პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი “წითელი”. მესამე, მეოთხე და მეხუთე სურათებზე მოცემულია ვნებითი გვარის ზმნა “წითლდება” – “სიწითლე ედება”. აქ გვაქვს მოქმედების გაგრძელების მანიშნებელი ჟესტი ნელი, გაგრძელებული დინამიკის ჟესტი.

საშუალი გვარი – აქ სუბიექტის კლასზეა აქცენტი.

ქვა გორავს

პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი “ქვა”. მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია საშუალი გვარის ზმნა “გორავს” – ქვის დაგორების აღმნიშვნელი მოძრაობით, ანუ კლასის გამოხატვით.

გორგალი გორავს

პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი “ბორბალი”. მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია საშუალი გვარის ზმნა “გორავს” კლასის გამოხატვით.

ადამიანი გორავს

როგორც ვნახეთ, ქართულ ჟესტურ ენაში ვნებით გვარს აქვს მოქმედების მიმდინარე პროცესის გამომხატველი ჟესტები:

1.

მიმდინარე პროცესი

ეს არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი – დინამიკური ვნებითის აწმყოსათვის.

2.

გაგრძელება

ეს არის ერთხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი, რომელიც მიგვითითებს გაგრძელებულ, სიშორეში წასულ და დაპატარავებულ რამეზე.

ქართულ ჟესტურ ენას აქვს შესაბამისი მორფოლოგიური საშუალებები, რომ ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცეს კონკრეტული ზმნური ფორმის მორფოლოგია და სემანტიკა.

ამ ენას შეუძლია ჟესტურად გვიჩვენოს სხვაობა გვარის ფორმათა შორის, მაგრამ თავად გვარის კატეგორიის იდენტური გრამატიკული დეფინიცია და, მეტადრე, მასთან დაკავშირებული ზმნის უღლებათა სირთულეები ქართული ჟესტური ენისთვის უცხოა.

9. ქცევა და რეფლექსივი

ქცევის კატეგორია ქართული ენის დესტინაციური სისტემის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიაა, რომელსაც მრავალმა ქართველმა და უცხოელმა მეცნიერმა უძღვნა თავისი გამოკვლევა. ტრადიციულ ენათმეცნიერებაში მიღებულია ქცევის კატეგორიის ა. შანიძისეული განმარტება: “ სუბიექტური პირისა და ობიექტური პირის (ან ობიექტური პირების) გარდა, ქართულ ზმნას მოეპოვება აგრეთვე საშუალება გამოხატოს, ა) რომ ობიექტი, რომელსაც ობიექტური პირი ეფარდება ფორმაში, არავისი კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმეა დანიშნული; ან ბ) ობიექტი მოქმედ პირს, ანუ სუბიექტურ პირს ეკუთვნის ან მისთვის არის განკუთვნილი; ან კიდევ

გ) ერთი ობიექტი მეორეს ეკუთვნის ან მისთვის არის განკუთვნილი. მოძღვრებას ქართული ზმნის ამ საშუალებათა შესახებ ეწოდება საქცევი, ხოლო თითოეულ ფორმას კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით განსხვავებულს – ქცევა ანუ ვერსია. ამის მიხედვით, გვაქვს სამი ქცევა: საარვისო, სათავისო და სასხვისო, ანუ ეს იგივეა, რაც სამი ვერსია: ნეიტრალური, სასუბიექტო და საობიექტო.

საარვისოა (ნეიტრალურია) ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი არავისი კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმეა განკუთვნილი (დანიშნული): “სახლს ვაშენებ”.

სათავისოა (სასუბიექტოა) ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის მოქმედ პირს, სუბიექტს, ან მისთვისაა განკუთვნილი: “სახლს ვიშენებ”.

ქართული ჟესტური ენა გამოიყენებს შესაბამის მორფოლოგიურ ნიშანს და ეს სათავისო ქცევის ნიშანი, რომელიც წარმოშობით ნიშნავს სიტყვას “საკუთრება”, წარმოდგენილია ორხელიანი ასიმეტრიული ორფაზიანი ჟესტით:

სათავისო ქცევის ნიშანი

სათავისო ქცევა მხოლოდ ორპირიანი გარდამავალი ანუ მოქმედებითი გვარის ზმნებისთვისაა დამახასიათებელი, სადაც პირდაპირი ობიექტი აუცილებლად მესამე პირია. ვერსიის ეს ფორმა არის ზმნური რეფლექსივის ფორმა.

სასხვისოა (საობიექტოა) ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი ირიბს ეკუთვნის ან ირიბისაათვისაა განკუთვნილი: “სახლს ვუშენებ”.

სასხვისო ქცევის ჟესტური ნიშანი არის ობიექტის ნიშნის ორმაგი ორხელიანი ფორმა, რომელიც მიემართება დესტინატი პირისკენ –ირიბი ობიექტისაკენ, რომლის ინტერესებისათვისაც სრულდება ზმნით გამოხატული მოქმედება.

სასხვისო ქცევის ნიშანი

აღსანიშნავია, რომ ობიექტის ნიშნის მსგავსად სასხვისო ქცევის ნიშანიც მიემართება ზმნის პირისკენ – ეს არის დესტინატორი პირი, ანუ ზმნის ის პირი, რომლის ინტერესებისათვისაც სრულდება ზმნით გამოხატული მოქმედება. სასხვისო ქცევაში ასეთი პირი არის ირიბი ობიექტი. ამიტომაც, სადაც გვაქვს ქცევის ნიშანი, იქ არასოდეს გვექნება არ ირიბი ობიექტის ნიშანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა რეფერენტთა სიჭარბე.

ერთმანეთს შევუდაროთ ქვემოთ მოყვანილი ფორმები ქცევის მორფო-სემანტიკური კატეგორიის მიხედვით.

1. საარვისო ქცევა “მე მას ვხატავ”

მე მას ვხატავ

პირველ სურათზე წარმოდგენილია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”. მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია “მას” – მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი მიმართების ნიშნით. მეოთხე და მეხუთე სურათებზე ასახულია ძირითადი ლექსიკური ფორმა ზმნისა “ვხატავ”.

2. სათავისო ქცევა “მე მას ვიხატავ”

მე მას ვიხატავ

აქ პირველ სურათზე წარმოდგენილია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”. მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია

სათავისო ქცევის ჟესტური ნიშანი. მეოთხე და მეხუთე სურათებზე გამოსახულია “მას” – მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი დატივში პოსესიურ-დანიშნულებითი ნიშნით. მეექვსე და მეშვიდე სურათებზე ასახულია ძირითადი ლექსიკური ფორმა ზმნისა “ვიხატავ”.

3. სასხვისო ქცევა “მე მას ვუხატავ”

მე მას ვუხატავ მას

აქ პირველ სურათზე წარმოდგენილია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”. მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია “მას” – მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი დატივში პოსესიურ-დანიშნულებითი ნიშნით. მეოთხე და მეხუთე სურათებზე ასახულია ძირითადი ლექსიკური ფორმა ზმნისა “ვუხატავ”. მეექვსე და მეშვიდე სურათებზე კი გამოსახულია სასხვისო ქცევის ჟესტური ნიშანი.

ვაკეთებ

აქ გვაქვს ნეიტრალური ვერსია. პირველ სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”, მეორე და მესამე სურათებზე გამოსახულია ძირითადი ზმნური ლექსიკური ერთეული “ვაკეთებ” (მე მას). მეოთხე

და მეხუთე სურათებზე მოცემული გვაქვს მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “მას” მიმართების ნიშნით.

ვიკეთებ

“ვიკეთებ” (მე მას) აქ გვაქვს სუბიექტური ვერსია. პირველ სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”, მეორე და მესამე სურათებზე ზმნის წინ გამოსახულია სათავისო ქცევის ნიშანი. მეოთხე და მეხუთე სურათებზე მოცემული გვაქვს ძირითადი ზმნური ლექსიკური ერთეული “ვიკეთებ”. მეექვსე და მეშვიდე სურათებზე გამოსახულია მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “მას” დატივში პოსესიურ-დანიშნულებითი ნიშნით.

ვუკეთებ

“ვუკეთებ” (მე მას მას) აქ გვაქვს ობიექტური ვერსია. პირველ სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”, მეორე და მესამე სურათებზე მოცემული გვაქვს ძირითადი ზმნური ლექსიკური ერთეული “ვუკეთებ”. მეოთხე და მეხუთე სურათებზე გამოსახულია მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “მას” დატივში პოსესიურ-დანიშნულებითი ნიშნით. მეექვსე და მეშვიდე სურათებზე კი ასახულია სასხვისო ქცევის ნიშანი მას-ტრაექტორიით.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ჟესტურ ენას აქვს რანგობრივი სხვადასხვაობა საობიექტო ქცევის კატეგორიის გამოხატვისას. კერძოდ, სასხვისო ქცევის ნიშნის ადგილი არაა მყარი. შევადაროთ ერთმანეთს ქვემოთ მოყვანილი მაგალითები:

1.

მე მას ვუხატავ მას

აქ პირველ სურათზე წარმოდგენილია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”. მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია “მას” – მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი დატივში პოსესიურ-დანიშნულებითი ნიშნით. მეოთხე და მეხუთე სურათებზე გამოსახულია ძირითადი ლექსიკური ფორმა ზმნისა “ვუხატავ”. მეექვსე და მეშვიდე სურათებზე კი ასახულია სასხვისო ქცევის ჟესტური ნიშანი.

2.

მე შენ გიხატავ მას

აქ პირველ სურათზე წარმოდგენილია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”. მეორე სურათზე ასახულია მეორე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “შენ”. მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემულია ძირითადი ლექსიკური ფორმა ზმნისა “გიხატავ”. მეხუთე და მეექვსე სურათებზე გამოსახულია სასხვისო ქცევის ჟესტური ნიშანი შენ-ტრაექტორიით. მეშვიდე და მერვე სურათებზე კი ასახულია “მას” – მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი დატივში პოსესიურ-დანიშნულებითი ნიშნით.

3.

მე მას ვუხატავ მას

წარმოდგენილ ფორმაში პირველ სურათზე მოცემულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”. მეორე და მესამე სურათებზე ასახულია “მას” – მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი დატივში პოსესიურ-დანიშნულებითი ნიშნით. მეოთხე და მეხუთე სურათებზე გამოსახულია სასხვისო ქცევის ჟესტური ნიშანი. ბოლოს კი

მეექვსე და მეშვიდე სურათებზე წარმოდგენილია ძირითადი ლექსიკური ფორმა ზმნისა “ვუხატავ”.

მნიშვნელოვანია იმ გარემოების ხაზგასმა, რომ სამპირიან ზმნებში, სადაც პირდაპირი ობიექტი მესამე უსულო პირია, ხშირად ეს პირი ჟესტურად გამოხატული არაა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ და, ცხადია, ეს გარემოება ქართული სამეტყველო ენის არამარკირებული მესამე პირის პირდაპირი ობიექტის მორფოლოგიური რეფერენციის თემებს უკავშირდება.

სასხვისო ქცევის ნიშანი ჟესტურად ემთხვევა სიტყვა-ჟესტს “პატივისცემა”, რაც გადმოიცემა ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტით:

პატივისცემა

ვინმესთვის რამის გაკეთება ან ზოგადად დესტინატორი ან ადრესატი პირისთვის შესრულებული ზმნური მოქმედება, გარკვეული თვალსაზრისით, ამ ირიბი ობიექტისთვის პატივის მიგებას მოიაზრებს. ამდენად ეს ნიშანი მხოლოდ პოზიტიურ კონტექსტში გამოიყენება. თუკი ნეგატიური ტიპის აქტივობაა შესასრულებელი ირიბი ობიექტის მიმართ, მაშინ ქართული ჟესტური ენა ამ ნიშნის გამოყენებას ერიდება და სხვა ფორმებს მიმართავს. ენაში არსებობს ე.წ. “უპატივისცემლობის” ჟესტი. ეს ჟესტი ხშირად გამოიყენება ნიშნისმოგებით ან სხვა ამ ტიპის ნეგატიური სლენგური სემანტიკით.

უპატივცემლობის ჟესტი

ეს არის ერთხელიანი ორფაზიანი დინამიკური ჟესტი. ზოგჯერ გვხვდება ამ ჟესტის ორხელიანი სიმეტრიული ვარიანტიც.

ენათმეცნიერებაში ცნობილია ამ ტიპის სემანტიკური ოპოზიციები სასარგებლო-საზიანო მოქმედებების ოპოზიცია ვერსიის კატეგორიის შიგნით.

ვუკეთებ

ამ ფორმაში პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია ზმნა "ვუკეთებ" და ბოლო ორ სურათზე კი გვაქვს სასხვისო ქცევის ნიშანი.

ვუკეთებ

მოცემულ ფორმაში პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია ზმნა "ვუკეთებ" და ბოლო ორ სურათზე კი გვაქვს საზიანო მოქმედების გამომხატველი სასხვისო ქცევის ნიშანი და ფორმა ითარგმნება როგორც "ცუდ რამეს ვუკეთებ" ანუ რამეს "ვუშავებ".

ვუშავებ

ეს იგივე ფორმაა და ნიშნავს "ვუკეთებ საზიანოს."

ვუწითლებ

ამ ფორმაში პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი "წითელი". მესამე და მეოთხე სურათები ასახავს ზმნას "ვუწითლებ" ("სიწითლე ედება") ბოლო ორ სურათზე კი გვაქვს საზიანო მოქმედების გამომხატველი სასხვისო ქცევის ნიშანი. ეს მხოლოდ ადამიანს ეხება და სულიერ აქტანტთან ამ ზმნას მხოლოდ ნეგატიური ველი აქვს.

ვუწითლებ

ამ ფორმაში პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი “წითელი”. მესამე და მეოთხე სურათები ასახავს ზმნას “ვუწითლებ”

ბოლო ორ სურათზე კი გვაქვს სასხვისო ქცევის ნიშანი. ეს ფორმა გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით: “წითლად ვუღებავ” (მას რამეს).

როგორც ვნახეთ, საოპოზიციო ქცევიანი ფორმები სათავისო და სასხვისო ერთმანეთისაგან ნიშნების გარდა პოზიციურადაც განსხვავდებიან. სათავისო ქცევის ნიშანი ძირითადად წინ უძღვის ზმნას, ხოლო სასხვისო ქცევის ნიშანი კი უკან მოსდევს მას პოზიტიური და ნეგატიური ვერსიის ორივე შემთხვევაში.

ქცევა გამოხატავს სამეტყველო სიტუაციის ცენტრს, რომლის ღერძად მიჩნეულია მოლაპარაკე პირი და ორიენტაციას აქვს ორი ვარიანტი: ინტროვერტული და ექსტრავერტული. სათავისო ქცევა ინტოვერტულია და სასხვისო კი – ექსტრავერტული (მაჭავარიანი, 1987). რეფერენტულ დონეს რაც შეეხება, უნდა ითქვას, რომ საერთოდ, სამეტყველო ქართულს ახასიათებს ზმნურ მორფემათა პოლიფუნქციურობა. ზმნური მორფემები ერთმანეთთან კავშირში ქმნიან კონკრეტული ფორმის სემანტიკას. მორფოლოგიური ანალიზის დროს აუცილებელია ერთი კატეგორიის დონეზე მორფემათა სეგმენტირება ფუნქციური და ფორმალური პარამეტრებით. ამ თუ იმ ენაში ზმნური დესტინაციის გამოსახატავად მარტო ერთი ზმნური პირის არსებობა საკმარისი არ არის, საჭირო და აუცილებელია, იყოს ზმნაში გამოხატული ირიბი მიმართებაც. აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ **ქცევის ზმნური კატეგორია მხოლოდ პოლიპერსონალურ ზმნებს აქვთ**. ეს სტატისტიკური

ლინგვისტური უნივერსალიაა. **ქართული ჟესტური ენის ზმნა პოლიპერსონალურია და ამიტომ მის წიაღშიც არის ქცევის მორფოლოგიური კატეგორია.**

რეფლექსივი

ქცევა არის რელატიური კატეგორია, რეფლექსივი კი – ბინარული რელაცია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართულ სამეტყველო ენაში (ისევე როგორც დანარჩენ ქართველურ ენებში), თავდაპირველად მხოლოდ ქცევიანი და უქცევო ფორმები განირჩეოდა და ვინისა და მანის რიგის პრეფიქსულმა წარმოებამ სამეტყველო ქართულ ენაში შესაძლებელი გახადა სათავისო ქცევის საოპოზიციო ცალად ჩამოყალიბება. რეფლექსივის კატეგორია ქცევას შეერწყა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს არის ცალკე მდგომი გრამატიკული კატეგორია, რომელსაც შესაბამისი სინტაქსური და მორფო-სემანტიკური მოდელები გააჩნია. რეფლექსივი, როგორც სემანტიკური კატეგორია, კარგავს გრამატიკული მარკირების პოტენციას და ქართველური ზმნის მორფოლოგიაში ფორმდება, როგორც ქცევის კერძო შემთხვევა – ამით იქმნება ქცევის სამგანზომილებიანი მოდელი.

პოლიპერსონალურ სისტემებში ზმნაზე მოდის მორფოლოგიური დატვირთვის ლომის წილი. სადაც მდიდარია ზმნური მორფოლოგია, მრავალი სხვა სინტაქსური მოდელი და კატეგორია გამარტივებულია. ეს მოვლენა ნათლად აისახება როგორც ქცევის, ასევე რეფლექსივის შემთხვევაშიც. ზმნაში ასახულმა რეფლექსივმა აღარ დაიჭირვა გამორჩეული

რეფერენცირება მორფოლოგიის სხვა სიბრტყეზე და თვის-თანდებულიანი, ანუ ზმნის გარეთ მოქცეული ქცევის პარალელურად იგი გვაძლევს თავის აღწერით სინტაქსურ ვარიანტს ასეთი თვის-თანდებულიანი ფორმებით. "თვის-" თანდებულის პირველადი ფუნქცია რეფლექსურობაშია, რამდენადაც იგი მომდინარეობს ფორმიდან "თავი". უნდა ითქვას, რომ მრავალი სხვადასხვა ჯგუფის ენებისათვის "თავი" არის რეფლექსივის წარმოების საერთო გზა. ფორმაში "თავისთვის", რაც რეფლექსური ფორმანტების ერთგვარი გაორმაგებაა. ასეთი გაორმაგება კი ამ კატეგორიას დასჭირდა ქცევის სინტაქსური ვარიანტისაგან გასამიჯნად. კლასის კატეგორიის თვალსაზრისით, რეფლექსივი სულიერობის კლასისთვის, ძირითადად ვინ- ჯგუფისათვის არის დამახასიათებელი.

აღსანიშნავია უკუქცევითი ნაცვალსახელების ზოგადი ტიპოლოგიური მნიშვნელობა რეფლექსივის კატეგორიის თვალსაზრისით სხვადასხვა ენებში. უკუქცევითობის შინაარსი ყოველთვის გულისხმობს რეფლექსივის სემანტიკას და იგი ენის რეფლექსიური სისტემის აუცილებელი წევრია.

რეფლექსივი, როგორც სემანტიკური კატეგორია, ქცევის გარდა ახლოს დგას პოსესიურობასთან. ნაცვალსახელთან, ბრუნვათა და თანდებულთა სისტემებთან, უღლების კატეგორიებთან, პოლიპერსონალიზმთან, გარდამავლობასთან, გვართან და კაუზაციასთან მიმართებაში რეფლექსივის კატეგორია შესაბამის გრამატიკულ სტრუქტურებს ქმნის. ეს საკითხი მოითხოვს უფრო გულდასმით შესწავლას. გასარკვევია ქართული ჟესტური ენის რეფლექსივის ტიპოლოგიური სახე, რომელიც იმთავითვე განსხვავებულია სხვა მრავალი

ვარიანტისაგან თუნდაც იმით, რომ მანაც ძირითადად ქცევის კატეგორიაში იპოვა "მორფოლოგიური თავშესაფარი", ისევე როგორც ქართულ სამეტყველო ენაში.

რეფლექსივი სათავისო ქცევის ფორმებს იმეორებს ქართულ ჟესტურ ენაში.

მე მას ვიხატავ

ფორმაში "ვიხატავ" (მე მას) პირველ სურათზე წარმოდგენილია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი "მე". მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია სათავისო ქცევის ჟესტური ნიშანი. მეოთხე და მეხუთე სურათებზე გამოსახულია "მას" – მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი მიმართების ნიშნით. მეექვსე და მეშვიდე სურათებზე ასახულია ძირითადი ლექსიკური ფორმა ზმნისა "ვიხატავ".

10. კონტაქტი

კონტაქტი არის ზმნის კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს თავად ასრულებს სუბიექტი ზმნით გადმოცემულ მოქმედებას, თუ ამ მოქმედებას იგი ასრულებინებს ირიბ ობიექტს. ამის მიხედვით გვაქვს ორი ტიპის კონტაქტი: შუალობითი და უშუალო.

უშუალოა კონტაქტი, როდესაც სუბიექტი უშუალოდ თავად ასრულებს ზმნით გადმოცემულ მოქმედებას. ხოლო შუალობითია კონტაქტი, როდესაც სუბიექტი ზმნით გადმოცემულ მოქმედებას ირიბი ობიექტის მეშვეობით ახორციელებს. ქართულ ჟესტურ ენაში ამ მორფოსემანტიკურ კატეგორიას აქვს თავისი ჟესტური რეფერენტი:

შუალობითი კონტაქტის ნიშანი

ეს არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი. ეს ჟესტი, როგორც წესი, უშუალოდ ზმნის ძირითად ლექსიკურ ფორმას მოჰყვება. კონტაქტის ჟესტი მოძრავია და ტრაექტორიით მიემართება შემსრულებელი პირისკენ – ანუ ირიბი ობიექტისკენ. ეს ჟესტი, ფაქტობრივად, არის ბრძანებითობის ჟესტის ორხელიანი ვარიანტი, რომელიც ზოგჯერ შეიძლება ერთხელიანი ფორმითაც იყოს წარმოდგენილი და ასეთ

შემთხვევებში ამ ორ ჟესტს შორის განსხვავება იქნება ჟესტის განსხვავებული მიმართულება, რაც კონტაქტის გამომხატველ ჟესტს ექნება. შუალობითი კონტაქტის ჟესტმა შეიძლება ირიბი ობიექტის სივრცითი მიმართულება გამოსახოს.

შუალობითი კონტაქტის ზემოთ წარმოდგენილი ჟესტი ნიშნავს "დავალების მიცემას".

შევადაროთ ერთმანეთს შუალობითი და უშუალო კონტაქტის ფორმები:

ვაკეთებ

აქ წარმოდგენილია უშუალო კონტაქტის ფორმა "ვაკეთებ" (მე მას). პირველ სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი "მე", მეორე და მესამე სურათებზე ასახულია ძირითადი ზმნური ლექსიკური ერთეული "ვაკეთებ". მეოთხე და მეხუთე სურათებზე მოცემულია მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი "მას" შესაბამის ბრუნვაში.

ვაკეთებინებ

აქ წარმოდგენილია შუალობითი კონტაქტის ფორმა “ვაკეთებინებ (მე მას მას). პირველ სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”, მეორე და მესამე სურათებზე ასახულია ძირითადი ზმნური ლექსიკური ერთეული “ვაკეთებინებ”. მეოთხე და მეხუთე სურათებზე მოცემულია შუალობითი კონტაქტის ნიშანი. მეექვსე და მეშვიდე სურათებზე მოცემული გვაქვს მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ირიბი ობიექტი “მას” მიმართების ნიშნით. მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი ასახული არ არის.

ვხატავ

აქ წარმოდგენილია უშუალო კონტაქტის ფორმა “ვხატავ” (მე მას). პირველ სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”, მეორე და მესამე სურათებზე ასახულია ძირითადი ზმნური ლექსიკური ერთეული “ვხატავ”. მეოთხე და მეხუთე სურათებზე მოცემულია მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “მას” შესაბამისი ბრუნვის ნიშნით.

ვახატვინებ

“ვახატვინებ” (მე მას მას) არის შუალობითი კონტაქტის ფორმა, სადაც პირველ სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”, მეორე და მესამე სურათებზე ასახულია ძირითადი ზმნური ლექსიკური ერთეული “ვახატვინებ”. მეოთხე და მეხუთე სურათებზე მოცემულია შუალობითი კონტაქტის ნიშანი. მეექვსე და მეშვიდე სურათებზე მოცემული გვაქვს მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ირიბი ობიექტი “მას” მიმართების ნიშნით. მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი ასახული არ არის.

ვწერ

აქ წარმოდგენილია უშუალო კონტაქტის ფორმა “ვწერ” (მე მას). პირველ სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”, მეორე და მესამე სურათებზე ასახულია ძირითადი ზმნური ლექსიკური ერთეული “ვწერ”. მეოთხე და მეხუთე სურათებზე მოცემულია მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “მას” შესაბამისი ნიშნით.

ვაწერინებ

“ვაწერინებ” (მე მას მას) არის შუალობითი კონტაქტის ფორმა, სადაც პირველ სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”, მეორე და მესამე სურათებზე ასახულია ძირითადი ზმნური ლექსიკური ერთეული “ვაწერინებ”. მეოთხე და მეხუთე სურათებზე მოცემულია შუალობითი კონტაქტის ნიშანი. მეექვსე და მეშვიდე სურათებზე მოცემული გვაქვს მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ირიბი ობიექტი “მას” მიმართების ნიშნით. მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ირდაპირი ობიექტი ასახული არ არის.

11. უღვლილება

ქართულ ჟესტურ ენას შეუძლია აუღლოს ზმნა 11 მწკრივის მიხედვით.

I სერია

აწმყოს წრე

აწმყო (რას ვშვრები?)

ამ მწკრივში გვაქვს აწმყო დრო, თხრობითი კილო. აწმყოს თხრობით კილოს კი არ სჭირდება არანაირი დამატებითი ნიშნები. ეს არის ყველაზე მარტივი ფორმა.

მე შენ გხატავ

პირველ სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”. მეორე სურათზე წარმოდგენილია მეორე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი ““შენ”. მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემულია ზმნის ძირითადი ჟესტური ფორმა ”გხატავ”.

უწყვეტელი (რას ვშვრებოდი?)

ამ მწკრივში გვაქვს წარსული დრო, განგრძობითი ასპექტი, თხრობითი კილო. ფორმაში წარმოდგენილია წარსული დროის

ნიშანი ზმნის ძირითადი ფორმის წინ და განგრძობითობის ნიშანი ფორმის ბოლოს.

მე შენ გხატავდი

პირველ სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”. მეორე სურათზე წარმოდგენილია მეორე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “შენ”. მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემულია წარსული დროის ნიშანი. მეხუთე და მეექვსე სურათებზე გამოსახულია ზმნის ძირითადი ჟესტური ფორმა ”გხატავდი”. მეშვიდე და მერვე სურათებზე წარმოდგენილია განგრძობითობის ნიშანი.

აწმყოს კავშირებითი (რას ვშვრებოდე?)

ამ მწკრივში გვაქვს ახლანდელი დრო, განგრძობითი ასპექტი, თხრობითი კილო. ფორმაში წარმოდგენილია კავშირებითი კილოს ნიშანი ზმნის ძირითადი ფორმის წინ.

მე შენ გხატავდე

პირველ სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”. მეორე სურათზე წარმოდგენილია მეორე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “შენ”. მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემულია კავშირებითი კილოს ნიშანი. მეხუთე და მეექვსე სურათებზე გამოსახულია ზმნის ძირითადი ჟესტური ფორმა ”გხატავდე”.

I სერია

მყოფადის წრე

მყოფადი (რას ვიზამ?)

ამ მწკრივში გვაქვს მომავალი, თხრობითი კილო. ფორმაში წარმოდგენილია მომავალი დროის ნიშანი ზმნის ძირითადი ფორმის წინ.

მე შენ დაგხატავ

პირველ სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”. მეორე სურათზე წარმოდგენილია მეორე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “შენ”. მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემულია მომავალი დროის ნიშანი. მეხუთე და მეექვსე სურათებზე გამოსახულია ზმნის ძირითადი ჟესტური ფორმა ”დაგხატავ”.

ხოლმეობითი (რას ვიზამდი?)

ამ მწკრივში გვაქვს წარსული დრო, განგრძობითი ასპექტი, თხრობითი კილო. ფორმაში წარმოდგენილია შესაძლებლობა-სასურველობის ნიშანი ზმნის ძირითადი ფორმის წინ. ამ მწკრივის ფორმებს აქვთ მრავალგზისობის გაგება. მაგრამ ისევე, როგორც სამეტყველო ქართულში, ქართულ ჟესტურ ენაშიც ამ ფორმებს შეიძლება დაერთოს "ხოლმე" გზისობის ელემენტი.

მე შენ დაგხატავდი

პირველ სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი "მე". მეორე სურათზე წარმოდგენილია მეორე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი "შენ". მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემულია შესაძლებლობა-სასურველობის ნიშანი. მეხუთე და მეექვსე სურათებზე გამოსახულია ზმნის ძირითადი ჟესტური ფორმა "დაგხატავდი".

მყოფადის კავშირებითი (რას ვიზამდე?)

ამ მწკრივში გვაქვს მომავალი დრო, განგრძობითი ასპექტი, კავშირებითი კილო. ფორმაში წარმოდგენილია შესაძლებლობა-სასურველობის ნიშანი ზმნის ძირითადი ფორმის წინ და ფორმის ბოლოს მოცემულია კავშირებითი კილოს ნიშანი.

მე შენ დაგხატავდე

პირველ სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი "მე". მეორე სურათზე წარმოდგენილია მეორე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი "შენ". მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემულია შესაძლებლობა-სასურველობის ნიშანი. მეხუთე და მეექვსე სურათებზე გამოსახულია ზმნის ძირითადი ჟესტური ფორმა "დაგხატავდე". მეშვიდე და მერვე სურათებზე წარმოდგენილია კავშირებითი კილოს ნიშანი.

II სერია

წყვეტილი (რა ვქენი?)

ამ მწკრივში გვაქვს წარსული დრო, სრული ასპექტი, კავშირებითი კილო. ფორმაში წარმოდგენილია წარსული დროის ნიშანი ზმნის ძირითადი ფორმის წინ და ფორმის ბოლოს მოცემულია სრული დროის ნიშანი.

მე შენ დაგხატე

პირველ სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”. მეორე სურათზე წარმოდგენილია მეორე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “შენ”. მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემულია წარსული დროის ნიშანი. მეხუთე და მეექვსე სურათებზე გამოსახულია ზმნის ძირითადი ჟესტური ფორმა ”დაგხატე”. მეშვიდე და მერვე სურათებზე ასახულია სრული დროის ნიშანი.

II კავშირებითი (რა ვქნა?)

ამ მწკრივში გვაქვს მომავალი დრო, სრული ასპექტი, კავშირებითი კილო. ზმნის ძირითადი ფორმის წინ წარმოდგენილია მომავალი დროის ნიშანი და შემდეგ კავშირებითი კილოს ნიშანი.

მე შენ დაგხატო

პირველ სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”. მეორე სურათზე წარმოდგენილია მეორე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “შენ”. მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემულია მომავალი დროის ნიშანი. მეხუთე და მეექვსე სურათებზე გამოსახულია კავშირებითი კილოს ნიშანი. მეშვიდე და მერვე სურათებზე ასახულია ზმნის ძირითადი ჟესტური ფორმა ”დაგხატო”.

III სერია

I თურმეობითი (რა მიქნია?)

ამ მწკრივში გვაქვს წარსული დრო, სრული ასპექტი, თხრობითი კილო. ფორმაში ზმნის ძირითადი ფორმის წინ წარმოდგენილია წარსული დროის ნიშანი. ფორმის ბოლოს მოცემულია სრული დროის ნიშანი, რომელსაც მოჰყვება უნახაობის აქტის ნიშანი “თურმე”. ეს უკანასკნელი არის

ამ მწკრივისათვის დამახასიათებელი მორფოსემანტიკური ერთეული, რომელსაც ქართული ჟესტური ენა ერთხელიანი ორფაზიანი ჟესტით გადმოსცემს:



თურმე

მე შენ დამიხატიხარ

პირველ სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”. მეორე სურათზე წარმოდგენილია მეორე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “შენ”. მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემულია წარსული დროის ნიშანი. მეხუთე და მეექვსე სურათებზე გამოსახულია ზმნის ძირითადი ჟესტური ფორმა ”დამიხატიხარ”. მეშვიდე და მერვე სურათებზე ასახულია სრული დროის ნიშანი. მეცხრე და მეათე სურათებზე კი წარმოდგენილია მორფო-სემანტიკური ჟესტური ნიშანი “თურმე” სათანადო მიმიკით.

II თურმეობითი (რა მექნა?)

ამ მწკრივში გვაქვს წარსული დრო, სრული ასპექტი, თხრობითი და კავშირებითი კილოები კონტექსტური დეფინიციით. ფორმის ბოლოს მოცემულია შესაძლებლობა-სასურველობის ნიშანი.

მე შენ დამეხატე

პირველ სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”. მეორე სურათზე წარმოდგენილია მეორე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “შენ”. მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახულია ზმნის ძირითადი ჟესტური ფორმა ”დამეხატე”. მეხუთე სურათზე კი წარმოდგენილია შესაძლებლობა-სასურველობის ნიშანი.

III კავშირებითი (რა მექნას?)

ამ მწკრივში გვაქვს მომავალი დრო, სრული ასპექტი, კავშირებითი კილო. ზმნის ძირითადი ფორმის წინ წარმოდგენილია მომავალი დროის ნიშანი, ხოლო ფორმის ბოლოს მოცემულია კავშირებითი კილოს ნიშანი.

მე შენ დამეხატო

პირველ სურათზე ასახულია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე”. მეორე სურათზე წარმოდგენილია მეორე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი “შენ”. მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემულია მომავალი დროის ნიშანი. მეხუთე და მეექვსე სურათებზე გამოსახულია ზმნის ძირითადი ჟესტური ფორმა ”დამეხატო”. მეშვიდე და მერვე სურათებზე ასახულია კავშირებითი კილოს ნიშანი.

როგორც ზემოთ განხილული მასალიდან ჩანს, უნიშნო თხრობითი კილოს გარდა უღვლილებაში გვაქვს კავშირებითობის შინაარსის მქონე ორი ჟესტი:

1. კავშირებითი კილოს ნიშანი გადმოცემულია ერთხელიანი ორფაზიანი ჟესტით.



კავშირებითი კილოს ნიშანი

2. შესაძლებლობა-სასურველობის ნიშანი გადმოცემულია ერთხელიანი მრავალფაზიანი ჟესტით.

შესაძლებლობა-სასურველობის ნიშანი

12. ზმნის სტრუქტურა

მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ქართული ჟესტური ენის ზმნებს აქვთ შემდეგი რანგობრივი წყობა:

- სუბიექტური პირი
- დროის ნიშანი - წარსულის ან მომავლის ჟესტი
- კილოს ნიშანი
- კონტაქტის ნიშანი
- ზმნის ცენტრალური ლექსიკური ფორმა
- განგრძობითობის ნიშანი ან გზისობის ნიშანი
- ობიექტური პირები, მიმართებისა და ობიექტის ნიშნები
- (უნახაობის აქტის ნიშანი)
- ზმნისწინი ან სივრცითი ერთეული

მაგრამ აქ ძალიან მნიშვნელოვანია, იმის აღნიშვნა, რომ ხშირად ხდება კომპონენტთა გადაადგილება. საჭიროა შეიქმნას ენობრივი კომისია, რომელიც შეისწავლის ყველა შესაძლო ვარიანტის მიზანშეწონილობას და მყარ მეცნიერულ არგუმენტებზე დაყრდნობით ჩამოაყალიბებს ქართული ჟესტური ენის ნორმებს და გამოავლენს ამ ნორმების ფარგლებში დასაშვები ვარიაციების კონკრეტულ ფორმებს.

ზმნის ფორმათა ნორმების დადგენა განსაკუთრებულ სიძნელეს აწყდება: მაგალითისთვის ავიღოთ ზემოთ განხილული რომელიმე ორპირიანი ფორმა – "გხატავდი".

მე შენ გხატავდი

აქ გვაქვს ასეთი თანამიმდევრობა:

პირველ სურათზე – პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი "მე" – პირველი კომპონენტი;

მეორე სურათზე წარმოდგენილია მეორე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი "შენ" – მეორე კომპონენტი;

მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემულია წარსული დროის ნიშანი – მესამე კომპონენტი;

მეხუთე და მეექვსე სურათებზე გამოსახულია ზმნის ძირითადი ჟესტური ფორმა "გხატავდი" – მეოთხე კომპონენტი;

მეშვიდე და მერვე სურათებზე წარმოდგენილია განგრძობითობის ნიშანი - მეხუთე კომპონენტი.

ამ კონკრეტულ ფრომაში შესაძლოა კიდევ წარმოდგენილი იყოს პირდაპირი ობიექტის ნიშანიც. მაშინ აქ გვექნება ექვსკომპონენტიანი ფორმა.

გიხატავდი მე შენ მას

მოცემულ სამპირიან ფორმაში გვაქვს ასეთი თანმიმდევრობა:

1. პირველ სურათზე - პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი “მე” – პირველი კომპონენტი;
2. მეორე სურათზე წარმოდგენილია მეორე პირის მხოლობითი რიცხვის ირიბი ობიექტი “შენ” - მეორე კომპონენტი;
3. მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემულია წარსული დროის ნიშანი - მესამე კომპონენტი;
4. მეხუთე და მეექვსე სურათებზე გამოსახულია ზმნის ძირითადი ჟესტური ფორმა ”გიხატავდი” - მეოთხე კომპონენტი;
5. მეშვიდე და მერვე სურათებზე ასახულია ირიბი ობიექტური პირის ნიშანი შენ-ტრაექტორიით - მეხუთე კომპონენტი;
6. მეცხრე და მეათე სურათებზე წარმოდგენილია განგრძობითობის ნიშანი – მეექვსე კომპონენტი.

ამ კონკრეტულ ფორმაში, შესაძლოა, კიდევ წარმოდგენილი იყოს პირდაპირი ობიექტი ნაცვალსახელით და მისი ბრუნვის ნიშანიც. მაშინ გვექნება რვაკომპონენტიანი ფორმა.

ზმნის ფორმებში არის კომპონენტთა განსხვავებული რაოდენობა, დაახლოებით, ერთიდან ათამდე. ამ კონკრეტულ ფორმაში სულ არის ექვსი კომპონენტი. შესაძლებელია, რომ აქ გვქონდეს კომპონენტთა თანამიმდევრობის მრავალგვარი ფორმა, ამ შემთხვევაში თეორიულად არსებობს 720 – ექვსის ფაქტორიალი, რამდენადაც N ნატურალური რიცხვის ფაქტორიალი N! არის ერთიდან N –მდე ყველა რიცხვის ნამრავლი. ქართული ჟესტური ენის ნორმების დადგენა გამოავლენს, ამ სიმრავლიდან რომელი ფორმებია მისაღები.

კლასის კატეგორია

ამ თავში მოცემულია კლასის მორფოსემანტიკური კატეგორიის ზოგადი ანალიზი და აღწერილია ამ კატეგორიის სისტემა ქართულ ჟესტურ ენაში. აქვე განხილულია კლასის კატეგორიის გამოვლინების მაგალითები.

ქართველოლოგიურ ტრადიციულ ენათმეცნიერებაში განსხვავებული მოსაზრებებია გავრცელებული ქართველურ ენებში კლასის მორფოლოგიური კატეგორიის შესახებ. ჩვენ ვიზიარებთ არნოლდ ჩიქობავას მოსაზრებას ამ საკითხზე და მიგვაჩნია, რომ ქართველურ ენებში და, რა თქმა უნდა, კერძოდ, ქართულ ენაში არათუ დიაქრონიულ ჭრილში, არამედ სინქრონიულ დონეზეც გვაქვს საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული ვინ-რა კატეგორიის მორფოსემანტიკა.

ენათა მიდგომა ვინ-რა მორფოსემანტიკური კატეგორიის მიმართ სხვადასხვაა. ეს დამოკიდებულია ერის ან ტომის ფსიქო-სოციალურ, რელიგიურ, ეთნოგეოგრაფიულ და სხვა ტიპის ყოფით ფაქტორებზე და, რა თქმა უნდა, ამ კონკრეტულ ენებზე მოლაპარაკე ხალხის აზროვნების აბსტრაქციის დონეზე – ანუ ერის ენობრივ ნიჭზე. მრავალენოვანი ინტერნეტენციკლოპედიის მიხედვით, სახელთა კლას-კატეგორიის ზოგადი კრიტერიუმები მოიცავს შემდგომ ოპოზიციებს:

- სულიერი - უსულო
- რაციონალური – ირაციონალური
- ადამიანი - ნივთი
- მამრობითი და სხვა
- კაცი და სხვა

- მამრობითი, მდედრობითი და უსქესო
- ძლიერი და სუსტი
- გაზვიადებული და კნინობითი

გთავაზობთ ჩვენს უნივერსალურ საკლასიფიკაციო მოდელს:

A ადამიანი ----- Aa მდედრ. Ab მამრ. Ac საშ.

B ნივთი

B1. სულიერი ------- B1a მდედრ. B1b მამრ. B1c საშ.

B2. უსულო --------- B2a საგანთა თვისებრიობის (ზომა, ფერი, ფორმა, ძალა, სინათლე, ზრდის დინამიკა, ციური სხეულები, რელიგიური ერთეულები და ა.შ.) მიხედვით სქესი ან კლასი; B2b დანარჩენი.

რაც უფრო მარტივად გამოიყურება ეს საკლასიფიკაციო სქემა კონკრეტულ ენაში, მით უფრო მაღალია ამ ენაზე მოსაუბრე ხალხთა ლინგვისტური აზროვნებისა და აბსტრაქციის უნარი. თავისთავად, ეს უნივერსალური ტიპოლოგიური მოვლენაა და, შესაბამისად, ამ კატეგორიის გამოხატვას ვერც ერთი ენა ვერ ასცდებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ონლაინ ენციკლოპედიაში ქართულთან ერთად ორმოცდაათამდე ენაა გამოყოფილი, რომლებშიც არ აღინიშნება სქესი და კლასი. თუმცა ეს ძალზე საეჭვოდ გამოიყურება, რადგანაც ამ ჯგუფშია შეტანილი უნგრო-ფინური ენები, რომლებიც მესამე პირში განასხვავებენ სულიერ და უსულო საგნებს; აქვეა ბასკურიც, რომელსაც ახასიათებს ალოკუციური ფორმები – სქესის განსხვავება ნაცვალსახელების მეორე პირში. ბასკურში ასევე ზოგი ნაცვალსახელი კლასის მიხედვით განსხვავდება სახელებთან მიმართებაში. ამ უკლასო ჯგუფშია იაპონური, რომელსაც საერთოდ განსხვავებული მიდგომა

ექნება ამ მოვლენისადმი, ვიდრე სხვა აგლუტინაციურ ენებს, მით უფრო, რომ იაპონურში არის ნაცვალსახელთა დიდი მრავალფეროვნება მოლაპარაკე პირთან მიმართების მიხედვით. ღიმილს იწვევს ამ ჯგუფში ესპერანტოს შეტანა. ფაქტია, რომ თანამედროვე ქართულში არ არის არც სქესი და არც კლასი, როგორც პროდუქტიული გრამატიკული კატეგორია. თავდაპირველად კი, სავარაუდოდ, იყო ყველაზე დახვეწილი, ზოგადი ადამიანი-ნივთის მორფოსემანტიკური ოპოზიცია. დღეს იგი ძირითადად ასახულია მხოლოდ ნაცვალსახელთა სისტემაში და აქედან განფენილია სხვადასხვა მორფოლოგიურ ფორმასა და კატეგორიაში.

ამერიკელი აბორიგენების ალგონკიურ ენათა ჯგუფი განასხვავებს სულიერ და უსულო ჯგუფებს, მაგრამ ძლევამოსილი უსულო ნივთი აქ სულიერია. ავსტრალიურ ენებში (დირბალი) გამოიყოფა ოთხი ჯგუფი: 1. სულიერი კაცი; 2. ქალი, წყალი, ცეცხლი, ძალადობა; 3. საჭმელი, ხილი და ბოსტნეული; 4. სხვადასხვა (ყველა დანარჩენი). აქვე ნგანგიკურუნგურ ენაში ცალკე ჯგუფია იარაღისთვის, ანინდილიაკვაში გამოიყოფა სახელთა კლასი, რომელიც შუქს გამოსცემს ან ირეკლავს, დიიარ ენაში მდედრობითი უპირისპირდება ყველაფერ დანარჩენს. პაპუა ახალ გვინეის ენებში (ალამბლაკსა და სეპიკ ჰილში) არის მამრობითი, რომელშიც გაერთიანებულია მაღალი, მოგრძო, თხელი და წვრილი ნივთებიც (გველი, თევზი, ისარი, მაღალი ხე და სხვ.). ეს უპირისპირდება მდედრობით ჯგუფს, რომელშიც შედის მოკლე, მსხვილი, დაბალი და ფართო ნივთები (სახლი, ბაყაყი, მსხვილი ხე). საინტერესო ვითარებაა ნიგერ-კონგო ენებში. გერმანელი მეცნიერი კარლ მიენჰოფი ბანტუში გამოყოფს 22 კლასს, თუმცა რეალურად არც ერთ ენას ამდენი კლასი არა აქვს. სუაჰილის აქვს -15, სესოზოს -18, დანარჩენებს – 10. ფულა

ენაში ცალკე კლასია სითხისთვის. ზანდე კი გამოყოფს ოთხ კლასს: 1. კაცი, 2. ქალი, 3. სულიერი 4. დანარჩენი. აქ 80-მდე უსულო სახელი სულიერ კატეგორიას მიეკუთვნება: ციური სხეულები, საკვები მცენარეები, ზოგი მეტალი და არამეტალი ნივთები. რელიგიური მოსაზრებების გამო განსაკუთრებული ადგილი უკავია სფეროს. ინდოევროპული ენები გამოყოფენ გრამატიკული სქესის სამ ჯგუფს. კავკასიურ ენათა შორის ლეზგიურს, უდიურსა და აღულურს არა აქვს სახელთა კლასი, ზოგი ენა ორ კლასს განასხვავებს, ბაცბური კი რვა კლასს გამოყოფს. ყველაზე უფრო გავრცელებული სისტემა არის ოთხი კლასი: 1. კაცი, 2. ქალი, 3. სულიერი და გარკვეული ნივთები 4. ყველა დანარჩენი. ანდიურში ცალკე კლასია მწერებისათვის. აღსანიშნავია, რომ კავკასიურ ენებში კლას-კატეგორიები არა მარტო არსებითებშია გამოყოფილი, ის აღენიშნება ზედსართავებს, ნაცვალსახელებსა და ზმნებსაც.

ქართულ სამეტყველო ენაში მოცემული გვაქვს ვინ-რა მორფოსემანტიკური კატეგორიის სისტემური სურათი როგორც სახელთა და ზმნათა ფლექსიაში, ასევე მათ დერივაციაშიც. ეს კატეგორია განფენილია ენის მთელ სისტემაში. ნაცვალსახელებიდან იგი გადატანილია სახელთა ფლექსიასა და ზმნის პირში. შესაბამისად, იგი აისახება პოლიპერსონალური ზმნის ყველა კატეგორიაში. ვინ-რა მორფოსემანტიკა საფუძვლად უდევს ენის მრავალ კატეგორიას, თუმცა კონკრეტული რეფერენტი მას არ შეუნარჩუნებია, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა. რადგანაც ვინ-რა მორფოსემანტიკური კატეგორია ძევს მრავალი სხვა კატეგორიის შინაარსში, მას კონკრეტული რეფერენტი აღარ სჭირდება. წარმოვიდგინოთ რომელიმე X მორფემა ყველა ამ შემთხვევაში. ეს ეწინააღმდეგება ენის ზოგად უნივერსალურ კანონებს და ენა ამ მორფემას მაინც

დაკარგავდა ან კომბინირებულ სემანტიკას მოგვცემდა სხვა მორფემებთან, რაც ნათლად იკითხება ქართული სამეტყველო ენის ანალიზისას. ამ ენის სისტემაში კლასის კეტეგორიის მორფოლოგიურმა გაფერმკრთალებამ გამოიწვია რიგი პროცესებისა: მაგალითად, მეტყველების სუბიექტთან მიმართებაში მეორე პირის სემანტიკის ცვლა (მიგცე - მოგცე), ფუძემონაცვლე ზმნათა საოპოზიციო ფორმების რაოდენობის შემცირება (მიძს - მივის), ფლექსიურ მორფემათა ორმაგი ფუნქციის გადასინჯვა, კლასოვანიდან პიროვან უღვლილებაზე გადასვლა, აქტანტურ შეთანხმებათა გადააზრება და ა.შ.

ამჟამად ვინ-რა მორფოსემანტიკური კატეგორიის რეფერენცირება ენაში მოცემული გვაქვს ხელობისა და სადაურობის სახელებში, მიმღეობებში, ფუძემონაცვლე ზმნებსა და პირის კატეგორიის ბინარულ ოპიზიციაში. კლასის კატეგორიას აქვს სინტაქსური ძალაც: მაგალითისთვის გავიხსენოთ ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხი. თუმცა აქ უფრო ფართო მოცულობის – სულიერი-უსულოს კატეგორიასთან გვაქვს საქმე. აქაც ნათელია კლასის კატეგორიის გაუჩინარების მკვეთრი ტენდენცია. ვინ-რა კატეგორიის შესაბამისი ფონოსემანტიკური სურათი ასე გამოიყურება: ლაბიალური ბგერებით აღინიშნება ვინ კატეგორია და ამას კი საოპოზიციოდ აქვს ნივთის კატეგორიის აღმნიშვნელი ნუნისმიერი ს/წ, ან სონორი ვარიანტები ნ, რ, ლ. დიაქრონიული სურათი აღადგენს დ ნივთის აფიქსსაც. ხმოვნებშიც შეიმჩნევა ვინ-რა კატეგორიის ოპოზიციური წყვილები კერძო მორფოლოგიურ კატეგორიათა შემთხვევებში. სხვათა შორის, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ბაგისმიერთა და ნუნისმიერთა ოპოზიცია სამტყველო ენებში ვინ-რა კატეგორიის მიხედვით ტიპოლოგიური თვალსაზრისით. უნდა ითქვას, რომ მაგალითად, რუსული და

ინგლისური (ასევე სხვა ენებიც) ასეთივე ოპოზიციას ქმნიან. საერთოდ, ლაბიალურ ბგერათა ფონოსემანტიკა ნათელია. ეს შედარებით ხელმისაწვდომი ბგერებია, რაც უნივერსალურად აისახება ბავშვის მეტყველებაში. ბუნებრივია, რომ სწორედ ლაბიალური ბგერები ქმნიან ვინ-კატეგორიის ფონოსემანტიკას.

არსებით სახელებში არსებობს აღიარებული ლექსიკური ჯგუფები ვინ და რა, სადაც მკვეთრად არის ეს ოპოზიცია გამიჯნული. ადამიანი-ნივთის კატეგორია ასახვას პოვებს ენის მორფოსემანტიკურ და მორფოსინტაქსურ დონეზე სხვადასხვაგვარი გამოვლინებით. ამ კატეგორიის წმინდა ლექსიკურ-სემანტიკური ღირებულებები აისახება არსებითი სახელის ჯგუფებსა და ნაცვალსახელებში და ეს საკმაოდ ნათელი მოვლენაა. პირის კატეგორიის ძირითადი დიათეზა სწორედ ვინ-რა მორფოსემანტიკური კატეგორიის არსში მდგომარეობს და ეს კატეგორია ასახულია ნაცვალსახელთა სხვადასხვა ჯგუფში. პირველი და მეორე პირები არის ვინ კატეგორიის. მესამე პირის სემანტიკა გაცილებით ფართოა, იგი მოიცავს ადამიანისა და ნივთის კატეგორიებს და ამდენად, ბრუნვის ფორმებში ადამიანი-ნივთის კატეგორიის საოპოზიციო ფორმათა გაჩენაც ამიტომ სწორედ მესამე პირში იყო მოსალოდნელი. ქართულ სამეტყველო ენაში ის-მან/მას ოპოზიციური ფუძემონაცვლეობაც იძლევა შესაბამის მორფოსემანტიკურ საფუძველს, რომ გამოიყოს კლას-კატეგორიის ნიშნები. მან/მას ბრუნვები, გარკვეული თვალსაზრისით, ადამიანის კატეგორიის აღმნიშვნელია: მან – როგორც მოაზროვნე სუბიექტის ბრუნვა და მას – როგორც დატივი, ირიბი ობიექტის ანუ ზმნის მოქმედებაში ჩართული მეორე სულიერი, ვინ-კატეგორიის აქტანტის ბრუნვა. საგულისხმოა, რომ ნაცვალსახელთა დანარჩენ

ბრუნვათა ფორმები ანალოგიითაა ნაწარმოები და ხშირად არც გამოიყენება ან, საერთოდ, ფორმანაკლია. ვინ-რა მორფოსემანტიკური კატეგორია ასახულია ბრუნვაშიც – გვაქვს სასუბიექტო და საობიექტო ბრუნვები. ბრუნვის სისტემაში ამ კატეგორიის ასახვა სავსებით ბუნებრივია, რამდენადაც აღარავინ დავობს ბრუნვის ფორმათა ნაცვალსახელური წარმოშობის თაობაზე. ცხადია, ვინ-რა მორფოსემანტიკური კატეგორია ნაცვალსახელებიდან გადავიდა სახელთა ბრუნების სისტემაშიც.

ერგატივი არის მოაზროვნე სუბიექტის მიერ შესრულებული აქტი და აქ სულიერობის მორფოსემანტიკა არის ამოსავალი. შესაბამისად, ერგატივის რეფერენტები, ცხადია, ვინ-კატეგორიას უკავშირდება. მნიშვნელოვანია, რომ ქართული ჟესტური ენა მკვეთრად გამოყოფს კლასის კატეგორიის სისტემას. ქართული ჟესტური ენა ერგატიულ ბრუნვას მხოლოდ ადამიანის კატეგორიას უკავშირებს.

ეს ჟესტი არის მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი "-მა" და იგივე ჟესტია "ადამიანის" აღმნიშვნელი სიტყვა-ჟესტი. ქართულ სამეტყველო ენაზე სიტყვასიტყვითი თარგმანი ფორმისა "კაცმა" იქნება შემდეგნაირად – "კაცი" "ადამიანი".

ქართულ სამეტყველო ენაში, შესაძლებელია, ადამიანის გარდა ერგატიულ ბრუნვაში გვქონდეს სხვა სულიერი და უსულო არსებითი სახელებიც, მაგალითად "მგელმა", "მაგიდამ", "კარმა", "ქარმა" და ა. შ. ქართული ჟესტური ენა კი ამას არ დაუშვებს. აქ ერგატივი მხოლოდ მოაზროვნე სუბიექტის – ადამიანის ბრუნვაა.

სასუბიექტო ბრუნვების გარდა ვინ-სულიერობის კატეგორია შესაბამისი რეფერენტითაა მოცემული ახალ ქართულში ვოკატივში. როგორც სამეტყველო, ასევე ჟესტურ ენაშიც, ცხადია, მიმართვა ხდება მეორე პირისადმი. ეს კომუნიკატორი პირი კი მუდამ ადამიანის კატეგორიაა. ქართული ჟესტური ენა წოდებით ბრუნვას ამ მიმართვითი ჟესტით გადმოსცემს:

ქართულ სამეტყველო ენაში ვინ-რა მორფოსემანტიკური კატეგორია სისტემას ქმნის სახელთა დერივაციაშიც: არის ნაწარმოები სახელები, რომლებიც მხოლოდ ვინ-კატეგორიას აღნიშნავს. გამოიყოფა სამი ძირითადი პარამეტრი, ესენია:

1. სული, რწმენა და მასთან დაკავშირებული ფორმები. უზენაესის ყოველგვარი ფორმა დამოუკიდებელი თუ

კომპიზიტური სახით იქნება ვინ-კატეგორიისა (უფალი, მორწმუნე, სულგანაბული, სულმნათი, სულშეწუხებული და ა. შ.). აქ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულში გვაქვს ორმაგი სტანდარტი: ვინ-კატეგორიისა არის ძე კაცისა და მასთან დაკავშირებული ენობრივი მოვლენები, ხოლო რომელიმე წარმართული ღვთაება იქნება რა, რაღაც ძალა ანუ ნივთის კატეგორიის მქონე;

2. აზროვნება და მასთან დაკავშირებული ფორმები (გონი, ჭკუა, ტვინი, აზრი, ფიქრი, ვარაუდი, ჩათვლა, მხედველობაში ქონა/მიღება – უტვინო, აზრიანი, უგუნური, ნაფიქრი და ა. შ.);

3. ენასა და მეტყველებასთან დაკავშირებული ფორმები (თქმა, სათქმელი, უენო, მჭევრმეტყველი, სიტყვამახვილი და ა. შ.).

ასევე, ძირითადად, ვინ-კატეგორიას აღნიშნავს ადამიანის სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული ნაწარმოები ფორმები, თუმცა აქ შესაძლოა, სულიერების სემანტიკა მთლიანად აისახოს და ამ ჯგუფში შევა ცხოველიც: თავგატეხილი მგელი, ფეხმოკლე ტურა და ა. შ. სხვადასხვა ენებს აქვთ განსხვავებული მიდგომა კლას-კატეგორიებთან. ასე მაგალითად, აფრიკის რომელიმე ენაში (ჩიჩოვა) ცალკე კლასია ის, რაც იზრდება. ქართულისათვის კი, მაგალითად, მცენარე უსულო, რა-კატეგორიაა, რომელიც არაფრით განსხვავდება დანარჩენი სხვა ნივთის კატეგორიის კლასისაგან.

ვინ-რა მორფოსემანტიკური კატეგორია ქართულ სამეტყველო ენაში ნათელი ანტონიმური სისტემით ასახულია ზედსართავ სახელებსა და მიმღეობებში. ელ–ურ ცნობილი ოპოზიციის გარდა, არის ფორმები, რომლებიც მხოლოდ ვინ-სულიერობის კატეგორიისთვისაა განკუთვნილი, მაგ. უზნეო/ზნეობრივი, მოსაუბრე, უთქმელი, მორწმუნე/ურწმუნო, ბოროტი,

კეთილი, მტყუანი, მართალი და ა. შ. აქ, შესაძლოა, ქვეჯგუფთა გამოყოფაც. ვინ-რა მორფოსემანტიკური კატეგორიის მიხედვით ამ შემთხვევაში შესაბამისი კლასიფიკაციაც მისაღები იქნებოდა.

ქართულ სამეტყველო ენაში ადამიანი-ნივთის მორფოსემანტიკური კატეგორია ასახულია ზმნათა დერივაციულ კატეგორიებში. იგი საფუძვლად უდევს ერგატიულობასა და დესტინაციას, პირისა და რიცხვის კატეგორიას, გამოიხატება ზმნისწინებით. მი-/მო- ზმნისწინებში მიმართულება აითვლება პირველი პირისაგან და წარმოდგენილია ბგერათა შესაბამისი ოპოზიციით. ორიენტაცია მთლიანად ვინ-რა მორფოსემანტიკური კატეგორიის პირდაპირი ამსახველია. მოქმედება პირველი პირისკენ, ანუ მიმართება ვინ-კატეგორიის მქონე მეტყველების სუბიექტთან.

ვინ-რა მორფოსემანტიკური კატეგორია თანამედროვე ქართულ სამეტყველო ენაში ყველაზე ნათლად მოცემული გვაქვს ფუძემონაცვლე ზმნებში: მაქვს-მყავს, წაღება-წაყვანა, მოტანა-მოყვანა და ა. შ. ქართულ ჟესტურ ენაში კლასის კატეგორია მოცემული გვაქვს ზმნებში “მოტანა” და “მოყვანა”, “წაიღო” და “წაიყვანა”. ეს ზმნები ერთმანეთს შეენაცვლება ობიექტის სულიერობის კატეგორიის მიხედვით. როდესაც პირდაპირი ობიექტი სულიერია, მაშინ გამოიყენება ფორმა “მოყვანა”, ხოლო როცა გვაქვს უსულო პირდაპირი ობიექტი, მაშინ გამოიყენება ფორმა “მოტანა”. ანალოგიური ენობრივი სურათია შენარჩუნებული ქართულ ჟესტურ ენაშიც.

კაცმა წიგნი მოიტანა.

აქ პირველ სურათზე გვაქვს მოცემული სიტყვა-ჟესტი ”კაცი”. მეორე და მესამე ფოტოებზე ასახულია ერგატიული ნიშანი “-მა”. მეოთხე და მეხუთე სურათები ასახავენ სიტყვა-ჟესტს “წიგნი” და ბოლო ორი ფოტო – მეექვსე და მეშვიდე ფოტოები გადმოსცემენ სიტყვა-ჟესტს “მოიტანა”.

კაცმა გავშვი მოიყვანა.

ამ წინადადებში პირველ სურათზე გვაქვს მოცემული სიტყვა-ჟესტი ”კაცი” მეორე და მესამე ფოტოებზე ასახულია ერგატიული ნიშანი “-მა”. მეოთხე და მეხუთე სურათები ასახავენ სიტყვა-ჟესტს “ბავშვი” და ბოლო ორი ფოტო – მეექვსე და მეშვიდე ფოტოები გადმოსცემენ სიტყვა-ჟესტს “მოიყვანა”. როგორც ვხედავთ, “მოიტანა” და “მოიყვანა” ერთმანეთისგან განსხვავებული ჟესტებია.

ასევე განსხვავდება ერთმანეთისგან “წაიღო” და “წაიყვანა” ზმნები. შევადაროთ ქვემომოყვანილი ორი წინადადება:

კაცმა წიგნი წაიღო.

აქ პირველ სურათზე გვაქვს მოცემული სიტყვა-ჟესტი ”კაცი” მეორე და მესამე ფოტოებზე ასახულია ერგატიული ნიშანი “-მა”. მეოთხე და მეხუთე სურათები ასახავენ სიტყვა-ჟესტს “წიგნი” და ბოლო ორი ფოტო – მეექვსე და მეშვიდე ფოტოები გადმოსცემენ სიტყვა-ჟესტს “წაიღო”.

კაცმა გავშვი წაიყვანა.

ამ წინადადებში პირველ სურათზე გვაქვს მოცემული სიტყვა-ჟესტი ”კაცი” მეორე და მესამე ფოტოებზე ასახულია ერგატიული ნიშანი “მა”. მეოთხე და მეხუთე სურათები ასახავენ სიტყვა-ჟესტს “ბავშვი” და ბოლო ორი ფოტო – მეექვსე და მეშვიდე ფოტოები გადმოსცემენ სიტყვა-ჟესტს “წაიყვანა”.

ქართული ჟესტური ენის ზმნები პანტომიმურ მოძრაობაში განასხვავებენ კლასის კატეგორიას. ზმნაში “ადის” მოცემული გვაქვს კლასის ნიშნით გამოხატული ფორმა. ადამიანის სიარული ქართულ ჟესტურ ენაში მოცემულია, როგორც ორფეხის სიარული და ორი თითის მოძრაობითაა ნაჩვენები. მაშინ, როდესაც ოთხფეხი სულიერი (ცხოველი) ორი ხელით და ოთხი თითის მოძრაობითაა ნაჩვენები, ხოლო მანქანისა და თვითმფრინავის მოძრაობები (ფორმა “მიდის”) განსხვავებულადაა ასახული ქართულ ჟესტურ ენაში.

ადის

აქ წარმოდგენილია ადამიანის მიერ შესრულებული მოძრაობის პანტომიმური ფორმა.

მგელი ადის.

ამ წინადადებაში პირველ-მეორე სურათებზე ასახულია სიტყვა-ჟესტი "მგელი" და მესამე და მეოთხე ფოტოებზე კი მოცემული გვაქვს ზმნა "ადის" ოთხფეხის სიარულის პანტომიმური მოძრაობით. ხოლო ქვემომოყვანილ წინადადებაში კი იგივე ზმნა "ადის" სრულიად განსხვავებული დინამიკური ჟესტითაა გადმოცემული:

მანქანა ადის.

შევადაროთ ერთმანეთს შემდეგი წინადადებები:

კაცი მიდის თგილისში.

ამ წინადადებაში ზმნა "მიდის" ასახულია მეორე და მესამე ფოტოებზე. აქ გადმოცემულია ორფეხის სიარულის ფორმა.

მანქანა მიდის თგილისში.

ამ წინადადებაში ზმნა "მიდის" ასახულია მესამე და მეოთხე ფოტოებზე. აქ გადმოცემულია მანქანის სვლის ფორმა.

თვითმფრინავი მიდის თბილისში.

ამ წინადადებაში ზმნა “მიდის” ასახულია მესამე და მეოთხე ფოტოებზე. აქ გადმოცემულია თვითმფრინავის სვლის ფორმა.

როგორც ვნახეთ, სიტყვა-ჟესტი “მიდის” განსხვავდება კლასის კატეგორიის მიხედვით და აგრეთვე შესრულებული მოძრაობის ხასიათის მიხედვითაც – კლასის შიგნით. ასევე მოძრაობის შესაბამისი მოქმედებით ასახული გაფრინდა ჩიტი ფრთების ქნევით და თვითმფრინავი სხვანაირად. როდესაც თვითმფრინავის გაფრენას უჩვენებენ აქ სიტყვა-ჟესტი თვითმფრინავი უკვე აღარცაა საჭირო. შევადაროთ ერთმანეთს ზმნა “მიფრინავს” ქვემომოყვანილი ორი წინადადების მიხედვით:

ჩიტი მიფრინავს.

თვითმფრინავი მიფრინავს.

როგორც ვხედავთ, სიტყვა-ჟესტი “მიფრინავს” სხვადასხვანაირადაა მოცემული. პირველ შემთხვევაში წინადადებაში “ჩიტი მიფრინავს” შესაბამისი პანტომიმური მოძრაობითაა ზმნა გადმოცემული მეორე და მესამე ფოტოებზე. მეორე წინადადებაში კი პირველ ფოტოზეა ასახული სიტყვა-ჟესტი “თვითმფრინავი”, ხოლო მეორე და მესამე სურათებზე ზმნა-შემასმენელი “მიფრინავს” არის წარმოდგენილი.

საინტერესოა ის გარემოება, რომ თანამედროვე ქართულ სამეტყველო ენაში ყველაზე უკეთ კლასის კატეგორია ასახულია ქონა-ყოლა ზმნებში. ამ ფონზე უფრო მნიშვნელოვანია ის მომენტი, რომ ქართულ ჟესტურ ენაში ამ მხრივ არსებითი განსხვავება არა გვაქვს. უფრო მეტი, ეგზისტენსისა და პოსესიურობის აღმნიშვნელი ზმნები ერთნაირი ჟესტებით გადმოიცემა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ქონა-ყოლა ზმნები ტიპოლოგიურად უნდა იქნეს განხილული როგორც “ყოფნა” ზმნის ორპირიანი ფორმები. შევადაროთ ერთმანეთს ქვემომოყვანილი ორი წინადადება:

ძმა მყავს.

აქ პირველი ორი სურათი ასახავს სიტყვა-ჟესტს “ძმა”, ხოლო მესამე და მეოთხე ფოტოებზე ზმნა “მყავს” არის ასახული.

წიგნი მაქვს.

აქ პირველი ორი სურათი ასახავს სიტყვა-ჟესტს “წიგნი”, ხოლო მესამე და მეოთხე ფოტოებზე ზმნა “მაქვს” არის ასახული. როგორც ვხედავთ, ქონა-ყოლა ზმნის ფორმები არ განასხვავებენ კლასის კატეგორიას ქართული სამეტყველო ენისგან განსხვავებით.

არის

ზმნებისთვის “არის”/”ვარ”, “მყავს”/”ჰყავს” და “მაქვს”/”აქვს” ერთი და იგივე ჟესტი გამოიყენება. ზოგჯერ “ქონა” ზმნას “ვ” ბგერის ვიზუალური არტიკულაციით გადმოსცემენ დამატებით.

აქვს

ვინ-რა მორფოსემანტიკური კატეგორია აისახება სხვა მეტყველების ნაწილებშიც; თანდებულებში შეიძლება გამოვყოთ “მიერ”, იგი არის ვინ მორფოსემანტიკური კატეგორიის მქონე, როგორც ერგატივის შესაბამისი ფორმა (შდრ. მოქმედება კაცის მიერ ან იმოქმედა კაცმა). სავარაუდოდ, აქაც შეიძლება გამოვყოთ ვინ-კატეგორიის მორფემა (მ-). შორისდებულთა დიდი ნაწილი ვინ-კატეგორიის აზრით არის ავსებული, რამდენადაც თავად ემოცია მხოლოდ ადამიანის მახასიათებელია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ (თავში "საგანი"), ქართულ ჟესტურ ენაში საგნის მრავლობითობას აქვს ვინ-რა კლასის მიხედვით განსხვავებული თავისი მორფოლოგიური ნიშნები:

1. ადამიანთა სიმრავლე



ადამიანთა სიმრავლე

2. მრავლობითობა ზოგადად

მრავლოგითოგა

კლასის კატეგორია კარგადაა ასახული პირის ნაცვალსახელებში. ამ საკითხს დაწვრილებით შევეხეთ თავში "ნაცვალსახელი". უნივერსალურია, რომ პირველი და მეორე პირები არის ვინ კატეგორიის კომუნიკატორი პირები. ამ ნაცვალსახელებს ერთვის განსხვავებული ფორმის კუთვნილებითობის სემანტიკის "-თვის" თანდებული, რომელიც მოჰგავს ერგატივის ნიშანს. ცხადია, აქ დგება ერგატივისა და გენიტივის ურთიერთმიმართების საკითხი და ამ თემასთან

დაკავშირებით ნიშანდობლივია კავკასიური ენების მასალა, სადაც ორმაგი ბრუნების ძირითად საყრდენ ბრუნვებად სწორედ გენიტივი ან ერგატივია წარმოდგენილი.

-თვის

ეს არის "-თვის" თანდებულის ჟესტი, რომელიც ვინ-კატეგორიის ფორმებთან გამოიყენება, ძირითადად პირველ და მეორე პირის ნაცვალსახელებთან.

ნაცვალსახელთა მესამე პირის ფორმებთან და დანარჩენ სახელებთან ამ თანდებულს განსხვავებული ფორმა აქვს:

კუთვნილების ნიშანი

აქ წარმოდგენილი "-თვის" თანდებული არის იგივე, რაც კუთვნილების ნიშანი და ეს არცაა მოულოდნელი მოვლენა, რადგანაც "-თვის" თანდებულის სემანტიკაც ხომ კუთვნილებით-დანიშნულებითია. საზოგადოდ, "-თვის" თანდებულთან კლასის განსხვავებას ტიპოლოგიური პარალელებიც აქვს სამეტყველო ენებში, მაგალითად: ბასკურში სულიერ სახლებს

დაერთვის თან თანებულის ფორმა რენტზატ და უსულოებთან კი – ფორმა რაკო არის წარმოდგენილი იმავე მნიშვნელობით.

ქართული სამეტყველო ენისგან განსახვავებით, ქართულ ჟესტურ ენაში განსაზღვრებით ნაცვალსახელებში წარმოდგენილია კლასის ნიშნით აღწერილი ფორმები ნაცვალსახელისა "სხვა":

სხვა

წარმოდგენილი ფორმა გვიჩვენებს ნივთის სხვადასხვაობას.

სხვა

მოცემული ფორმა გამოიყენება მხოლოდ ადამიანის მიმართ.

კლასის კატეგორია განასხვავებს ფორმებს ზედსართავ სახელებშიც.

მაღალი

ეს ზედსართავი სახელი არის ორხელიანი, სიმეტრიული ჟესტი და იგი გამოიყენება მხოლოდ ადამიანთა მიმართ.

მაღალი

წარმიდგენილი ზედსართავი სახელი არის ერთხელიანი ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი, რომელიც გამოიყენება ყველა კლასის სახელთა მიმართ, ვინ და რა ჯგუფის სახელებისათვის.

გამხდარი

ეს ზედსართავი სახელი არის ერთხელიანი ორფაზიანი ჟესტი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ადამიანთა მიმართ.

გამხდარი

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი კი არის ორხელიანი სიმეტრიული ჟესტი, რომელიც გამოიყენება ადამიანის გამოკლებით – სხვა სულიერი სახელების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ პოეტიკაში შესაძლოა დაირღვეს ზღვარი ვინ-რა კატეგორიათა შორის და ნივთი გასულიერდეს, მაგრამ მას ვერ ექნება წმინდა ლინგვისტური ღირებულება კონკრეტული შემთხვევისათვის.

საერთოდ გაპიროვნება, როგორც ლიტერატურული ხერხი, გულისხმობს უსულო საგნისთვის ან სხვა სულიერი საგნებისთვის ადამიანის ვინ-კატეგორიის თვისებების მინიჭებას. ასეთი თვისებები უპირველეს ყოვლისა,

უკავშირდება მეტყველებისა და აზროვნების ფორმებს. ზოგადი ტიპოლოგიური თვალსაზრისით, როდესაც ხდება ასეთი რამ, მაშინ სულიერის კატეგორიაში გადატანილი სახელი ვინ-კატეგორიის რეფერენტებით აღიჭურვება, როგორც უკვე გაადამიანებული საგანი. ჟესტური ენები კი მეტი სიფრთხილით ეკიდებიან ამდაგვარ მოვლენებს. კერძოდ, ისეთი მოვლენა, როგორიცაა გაპიროვნება, საკმაოდ ხშირია ზღაპრებში. ჟესტურ ენებში ეს მოვლენა, ენობრივი თვალსაზრისით, რჩება ენის ზედაპირზე. კერძოდ, საგანი მიიღებს ადამიანის თვისებებს, ექნება ადამიანის სახელი, ისაუბრებს, იფიქრებს, მაგრამ მორფოლოგიურად ის ასახული იქნება რა-კატეგორიის რეფერენტებით. მაგალითად: ეს სახელი ვერ მიიღებს ერგატივის ნიშანს, ვინ-კატეგორიის მრავლობითობის ნიშანს, ვერ დაირთავს ვინ-კატეგორიის ზედსართავებს და თანდებულებს და ა.შ. საქმე ისაა, რომ სამეტყველო ენების გრამატიკული სტრუქტურა ეყრდნობა მორფოლოგიურ რეფერენცირებას და აქ გვაქვს მაღალი დონის ენობრივი აბსტრაქცია – ენის იერარქიის მორფოსემანტიკურ დონეზე. ჟესტური ენების გრამატიკული სტრუქტურა კი ძირითად საყრდენად გამოიყენებს სემანტიკურ კატეგორიებს და საგანთა კატეგორიზაციის მყარ ჩარჩოებს. ლიტერატურული მიზნებით ამ ჩარჩოების დარღვევა მიუღებელია, რამდენადაც ეს არის მთავარი და ყველაზე უფრო რელევანტური ენობრივი ყალიბი.

კუთვნილება

ამ თავში მოცემულია ქართული ჟესტური ენის კუთვნილებითობის მორფო-სემანტიკური სისტემა. განხილულია კუთვნილების სემანტიკური კატეგორიის მაწარმოებელი მორფოლოგიური ფორმები და კატეგორიები: ნაცვალსახელი, ბრუნვა, თანდებული, რეფლექსივი და ზმნური კუთვნილების ფორმები. დახასიათებულია უკუთქმითი ანუ უარყოფითი კუთვნილების ჟესტური ფორმები. წარმოდგენილია ზემოხსენებულ კატეგორიათა მორფოსემანტიკური მიმართებები და ამ სისტემის შესაბამისობა ქართული სამეტყველო ენის სისტემასთან.

1. კუთვნილებითობის ნაცვალსახელური მორფოსემანტიკა

კუთვნილებითობა ანუ პოსესიურობა არის ერთ-ერთი უძველესი ენობრივი სემნატიკური კატეგორია, რომელიც უნივერსალურად აისახება ყველა ენაში განსხვავებული მორფოლოგიური და სინტაქსური საშუალებებით.

კუთვნილება

წარმოდგენილი ფორმა არის სიტყვა-ჟესტი “კუთვნილება” და იგი მოიცავს ვინ-კატეგორიის “-თვის” თანდებულს, რაც გამოსახულია პირველ ორ სურათზე ერთხელიანი დინამიკური ჟესტით და რეფლექსურ პოსესიურობას, რაც გადმოცემულია ორხელიანი ასიმეტრიული ორფაზიანი ჟესტით და წარმოდგენილია მესამე და მეოთხე სურათებზე. საგულისხმოა, რომ წარმოდგენილი ფორმა ვინ-კლასის სემანტიკას მოიაზრებს – კუთვნილება ხომ უპირატესად ვინ-კატეგორიის ნიშნით ხასიათდება.

ერთ-ერთი უმთავრესი და პირველადი ფორმა ამ სემანტიკისა არის მე – “ჩემი” კუთვნილებითობის პირველადი სახის გრამატიკალიზაცია, რომელიც ყველა ენაში კუთვნილების ნაცვალსახელებით არის გადმოცემული. ეს არის (მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის) მოსაუბრე პირის კუთვნილება. მეტყველების სუბიექტის კუთვნილება, ლინგვო-სოციალური პარამეტრებიდან გამომდინარე, უპირატესი და უდავო კუთვნილებაა და ამდენად, მას აღარ სჭირდება კუთვნილების ნიშანი – სხვა პირის ნაცვალსახელებისაგან განსხვავებით.

ჩემი

ჩვენი

ზემოთ, თავში "ნაცვალსახელი", ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ კუთვნილებითი და ასევე კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქართულ ჟესტურ ენაში არის კუთვნილებითობის ნიშანი და ეს არის ერთხელიანი ჟესტი – ნახევრად შეკრული მუჭი.

კუთვნილების ნიშანი

პირველი პირის ანუ მეტყველების სუბიექტის გარდა, როგორც ჟესტის აუცილებელი ნაწილი, ეს ნიშანი გვაქვს ყველა კუთვნილებით ნაცვალსახელთან:

შენი

თქვენი

იმისი

იმათი

ამისი

ამათი

მაგისი

მაგათი

კუთვნილებითობის ნიშანი გვაქვს კითხვით-კუთვნილებით ნაცვალსახელებში. საერთოდ, ეს ნაცვალსახელები ორნაწილიანი ჟესტით არიან წარმოდგენილი. პირველი არის შესაბამისი კითხვითი ნაცვალსახელი და ჟესტის მეორე ნაწილია კუთვნილებითობის ნიშანი:

ვისი?

რისი?

ასევე კუთვნილებით-უკუქცევით ნაცვალსახელშიც გვაქვს კუთვნილებითობის ნიშანი.

თავისი

ეს ნაცვალსახელი რეფლექსურობას და კუთვნილებას გადმოსცემს და აქვს შესაბამისი ერთეულები – სათავისო ქცევის ანუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში – რეფლექსურობის ნიშანი, რომელიც ასახულია მეორე და მესამე სურათებზე და ბოლო – მეოთხე სურათზე ასახულია კუთვნილებითობის ჟესტი.

საინტერესოა კუთვნილებით-უკუქცევითი ნაცვალსახელი “თავისი” “-თვის” თანდებულიანი ფორმით:

თავისთვის

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაცვალსახელის “-თვის” თანდებულიან ფორმას უკვე აღარ სჭირდება კუთვნილებითობის ჟესტი, რადგანაც წარმოდგენილი “-თვის” თანდებული თავად ატარებს პოსესიურ სემანტიკას და აქ ენამ თავიდან აიცილა პოსესიურ რეფერენტთა სიმრავლე.

2. "-თვის" თანდებულიანი ფორმები

“-თვის” თანდებულიანი ფორმების სემანტიკა კუთვნილებით-დანიშნულებითია. ეს თანდებული გვიჩვენებს ვისთვის ან რისთვის არის გამიზნული, ან ვისი/რისი საკუთრებაა ესა თუ ის სახელი.

ქართულ სამეტყველო ენაში პოსესიურობა ხშირად გაფორმებულია შემდეგი თანდებულებით: -თვის, -და, -იზა /-გულიზა /-გულობიზა და ზმნისწინებით: მი- და მო-. ასეთი ანალიზის დროს დიალექტური ფორმებიც ანგარიშგასაწევია. ამ სემანტიკურ კატეგორიას ყველაზე უფრო მეტი დიალექტური სიჭრელე ახასიათებს თანდებულებთან. ამ სიჭრელეს ნაკლებად იზიარებს ქართული ჟესტური ენა. ამ ენაში კუთვნილებით-

დანიშნულებითი სემანტიკა ძირითადად “-თვის” თანდებულიანი ფორმებით არის გადმოცემული.

-თვის

“-თვის” თანდებული არის ერთხელიანი, ორფაზიანი ჟესტი, რომელიც უკან მოსდევს კუთვნილების საგანს.

ეს ჟესტი თავისი ფორმით და დინამიკით ემთხვევა ერგატივის ნიშანს. მცირედი სხვაობა არის პოზიციაში, კერძოდ, ერგატივის ნიშანი არის მხრიდან განზე გაწეული ჟესტი.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოცემული “-თვის” თანდებულის ფორმა მხოლოდ პირველ და მეორე პირის ნაცვალსახელებთან გამოიყენება და ასევე რეფლექსურ ფორმასთან “თავისთვის”. პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები ქართულში უბრუნველი ფორმებია, ამიტომ “-თვის” თანდებულის ზემოთ აღწერილი ფორმა აქ უპრობლემოდ გამოიყენება. ხოლო მესამე პირის ნაცვალსახელებთან და არსებით სახელებთან ამ თანდებულის ფუნქციას ასრულებს კუთვნილებითი ნიშანი – ერთხელიანი ჟესტი, ნახევრად შეკრული მუჭი. შევადაროთ ქვემოთ მოყვანილი თანდებულიანი ნაცვალსახელის ფორმები:

ჩემთვის

წარმოდგენილ ფორმაში პირველ სურათზე ასახულია კუთვნილებითი ნაცვალსახელი “ჩემი”. მეორე და მესამე სურათებზე კი მოცემულია “-თვის” თანდებული. ამდენად, აქ ორმაგი კუთვნილებითობაა ასახული.

ჩვენთვის

მოცემულ ფორმაში პირველ, მეორე და მესამე სურათებზე ასახულია კუთვნილებითი ნაცვალსახელი “ჩვენი”. მეოთხე და მეხუთე სურათებზე კი გამოსახულია “-თვის” თანდებული.

შენთვის

წარმოდგენილ ფორმაში პირველ სურათზე ასახულია პირის ნაცვალსახელი “შენ”. მეორე და მესამე სურათებზე კი მოცემეულია “-თვის” თანდებული. შესაბამისად, პირველი

პირისგან განსხვავებით, აქ კუთვნილების გაორმაგებული რეფერენცია აღარ გვაქვს – რადგანაც ფორმაში პირის ნაცვალსახელია წარმოდგენილი.

თქვენთვის

მოცემულ ფორმაში პირველ და მეორე სურათებზე ასახულია კუთვნილებითი ნაცვალსახელი “თქვენი”. მესამე და მეოთხე სურათებზე კი გამოსახულია “-თვის” თანდებული.

მისთვის

წარმოდგენილ ფორმაში პირველ სურათზე ასახულია პირის ნაცვალსახელი “ის”. მეორე და მესამე სურათებზე კი მოცემეულია კუთვნილების ჟესტი “-თვის” თანდებულის შინაარსით. როგორც ვხედავთ, აქ “-თვის” თანდებულს განსხვავებული ფორმა აქვს. ეს ხდება ომონიმიის თავიდან ასაცილებლად – ამ თანდებულის ის ფორმა, რომელიც პირველ და მეორე პირებთანაა წარმოდგენილი, ერგატივის ნიშანს იმეორებს და რამდენადაც კომუნიკატორი პირები სამეტყველო ქართულში უბრუნველია (შესაბამისად, არც ქართული ჟესტური ენა უცვლის ფორმებს ამ ნაცვალსახელებს), არ დგება ფორმათა აღრევის პრობლემა. მესამე პირში კი პირველ

და მეორე პირებთანაა წარმოდგენილი “-თვის” თანდებულიანი ფორმა ერგატივად შეიძლება იქნეს გაგებული. ამიტომ ასეთი შემთხვევისთვის ენამ აირჩია “-თვის” თანდებულის მეორე ფორმა.

მათთვის

მოცემულ ფორმაში პირველ და მეორე სურათებზე ასახულია პირის ნაცვალსახელი “ისინი”. მესამე და მეოთხე სურათებზე კი მოცემულია კუთვნილების ჟესტი “-თვის” თანდებულის შინაარსით.

კაცისთვის

წარმოდგენილ ფორმაში პირველ სურათზე ასახულია სიტყვა “კაცი”. მეორე და მესამე სურათებზე კი გამოსახულია კუთვნილების ჟესტი “-თვის” თანდებულის შინაარსით.

ქალისთვის

მოცემულ ფორმაში პირველ სურათზე ასახულია სიტყვა “ქალი”. მეორე და მესამე სურათებზე კი მოცემულია კუთვნილების ჟესტი “-თვის” თანდებულის სემანტიკით.

ძაღლისთვის

წარმოდგენილ ფორმაში პირველ და მეორე სურათებზე ასახულია სიტყვა “ძაღლი”. მესამე და მეოთხე სურათებზე კი გადმოცემულია კუთვნილების ჟესტი “-თვის” თანდებულის შინაარსით.

ჩიტისთვის

მოცემულ ფორმაში პირველ, მეორე და მესამე სურათებზე ასახულია სიტყვა “ჩიტი”. მეოთხე და მეხუთე სურათებზე კი მოცემულია კუთვნილების ჟესტი “-თვის” თანდებულის შინაარსით.

მაგიდისთვის

წარმოდგენილ ფორმაში პირველ და მეორე სურათებზე ასახულია სიტყვა “მაგიდა”. მესამე და მეოთხე სურათებზე კი მოცემულია კუთვნილების ჟესტი “-თვის” თანდებულის სემანტიკით.

სკამისთვის

წარმოდგენილ ფორმაში პირველ და მეორე სურათებზე ასახულია სიტყვა “სკამი”. მესამე და მეოთხე სურათებზე კი მოცემულია კუთვნილების ჟესტი “-თვის” თანდებულის შინაარსით.

სოლისთვის

მოცემულ ფორმაში პირველ და მეორე სურათებზე ასახულია სიტყვა “სკოლა”. მესამე და მეოთხე სურათებზე კი გამოსახულია კუთვნილების ჟესტი “-თვის” თანდებულის სემანტიკით.

ქალაქისთვის

წარმოდგენილ ფორმაში პირველ და მეორე სურათებზე ასახულია სიტყვა-ჟესტი “ქალაქი”. მესამე და მეოთხე სურათებზე კი მოცემულია კუთვნილების ჟესტი “-თვის” თანდებულის შინაარსით.

თბილისისთვის

წარმოდგენილ ფორმაში პირველ და მეორე სურათებზე ასახულია სიტყვა “თბილისი”. მესამე და მეოთხე სურათებზე კი წარმოდგენილია კუთვნილების ჟესტი “-თვის” თანდებულის სემანტიკით.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, “-თვის” თანდებულს აქვს ორი რეფერენტი და დისტრიბუცია კლასის კატეგორიას ეყრდნობა ამოსავალი პოზიციიდან – რადგანაც პირველი და მეორე პირები ვინ-კატეგორიის კომუნიკატორი პირებია. მაგრამ შემდეგ თავად კუთვნილების ჟესტის გამოყენება უკვე აღარ განასხვავებს სახელებს კლასის მიხედვით და ეს ჟესტი თანაბრად გამოიყენება სულიერ და უსულო სახელებთან, ვინ და რა კატეგორიის ფორმებთან.

3. კუთვნილების სემანტიკა ბრუნვებში

ქართულ ენაში კუთვნილებითობა, როგორც მორფო-სემანტიკური კატეგორია, აისახება ბრუნვისა და უღლების სისტემებში, ზმნის ფორმებში, სახელთა დერივაციასა და თანდებულებში. სხვადასხვა ენაში დესტინაციური შინაარსი აქვთ კერძო ბრუნვებს. ენათა უმრავლესობაში დესტინატის ბრუნვა მიცემითია ან "-თვის" თანდებულიანი ნათესაობითი (ან ამ ფუნქციას სხვადასხვა ბრუნვებიც ინაწილებენ). ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა ქართულ ენაში ირიბი ობიექტის ბედი სამპირიანი ზმნის მესამე სერიაში – მოგეხსენებათ, აქ ეს ირიბი მიცემითბრუნვიანი ობიექტი ხდება ნათესაობითი ბრუნვის "თვის-"თანდებულიანი ირიბი დამატება; შეადარეთ: ვწერ წერილს **დედას** – მიმიწერია წერილი **დედისთვის**).

ქართული ენის მორფოლოგიური, ფორმაცვალებადი, ფლექსიური, სახელური პოსესიურობისა და დესტინაციის ნიმუშია მიცემით, ნათესაობით და ვითარებით ბრუნვათა დანიშნულებითი არსი და მათი ფორმები. ვითარებითი ბრუნვის პოსესიურ-დესტინაციური შინაარსი (მაგ. ჩემდა, ჩემად) თანამედროვე ქართულში შედარებით დავიწროვდა ნათესაობით-მიცემითის და "-თვის" თანდებულიანი ფორმების აქტიურობის ხარჯზე ამ კატეგორიის გამოხატვისას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დანიშნულებით-მიზნობრიობის თვალსაზრისით, ვითარებით ბრუნვას განსაკუთრებული როლი გააჩნია ქართულ სამეტყველო ენაში. სავარაუდოა, რომ საწყისის "-ა": წარმოშობით ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ნაშთია: წერ-ა ფორმიდან წერ-ად, მით უფრო, რომ დესტინაციური შინაარსი ნათლად იკითხება ასეთი ტიპის ინფინიტიურ კონსტრუქციებში – დაჯდა წერად. სხვა ენებში

დამატებით სხვა ბრუნვებსაც შეუძლიათ პოსესიურობისა და დესტინაციის შინაარსის გადმოცემა, მაგალითად, დესტინატივს, ბენეფაქტივს და მისთ. ქართულ ჟესტურ ენაში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ თავში "საგანი", ვითარებით ბრუნვას არა აქვს ასეთი ფართო ენობრივი დიაპაზონი.

როგორც უკვე ითქვა, ქართულ ჟესტურ ენაში გვაქვს ოთხი გაფორმებული ბრუნვა:

1. ნომინატივი – ლექსიკური ფორმით,
2. ერგატივი – ბრუნვის ნიშნით,
3. დესტინატივ-პოსესივი (მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი) – მიმართების დესტინატიურ-პოსესიური ნიშნით,
4. ვოკატივი – ბრუნვის ნიშნით.

კუთვნილებით-დანიშნულებითი სემანტიკის გადმოცემას ქართულ სამეტყველო ენაში კარგად ახერხებს ორი ბრუნვა მიცემითი და ნათესაობითი. დატივისა და გენიტივის შინაარსთა გარკვეული სიახლოვე საყოველთაო ფაქტია, მაგრამ ძირითადი სხვაობა მათ შორის არის ის, რომ დატივი არის ზმნური დესტინაცია-პოსესიურობის სემანტიკის ამსახველი, ხოლო გენიტივი მნიშვნელოვანწილად სახელური ტიპის დესტინაცია-პოსესიურობას გადმოსცემს. ცხადია, დატივი არის დესტინაციის ძირითადი ბრუნვა, როგორც ირიბი ობიექტის ბრუნვა, როგორც ადრესატის, რეციპიენტის, ბენეფაქტორის ან პოსესორი აქტანტის ბრუნვა. ხოლო გენიტივი არის კუთვნილებითობის ძირითადი ბრუნვა.

ქართული სამეტყველო ენის შესაბამისი მიცემითი ბრუნვა ქართულ ჟესტურ ენაში წარმოდგენილი არის ობიექტური

მიმართების ნიშნით. ფაქტობრივად, არის იგივე, რაც მიცემითი ბრუნვის ნიშანი. როგორც ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ თავში "საგანი", ჩვენ არ დავარქვით მას მიცემითი ბრუნვის ნიშანი, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ამ ბრუნვის ნიშნის დაქტილური გადმოცემა. ამის ნაცვლად კი გვაქვს ირიბი მიმართების მორფოსინტაქსური ნიშნის შესაბამისი ჟესტი. ბრუნვათა ძირითადი ფუნქცია სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობების მოწესრიგებაა კონკრეტული ენის ფარგლებში, მიმართების ეს ნიშანი კი წარმატებით მუშაობს ქართული ჟესტური ენის მორფოსინტაქსში. აქედან გამომდინარე, ეს ნიშანი განისაზღვრა როგორც ობიექტური მიმართების ნიშანი.

განვიხილოთ ქართული სამეტყველო ენის პოსესიურ-დესტინაციური ბრუნვების შესაბამისობა ქართულ ჟესტურ ენაში:

მიცემითი ბრუნვა

კაცს მივეცი

აქ პირველი სურათი არის სიტყვა-ჟესტი "კაცი". შემდეგ მოდის ობიექტური მიმართების ნიშანი. მესამე და მეოთხე სურათებზე წარმოდგენილია ზმნა "მივეცი" – აქედან იქით მიმართული დინამიკით.

ნათესაობითი ბრუნვა

კაცის წიგნი

აქაც პირველი სურათი არის სიტყვა-ჟესტი "კაცი". მეორე სურათზე არის მოცემული კუთვნილებით-დანიშნულებითი ჟესტი. მესამე და მეოთხე ფოტოები ასახავენ სიტყვა-ჟესტს "წიგნი". მეორე სურათზე ასახული კუთვნილებით-დანიშნულებითი ჟესტი მორფოსინტაქსური ფუნქციური თვალსაზრისით, შეესაბამება ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს.

მოქმედებითი ბრუნვა

კაცით ვამაყობ

აქ პირველი სურათი არის სიტყვა-ჟესტი "კაცი". მეორე სურათზე არის მოცემული კუთვნილებით-დანიშნულებითი ჟესტი. მესამე და მეოთხე ფოტოები კი გვიჩვენებენ ზმნურ სიტყვა-ჟესტს "ვამაყობ". მეორე სურათზე ასახულია კუთვნილებით-დანიშნულებითი ჟესტი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული სამეტყველო ენის სამ ბრუნვას: მიცემითს, ნათესაობითსა და მოქმედებითს ერთი

ფორმა შეესაბამება ქართულ ჟესტურ ენაში. ამ ბრუნვებს გადმოსცემს ერთი და იგივე ჟესტი, რომელიც ხაზს უსვამს ამ ბრუნვათა შორის არსებულ ფუნქციურ-ფორმობრივ მსგავსებებს. ეს არის მიმართების კუთვნილებით-დანიშნულებითი ერთხელიანი ორფაზიანი ჟესტი ანუ დესტინატივ-პოსესივის ნიშანი (მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი):

მიმართების ნიშანი

ქართულ ჟესტურ ენაში მიმართების დესტინატიურ-პოსესიური ნიშნით გამოხატული ნებისმიერი ბრუნვა არის პოსესიურობის შინაარსის მქონე.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითების შეპირისპირება გვიჩვენებს, რომ ბრუნვათა სისტემაში კუთვნილებითი სხვაობა არა გვაქვს კლასის კატეგორიის მიხედვით.

კაცის თავი

წარმოდგენილ ფორმაში პირველი სურათი გადმოსცემს სიტყვას "კაცი". მეორე სურათზე დესტინატიურ-პოსესიური

ნიშნით გამოსახულია პოსესიურობის შინაარსის გამომხატველი ნათესაობითი ბრუნვა. მესამე სურათზე გამოსახულია სიტყვა "თავი".

კაცის ქუდი

წარმოდგენილ ფორმაში პირველი სურათი გადმოსცემს სიტყვას "კაცი". მეორე სურათზე დესტინატიურ-პოსესიური ნიშნით გამოსახულია პოსესიურობის შინაარსის მქონე ნათესაობითი ბრუნვა. მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახულია სიტყვა "ქუდი".

ქალის თავი

წარმოდგენილ ფორმაში პირველი სურათი გადმოსცემს სიტყვას "ქალი". მეორე სურათზე დესტინატიურ-პოსესიური ჟესტით გამოსახულია პოსესიურობის შინაარსის ნათესაობითი ბრუნვა. მესამე სურათზე გამოსახულია სიტყვა "თავი".

ქალის ქუდი

წარმოდგენილ ფორმაში პირველი სურათი გადმოსცემს სიტყვას “ქალი”. მეორე სურათზე დესტინატიურ-პოსესიური ნიშნით გამოსახულია პოსესიურობის შინაარსის მქონე ნათესაობითი ბრუნვა. მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახულია სიტყვა “ქუდი”.

ძაღლის თავი

მოცემულ ფორმაში პირველი და მეორე სურათები გადმოსცემს სიტყვას “ძაღლი”. მესამე სურათზე დესტინატიურ-პოსესიური ნიშნით გამოსახულია პოსესიურობის შინაარსის ნათესაობითი ბრუნვა. მეოთხე სურათზე გამოსახულია სიტყვა “თავი”.

ძაღლის საყელური

წარმოდგენილ ფორმაში პირველი და მეორე სურათები გადმოსცემს სიტყვას “ძაღლი”. მესამე სურათზე დესტინატიურ-პოსესიური ნიშნით გამოსახულია პოსესიურობის შინაარსის მქონე ნათესაობითი ბრუნვა. მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სურათებზე გამოსახულია მრავალფაზიანი სიტყვა-ჟესტი “საყელური”.

ჩიტის თავი

მოცემულ ფორმაში პირველი, მეორე და მესამე სურათები გადმოსცემს სიტყვას “ჩიტი” (ეს არის გავრცობილი ფორმა). მეოთხე სურათზე დესტინატიურ-პოსესიური ჟესტით გამოსახულია პოსესიურობის შინაარსის მქონე ნათესაობითი ბრუნვა. მეხუთე სურათზე გამოსახულია სიტყვა-ჟესტი “თავი”.

მაგიდის ფეხი

წარმოდგენილ ფორმაში პირველი და მეორე სურათები გადმოსცემს იკონოგრაფიულ სიტყვა-ჟესტს “მაგიდა”. მესამე სურათზე დესტინატიურ-პოსესიური ნიშნით გამოსახულია პოსესიურობის შინაარსის ნათესაობითი ბრუნვა. მეოთხე და მეხუთე სურათებზე გამოსახულია სიტყვა-ჟესტი “ფეხი”.

სკამის ფეხი

მოცემულ ფორმაში პირველი და მეორე სურათები გადმოსცემს სიტყვა-ჟესტს “სკამი”. მესამე სურათზე დესტინატიურ-პოსესიური ნიშნით გამოსახულია პოსესიურობის შინაარსის მქონე ნათესაობითი ბრუნვა. მეოთხე და მეხუთე სურათებზე მოცემულია სიტყვა-ჟესტი “ფეხი”.

სკოლის კარები

წარმოდგენილ ფორმაში პირველი და მეორე სურათები გადმოსცემს სიტყვა-ჟესტს “სკოლა”. მესამე სურათზე დესტინატიურ-პოსესიური ჟესტით გადმოცემულია პოსესიურობის შინაარსის მქონე ნათესაობითი ბრუნვა. მეოთხე და მეხუთე სურათებზე წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი “კარები”.

ქალაქის ადგილი

მოცემულ ფორმაში პირველი და მეორე სურათები გადმოსცემს სიტყვა-ჟესტს “ქალაქი”. მესამე სურათზე დესტინატიურ-პოსესიური ნიშნით გამოსახულია პოსესიურობის შინაარსის მქონე ნათესაობითი ბრუნვა. მეოთხე და მეხუთე სურათებზე ასახულია სიტყვა-ჟესტი “ადგილი”.

თბილისის ადგილი

მოცემულ ფორმაში პირველი და მეორე სურათები გადმოსცემს სიტყვა-ჟესტს “თბილისი”. მესამე სურათზე დესტინატიურ-პოსესიური ნიშნით გამოსახულია პოსესიურობის შინაარსის მქონე ნათესაობითი ბრუნვა. მეოთხე და მეხუთე სურათებზე კი წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი “ადგილი”.

4. კუთვნილებითობის მორფოსემანტიკა ზმნებში

პოსესიურობა-დესტინაციის სემანტიკას ქართულ ზმნაში შეიცავს ქცევა ანუ ვერსია, რეფლექსივი და კონტაქტი. ცხადია, ვერსია არის ცენტრალური და ძირითადი კატეგორია, რომელიც მართავს ამ სემანტიკის გამომხატველ შესაბამის სინტაქსურ კომბინაციებს ქართულ სამეტყველო ენაში. მორფოლოგიური ფორმაცვალებადი ფლექსიური ზმნური დესტინაცია აღინიშნება უღლებაში.

ამა თუ იმ სემანტიკური კატეგორიის სინტაქსური ფორმა არის მორფოლოგიური ფორმების გარკვეული კომბინაცია. ენაში უნივერსალურად არსებობს სამი ტიპის თეორიული სინტაქსური კომბინაცია:

1. მიღებული და სალიტერატურო ნორმით განმტკიცებული კომბინაციები;
2. კატეგორიის გამოხატვის თვალსაზრისით ჭარბი ან ნაკლული კომბინაციები, რომლებიც დასაშვებია, მაგრამ არა სალიტერატურო ენისათვის;
3. ენისათვის მიუღებელი კომბინაცია, ანუ აკრძალვა.

სინტაქსური პოსესიური დესტინაცია შეიძლება იყოს განპირობებული ან გვქონდეს თავისუფალი ვარიაციით. ძირითადი მორფოსინტაქსური დესტინაციის დისტრიბუცია ასეთია:

1. ავაშენე – სხვისთვის
   ავაშენე – ჩემთვის
   ავაშენე – არავისთვის
   ავაშენე

ეს ფორმები პირველი ტიპის კომბინაციებს განეკუთვნება.

2. ავიშენე – ჩემთვის – ეს არის მეორე ტიპის კომბინაცია.

ავიშენე - ეს არის პირველი ტიპის კომბინაცია.

3. ავუშენე – მისთვის – მიუღებელია; ეს არის მესამე ტიპის კომბინაცია.

პირველ შემთხვევაში ნეიტრალურ ფორმებს აქვთ ვარიანტი, სინტაქსურად გადმოსცენ მორფოლოგიური მოდელის სამივე წევრის შინაარსი.

მეორე შემთხვევაში სინტაქსურად მხოლოდ რეფლექსივის გადმოცემაა შესაძლებელი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ აზრს რეფლექსივის შესახებ – რომ იგი კერძო მოვლენაა.

მესამე შემთხვევაში კი სინტაქსი მთლიანად შეზღუდულია არჩევანში და მხოლოდ მორფოლოგიური პრიორიტეტი აღინიშნება (დამატებითი მიმანიშნებელი აქტანტის გამოჩენის იშვიათი შემთხვევების გარდა, მაგ. ავუშენე მე მას ის ჩემთვის ან სხვისთვის).

ნეიტრალური ვერსიის ფორმები სინტაქსურ დატვირთვას აძლიერებენ და, ბუნებრივია, მონოპერსონალურ ენებში აქ იქნება ძირითადი აქცენტი. პოლიპერსონალურ ენებში კი ზმნაში ასახული კუთვნილებითობა განსაზღვრავს სინტაქსურ დამოკიდებულებებს.

ის სახლს აშენებს თავისთვის

წარმოდგენილ ფორმაში პირველ სურათზე ასახულია მესამე პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი –“ის”. მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია პირდაპირი ობიექტი “სახლს” მიმართების ნიშნით. მეოთხე და მეხუთე სურათებზე

გამოსახულია ძირითადი ლექსიკური ფორმა ზმნისა “აშენებს”. მეექვსე სურათზე მოცემულია ფორმა “მისთვის” – “თავისთვის”. მეშვიდე და მერვე სურათებზე გამოსახულია “-თვის” თანდებული იმ ფორმით, როგორც ეს გვაქვს პირველ და მეორე პირის ნაცვალსახელებთან. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ქართული ჟესტური ენა რეფლექსივშიც უშვებს ამ ტიპის ფორმებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გვაქვს ინტროვერტული ანუ რეფლექსური კუთვნილება.

ის სახლს აშენებს სხვისთვის

მოცემულ ფორმაში პირველ სურათზე ასახულია მესამე პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი –“ის”. მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია პირდაპირი ობიექტი “სახლს” მიმართების ნიშნით. მეოთხე და მეხუთე სურათებზე გამოსახულია ძირითადი ლქსიკური ფორმა ზმნისა “აშენებს”. მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე სურათებზე მოცემულია ფორმა “სხვისთვის”. აქ გვაქვს კუთვნილების ნიშნით გადმოცემული თანდებულიანი ფორმა და ეს კუთვნილების ნიშანი (“-თვის” თანდებულიანი ფორმა) ბოლო ორ სურათზეა ასახული.

ის სახლს უშენებს სხვას

მოცემულ ფორმაში პირველ სურათზე ასახულია მესამე პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი –“ის”. მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია პირდაპირი ობიექტი “სახლს” მიმართების ნიშნით. მეოთხე და მეხუთე სურათებზე გამოსახულია “უშენებს” ზმნის ძირითადი ლექსიკური ფორმა. მეექვსე და მეშვიდე სურათებზე მოცემულია სასხვისო ქცევის ნიშანი. მერვე, მეცხრე და მეათე სურათებზე ასახულია ნაცვალსახელი “სხვა” მიცემითი ბრუნვის შესაბამისი მიმართების ნიშნით – პოსესიურ-დესტინაციური ბრუნვის ფორმით.

ის სახლს იშენებს თავისთვის

წარმოდგენილ ფორმაში პირველ სურათზე ასახულია მესამე პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტი –“ის”. მეორე და მესამე სურათებზე მოცემულია პირდაპირი ობიექტი “სახლს” მიმართების ნიშნით. მეოთხე და მეხუთე სურათებზე გამოსახულია ძირითადი ლექსიკური ფორმა ზმნისა “იშენებს”. მეექვსე და მეშვიდე სურათებზე მოცემულია სათავისო ქცევის ნიშანი. აქ გვაქვს რეფლექსური კუთვნილება.

ინფინიტიური კონსტრუქციები მიზნობრივ-დესტინაციური სემანტიკური შინაარსის მატარებელია. ზმნა-საწყისი (ინფინიტივი) ვითარებით ბრუნვაშია წარმოდგენილი: დაჯდა წერად. ამ ფორმათა პარალელურია ზმნა მომავალდროიანი მიმღეობის ფორმებით: დაჯდა დასაწერად. ნაკლებად მოსალოდნელი პარალელური ფორმაა ზმნა საწყისი (ინფინიტივი) “-თვის” თანდებულით: დაჯდა დაწერისთვის.

ინფინიტივი არის ნულოვანი მოქმედება, ე. ი. პოტენციური აქტი ანუ სემანტიკურად შესასრულებელი (დასაწყები, იგივე საწყისი). უნივერსალურია, რომ ასეთ ფორმებში აუცილებლად ივარაუდება დესტინაციის მიზნობრივი შინაარსი. აქედან გამომდინარე, უნივერსალურია ინფინიტიური კატეგორიები დანიშნულებითობის შინაარსით. ამდენად, გასაგებია, თუ რატომაც არის შესაძლებელი ამ კონსტრუქციათა ჩანაცვლება მომავალდროიანი მიმღეობებით ქართულ სამეტყველო ენაში. ქართული ჟესტური ენისთვის კი ასეთი ფორმები სრულიად უცხოა.

ამა თუ იმ კატეგორიის სინტაქსური გამოხატვა არის ამ კატეგორიის სემანტიკის ფარგლებში მორფოლოგიურ ფორმათა კომბინაცია. შესაბამისად, ქართულ სამეტყველო და ჟესტურ ენებში სინტაქსური დესტინაციის ორი ძირითადი მოდელი ასეთია:

1. დატიური კონსტრუქციით წარმოდგენილი დესტინაცია. ეს არის ზმნა დესტინაციური მარკირებით პლიუს დატიური აქტანტი.

   Destinat. -Verb + N-Dative (ვუშენებ დედას)

2. ზმნისგარეთა დესტინაცია წარმოდგენილი ზმნის ნეიტრალური ფორმით და სახელი დესტინაციური თანდებულებით.

   Neitral. -Vebr + N-Destinat. Postpostiton. (ვაშენებ დედისთვის)

სამეტყველო ქართულში შეიძლება იყოს მარკირებული ნეიტრალური ფორმაც და სასუბიექტო ფორმაც. ამიტომ ჩვენ მხოლოდ საობიექტო ქცევა უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ასეთი შეპირისპირებისას. თუმცა, ცხადია, რომ სისტემათა მორფოლოგიური სხვადასხვაობა პირდაპირ აისახება სინტაქსზე. აღსანიშნავია, რომ იგივე ენობრივი სურათი გვაქვს ქართულ ჟესტურ ენაშიც, რამდენადაც ეს ენა ცდილობს ქართული სამეტყველო ენის კალკირებას ამ კატეგორიის ფარგლებში.

5. კუთვნილებითობის დერივაციული მორფოსემანტიკა

ქართულ სამეტყველო ენაში მორფოლოგიური ფორმაცვალებადი დერივაციული სახელური დესტინაცია მკვეთრადაა გამოხატული სახელთა წარმოქმნაში დანიშნულებითობის მაწარმოებელი სისტემით: სა-ე, სა-ო, სა-ეთ, სა-ურ, ცირკუმფიქსებით, -ად სუფიქსით და ა. შ. ამდაგვარი ტიპის

დესტინაცია წმინდა სემანტიკური თვისებრიობითა და მეტ-ნაკლები დესტინაციით გამოირჩევა. ამ ტიპის დესტინაციურ ფორმებში არსებობს გარკვეული გრადაცია ამ კატეგორიის თვალსაზრისით. სხვებთან შედარებით რიგი აფიქსებისა უფრო მკვეთრად გადმოსცემს დესტინაციას ან კუთვნილებითობას; მაგალითად, ცირკუმფიქსები სა-ე და სა-ო საკმაოდ მკაფიოდ მიუთითებს კუთვნილებით-დანიშნულებით სემანტიკაზე, სა-ეთ და სა-ურ კი შედარებით სუსტად გადმოსცემს ამ შინაარსს.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ჟესტურ ენაში კუთვნილებით-დანიშნულებითი სემანტიკის დერივანტები პირდაპირი კალკირებით არ გადმოდის ქართული სამეტყველო ენიდან. შევადაროთ ფორმები:

ქათამი

ეს არის ორხელიანი, ასიმეტრიული მრავალფაზიანი ჟესტი, რომელიც მიუთითებს ქათმის გარეგნულ მხარეზე – "ბიბილოზე" და მის მოძრაობაზე – "კენკვაზე".

საქათმე

ეს არის ორნაწილიანი ჟესტი, რომლის პირველი ნაწილი ორხელიანი, ასიმეტრიული, მრავალფაზიანი ჟესტით ასახავს სიტყვას "ქათამი" და მეორე ნაწილი კი არის ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი "სახლი".

ფანქარი

ეს არის ერთხელიანი, ორფაზიანი ჟესტი.

საფანქრე

ეს არის ორნაწილიანი ჟესტი, რომლის პირველი ნაწილი ერთხელიანი, ორფაზიანი ჟესტით ასახავს სიტყვას "ფანქარი". ხოლო მეორე ნაწილი კი არის ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, რომელიც ნიშნავს "დასადებ ადგილს" და ასახულია მესამე და მეოთხე სურათებზე.

გზა

წარმოდგენილი ფორმა არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი.

საგზაო

წარმოდგენილი ფორმა ასევე არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი. აქ შეცვლილია მოძრაობის ფორმა.

მანქანა

მოცემული ფორმა არის ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი ჟესტი.

სამანქანე

ეს არის ორნაწილიანი ჟესტი, რომლის პირველი ნაწილი ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი ჟესტით ასახავს სიტყვას "მანქანა". ხოლო მეორე ნაწილი კი არის კუთვნილების ნიშანი და გამოსახულია მესამე და მეოთხე სურათებზე.

ტვირთი

ეს არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი.

სატვირთო

ეს არის ორნაწილიანი ჟესტი, რომლის პირველი ნაწილი ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტით ასახავს სიტყვას "ტვირთი". ხოლო მეორე ნაწილი კი არის კუთვნილების ნიშანი და გამოსახულია მესამე და მეოთხე სურათებზე.

მგზავრი

ეს არის ორნაწილიანი ჟესტი, რომლის პირველი ნაწილი ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტით ასახავს სიტყვას “გზა”. ხოლო მეორე ნაწილი ასახავს სიტყვას “ადამიანი” და წარმოდგენილია მესამე და მეოთხე სურათებზე.

სამგზავრო

ეს არის ორნაწილიანი ჟესტი, რომლის პირველი ნაწილი ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტით ასახავს სიტყვას “გზა” და მოცემულია პირველ და მეორე სურათებზე. ხოლო მეორე ნაწილი ასახავს კუთვნილების ნიშანს და წარმოდგენილია მესამე და მეოთხე სურათებზე.

ყური

ეს არის ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის სხეულის ნაწილების მითითება პირდაპირ ხდება ბევრ ჟესტურ ენაში.

საყურე

მოცემული ფორმა წარმოდგენილია ერთხელიანი, სტატიკური ჟესტით.

როგორც ეს ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ქართულ ჟესტურ ენაში კუთვნილებით-დანიშნულებითი სემანტიკის გამომხატველი დერივანტები არ იმეორებს ქართული სამეტყველო ენის მოდელს. ამ სემანტიკის წარმოებისთვის ქართული ჟესტური ენა მიმართავს შემდეგ გზებს:

1. აწარმოებს შინაარსზე დაფუძნებულ ორნაწილიან ჟესტებს (ქათამი – საქათმე, ფანქარი – საფანქრე)
2. ცვლის ჟესტის დინამიკას (გზა-საგზაო)
3. აწარმოებს სრულიად ახალ დამოუკიდებელ ფორმას (ყური – საყურე)
4. დაირთავს კუთვნილების ნიშანს “-თვის” თანდებულის შინაარსით.

კუთვნილებით-დანიშნულებითი სემანტიკის წარმოების ეს უკანასკნელი, მეოთხე ფორმა (კუთვნილების ნიშნის

გამოყენება) საკმაოდ სქემატიზებულია და შეუძლია თითქმის ყველა სხვა ფორმებთან მიმართებით ალტერნატიული ვარიანტები შექმნას.

რაც შეეხება სამეტყველო ქართულში ქონების სემანტიკის წარმოების ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას "-იან" სუფიქსიან ფორმებს, ქართული ჟესტური ენა ამ სუფიქსის მორფოსემანტიკის გადმოსაცემად თავად ჟესტს ცვლის, კერძოდ, განსაკუთრებით გამოკვეთილია ჟესტის ბოლო ფაზა.

მზიანი

აქ პირველი ორი სურათი გვიჩვენებს სიტყვა-ჟესტს "მზე" და ბოლო მესამე სურათზე გადმოცემულია ამ ჟესტის ბოლო ფაზა – რაც ამ ფორმას სძენს კონკრეტულ პოსესიურ შინაარსს – "მზიანი".

ქუდიანი

აქ პირველი ორი სურათი გვიჩვენებს სიტყვა-ჟესტს "ქუდი". მესამე და მეოთხე სურათებზე გადმოცემულია ადამიანის

ნიშანი – რაც ამ ფორმას სძენს კონკრეტულ პოსესიურ შინაარსს – "ქუდიანი". ეს ფორმა არ ითარგმნება როგორც "ქუდმა" – ერგატივი არ ერთვის უსულო სახელებს. ამდენად, ჟესტის მეორე ნაწილი აქ დერივანტია.

ადამიანის ნიშანი პოსესიური სემანტიკის მატარებელია იქ, სადაც ის ვერ იქნება ერგატივის ნიშანი. აქ მკვეთრი გამიჯვნა ხდება, რამდენადაც ქართული ჟესტური ენა უსულო საგნებს არ აყენებს ერგატივში. ამ ფორმის პოსესიურობა კი იწარმოება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასახელებული საგანი, ან ნიშან-თვისება მიეკუთვნება ადამიანს: მაგალითად, ღიმილიანი, ცრემლიანი, ქუდიანი, ტანსაცმლიანი – ეს მხოლოდ ადამიანია.

მთვარიანი

აქ პირველი ორი სურათი გვიჩვენებს სიტყვა-ჟესტს "მთვარე" და ბოლო მესამე სურათზე გადმოცემულია ამ ჟესტის ბოლო ფაზა, რაც ამ ფორმას სძენს კონკრეტულ პოსესიურ შინაარსს – "მთვარიანი".

კუდიანი

წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტის პირველი ნაწილი არის პირველ სურათზე ასახული ერთხელიანი, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი “კუდი” და მეორე სურათზე გადმოცემულია ამ ჟესტის ბოლო ფაზა – ორხელიანი, ასიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი – რაც ამ ფორმას სძენს კონკრეტულ პოსესიურ შინაარსს – “კუდიანი”.

ფრთეგიანი

პირველ ორ სურათზე ასახულია ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი “ფრთები” და მესამე სურათზე კი გადმოცემულია ამ ჟესტის ბოლო ფაზა – ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი, რაც ამ ფორმას სძენს კონკრეტულ პოსესიურ შინაარსს – “ფრთებიანი”.

6. უარყოფითი კუთვნილებითობა

უარყოფითი კუთვნილებითობა ანუ უქონლობის სახელები ძირითადად ამ ჟესტით გადმოიცემა:



არა - გარეშე

უქუდო

მოცემულ უარყოფით ფორმაში პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი “ქუდი”. ხოლო მესამე და მეოთხე სურათებზე გვაქვს უარყოფითი ელემენტი ”გარეშე”.

უკუდო

წარმოდგენილ ფორმაში პირველ სურათზე მოცემულია სიტყვა-ჟესტი “ქუდი”. ხოლო მეორე და მესამე სურათებზე გვაქვს უარყოფითი ელემენტი ”გარეშე”.

უფრთო

პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი “ფრთა”. ხოლო მესამე და მეოთხე სურათებზე გვაქვს უარყოფითი ელემენტი ”გარეშე”.

უმზეო

მოცემულ უარყოფით ფორმაში პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი “მზე”. ხოლო მესამე და მეოთხე სურათებზე გვაქვს უარყოფითი ელემენტი ”გარეშე”. ამ სემანტიკურ ფორმას აქვს სხვა ჟესტური ვარიანტიც:

უმზეო

მოცემულ უარყოფით ფორმაში პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი “მზე”. ხოლო მესამე და მეოთხე სურათებზე გვაქვს უარყოფითი ელემენტი ”არა”/”წაშლა”.

უმთვარო

ამ ფორმაში პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი “მთვარე”. ხოლო მესამე და მეოთხე სურათებზე გვაქვს უარყოფითი ელემენტი ”გარეშე”. ამ ფორმას აქვს სხვა ჟესტური ვარიანტიც:

უმთვარო

მოცემულ უარყოფით ფორმაში პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი “მთვარე”. ხოლო მესამე და მეოთხე სურათებზე გვაქვს უარყოფითი ელემენტი ”არა”/ “წაშლა”.

უჭკუო

წარმოდგენილ უარყოფით ფორმაში პირველ სურათზე მოცემულია ერთხელიანი სიტყვა-ჟესტი “ჭკუა”. ხოლო მეორე სურათზე გვაქვს ორხელიანი, ასიმეტრიული, მრავალფაზიანი სიტყვა-ჟესტი მარჯვენა დომინანტი ხელით. ეს ჟესტი გამოსახავს შინარსს – ”არქონა”/ ”სიცარიელე”. სიტყვას “უჭკუო” აქვს სხვა ჟესტური ვარიანტიც:

უჭკუო

ამ ფორმაში პირველ სურათზე წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი “ჭკუა”. ხოლო მეორე და მესამე სურათებზე გვაქვს უარყოფითი ელემენტი ”გარეშე”.

უნიჭო

მოცემული ფორმა ორნაწილიანი სიტყვა-ჟესტია, რომლის პირველი ნაწილია სიტყვა ერთხელიანი, ორფაზიანი ჟესტი “ნიჭი” და ეს ასახულია პირველ და მეორე ფოტოებზე. ხოლო ჟესტის მეორე ნაწილი არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი უარყოფითი ჟესტი “გარეშე”, რომელიც გამოსახულია ბოლო ორ სურათზე.

თვისება

ამ თავში მოცემულია ქართულ ჟესტურ ენაში თვისების გამომხატველი ენობრივი საშულებების მორფოსემანტიკა. განხილულია ზედსართავი სახელის, როგორც საგნის თვისების ძირითადი მახასიათებლის, და ვითარების ზმნიზედის, როგორც მოქმედების თვისების გამომხატველი ერთეულის, მორფოსემანტიკა და ჟესტში ასახული ლინგვო-კულტუროლოგიური ფაქტორები. წინამდებარე თავში დახასიათებულია თვისებათა ხარისხის ფორმები და მოცემულია უნივერსალური საკლასიფიკაციო მოდელები.

1. თვისების მორფოსემანტიკური კატეგორია

თვისება ანუ როგორობა შეიძლება ახასიათებდეს საგანს ან მოქმედებას.

თვისება

წარმოდგენილი ფორმა არის სიტყვა-ჟესტი "თვისება" და იგი არის ორხელიანი სიმეტრიული მრავალფაზიანი დინამიკური ჟესტი.

საგნის თვისებას ანუ მის როგორობას მეტყველების ნაწილებთაგან ზედსართავი სახელი გვიჩვენებს. ამ სახელთა სწავლებისას სასურველია ზედსართავი სახელის თემატური დაჯგუფება ანტონიმური კლასიფიკაციის პრინციპებზე დაყრდნობით. უნივერსალური ენათმეცნიერების თვალსაზრისით, ზედსართავი სახელი შეიძლება იყოს ნეიტრალური, დადებითი და უარყოფითი ველის მქონე, ანუ საგნის თვისება შეიძლება იყოს ნეიტრალური, პოზიტიური ან ნეგატიური.

ნეიტრალური ზედსართავებია:

ფერის აღმნიშვნელი სახელები და რიგი ნაწარმოები ზედსართავებისა, მაგალითად, პალტოიანი, ქუდიანი, ზოლიანი და ა.შ.

გამოიყოფა ზედსართავი სახელების ერთ-, ორ- და სამწევრიანი საოპოზიციო სისტემები. ის ზედსართავები, რომელთაც მხოლოდ ორსისტემური, ანტონიმური სემანტიკა აქვთ და არ გააჩნიათ ნეიტრალური ფორმა, არის ორსისტემიანი. ზედსართავები, რომელთაც ამ საპირისპირო პოლუსების გარდა აქვთ ნეიტრალური ფორმებიც; არის სამსისტემიანი და მხოლოდ ნეიტრალური ანუ ერთსისტემიანი სახელები. სამწევრიანია ხარისხის ფორმების მქონე პირველადი ზედსართავი სახელების ოპოზიცია: გრძელი-მოგრძო-უგრძესი, სქელი-მოსქო-უსქელესი, თხელი-მოთხელო-უთხელესი და ა.შ.

საერთოდ, ყველა ჟესტური ენა, თავისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, ერიდება ზედმეტ ფორმებს, უმეტესად ძირითადი, საყრდენი ზედსართავებით ოპერირებს და სინონიმური ფორმები

ნაკლებად გააჩნია, თუმცა თვისების სისტემის ანტონიმური პრინციპი აქაც დაცულია.

ქართულ ჟესტურ ენაში, ისევე როგორც ქართულ სამეტყველო ენაში, არის პირველადი და მეორადი ზედსართავი სახელები. ზედსართავი სახელების წარმოება ძირითადად ხდება არსებითი სახელებიდან. ქართულ სამეტყველო ენაში ზედსართავი სახელების წარმოებისას გარკვეული სისტემა მოქმედებს:

1. იან- სუფიქსიანი ანუ ქონების გამომხატველი ნაწარმოები სახელები. მაგ. ქუდიანი, სახელიანი, ხალიანი, დაღიანი, პალტოიანი და ა. შ.
2. უ-ო ცირკუმფიქსიანი უქონლობის სახელები, მაგ. უქუდო, უხელო, უფეხო, უსახელო, უსირცხვილო და ა. შ.
3. ადამიანის სხეულის ნაწილებისგან ნაწარმოები ფორმები (თავი, ხელი, გული, სული, ფეხი, თვალი, პირი, ცხვირი და ა. შ.) მაგ. ხელმრუდე, ფეხმარდი, ავთვალი, უცხვირპირო, უპირო, პირიანი, გულიანი, უგულო, უსულო, უთავო, თავდადგმული, თავმოჭრილი, გულმაგარი და ა. შ.
4. ზედსართავდართული რთული ფორმები, მაგალითად: დღეგრძელი, დღემოკლე, მხარსუსტი, მხარძლიერი, კოჭდაბალი, ჭერმაღალი, ჭკუასუსტი, თავდიდი და ა. შ.
5. –ა დართული ფორმები, მაგ. თავა, ცხვირა და ა. შ.

ქართული ჟესტური ენაც აწარმოებს ზედსართავ სახელებს ქართული სამეტყველო ენის მსგავსად, მაგრამ მთლიანად არ იმეორებს წარმოების ამ სისტემას. ნაწარმოები ფორმები განხილულია ქვეთავში "თვისების ქონა-არქონა".

2. ფერის ასახვა ენაში

ფერის გამომხატველი ზედსართავი სახელები ხარისხის ნეიტრალურ ფორმაში უოპოზიციო ზედსართავი სახელებია:

ფერი

წარმოდგენილი არსებითი სახელი "ფერი" არის ორფაზიანი, ერთხელიანი ჟესტი. ეს არის ფერის მაწარმოებელი სიტყვა, რომელიც შედის კომპოზიტში, როგორც მეორე ნაწილი და ქართულ სამეტყველო ენაში ამ სიტყვის მეშვეობით, შესაძლოა ნებისმიერი რეალური და ირეალური ფერების წარმოება.

თეთრი

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი "თეთრი" არის ორფაზიანი, ერთხელიანი ჟესტი, რომელიც მიუთითებს სისუფთავეზე.

შავი

ზედსართავი სახელი "შავი" არის ორფაზიანი, ერთხელიანი ჟესტი, რომელიც მიუთითებს მუქი/შავი თმის ფერზე.

წითელი

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი "წითელი" არის ორფაზიანი, ერთხელიანი ჟესტი, რომელიც მიუთითებს ტუჩის წითელ ფერზე.

მწვანე

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი "მწვანე" არის ორფაზიანი, ერთხელიანი ჟესტი.

ლურჯი

მოცემული ზედსართავი სახელი "ლურჯი" არის ორფაზიანი, ერთხელიანი ჟესტი, რომელიც, სავარაუდოდ, მიუთითებს მელნის სილურჯეზე.

ცისფერი

მოცემული ზედსართავი სახელი "ცისფერი" არის ორნაწილიანი, მრავალფაზიანი, ერთხელიანი ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია "ლურჯი" და მეორე ნაწილია "ცა".

ყვითელი

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი "ყვითელი" არის ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი ჟესტი.

ოქროსფერი

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი "ოქროსფერი" არის ერთხელიანი, ორნაწილიანი, მრავალფაზიანი ჟესტი, რომლის

პირველი ნაწილია "ოქრო". ჟესტის პირველი ნაწილი წარმოდგენილია პირველ და მეორე სურათებზე. აქედან მეორე სურათი არის ნათესაობითი ბრუნვის შესაბამისი კუთვნილებით-დანიშნულებითი ბრუნვის ნიშნი. ხოლო მესამე და მეოთხე სურათებზე ასხულია ჟესტის მეორე ნაწილი "ფერი".

იასამნისფერი

ზედსართავი სახელი "იასამნისფერი" არის ორნაწილიანი, მრავალფაზიანი ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია "იასამანი" და ჟესტის ეს ნაწილი წარმოდგენილია პირველ სურათზე. აქ არ გვაქვს დანიშნულებითი ბრუნვის ნიშნი. ხოლო მეორე და მესამე სურათებზე ასხულია ჟესტის მეორე ნაწილი "ფერი".

ყავისფერი

მოცემული ზედსართავი სახელი "ყავისფერი" არის ორხელიანი, ასიმეტრიული, მრავალფაზიანი ჟესტი, რომელიც მიუთითებს ყავის დაფქვის მოძრაობაზე. ამ ფორმაში არ არის წარმოდგენილი არც დანიშნულებითი ბრუნვის ნიშნი და არც სამეტყველო ენის შესაბამისი კომპოზიტის მეორე ნაწილი "ფერი".

ვარდისფერი

ზედსართავი სახელი “ვარდისფერი” არის ორფაზიანი ჟესტი, რომელიც მიუთითებს ტუჩის ღია, ვარდისფერ ფერზე. საინტერესოა, რომ აქ არ გვაქვს არც დანიშნულებითი ბრუნვის ნიშნი და არც სამეტყველო ენის შესაბამისი კომპოზიტის მეორე ნაწილი “ფერი”.

სტაფილოსფერი

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი “სტაფილოსფერი” არის ორნაწილიანი, მრავალფაზიანი ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია “სტაფილო”. ჟესტის პირველი ნაწილი წარმოდგენილია პირველ და მეორე სურათებზე. აქ არა გვაქვს მოცემული კუთვნილებით-დანიშნულებითი ბრუნვის ნიშანი. ხოლო მესამე და მეოთხე სურათებზე ასახულია ჟესტის მეორე ნაწილი “ფერი”.

იისფერი

მოცემული ზედსართავი სახელი “იისფერი” წარმოდგენილია ორნაწილიანი ჟესტით. პირველი ნაწილი არის დაქტილური ფორმა, რომელიც ასახულია პირველ სურათზე და ეს გახლავთ “ი” დაქტილი. აქ არა გვაქვს მოცემული კუთვნილებით-დანიშნულებითი ბრუნვის ნიშნი. ხოლო მეორე და მესამე სურათებზე ასახულია ჟესტის მეორე ნაწილი “ფერი”.

ქართული ჟესტური ენა ცდილობს ქართული სამეტყველო ენის მსგავსად აწარმოოს ახალი ფორმები ამ ტიპის კომპოზიციით. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის წარმოება მოიცავს ჟესტური ენისთვის დამახასიათებელ მრავალფეროვნებას თავად სიტყვა-ჟესტის წარმოების თვალსაზრისით. როგორც ზემოთ განხილული მასალიდან ჩანს, ქართულ ჟესტურ ენაში გვაქვს ფერთა წარმოების ოთხი ტიპი:

1. ფორმა ან შეიცავს სამეტყველო ენის შესაბამისი კომპოზიტის პირველ ნაწილს და კუთვნილებით-დანიშნულებითი ბრუნვის ნიშანს (მაგ. “ოქროსფერი”);
2. ფორმა ან შეიცავს სამეტყველო ენის შესაბამისი კომპოზიტის პირველ ნაწილს და არა აქვს კუთვნილებით-დანიშნულებითი ბრუნვის ნიშანი (მაგ. “იასამნისფერი”, “სტაფილოსფერი”);

3. ჟესტური ფორმა ან მოიცავს სამეტყველო ენის შესაბამისი კომპიზიტური სიტყვის მხოლოდ პირველ ნაწილს (მაგ. “ყავისფერი”);
4. ჟესტურ ფორმას აქვს სრულიად დამოუკიდებელი წარმოება მაგ. “ცისფერი”, “ვარდისფერი”).

ენის კომისიის განსახილველი საგანია ქართულ ჟესტურ ენაში ფერთა წარმოების არსებული მრავალფეროვნებიდან რომელია მისაღები და რომელი ფორმები შეიძლება ჩაითვალოს არანორმატიულ ფორმებად წარმოების თვალსაზრისით.

ასევე ერთსისტემიანი ზედსართავი სახელებია: კოჭლი, კუზიანი, უთავო, უფეხო და ა. შ. ეს ისეთი ფორმებია, რომელთაც საპირისპირო სემანტიკის სახელები ენის აქტივში არ გააჩნიათ. თუმცა თეორიულად ასეთი წყვილები, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ მოვიაზროთ: უფეხო–ფეხიანი, კუზიანი-უკუზო და ა. შ. (ამის მიუხედავად, ჩვეულებრივ შემთხვევაში არ ვამბობთ “ფეხიანი კაცი”, ანუ ტიპობრივად მხოლოდ ნორმიდან გადახრა არის ხაზგასმული.)

3. ანტონიმური ფორმეები

ორსისტემიანი ზედსართავი სახელები არის ანტონიმური ფორმები:

კარგი

ეს არის საკმაოდ გავრცელებული და მიღებული ფორმა მრავალი ჟესტური ენისთვის. იგივე ფორმა გამოიყენება სამეტყველო ენებშიც როგორც პარალინგვისტური ერთეული.

ცუდი

ეს ჟესტიც საკმაოდ გავრცელებული და მიღებული ფორმაა მრავალი ჟესტური ენისთვის.

ᲒᲝᲠᲝᲢᲘ

წარმოდგენილია ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი დინამიკური სიტყვა-ჟესტი.

ᲙᲔᲗᲘᲚᲘ

ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი მიუთითებს "მოსაფერებელ" თვისებაზე.

ᲪᲮᲔᲚᲘ

ეს ფორმა არის ერთხელიანი, ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი.

ᲪᲘᲪᲘ

წარმოდგენილი ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი მიუთითებს "სიცივით კანკალზე".

ᲗᲑᲘᲚᲘ

ეს არის ერთხელიანი, ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი, რომელიც სემანტიკურად უკავშირდება "სუნთქვას".

ᲑᲠᲘᲚᲘ

მოცემული სიტყვა-ჟესტი არის ორნაწილიანი, რომლის პირველი ნაწილია ერთხელიანი ჟესტი “თბილი”, ხოლო მეორე ნაწილია “განელება-გაგრილება” და ეს ასახულია მეორე და მესამე სურათებზე ორხელიანი, სიმეტრიული ორფაზიანი სიტყვა-ჟესტით.

მდიდარი

წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი არის ერთხელიანი და ორფაზიანი. აქ გვაქვს პირდაპირი სემანტიკური მითითება ხელგაშლილობაზე. თუმცა, მდიდარი ყოველთვის არ ნიშნავს ხელგაშლილს, მაგრამ ეტყობა, მოთხოვნაა ასეთი: მდიდარი უნდა იყოს ხელგაშლილი.

ღარიბი

მოცემული ფორმა არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი.

ჭკვიანი

წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი არის ერთხელიანი და ორფაზიანი. აქ გვაქვს პირდაპირი სემანტიკური მითითება “თავზე”, “აზროვნებაზე”.

სულელი

მოცემული ჟესტი არის ერთხელიანი, სტატიკური. აქ მიმიკით და ჟესტით არის მითითება “თავქარიანობაზე”.

ღია

წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი არის ორხელიანი, სიმეტრიული და ორფაზიანი ფორმა.

მუჭი

მოცემული ფორმა არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი.

ნათელი

წარმოდგენილი ფორმა არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი, სადაც საკმაოდ გამოკვეთილი მიმიკა გვაქვს.

გნელი

მოცემული ფორმა არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი შესაბამისი სემანტიკის გამომხატველი მიმიკით.

სამსისტემიანი ზედსართავი სახელები:

ნეიტრალური – დადებითი –უარყოფითი

ნეიტრალური

მოცემული სიტყვა-ჟესტი ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, მრავალფაზიანი ჟესტია.

დადებითი

წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი ორხელიანი, დინამიკური, ასიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტია, რომელიც მიმატების ნიშანს “პლიუსს” ასახავს.

უარყოფითი

მოცემული სიტყვა-ჟესტი ერთხელიანი, დინამიკური, ორფაზიანი ჟესტია, რომელიც გვიჩვენებს გამოკლების ნიშანს - "მინუსს".

სამსისტემიანი ზედსართავებია:

მაღალი – საშუალო – დაბალი

დიდი - საშუალო – პატარა

გრძელი – საშუალო – მოკლე და ა. შ.

როგორც ვხედავთ, უმეტესწილად სიტყვა "საშუალო" ქმნის სამწევრიან სისტემას, მაგრამ რამდენადაც ეს სიტყვა საერთოა სხვადასხვა სემანტიკის ზედსართავებისთვის, იგი კარგავს თავის მორფოსემანტიკურ რელევანტობას საოპოზიციო ფორმის კუთხით და, ფაქტობრივად, აქაც ორწევრიანი ლექსიკურ-სემანტიკური ოპოზიცია გვაქვს.

საშუალო

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი არის ორხელიანი, სიმეტრიული ჟესტი.

მაღალი

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი არის ორხელიანი, სიმეტრიული ჟესტი. ეს ფორმა გამოიყენება მხოლოდ ადამიანთა მიმართ.

მაღალი

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი არის ერთხელიანი, ორფაზიანი ჟესტი. ეს ფორმა გამოიყენება ყველა კლასის სახელთა მიმართ.

დაგალი

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი არის ერთხელიანი, ორფაზიანი ჟესტი. ეს ფორმა გამოიყენება ყველა კლასის სახელთა მიმართ.

დიდი

მოცემული ზედსართავი სახელი არის ერთხელიანი, ორფაზიანი ჟესტი. ეს ფორმა არ განასხვავებს კლასის კატეგორიას.

პატარა

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი. ფორმა არ განასხვავებს კლასის კატეგორიას.

მსუქანი

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი, რომელიც მიუთითებს სახის სიმსუქნეზე.

მსუქანი

მოცემული ზედსართავი სახელი არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი, რომელიც მიუთითებს ტანის სიმსუქნეზე.

გამხდარი

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი არის ერთხელიანი, ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი. ეს ფორმა გამოიყენება მხოლოდ ადამიანთა მიმართ.

გამხდარი

მოცემული ზედსართავი სახელი არის ორხელიანი, ორფაზიანი ჟესტი. ეს ფორმა გამოიყენება არა ადამიანთა, არამედ სხვა სულიერი სახელების მიმართ.

გრძელი

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი. ფორმა არ განასხვავებს კლასის კატეგორიას.

მოკლე

მოცემული ზედსართავი სახელი არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი. ეს ფორმა არ განასხვავებს კლასის კატეგორიას.

სუსტი

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი. ეს ფორმა არ განასხვავებს კლასის კატეგორიას.

ძლიერი

ზედსართავი სახელი "ძლიერი" არის ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი სიტყვა-ჟესტი.

ღონიერი

ზედსართავი სახელი "ღონიერი" არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი.

უხვი

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი "უხვი" არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი. მოცემულ ფორმაში გაშლილი ხელები "ხელგაშლილობის" სემანტიკას გადმოსცემს პირდაპირი კინეტიკით.

ძუნწი

მოცემული ზედსართავი სახელი "ძუნწი" არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი, რომელსაც შესაბამისი მიმიკაც ახლავს თან. წარმოდგენილ სიტყვა-ჟესტში შეკრული მუშტები "ხელმოჭერილობის" სემანტიკას გადმოსცემს.

ჩქარი

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი "ჩქარი" არის ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი ჟესტი. ფორმა განასხვავებს კლასის კატეგორიას. ეს არის სულიერობის კატეგორიის მქონე კლასის შესაბამისი ფორმა.

ჩქარი

აქ მოცემული ზედსართავი სახელი “ჩქარი” არის ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი ჟესტი. ფორმა განასხვავებს კლასის კატეგორიას და მოცემული ფორმა არის უსულო კატეგორიის მქონე კლასის შესაბამისი ფორმა, რომელიც ძირითადად ტრანსპორტის საშუალებების მიმართ გამოიყენება.

ნელი

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი “ნელი” არის ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი ჟესტი. ფორმა არ განასხვავებს კლასის კატეგორიას.

მხიარული

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი “მხიარული” არის ორხელიანი, სიმეტრიული მრავალფაზიანი ჟესტი, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი მიმიკაც.

სევდიანი

ზედსართავი სახელი “სევდიანი” არის ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი ჟესტი შესაბამისი მიმიკით. მოცემული სიტყვა-ჟესტი სემანტიკურად მიუთითებს “გულდამძიმებაზე”.

სწორი

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი.

მრუდე

ზედსართავი სახელი ‘მრუდე” არის ერთხელიანი, მრავალფაზიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი.

ვიწრო

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი არის ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი ჟესტი. ფორმა არ განასხვავებს კლასის კატეგორიას.



ფართო

მოცემული ზედსართავი სახელი არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი. ფორმა არ განასხვავებს კლასის კატეგორიას. იმავე ჟესტით გამოისახება სინონიმური ფორმა “განიერი”.

ლამაზი

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი არის ერთხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი, რომელიც მიუთითებს სახის სილამაზეზე.

ულამაზო

მოცემული უარყოფითი შინაარსის ზედსართავი სახელი არის ერთხელიანი, მრავალფაზიანი, ორნაწილიანი ჟესტი, რომელიც მიუთითებს სილამაზის არქონაზე. ჟესტური კომპოზიტის მეორე ნაწილია უარყოფითი ნაწილაკი "არა", რომელიც ასახულია მესამე სურათზე.

მახინჯი

მოცემული ზედსართავი სახელი არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი. ფორმა არ განასხვავებს კლასის კატეგორიას. ეს არის წინა ზედსართავის ("ულამაზო") სინონიმური ფორმა.

მწარე

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი არის ერთხელიანი, დინამიკური, მრავალფაზიანი ჟესტი.

ტკბილი

მოცემული ზედსართავი სახელი არის ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი.

მჟავე

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი არის ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი, რომელიც ჟესტურად უკავშირდება სიტყვას “მეწყინა” თავისი სემანტიკით კი უკავშირდება ცნებას “ხასიათის დამჟავება”.

წმინდა

მოცემული ზედსართავი სახელი არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი, რომელიც თითქმის იმეორებს სინონიმურ სიტყვას ”სუფთა”.

სუფთა

მოცემული ზედსართავი სახელი არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი, რომელიც წინა ფორმისგან ”წმინდა” მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ამ ჟესტში ხელი არ სცილდება ხელს.

ჭუჭყიანი

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი. ამ სიტყვა-ჟესტს შესაბამისი მიმიკაც ერთვის.

ნაზი

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი არის ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი ჟესტი.

უხეში

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი არის ერთხელიანი, ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი, რომელსაც შესაბამისი მიმიკაც ახლავს. ეს სიტყვა-ჟესტი, სავარაუდოდ, რუსულის გავლენითაა სიტყვიდან грубый და გ-დაქტილითაა მოცემული.

საგნის თვისება ხშირად მიმღეობებით გადმოიცემა:

დახურული

მოცემული მიმღეობა არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი. ამ სახელს აქვს სხვა ჟესტური ფორმაც:

დახურული

მოცემული მიმღეობა არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი.

გაღებული

მიმღეობის მოცემული ფორმა არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი.

ღია

წარმოდგენილი ზედსართავი სახელი არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი. ეს არის წინა სიტყვა-ჟესტთან დაკავშირებული, იმავე მნიშვნელობის მქონე სინონიმური ფორმა.

მცოდნე

მოცემული ფორმა არის ერთხელიანი, მრავალფაზიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი.

4. თვისების ქონა-არქონა

სახელები და საგნები ამა თუ იმ თვისების ქონა-არქონით შეიძლება დახასიათდეს. ამ თემას ასევე ვეხებით თავში "საკუთრება".

ღიმილიანი

ნაზმნარი სახელიდან ნაწარმოები ქონების სახელი არის თვისების ერთ-ერთი ფორმა და პასუხობს კითხვაზე "როგორი?" მოცემულ ფორმაში პირველი ორი სურათი ასახავს სიტყვას "ღიმილი". მესამე და მეოთხე სურათებზე კი მოცემული გვაქვს ადამიანის ნიშანი. მთლიანობაში ეს ჟესტურად ნიშნავს მომღიმარ ადამიანს.

უღიმილო

პირველი ორი სურათი ასახავს სიტყვას "ღიმილი". მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემული გვაქვს უარყოფითი ჟესტი "გარეშე", მეხუთე და მეექვსე სურათებზე გადმოცემულია ადამიანის ნიშანი. მთლიანობაში ეს ნიშნავს უღიმილო, გაუღიმარ ადამიანს. როგორც ამ ფორმათა წარმოებიდან ჩანს, ქართული ჟესტური ენა გაიაზრებს, რომ ღიმილი მხოლოდ ადამიანს შეუძლია და ეს არის მხოლოდ ადამიანის მახასიათებელი.

სამეტყველო ქართულში ქონების სემანტიკის წარმოების ყველაზე უფრო გავრცელებული "-იან" სუფიქსიანი ფორმების შესაბამისი მორფოლოგია ასეთია: ქართული ჟესტური ენა ამ სუფიქსის მორფოსემანტიკის გადმოსაცემად თავად ჟესტს ცვლის, კერძოდ, განსაკუთრებით გამოკვეთს სიტყვა-ჟესტის ბოლო ფაზას.

მზიანი

პირველი ორი სურათი ასახავს სიტყვას “მზე”. მესამე სურათზე მოცემული გვაქვს ამ სიტყვა-ჟესტის ბოლო ფაზა და ეს უკვე ნიშნავს ფორმას “მზიანი”.

უმზეო

პირველი ორი სურათი ასახავს სიტყვას “მზე”. მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემული გვაქვს უარყოფითი ჟესტი “გარეშე”. ამავე სიტყვას აქვს განსხვავებული ჟესტური ვარიანტი:

უმზეო

პირველი ორი სურათი ასახავს სიტყვას “მზე”. მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემული გვაქვს უარყოფითი ჟესტი “არა” /“წაშლა”.

ნიჭიერი

წარმოდგენილი ფორმა არის ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი (იხ. თავი “საკუთრება”).

5. უკუთქმითი თვისება

თვისების უარყოფითი ფორმები ანუ თვისების არქონა სამეტყველო ქართულში გადმოიცემა უქონლობის სახელების დერივანტებით -ურ და უ-ო. მაგალითად: უგუნური, უგულო, უსულო, უქმრო, უშვილო, უცოლო, უიმედო, უსახელო და ა.შ. ქართულ ჟესტურ ენაში კი ამ მაწარმოებლებს შეესაბამება უარყოფის ნიშანი “არა” /”გარეშე”.

არა – გარეშე

ეს არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი. ამ ჟესტის გარდა, იმავე ფუნქციით ასევე გვაქვს არქონის, სიცარიელის ნიშანი, რომლის შესახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი.

უსახელო

მოცემულ უარყოფით ფორმაში პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი “სახელი”. ხოლო მესამე და მეოთხე სურათებზე გვაქვს უარყოფითი ელემენტი ”გარეშე”. აღსანიშნავია, რომ ამ ფორმას ქართული სამეტყველო ენისგან განსხვავებით, ქართულ ჟესტურ ენაში არ შეესაბამება დამატებითი მნიშვნელობა – “უავტორიტეტო”. ეს ფორმა პირდაპირ ნიშნავს “სახელდაურქმეველს”.

უთავო

წარმოდგენილ ფორმაში პირველ სურათზე ასახულია სიტყვა-ჟესტი “თავი”. ხოლო მეორე და მესამე სურათებზე გვაქვს უარყოფითი ელემენტი ”გარეშე”.

უხელო

წარმოდგენილ ფორმაში პირველ სურათზე მოცემულია სიტყვა-ჟესტი “ხელი”. ხოლო მეორე და მესამე სურათებზე გვაქვს უარყოფითი ელემენტი ”გარეშე”.

უგულო

წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტი არის ორნაწილიანი, პირველი ნაწილია “გული”, ხოლო მეორე არის “სიცარიელე” /”არქონა”.

უგულო

მოცემული სიტყვა-ჟესტი არის ორნაწილიანი. პირველი ნაწილია უარყოფითი ნაწილაკი “გარეშე”, რომელიც ასახულია პირველ ორ სურათზე. ხოლო მეორე არის “გული”, რომელიც წარმოდგენილია ბოლო სურათზე. როგორც ვხედავთ, კომპონენტთა გადაადგილება სავსებით მისაღებია ენისთვის.

უსულო

მოცემული სიტყვა-ჟესტის ფორმა არის ორნაწილიანი, პირველი ნაწილია უარყოფითი ნაწილაკი “გარეშე”, რომელიც ასახულია პირველ ორ სურათზე. ხოლო მეორე არის “სული”, რომელიც წარმოდგენილია ბოლო ორ სურათზე.

უსულო

წარმოდგენილი სიტყვა-ჟესტის ფორმა არის ორნაწილიანი. პირველი ნაწილია “სული”, რომელიც ასახულია პირველ ორ სურათზე. ხოლო მეორე არის უარყოფითი ნაწილაკი “გარეშე”, რომელიც წარმოდგენილია ბოლო ორ სურათზე.

როგორც ეს ზემოთ მოყვანილი ფორმებიდან ჩანს და ეს საკითხი ასევე განხილულია თავში “კუთვნილება”, უარყოფითი ჟესტი “გარეშე” შეიძლება წინ უძღოდეს ან მოსდევდეს ძირითადი ლექსიკური ერთეულის გამომხატველ ჟესტს. ყრუთა თემის წევრები ორივე წყობას გამოიყენებენ, მაგრამ შეკითხვისას უპასუხებენ, რომ უმჯობესია ჯერ წარმოდგენილი იყოს ძირითადი ლექსიკური ერთეულის გამომხატველი ჟესტი და შემდეგ კი – უარყოფითი ჟესტი.

უქმრო

მოცემული უკუთქმითი მახასიათებელი “უქმრო” ნიშნავს ქალს გულის სწორის გარეშე, ქორწინებაში ჯერ არყოფილს.

უქმრო

უარყოფითი სიტყვა-ჟესტი "უქმრო" ნიშნავს დაუქორწინებელ ან ქმარგაყრილ ქალს.

უცოლო

მოცემული უკუთქმითი მახასიათებელი "უცოლო" ნიშნავს კაცს გულის სწორის გარეშე, ქორწინებაში ჯერ არყოფილს.

უცოლო

უარყოფითი სიტყვა-ჟესტი "უცოლო" ნიშნავს დაუ-ქორწინებელ ან ცოლგაშორებულ მამაკაცს.

უშვილო

უქონლობის ზედსართავი სახელი "უშვილო" არის ორნაწილიანი სიტყვა-ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია სიტყვა "შვილი" და ეს ასახულია პირველ ორ სურათზე. ხოლო მესამე და მეოთხე სურათებზე მოცემულია უარყოფის ჟესტი "გარეშე".

6. მოქმედების თვისება

თვისება შეიძლება ახასიათებდეს საგანს და იგი გამოხატული იქნება ზედსართავი სახელით ან მიმღეობით. თვისება ასევე შეიძლება ახასიათებდეს ზმნას და იგი გამოხატული იქნება ვითარების ზმნიზედით.

ჩქარა

წარმოდგენილი ვითარების ზმნიზედა “ჩქარა” არის ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი სიტყვა-ჟესტი. ფორმა განასხვავებს კლასის კატეგორიას. ეს არის სულიერობის კატეგორიის მქონე კლასის შესაბამისი ფორმა. შესაბამისი ზედსართავი სახელისგან იმით განსხვავდება, რომ აქ გვაქვს სწრაფი და ხშირ-ხშირი მოძრაობები.

ჩქარა

აქ მოცემული ვითარების ზმნიზედა “ჩქარა” არის ორხელიანი სიმეტრიული მრავალფაზიანი ჟესტი. ფორმა განასხვავებს კლასის კატეგორიას და მოცემული ფორმა არის უსულო კატეგორიის მქონე კლასისთვის შესაბამისი ფორმა, რომელიც ძირითადად ტრანსპორტის საშუალებების მიმართ გამოიყენება. შესაბამისი ზედსართავი სახელისგან იმით განსხვავდება, რომ აქ გვაქვს სწრაფი და ხშირ-ხშირი მოძრაობები.

ნელა

აქ მოცემული ვითარების ზმნიზედა “ნელა” არის ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი ჟესტი. ფორმა არ განასხვავებს კლასის კატეგორიას. შესაბამისი ზედსართავი სახელისგან იმით განსხვავდება, რომ აქ გვაქვს შედარებით სწრაფი და ხშირ-ხშირი მოძრაობები.

კარგად

ეს ვითარების ზმნიზედა “კარგად” არის ერთხელიანი, ორფაზიანი ჟესტი. ფორმა შესაბამისი ზედსართავი სახელისგან იმით განსხვავდება, რომ აქ გვაქვს გამოკვეთილი ბოლო ფაზა.

ცუდად

წარმოდგენილი ვითარების ზმნიზედა “ცუდად” არის ერთხელიანი, ორფაზიანი ჟესტი. ფორმა შესაბამისი ზედსართავი სახელისგან იმით განსხვავდება, რომ აქ გვაქვს გამოკვეთილი ბოლო ფაზა.

ოდნავ

წარმოდგენილი ფორმა არის ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი. როგორც მოქმედების მახასიათებელი, ეს ჟესტი მოქმედების ნაკლები ინტენსივობის მაჩვენებელია.

ძალიან

მოცემული ფორმა არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი დინამიკური ჟესტი. ეს ჟესტი მოქმედების ინტენსივობის მაჩვენებელია, როგორც მოქმედების მახასიათებელი.

ეს ბოლო ორი ფორმა (“ოდნავ” და “ძალიან”) თვისების ხარისხის აღმნიშვნელი სიტყვა-ჟესტებია.

როგორც მაგალითებიდან ვხედავთ, ქართულ ჟესტურ ენაში ზედსართავი სახელი და მისგან ნაწარმოები ზმნიზედა ერთმანეთისგან ორი ნიშნით შეიძლება განსხვავდებოდეს:

1. ზმნიზედაში ჟესტის ბოლო ფაზა არის საგანგებოდ გამოკვეთილი;
2. შესაბამისი ზედსართავი სახელისგან განსხვავებით ზმნიზედებში გვაქვს სწრაფი და ხშირ-ხშირი მოძრაობები.

7. თვისების ხარისხის ფორმები

ქართულ ჟესტურ ენაში თვისების ხარისხი გადმოიცემა სამწევრიანი სისტემით: გვაქვს ნეიტრალური ფორმა, ოდნაობითი და აღმატებითი ფორმები. ოდნაობით ფორმას აწარმოებს ჟესტი “ოდნავ”.

ოდნავ

ეს არის ერთხელიანი ორფაზიანი დინამიკური ჟესტი.

ოდნავ წითელი

აქ პირველ ორ სურათზე ასახულია ოდნაობითი ხარისხის ჟესტი. მესამე და მეოთხე სურათებზე კი გვაქვს მოცემული ზედსართავის ძირითადი ლექსიკური ფორმა “წითელი”. ქართულ ჟესტურ ენაში არა გვაქვს ფორმა “მოწითალო” და არის ფორმა “ოდნავ წითელი”.

ოდნავ თეთრი

წარმოდგენილ ფორმაში პირველ ორ სურათზე ასახულია ოდნაობითი ხარისხის ჟესტი. მესამე და მეოთხე სურათებზე კი გვაქვს მოცემულია ზედსართავის ძირითადი ლექსიკური ფორმა “თეთრი”. ქართულ ჟესტურ ენაში არა გვაქვს ფორმა “მოთეთრო” და არის ფორმა “ოდნავ თეთრი”.

აღმატებით ხარისხს აწარმოებს ჟესტი “ძალიან”.



ძალიან

ეს არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი მარჯვენა დომინანტი ხელით.

ძალიან თეთრი

წარმოდგენილ ფორმაში პირველ ორ სურათზე ასახულია აღმატებითი ხარისხის ჟესტი. მესამე და მეოთხე სურათებზე კი გვაქვს მოცემული ზედსართავის ძირითადი ლექსიკური ფორმა “თეთრი”. ქართულ ჟესტურ ენაში არა გვაქვს ფორმა “უთეთრესი” და არის ფორმა “ძალიან თეთრი”.

ძალიან წითელი

აქ პირველ ორ სურათზე ასახულია აღმატებითი ხარისხის ჟესტი. მესამე და მეოთხე სურათებზე კი გვაქვს მოცემული ზედსართავის ძირითადი ლექსიკური ფორმა “წითელი”. ქართულ ჟესტურ ენაში არა გვაქვს ფორმა “უწითლესი” და არის ფორმა “ძალიან წითელი”.

ზოგჯერ აღმატებითი ხარისხი ჟესტის ბოლო ფაზის გაგრძელებითაც იწარმოება.

ლამაზი

ეს არის ორფაზიანი, ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, რომლის აღმატებითი ფორმა გამოკვეთს და გააგრძელებს ბოლო სიტყვა-ჟესტის ფაზას:

ულამაზესი

გრძელი

წარმოდგენილი ფორმა არის ორფაზიანი, ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, რომლის აღმატებითი ფორმა გამოკვეთს და გააგრძელებს ბოლო სიტყვა-ჟესტის ფაზას:

უგრძესი

ზედსართავი სახელები "კარგი" და ცუდი" ქართულ სამეტყველო ენაში ფუძის ცვლილებით აწარმოებენ ხარისხის ფორმებს. ქართულ ჟესტურ ენაშიც აღინიშნება იმავე ტიპის ცვლილებები.

კარგი

ეს არის ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი.

უკეთესი

წარმოდგენილი ფორმა არის წინა ფორმისგან განსხვავებული ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი.

საუკეთესო

ეს ფორმა არის ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი.

ცუდი

ეს არის ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი.

უარესი

წარმოდგენილი ფორმა არის წინა ფორმისგან განსხვავებული ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი დინამიკური ჟესტი.

8. კომპოზიტური ფორმები

ქართულ სამეტყველო ენაში ხშირია საგნის ან მოქმედების თვისების კომპოზიტური ფორმებით გადმოცემა. ქართული ჟესტური ენაც იყენებს ამ ტიპის ფორმებს. კომპოზიტების ნაწილები, უმეტეს შემთხვევაში, პირდაპირ მიჰყვება ქართული სამეტყველო ენის წყობას, მაგრამ გვაქვს შემთხვევები, როდესაც ქართული ჟესტური ენა კომპოზიტის ნაწილების შებრუნებულ წყობას გვიჩვენებს.

მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ქართული ჟესტური ენა ყოველთვის არ იზიარებს იმ სემანტიკურ მრავალფეროვნებას, რაც ქართულ სამეტყველო ენაში გვაქვს – განსაკუთრებით კომპოზიტურ ფორმებში, სადაც ხშირია

დამატებითი ან გადატანითი მნიშვნელობის ამოკითხვა სიტყვაში. ამ თვალსაზრისით, ჟესტური ენა უფრო პირდაპირ ცდილობს მნიშვნელობის ასახვას და შედარებით ნაკლებია ე. წ. მეტაფორული ფორმები.

განვიხილოთ ჟესტური ენის კომპოზიტები:

გულღია

ეს არის ორნაწილიანი სიტყვა-ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია სიტყვა "გული" და იგი მოცემულია პირველ სურათზე. კომპოზიტის მეორე ნაწილია სიტყვა "ღია", რომელიც ასახულია მეორე და მესამე სურათებზე.

გულდახურული

წარმოდგენილი ფორმა არის ორნაწილიანი სიტყვა-ჟესტი. კომპოზიტის პირველი ნაწილია სიტყვა "გული" და იგი მოცემულია პირველ სურათზე. მეორე ნაწილია სიტყვა "დახურული", რომელიც ასახულია მეორე და მესამე სურათებზე.

გულგატეხილი

ეს არის ორნაწილიანი სიტყვა-ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია სიტყვა "გული" და იგი მოცემულია პირველ სურათზე. კომპოზიტის მეორე ნაწილია მიმღეობა "გატეხილი", რომელიც ასახულია მეორე და მესამე სურათებზე.

ხელმოტეხილი

ეს არის ორნაწილიანი, კომპოზიტური სიტყვა-ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია სიტყვა "ხელი" და იგი მოცემულია პირველ სურათზე ერთხელიანი, მითითებითი ჟესტით. კომპოზიტის მეორე ნაწილია მიმღეობა "მოტეხილი", რომელიც ასახულია მეორე და მესამე სურათებზე ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტით.

თავგატეხილი

წარმოდგენილი ფორმა არის ორნაწილიანი, კომპოზიტური სიტყვა-ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია სიტყვა “თავი” და იგი ერთხელიანი მითითებითი ჟესტით მოცემულია პირველ სურათზე. ხოლო კომპოზიტის მეორე ნაწილია მიმდეობა “გატეხილი”, რომელიც ასახულია მეორე და მესამე სურათებზე ორხელიანი სიმეტრიული ორფაზიანი ჟესტით.

ცხვირაწეული

წარმოდგენილი ფორმა არის ორნაწილიანი, კომპოზიტური სიტყვა-ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია სიტყვა “ცხვირი” და ერთხელიანი მითითებითი ჟესტით იგი მოცემულია პირველ სურათზე. ხოლო კომპოზიტის მეორე ნაწილია მიმდეობა “აწეული”, რომელიც პანტომიმური მოძრაობით ასახულია მეორე სურათზე ერთხელიანი ორფაზიანი ჟესტით. აქ გვაქვს სამეტყველო ქართულთან პირდაპირი შესაბამისობა კომპოზიტის ორპლანიან სემანტიკაზე. ეს სიტყვა-ჟესტი იმავე

მნიშვნელობით იმეორებს შინაარსის მეორე პლასტს – ცნებას “ამპარტავანი”.

გრძელვადიანი

მოცემული ფორმა არის ორნაწილიანი, კომპოზიტური სიტყვა-ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია სიტყვა “გრძელი”, რომელიც ორხელიანი სიმეტრიული ჟესტით წარმოდგენილია პირველ და მეორე სურათებზე. ხოლო კომპოზიტის მეორე ნაწილია “ვადიანი”, რომელიც ასახულია მეორე სურათზე ერთხელიანი, მრავალფაზიანი ჟესტით “დრო”.

პირდაბანილი

მოცემული ფორმა არის ორნაწილიანი, კომპოზიტური სიტყვა-ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია სიტყვა “პირი”, “პირისახე” და იგი მოცემულია პირველ-მეორე სურათებზე ერთხელიანი, მითითებითი ჟესტით. ხოლო კომპოზიტის მეორე ნაწილია მიმდეობა “დაბანილი”, რომელიც ასახულია მესამე და მეოთხე სურათებზე ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი ჟესტით.

თმადავარცხნილი

წარმოდგენილი ფორმა არის ორნაწილიანი, კომპოზიტური სიტყვა-ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია სიტყვა “თმა” და იგი მოცემულია პირველ სურათზე ერთხელიანი, მითითებითი ჟესტით. ხოლო კომპოზიტის მეორე ნაწილია მიმღეობა “დავარცხნილი”, რომელიც პანტომიმური მოძრაობით ასახულია მეორე და მესამე სურათებზე ერთხელიანი, მრავალფაზიანი ჟესტით.

ცხვირმოუხოცავი

წარმოდგენილი ფორმა არის ორნაწილიანი, კომპოზიტური სიტყვა-ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია სიტყვა “ცხვირი” და ერთხელიანი, მითითებითი ჟესტით იგი გადმოცემულია პირველ სურათზე. ხოლო კომპოზიტის მეორე ნაწილია მიმღეობა “მოუხოცავი”, რომელიც პანტომიმური მოძრაობით ასახულია მეორე სურათზე ერთხელიანი, ორფაზიანი ჟესტით. აქ გვაქვს მითითება “ცინდლის დენაზე”. ბოლო სურათი გვიხსნის ამ სიტყვა-ჟესტის გადატანითი მნიშვნელობის სემანტიკას – “პატარა”.

თმაჭაღარა

წარმოდგენილი ფორმა არის ორნაწილიანი, კომპოზიტური სიტყვა-ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია სიტყვა “თმა” და ერთხელიანი, მითითებითი ჟესტით იგი მოცემულია ბოლო ორ სურათზე და არის ჟესტური კომპოზიტის ბოლო ნაწილი. ხოლო სამეტყველო ენის კომპოზიტის მეორე ნაწილია სიტყვა “ჭაღარა”, რომელიც არის ჟესტური კომპოზიტის პირველი ნაწილი და ასახულია პირველ და მეორე სურათებზე ერთხელიანი, ორფაზიანი ჟესტით “თეთრი”. მოცემულ მაგალითში გვაქვს კომპოზიტის ნაწილების შებრუნება.

თავჩაღუნული

ეს არის ორნაწილიანი, ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი სიტყვა-ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია სიტყვა “თავი” და იგი მოცემულია პირველ სურათზე არა მითითებითი ჟესტით, არამედ იკონოგრაფიული ფორმატით. კომპოზიტის მეორე ნაწილია მიმღეობა “ჩაღუნული”, რომელიც ასახულია

მეორე სურათზე ორხელიანი ასიმეტრიული ჟესტით და მიმიკით.

ხმამაღალი

აქ წარმოდგენილია ორნაწილიანი სიტყვა-ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია სიტყვა “ხმა” და იგი მოცემულია პირველ სურათზე მითითებითი ჟესტით. კომპოზიტის მეორე ნაწილია ზედსართავი სახელი “მაღალი”, რომელიც ასახულია მეორე და მესამე სურათებზე ერთხელიანი, ორფაზიანი ჟესტით.

ლოყაწითელა

მოცემული ორნაწილიანი სიტყვა-ჟესტის პირველი ნაწილია სიტყვა “ლოყა” და იგი მოცემულია პირველ სურათზე ერთხელიანი, მითითებითი ჟესტით. კომპოზიტის მეორე ნაწილია ზედსართავი “წითელი”, რომელიც ასახულია მეორე სურათზე ვარდისფერ, მოწითალო ლოყაზე მითითებით.

ლოყებწითელა

წარმოდგენილი ორნაწილიანი, კომპოზიტური სიტყვა-ჟესტის პირველი ნაწილია სიტყვა “ლოყები” და იგი მოცემულია პირველ სურათზე ორხელიანი მითითებითი ჟესტით. კომპოზიტის მეორე ნაწილია ზედსართავი “წითელი”, რომელიც ასახულია მეორე სურათზე ვარდისფერ, მოწითალო ლოყაზე ორხელიანი, მითითებითი ჟესტით. როგორც ვნახეთ, კომპოზიტის ერთ-ერთ ნაწილში მოცემული მრავლობითობა ორხელიანი ჟესტით აისახა ფორმაში.

შავთვალა

მოცემული ორნაწილიანი, კომპოზიტური სიტყვა-ჟესტის პირველი ნაწილია სიტყვა “შავი” და იგი მოცემულია პირველ და მეორე სურათებზე ერთხელიანი, მითითებითი ჟესტით. კომპოზიტის მეორე ნაწილია ზედსართავი “თვალი”, რომელიც ასახულია მესამე სურათზე ერთხელიანი, მითითებითი ჟესტით.

შავთვალეგა

მოცემული ორნაწილიანი, კომპოზიტური სიტყვა-ჟესტის პირველი ნაწილია სიტყვა “შავი” და იგი მოცემულია პირველ და მეორე სურათებზე ერთხელიანი, მითითებითი ჟესტით. კომპოზიტის მეორე ნაწილია ზედსართავი “თვალები”, რომელიც ასახულია მესამე და მეოთხე სურათებზე ერთხელიანი, მითითებითი ჟესტით ორივე თვალზე.

როგორც მოცემული ფორმების შეპირისპირებიდან ჩანს, კომპოზიტის მეორე ნაწილში მოცემული მრავლობითობა შესაბამისად ასახულია ჟესტური ფორმით. იგივე ენობრივი სურათია მომდევნო ორ მაგალითში.

ცისფერთვალა

მოცემული ორნაწილიანი, კომპოზიტური სიტყვა-ჟესტის პირველი ნაწილია სიტყვა “ცისფერი” და იგი მოცემულია პირველ და მეორე სურათებზე ერთხელიანი ორნაწილიანი ჟესტით – “ლურჯი ცა”. კომპოზიტის მეორე ნაწილია

ზედსართავი “თვალი”, რომელიც ასახულია მესამე სურათზე ერთხელიანი, მითითებითი ჟესტით.

ცისფერთვალეგა

მოცემული ორნაწილიანი, კომპოზიტური სიტყვა-ჟესტის პირველი ნაწილია სიტყვა “ცისფერი” და იგი მოცემულია პირველ და მეორე სურათებზე ერთხელიანი, ორნაწილიანი ჟესტით – “ლურჯი ცა”. კომპოზიტის მეორე ნაწილია ზედსართავი “თვალები”, რომელიც ასახულია მესამე და მეოთხე სურათებზე ერთხელიანი, მითითებითი ჟესტით ორივე თვალზე.

რაოდენობა და ზომა-წონის ერთეულები

ამ თავში აღწერილია ქართულ ჟესტურ ენაში რიცხვის გამომხატველი ენობრივი საშულებების მორფოსემანტიკა. განხილულია რიცხვითი სახელის ფორმები და ზომა-წონის ერთეულების ჟესტური მორფოსემანტიკა.

1. რიცხვითი სახელი ჟესტურ ენებში

რიცხვითი სახელი ყველა ენაში არის საგნის რაოდენობის, რიგის ან ნაწილის აღმნიშვნელი მორფოლოგიური ფორმა. ამის მიხედვით ეს სახელი არის ან რაოდენობითი, ან რიგობითი, ან წილობითი. ქართული ჟესტური ენა იმეორებს ენათა უნივერსალურ მიდგომას რიცხვის მიმართ. ჟესტური ენის რიცხობრივ მონაცემთა უმეტესობა, ლექსიკური თვალსაზრისით, ემთხვევა სხვა ენების შესაბამის მასალას და ეს, თავის მხრივ, ძალზე აადვილებს კომუნიკაციას და თითქმის უნივერსალურს ხდის მათემატიკურ ენობრივ ქსოვილს. ჟესტური ენები თითების მოსალოდნელ კომბინაციებს გამოიყენებენ რიცხვის გადმოსაცემად.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ჟესტურ ენებში გვაქვს ხუთეულობითი სისტემები, რადგანაც აქ ხელის თითებით ხდება რიცხვის გადმოცემა და ეს ყველაზე უფრო მოსახერხებელი სისტემაა. ხუთობითი სისტემა კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში.

რიცხვი

ეს არის ერთხელიანი, მრავალფაზიანი ჟესტი.

საერთოდ, მათემატიკური ერთეული შეიძლება იყოს სამი სახის:

ნეიტრალური

ეს არის ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი დინამიკური ჟესტი.

დადებითი

წარმოდგენილი ფორმა არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი.

უარყოფითი

მოცემული ფორმა ერთხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი.

რიცხვი, როგორც წესი, ან დადებითია, ან უარყოფითი. დადებითი რიცხვის ფორმა ნეიტრალური ანუ უნიშნო მახასიათებლითაა გადმოცემული მათემატიკის ენაში.

I. რაოდენობა

საგნის რაოდენობას რაოდენობითი რიცხვითი სახელი გადმოგვცემს. ყველა ენაში თვლა ხდება რაოდენობითი რიცხვითი სახელებით.

რაოდენობა

წარმოდგენილი ფორმა არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი.

რაოდენობითი რიცხვითი სახელი არის გარკვეული ან გაურკვეველი.

ბევრი

გაურკვეველი რაოდენობითი რიცხვითი სახელი “ბევრი” არის ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი, რომელიც მიუთითებს შინაარსზე “ყელამდე”.

ცოტა

გაურკვეველი რაოდენობითი რიცხვითი სახელი “ცოტა” არის ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი.

გარკვეული რაოდენობითი რიცხვითი სახელები ნატურალური რიცხვებია. თვლა ერთიდან ხუთამდე ხდება თითების მოსალოდნელი კომბინაციების გამოყენებით. ეს ქვემოთ

მოყვანილი ექვსივე ჟესტი (ნულიდან ხუთის ჩათვლით) არის ერთხელიანი, სტატიკური ანუ მყარი ჟესტი.

0

1

2

3

4

5

რიცხვები ხუთიდან ცხრის ჩათვლით გადმოცემულია ორხელიანი კომბინაციით. ერთი გაშლილი ხელი წინ მიმართული ხელისგულით ასახავს ამ რაოდენობაში შემავალ ხუთს და მეორე ხელი, რომელიც ეხება ამ ხელისგულს უმატებს (ზემოდან ადებს) იმ რაოდენობის თითებს, რამდენითაც ის ხუთზე მეტია. აქ გვაქვს ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური ანუ მყარი ჟესტები.

6

გაშლილი ცალი ხელი წინ მიმართული ხელისგულით ასახავს ამ რაოდენობაში შემავალ ხუთს და მეორე ხელი, რომელიც ეხება ამ ხელისგულს და უმატებს ერთ თითს – ექვსი ხუთზე ერთით მეტია.

7

გაშლილი ცალი ხელი წინ მიმართული ხელისგულით ასახავს ამ რაოდენობაში შემავალ ხუთს და მეორე ხელი, რომელიც ეხება ამ ხელისგულს და უმატებს ორს – შვიდი ხუთზე ორით მეტია.

8

გაშლილი ცალი ხელი წინ მიმართული ხელისგულით ასახავს ამ რაოდენობაში შემავალ ხუთს და მეორე ხელი ეხება ამ ხელისგულს და უმატებს სამ თითს – რვა ხუთზე სამით მეტია.

9

გაშლილი ცალი ხელი წინ მიმართული ხელისგულით ასახავს ამ რაოდენობაში შემავალ ხუთს და მეორე ხელი ეხება ამ ხელისგულს და უმატებს ოთხ თითს – ცხრა ხუთზე ოთხით მეტია.

10

წარმოდგენილი სტატიკური ჟესტის ფორმა არის ორი ხუთიანი – ერთმანეთისკენ მიმართული ხელისგულებით. ეს არის ორხელიანი, სიმეტრიული ჟესტი.

11

“თერთმეტი” არის ერთხელიანი ჟესტი, სადაც შეკრული მუშტი აღნიშნავს ათს, რომელსაც ემატება მეორე სურათზე ასახული ერთი თითი.

12

“თორმეტი” არის ერთხელიანი ჟესტი, სადაც შეკრული მუშტი აღნიშნავს ათს, რომელსაც ემატება მეორე სურათზე ასახული ორი თითი.

13

“ცამეტი” არის ერთხელიანი ჟესტი, სადაც შეკრული მუშტი აღნიშნავს ათს, რომელსაც ემატება მეორე სურათზე ასახული სამი თითი.

14

“თოთხმეტი” არის ერთხელიანი ჟესტი, სადაც შეკრული მუშტი აღნიშნავს ათს, რომელსაც ემატება მეორე სურათზე ასახული ოთხი თითი.

15

“თხუთმეტი” არის ორხელიანი, ორნაწილიანი, ასიმეტრიული ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია “ათი”. ეს ასახულია პირველ სურათზე. მეორე ნაწილია “ხუთი”, რომელიც ემატება ამ ათს.

16

“თექვსმეტი” არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი. გაშლილი ცალი ხელი წინ მიმართული ხელისგულით ასახავს ამ რაოდენობაში შემავალ “თხუთმეტს”. მეორე ხელი ეხება ამ ხელისგულს და უმატებს ერთ თითს ქვემოთ მიმართული ტრაექტორიით – თექვსმეტი თხუთმეტზე ერთით მეტია.

17

“ჩვიდმეტი” არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი. გაშლილი ცალი ხელი წინ მიმართული ხელისგულით ასახავს ამ რაოდენობაში შემავალ “თხუთმეტს”. მეორე ხელი ეხება ამ ხელისგულს და უმატებს ორ თითს ქვემოთ მიმართული ტრაექტორიით – ჩვიდმეტი თხუთმეტზე ორით მეტია.

18

“თვრამეტი” არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი. გაშლილი ცალი ხელი წინ მიმართული ხელისგულით ასახავს ამ რაოდენობაში შემავალ “თხუთმეტს”. მეორე ხელი ეხება ამ ხელისგულს და უმატებს სამ თითს ქვემოთ მიმართული ტრაექტორიით – თვრამეტი თხუთმეტზე სამით მეტია.

19

“ცხრამეტი” არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი. გაშლილი ცალი ხელი წინ მიმართული ხელისგულით ასახავს ამ რაოდენობაში შემავალ “თხუთმეტს”. მეორე ხელი ეხება ამ ხელისგულს და უმატებს ოთხ თითს ქვემოთ მიმართული ტრაექტორიით – ცხრამეტი თხუთმეტზე ოთხით მეტია.

20

წარმოდგენილი ფორმა არის ერთხელიანი, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი, რომელიც ორ ათეულს გვიჩვენებს განმეორებადი მოძრაობით და მოხრილი მაჯით.

30

მოცემული ფორმა არის ერთხელიანი, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი მოხრილი მაჯით, რომელიც სამ ათეულს გვიჩვენებს განმეორებადი მოძრაობით.

40

წარმოდგენილი ფორმა არის ერთხელიანი, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი მოხრილი მაჯით, რომელიც ოთხ ათეულს გვიჩვენებს განმეორებადი მოძრაობით.

50

მოცემული ფორმა არის ერთხელიანი, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი, რომელიც ხუთ ათეულს გვიჩვენებს განმეორებადი მოძრაობით და მოხრილი მაჯით.

60

“სამოცი” არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი. გაშლილი ცალი ხელი წინ მიმართული ხელისგულით ასახავს ამ რაოდენობაში შემავალ “ორმოცდაათს”. მეორე ხელი ეხება ამ ხელისგულს და უმატებს ერთ თითს ჰორიზონტალური გამეორებადი მოძრაობით – სამოცი ორმოცდაათზე ერთი ათეულით მეტია.

70

“სამოდაათი” არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი. გაშლილი ცალი ხელი წინ მიმართული ხელისგულით ასახავს ამ რაოდენობაში შემავალ “ორმოცდაათს”. მეორე ხელი ეხება ამ ხელისგულს და უმატებს ორ თითს ჰორიზონტალურად მიმართული გამეორებადი მოძრაობით – სამოცდაათი ორმოცდაათზე ორი ათეულით მეტია.

80

“ოთხმოცი” არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი. გაშლილი ცალი ხელი წინ მიმართული ხელისგულით ასახავს ამ რაოდენობაში შემავალ “ორმოცდაათს”. მეორე ხელი ეხება ამ ხელისგულს, უმატებს სამ თითს ჰორიზონტალური გამეორებადი მოძრაობით – ოთხმოცი ორმოცდაათზე სამი ათეულით მეტია.

90

“ოთხმოცდაათი” არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი ჟესტი. გაშლილი ცალი ხელი წინ მიმართული ხელისგულით ასახავს ამ რაოდენობაში შემავალ “ორმოცდაათს”. მეორე ხელი ეხება ამ ხელისგულს და უმატებს ოთხ თითს ჰორიზონტალურად მიმართული გამეორებადი მოძრაობით – ოთხმოცდაათი ორმოცდაათზე ოთხი ათეულით მეტია.

100

მოცემული ფორმა არის ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი.

ვნახოთ, როგორ აისახება რიცხვები ასეულის ფარგლებში:

ოცდან ოცდაათამდე რიცხვების გადმოცემა ხდება ერთხელიანი, სტატიკური, ორნაწილიანი ჟესტით, სადაც თანამიმდევრულად ასახულია რიცხვში შემავალი ციფრები.

23

მოცემული ფორმა არის ერთხელიანი, ორნაწილიანი, დინამიკური ჟესტი, რომელიც ორი სტატიკური ნაწილისგან შედგება. ფაქტობრივად, აქ გვაქვს “ორი” და “სამი”.

25

წარმოდგენილი ფორმა არის ერთხელიანი, ორნაწილიანი, დინამიკური ჟესტი, რომელიც ორი სტატიკური ნაწილისგან შედგება. ფაქტობრივად, აქ გვაქვს “ორი” და “ხუთი”.

37

მოცემული ფორმა არის ორნაწილიანი, დინამიკური ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია ერთხელიანი მრავალფაზიანი დინამიკური ჟესტით წარმოდგენილი ათეული – “ოცდაათი” და მეორე ნაწილია ორხელიანი, სტატიკური ჟესტი “შვიდი”.

47

წარმოდგენილი ფორმა არის ორნაწილიანი, დინამიკური ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია ერთხელიანი, მრავალფაზიანი დინამიკური ჟესტი “ორმოცი” და მეორე ნაწილია ორხელიანი, სტატიკური ჟესტი “შვიდი”.

58

მოცემული ფორმა არის ორნაწილიანი, დინამიკური ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია ერთხელიანი, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი “ორმოცდაათი” და მეორე ნაწილია ორხელიანი, სტატიკური ჟესტი “რვა”.

68

მოცემული ფორმა არის ორნაწილიანი, დინამიკური ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი “სამოცი”. ეს წარმოდგენილია პირველ და მეორე სურათებზე. მეორე ნაწილია ორხელიანი, სტატიკური ჟესტი “რვა”.

73

წარმოდგენილი ფორმა არის ორნაწილიანი, დინამიკური ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი “სამოცდაათი”. ეს მოცემულია პირველ და მეორე სურათებზე. მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი “სამი”.

84

მოცემული ფორმა არის ორნაწილიანი, დინამიკური ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი “ოთხმოცი”. ეს ასახულია პირველ და მეორე სურათებზე. მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი “ოთხი”.

95

წარმოდგენილი ფორმა არის ორნაწილიანი, დინამიკური ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია ათეულის ამსახველი ორხელიანი, ასიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი “ოთხმოცდაათი”. ეს მოცემულია პირველ და მეორე სურათებზე. მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი “ხუთი”.

99

წარმოდგენილი ფორმა არის ორნაწილიანი, დინამიკური ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია ათეულის ამსახველი ორხელიანი, ასიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი “ოთხმოცდაათი”. ეს მოცემულია პირველ და მეორე სურათებზე. მეორე ნაწილი ასახულია მესამე და მეოთხე სურათებზე. ეს არის ორხელიანი, ასიმეტრიული სტატიკური ჟესტი “ცხრა”.

110

მოცემული ფორმა არის ორნაწილიანი ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია ასეულის ამსახველი ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი “ასი” და გამოსახულია პირველ და მეორე სურათებზე. მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური ჟესტი “ათი”, რომელიც გამოსახულია მესამე, ბოლო ფოტოზე.

145

ეს ფორმა არის სამნაწილიანი ჟესტი, რომლის პირველი ასეულის ამსახველი ნაწილია ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი “ასი” და გამოსახულია პირველ და მეორე სურათებზე. მეორე ნაწილია ათეულის ამსახველი ერთხელიანი, მრავალფაზიანი ჟესტი “ორმოცი” და ეს ასახულია მესამე სურათზე. მესამე ნაწილია ერთეულის ამსახველი ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი “ხუთი”, რომელიც გამოსახულია ბოლო, მეოთხე სურათზე.

200

მოცემული ფორმა არის ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი – ორი თითის მოხრა.

300

წარმოდგენილი ფორმა არის ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი – სამი თითის მოხრა.

400

მოცემული ფორმა არის ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი – ოთხი თითის მოხრა.

500

მოცემული ფორმა არის ერთხელიანი, ორფაზიანი, დინ-ამიკური ჟესტი – ხუთი თითის მოხრა.

600

წარმოდგენილი ფორმა არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი, ხუთასს მიმატებული ერთი ასეული.

700

წარმოდგენილი ფორმა არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი, ხუთასს მიმატებული ორი ასეული.

800

წარმოდგენილი ფორმა არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი, ხუთასს მიმატებული სამი ასეული.

900

წარმოდგენილი ფორმა არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი დინამიკური ჟესტი, ხუთასს მიმატებული ოთხი ასეული.

როგორც ვნახეთ, ასეულებს ახასიათებს თითების მოხრა. ერთხელიანი ჟესტის დროს თითები იხრება მეორე ფაზაში. რხელიან, ასიმეტრიულ ჟესტში ასევე მეორე ფაზაში იხრება მხოლოდ აქტიური ხელის თითები. ეს პრინციპი დაცულია ასეულების ასახვის ყველა შემთხვევის დროს.

1000

მოცემული ფორმა არის ერთხელიანი, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი – ერთი ათასი. ჟესტი ქვემოთ მიემართება.

1978

მოცემული რიცხვითი სახელი პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია ათასეულით –ერთი ათასი. მესამე და მეოთხე სურათები ასახავენ ასეულს – 900. მეხუთე და მეექვსე სურათები გვიჩვენებს ათეულს – 70 და ბოლო მეშვიდე სურათი კი გადმოგვცემს ბოლო ერთეულს – 8.

1245

წარმოდგენილი რიცხვითი სახელი პირველ ორ სურათზე გვიჩვენებს ერთი ათასს. მესამე და მეოთხე სურათები ასახავენ ასეულს – 200. მეხუთე სურათი გვიჩვენებს ათეულს – 40 და ბოლო მეექვსე სურათი კი გადმოგვცემს ბოლო ერთეულს – 5.

2000

ეს არის ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი. აქ ჟესტი მთლიანად ქვემოთაა დაწეული მეორე ფაზაში.

3000

მოცემული ფორმა არის ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი. აქ ჟესტი მთლიანად ქვემოთაა დაწეული მეორე ფაზაში.

7000

ეს არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი. აქ ჟესტი მთლიანად ქვემოთაა დაწეული მეორე ფაზაში.

ზოგჯერ 500-ის ზემოთ, როდესაც გვაქვს ორხელიანი ჟესტები, ათასეულების გამოხატვა ხდება სპეციალური ნიშნით:

ათასეულის ნიშანი

ეს არის ათასეულის აღმნიშვნელი ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი.

8000

ეს არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი. აქ ჟესტი მთლიანად ქვემოთაა დაწეული მეორე ფაზაში. იგივე ციფრი ასეც შეიძლება იყოს წარმოდგენილი:

8000

აქ პირველ სურათზე ორხელიანი, ასიმეტრიული ჟესტით წარმოდგენილია რიცხვი 8, ხოლო მეორე და მესამე სურათებზე კი ასახულია ათასეულის ნიშანი – ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი.

9000

აქ პირველ სურათზე ორხელიანი, ასიმეტრიული ჟესტით წარმოდგენილია რიცხვი 9, ხოლო მეორე და მესამე სურათებზე კი ასახულია ათასეულის ნიშანი – ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი.

10000

აქ გვაქვს ორხელიანი, ასიმეტრიული ჟესტით გადმოცემული რიცხვი 10 პირველ სურათზე, ხოლო მეორე სურათზე კი წარმოდგენილია ათასეულის ნიშანი.

მილიონი

წარმოდგენილი ფორმა არის ერთხელიანი, ორფაზიანი ჟესტი.

მილიარდი

მოცემული ფორმა არის ერთხელიანი, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი. ამ ჟესტის გაგრძელებული კინეტიკური ფორმა ნიშნავს “ბევრს.”

II. რიგი

საგანთა რიგს გადმოგვცემს რიგობითი რიცხვი სახელი. ქართულ ჟესტურ ენას აქვს რიგობითობის მაჩვენებელი ერთხელიანი ჟესტი:



რიგობითობის ნიშანი

ეს ჟესტი დაერთვის ნებისმიერ რიცხვით სახელს და ეს რაოდენობითი რიცხვითი სახელი ხდება რიგობითი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ჟესტს აქვს იგივე მორფოსემანტიკური ფუნქცია, რაც სამეტყველო ქართულში "მე-ე" რიგობითობის მაწარმოებელ ცირკუმფიქსს. აღსანიშნავია, რომ ერთიდან ხუთის ჩათვლით ანუ ერთხელიანი ჟესტის რიცხვები ამ რიგობითობის ჟესტს ნაკლებად ან საერთოდ არ დაირთავენ. აქ რიგობითობას აწარმოებს ჟესტის გვერდით გადახრილი, განმეორებადი მრავალფაზიანობა.

პირველი

ეს რიგობითი რიცხვითი სახელი შესაბამისი რაოდენობითი რიცხვითი სახელისგან იწარმოება მრავალფაზიანი, განმეორებადი დინამიკით.

მეორე

შესაბამისი რაოდენობითი რიცხვითი სახელისგან ერთხელიანი ჟესტით "ორი" რიგობითი ფორმა იწარმოება მრავალფაზიანი, განმეორებადი დინამიკით.

მესამე

ერთხელიანი ჟესტის შესაბამისი რაოდენობითი რიცხვითი სახელისგან "სამი" რიგობითი ფორმა "მესამე" იწარმოება მრავალფაზიანი, განმეორებადი დინამიკით.

მეოთხე

ერთხელიანი ჟესტის რიგობითი ფორმა "მეოთხე" იწარმოება შესაბამისი რაოდენობითი რიცხვითი სახელისგან "ოთხი" მრავალფაზიანი, განმეორებადი დინამიკით.

მეხუთე

რიგობითი ფორმა “მეხუთე” იწარმოება ერთხელიანი ჟესტის შესაბამისი რაოდენობითი რიცხვითი სახელისგან “ხუთი” მრავალფაზიანი, განმეორებადი დინამიკით.

მეექვსე

ორხელიანი, ასიმეტრიული ჟესტის რაოდენობითი რიცხვითი სახელი “ექვსი” წარმოდგენილია პირველ სურათზე, ხოლო მეორე და მესამე სურათებზე გამოსახული რიგობითობის ნიშნის დართვით იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელი “მეექვსე”.

მეშვიდე

პირველ სურათზე წარმოდგენილია რაოდენობითი რიცხვითი სახელი “შვიდი” ორხელიანი, ასიმეტრიული ჟესტით, ხოლო მეორე და მესამე სურათებზე გამოსახული რიგობითობის ნიშნის დართვით იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელი “მეშვიდე”.

მერვე

პირველ სურათზე წარმოდგენილია რაოდენობითი რიცხვითი სახელი “რვა” ორხელიანი, ასიმეტრიული ჟესტით. მეორე და მესამე სურათებზე გამოსახული რიგობითობის ნიშნის დართვით იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელი “მერვე”.

მეცხრე

პირველ სურათზე წარმოდგენილია რაოდენობითი რიცხვითი სახელი “ცხრა” ორხელიანი, ასიმეტრიული ჟესტით, ხოლო მეორე და მესამე სურათებზე გამოსახული რიგობითობის ნიშნის დართვით იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელი “მეცხრე”.

მეათე

პირველ სურათზე წარმოდგენილია რაოდენობითი რიცხვითი სახელი “ათი” ორხელიანი, სიმეტრიული ჟესტით. მეორე და მესამე სურათებზე გამოსახული რიგობითობის ნიშნის დართვით იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელი “მეათე”.

მეთორმეტე

პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია რაოდენობითი რიცხვითი სახელი “თორმეტი” ორხელიანი, ასიმეტრიული ჟესტით, ხოლო მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახული რიგობითობის ნიშნის დართვით იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელი “მეთორმეტე”.

მეცამეტე

პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია რაოდენობითი რიცხვითი სახელი “ცამეტი” ორხელიანი, ასიმეტრიული ჟესტით. მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახული რიგობითობის ნიშნის დართვით იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელი “მეცამეტე”.

მეოცე

პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია რაოდენობითი რიცხვითი სახელი “ოცი” ერთხელიანი, დინამიკური ჟესტით, ხოლო მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახული რიგობითობის ნიშნის დართვით იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელი “მეოცე”.

ოცდამეათე

პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია რაოდენობითი რიცხვითი სახელი “ოცდაათი” ერთხელიანი ჟესტით, ხოლო მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახული რიგობითობის ნიშნის დართვით იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელი “ოცდამეათე”.

მეასე

პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია რაოდენობითი რიცხვითი სახელი “ასი” ერთხელიანი ჟესტით, ხოლო მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახული რიგობითობის ნიშნის დართვით იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელი “მეასე”.

მეორასე

პირველ ორ სურათზე წარმოდგენილია რაოდენობითი რიცხვითი სახელი “ორასი” ერთხელიანი ჟესტით, ხოლო მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახული რიგობითობის ნიშნის დართვით იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელი “მეორასე”.

ორასმეხუთე

პირველ სამ სურათზე ერთხელიანი ჟესტით წარმოდგენილია რაოდენობითი რიცხვითი სახელი “ორასხუთი”. აქედან პირველი ორი სურათი გვიჩვენებს ასეულს – 200 და მესამე სურათზე მოცემულია ერთეული – 5. მეოთხე და მეხუთე სურათებზე გამოსახულია რიგობითობის ნიშანი, რომელიც აწარმოებს რიგობით რიცხვით სახელს “ორასმეხუთე”.

III. ნაწილი

წილობითი რიცხვითი სახელები აღნიშნავენ საგნის ნაწილს და ეს ქართულ ჟესტურ ენაში უმეტესწილად წილადის ხაზით გადმოიცემა.

წილადი

ეს არის ორხელიანი, ასიმეტრიული ჟესტი, რომელიც პანტომიმურად გვიჩვენებს გაყოფას, წილადობას.

ნახევარი

წარმოდგენილი ფორმა არის ორხელიანი, ასიმეტრიული ჟესტი, რომელიც გვიჩვენებს შუაზე გაყოფას. ამავე სიტყვას აქვს განსხვავებული ფორმაც:

ნახევარი

წარმოდგენილი ორხელიანი, ასიმეტრიული ჟესტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც დიდი ფორმის საგანია გასაყოფი შუაზე.

ერთი მეორედი

მოცემული ფორმა არის სამნაწილიანი. პირველ სურათზე წარმოდგენილია სიტყვა "ერთი". მეორე და მესამე სურათებზე მოცემული გვაქვს წილადის ხაზი. მეოთხე სურათზე კი გადმოცემულია მნიშვნელი "ორი".

ერთი მეორედი

იგივე ფორმა 1/2 შესაძლოა, ორნაწილიანი ვარიანტითაც იყოს გადმოცემული. მრიცხველი "ერთი" ზემოთაა წამოწეული და მნიშვნელის ("ორი") გამოსახვისას ქვემოთ ჩამოდის ხელი.

შვიდი მერვედი

მოცემული ფორმა არის სამნაწილიანი. პირველ სურათზე წარმოდგენილია სიტყვა "შვიდი". მეორე და მესამე სურათებზე მოცემული გვაქვს წილადის ხაზი. მეოთხე სურათზე კი გადმოცემულია მნიშვნელი "რვა"

შვიდი მერვედი

იგივე ფორმა 7/8 შესაძლოა ასეც იყოს გადმოცემული. მრიცხველი "შვიდი" ზემოთაა წამოწეული და მნიშვნელის ("რვა") გამოსახვისას ქვემოთ ჩამოდის ხელი. ეს ფორმა ორნაწილიანია და აქ წილადის ხაზი არა გვაქვს.

სამი მეოთხედი

მოცემული ფორმა არის სამნაწილიანი. პირველ სურათზე წარმოდგენილია სიტყვა “სამი”. მეორე და მესამე სურათებზე მოცემული გვაქვს წილადის ხაზი. მეოთხე სურათზე კი გადმოცემულია მნიშვნელი “ოთხი”

სამი მეოთხედი

იგივე ფორმა 3/4 შესაძლოა ასეც იყოს გადმოცემული. მრიცხველი “სამი” ზემოთაა წამოწეული და მნიშვნელის (“ოთხი”) გამოსახვისას ქვემოთ ჩამოდის ხელი. ეს ფორმა ორნაწილიანია და აქ წილადის ხაზი არა გვაქვს.

როგორც ვნახეთ, ქართულ ჟესტურ ენას შეუძლია ორგვარად ასახოს წილადები:

1. წილადის ხაზით ანუ სამნაწილიანი ფორმით და
2. მრიცხველის ზემოთ წამოწევით და მნიშვნელის ქვემოთ დაშვებით, წილადის ხაზის გარეშე ანუ ორნაწილიანი ფორმით.

0.25

პირველ სურათზე წარმოდგენილია სიტყვა “ნული”. მეორე და მესამე სურათებზე გადმოცემულია “წერტილი”. მეოთხე და მეხუთე სურათებზე ასახულია ციფრი “25”.

3.75

პირველ სურათზე წარმოდგენილია რიცხვი “სამი”. მეორე და მესამე სურათებზე გადმოცემულია “წერტილი”. მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სურათებზე ასახულია ციფრი “75”.

2. ზომა-წონის ერთეულები

ქართულ ჟესტურ ენაში, ცხადია, არის ზომა-წონის აღმნიშვნელი ერთეულების სისტემა.

წონა

ეს არის ორხელიანი, სიმეტრიული ჟესტი.

ზომა

წამოდგენილი ფორმა არის ორხელიანი, სიმეტრიული ჟესტი. ეს არის რუსულის გავლენით შემოსული ფორმა, რომელიც ასახავს “რ” დაქტილს – размер. თანამედროვე ქართულმა ჟესტურმა ენამ ეს ფორმა შეცვალა, რუსული სემანტიკის მქონე დაქტილი ჩამოაშორა და მივიღეთ ასეთი ერთეული:

ზომა

ეს არის არის ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი. ეს გახლავთ ჟესტურ ენათა ნაციონალიზაციის მიმდინარე პროცესის ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც ამ შემთხევვაში წარმოდგენილია ენის ლექსიკურ დონეზე.

გრამი

მოცემული ფორმა არის ორნაწილიანი ფორმა, რომლის პირველი ნაწილია დაქტილი “გ” და მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული სიტყვა-ჟესტი “წონა”.

აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვა მეორე ნაწილს კარგავს, როცა დამოუკიდებლად არაა გამოყენებული. მაგალითად:

200 გრამი

აქ პირველ ორ სურათზეა წარმოდგენილი სიტყვა “200”, მესამე სურათზე კი მხოლოდ “გ” დაქტილია და აქ აღარ გვაქვს სიტყვა-ჟესტი “წონა”.

კილოგრამი

მოცემული ფორმა არის ორნაწილიანი სიტყვა-ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია დაქტილი “კ” და მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული სიტყვა-ჟესტი “წონა”.

ლიტრი

წარმოდგენილი ფორმა გადმოცემულია “ლ” დაქტილით.

მილილიტრი

მოცემული ფორმა გადმოცემულია “მ” და “ლ” დაქტილების თანამიმდევრობით.

მეტრი

ეს არის ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი.

სანტიმეტრი

ეს არის ორხელიანი, დინამიკური ჟესტი.

დეციმეტრი

მოცემული ფორმა გადმოცემულია “დ” და “მ” დაქტილების თანამიმდევრობით და ამ სიტყვა-ჟესტის ბოლო ნაწილია სიტყვა-ჟესტი “მეტრი”, რომელიც ასახულია მესამე და მეოთხე სურათებზე.

კილომეტრი

წარმოდგენილი ფორმა გადმოცემულია “კ” დაქტილით, რომელიც გამოსახულია პირველ ორ სურათზე და სიტყვა-ჟესტის ბოლო ნაწილია სიტყვა-ჟესტი “მეტრი”, რომელიც ასახულია მესამე და მეოთხე სურათებზე.

გაიტი

მოცემული ფორმა გადმოცემულია “ბ” და “ტ” დაქტილების თანამიმდევრობით.

მეგაგაიტი

წარმოდგენილი ფორმა გადმოცემულია “მ” და “ბ” დაქტილების თანამიმდევრობით.

3. მათემატიკური სემანტიკის ჟესტები

ქართულ ჟესტურ ენაში გვაქვს მათემატიკური სემანტიკის ამსახველი ჟესტები.



მეტი

ეს ჟესტი არის მათემატიკური სემანტიკის ერთხელიანი, ორფაზიანი ჟესტი, რომელიც, ერთი შეხედვით, იმეორებს მოქმედების გაგრძელების ჟესტს, ანუ სიშორეში წასვლასა და საგნის დაპატარავებას სიშორეში, მაგრამ აქ გვაქვს პრინციპული ხასიათის განსხვავება ჟესტის განლაგების ანუ მისი ადგილის მიხედვით. ეს არის განზე გვერდით მიმართული ვექტორის მქონე ჟესტი, ხოლო მოქმედების გაგრძელების ჟესტი პირდაპირ ანუ წინ მიემართება. თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ აქ გვაქვს მეტობის მეთემატიკური ნიშანი და ამ ნიშნის განშტოებებისკენ არის მიმართული ჟესტური ორიენტირი და, შესაბამისად, თითებით გადმოცემული სივრცე იზრდება.

მეტი

ეს არის იგივე ლექსემა “მეტი”. ეს არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი და მოცემული ფორმა გამოიყენება როგორც არამათემატიკური ენობრივი ერთეული.



ნაკლები

ეს ჟესტი არის მათემატიკური სემანტიკის ერთხელიანი, ორფაზიანი ჟესტი. აქ გვაქვს ნაკლებობის მათემატიკური ნიშანი და ამ ნიშნის განშტოებებიდან კუთხისკენ არის მიმართული ჟესტური ორიენტირი. შესაბამისად, თითებით გადმოცემული სივრცე პატარავდება.

ნაკლები

ეს არის იგივე ლექსემა “ნაკლები”. ეს არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი და მოცემული ფორმა გამოიყენება როგორც არამათემატიკური ენობრივი ერთეული.



ტოლი

ეს ჟესტი არის მათემატიკური სემანტიკის ერთხელიანი, ორფაზიანი ჟესტი. აქ გვაქვს ტოლობის მათემატიკური ნიშნის გრაფემის დაქტილური კინეტიკა.



ტოლი

ეს არის იგივე ლექსემა “ტოლი”. ეს არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი და წარმოდგენილი ფორმა გამოიყენება როგორც არამათემატიკური ენობრივი ერთეული.

მათემატიკური მოქმედების ნიშნებია:

მიმატება

ეს ჟესტი არის მათემატიკური სემანტიკის ორხელიანი, სტატიკური ჟესტი. აქ გვაქვს მიმატების მათემატიკური ნიშნის გრაფიკული კინეტიკა.



გამოკლება

წარმოდგენილი ჟესტი არის მათემატიკური სემანტიკის ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი. აქ გვაქვს გამოკლების მათემატიკური ნიშნის გრაფიკული ფორმა.



გაყოფა

მოცემული ჟესტი არის მეორე საფეხურის მათემატიკური მოქმედების ამსახველი ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი. აქ გვაქვს გაყოფის მათემატიკური ნიშნის გრაფემული კინეტიკის ფორმა.



გამრავლება

წარმოდგენილი ჟესტი არის მეორე საფეხურის მათემატიკური მოქმედების ამსახველი ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი. აქ გვაქვს გამრავლების მათემატიკური ნიშნის გრაფემის იკონოგრაფიული ფორმა.



გამრავლება

ეს ჟესტიც არის მეორე საფეხურის მათემატიკური მოქმედების ამსახველი ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი. აქ გვაქვს გამრავლების მათემატიკური ნიშნის გრაფემის იკონოგრაფიული ფორმა.

ანგარიში

ეს არის მათემატიკური ანგარიშის აღმნიშვნელი ორხელიანი, ასიმეტრიული, მრავალფაზიანი დინამიკური ჟესტი.

ანგარიში

მოცემული ფორმა მოიაზრებს თანამედროვე ტიპის ანგარიშს კალკულატორზე.

ანგარიში

წარმოდგენილი ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი ნიშნავს ანგარიშს არამათემატიკური მნიშვნელობით. მაგ., “ანგარიშის გაწევა”.

დათვლა

მოცემული ფორმა არის ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი.

დათვალე!

ზემოთ წარმოდგენილი ჟესტური ლექსიკური ერთეული ძირეულ ფორმას იცვლის ბრძანებით კილოში. აქ პირველ სამ ფოტოზე მოცემული ფორმა არის ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი “(რაოდენობის) თვლა” და ეს არის წინა ფორმისგან განსხვავებული ჟესტური ერთეული. ბოლო ორი ფოტო კი ასახავს ბრძანებითობის ნიშანს.

უდრის

მოცემული ფორმა არის ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი, ტოლობის ნიშნის იკონოგრაფიული ფორმა.

სწორია

წარმოდგენილი ფორმა არის ერთხელიანი, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი. იგივე სიტყვა ზოგჯერ იმავე ორხელიანი ჟესტითაც გვხვდება ენაში.

არასწორია

მოცემული ფორმა არის ერთხელიანი, მრავალფაზიანი, ორნაწილიანი, დინამიკური ჟესტი, რომლის პირველი ნაწილია უარყოფითი ნაწილაკი “არა” და ეს ასახულია პირველ ორ ფოტოზე. ხოლო ბოლო ორი სურათი გვიჩვენებს ფორმას “სწორია”.

კვადრატი

მოცემული ფორმა არის ორხელიანი, ასიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი.

სამკუთხედი

წარმოდგენილი ფორმა არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი, რომელიც ამ გეომეტრიული ფიგურის იკონოგრაფიულ ხატს გვიჩვენებს.

ოთხკუთხედი

მოცემული ფორმა არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი, რომელიც ამავე გეომეტრიული ფიგურის იკონოგრაფიულ ხატს ქმნის.



მართკუთხედი

წარმოდგენილი ფორმა არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი, რომელიც გეომეტრიული ფიგურის – მართკუთხედის იკონოგრაფიულ ხატს გვიჩვენებს.

კუბი

ეს ფორმა არის ორხელიანი ასიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი, რომელიც გარკვეული რაკურსით წარმოდგენილ ამავე გეომეტრიული ფიგურის იკონოგრაფიულ ხატს წარმოქმნის.

წრე

წარმოდგენილი ფორმა არის ერთხელიანი, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი, რომელიც ამ გეომეტრიული ფიგურის – წრის იკონოგრაფიულ ხატს გვიჩვენებს.

ელიფსი

წარმოდგენილი ფორმა არის ერთხელიანი, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი, რომელიც ამავე გეომეტრიული ფიგურის – ელიფსის იკონოგრაფიულ ხატს ქმნის.

კუთხე

მოცემული ფორმა არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი, რომელიც ამ გეომეტრიული ფიგურის – კუთხის იკონოგრაფიულ ხატს გვიჩვენებს.

სფერო

წარმოდგენილი ფორმა არის ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი, რომელიც ამ გეომეტრიული ფიგურის – სფეროს იკონოგრაფიულ ხატს ქმნის.

პირამიდა

წარმოდგენილი ფორმა არის ორხელიანი, სიმეტრიული, ორფაზიანი, დინამიკური ჟესტი, რომელიც ამ გეომეტრიული ფიგურის – პირამიდის იკონოგრაფიულ ხატს წარმოქმნის. საგულისხმოა, რომ ზუსტად იმავე ფორმის ჟესტი არის სიტყვა "კარავი". ოღონდ ამ სიტყვა-ჟესტში ჟესტური მოძრაობის მიმართულება სრულდება პირიქით – ზემოდან ქვემოთ, სიტყვა-ჟესტი "პირამიდა" კი ქვემოდან ზემოთ – ცისკენ მიემართება.

მათემატიკა

მოცემული ფორმა არის ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი.

არითმეტიკა

წარმოდგენილი ფორმა არის ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი.

ალგებრა

აქ წარმოდგენილი ფორმა არის ორნაწილიანი. პირველი ნაწილია “მათემატიკა”, რომელიც ამ ჟესტურ კომპოზიტში პირველ ორ სურათზე გადმოცემულია ერთხელიანი, მრავალ-ფაზიანი, დინამიკური ჟესტით და მეორე ნაწილი კი არის ორხელიანი, ასიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟეს-ტი, რომელიც ასახულია მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სურათებზე.

გეომეტრია

მოცემული ფორმა არის ორნაწილიანი. პირველი ნაწილია დაქტილი ”გ”, რომელიც ასახულია პირველ სურათზე. მეორე ნაწილი კი არის ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი “ზომა”.

ტრიგონომეტრია

წარმოდგენილი ფორმა არის ორნაწილიანი. აქ პირველი ნაწილია დაქტილი ”ტ” , რომელიც ასახულია პირველ სუ-რათზე. მეორე ნაწილი კი არის ორხელიანი, სიმეტრიული, მრავალფაზიანი, დინამიკური ჟესტი “ზომა”, რომელიც მოცე-მულია მეორე და მესამე სურათებზე.

ქართული დაქტილური ანბანი

ამ თავში წარმოდგენილია ინფორმაცია ზოგადად დაქტილური ანბანისა და დაქტილოლოგიის შესახებ. მოცემულია დაქტილური ანბანი, რომლითაც დღემდე სარგებლობენ ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში მცხოვრები ყრუ ადამიანები. ძველი ქართული დაქტილური ანბანიც ეყრდნობა რუსულ გრაფიკულ ანბანს. ჩვენ რეკომენდაციის სახით წარმოგიდგენთ ყრუთა თემთან ერთად დამუშავებულ და მათ მიერ საბოლოოდ დამტკიცებულ ახალ ქართულ დაქტილურ ანბანს.

დაქტილოლოგია ბერძნული სიტყვა. δάκτυλος ქართულად ნიშნავს თითს და λόγος ნიშნავს მოძღვრებას. დაქტილური ანბანი არის თითების ანბანი. თითებით გამოსახული ასო არის დაქტილემა ანუ დაქტილი. ეს ანბანი გამოიყენება ჟესტური ენით ურთიერთობისას საკუთარი არსებითი სახელების გადმოსაცემად და ასევე ამა თუ იმ სიტყვის დასაკონკრეტებლად. დაქტილურ-კონტაქტური მეტყველება არსებითად განსხვავდება დერმოგრაფიისგან, რაც გულისხმობს ხელისგულზე ასოების წერას. ურთიერთობის ამ ფორმას გამოიყენებენ უსინათლო ყრუ-მუნჯები. ისინი აგრეთვე იყენებენ ე. წ. ტაქტიკურ ანბანს, სადაც ხელის მტევნისა და თითების განსაზღვრულ უბნებზე შეხება აღნიშნავს კონკრეტულ ასოებს. დაქტილური ანბანი წარმატებით გამოიყენება მანორალური მეტყველებისას (ლათ. მანუს -ხელი, ორალის – ზეპირი), ბაგეების მოძრაობის წაკითხვისას მაყურებელ-კომუნიკატორ პირს მანორალურად მოსაუბრე ეხმარება სიტყვის სწორად გაგებაში. როგორც ტატიანა დავიდენკო და ანა კომაროვა აღნიშნავენ სტატიაში "რუსული ჟესტური ენის ლინგვისტიკის კვლევა," ჟესტური ენებისთვის აგრეთვე გამოიყენება ე. წ. ნოტაცია – ჟესტური

დამწერლობა. ეს არის ტექსტის ჩაწერა ჟესტური სისტემით (დავიდენკო, კომაროვა, 2006:148).

აღსანიშნავია, რომ ჟესტური ენა ხელის ერთი კონკრეტული პოზიციით ან მოძრაობით ასახავს ერთ ლექსიკურ ერთეულს მაშინ, როდესაც დაქტილურ ანბანში ხელის ერთი კონკრეტული პოზიცია ან მოძრაობა მხოლოდ ერთი ასოს გამომხატველია. მსოფლიოში სულ არსებობს 40 დაქტილური ანბანი. დაქტილური ანბანი შეძლებისდაგვარად იმეორებს შესაბამისი სამეტყველო ენის ანბანის გრაფიკას. ერთი და იგივე დაქტილი შესაძლოა სხვადასხვა ანბანში სხვადასხვა დაქტილემას წარმოადგენდეს. ეს გარემოება გამოწვეულია ორი მიზეზით:

1. დაქტილური ანბანი ახდენს თავისი სამეტყველო ანბანის კალკირებას და შედეგად მიიღება დაქტილის შესაბამისი ფორმები.
2. ცალი ხელით დაქტილირებისას, ცხადია, შეზღუდულია დაქტილემების წარმოების შესაძლებელი ვარიანტების რაოდენობა. ეს შეზღუდულობა განსაკუთრებით აშკარაა გრაფემათა უსაზღვრო რაოდენობის ფონზე.

დაქტილოლოგიის იდეა XVI საუკუნეში წარმოიშვა. მას მიმართა ბერმა პედრო პონსე დე ლეონმა (1520-1584) ცისტერციანელების ორდენის წევრებს შორის დუმილის აღქმის შესანარჩუნებლად. პირველი დაქტილური ანბანი გამოსცა ესპანელმა ბერმა დე ვებრამ 1593 წელს. 1620 წელს კი ესპანელმა ბენედიქტიანელმა კათოლიკე ბერმა ხუან პაბლო ბონეტმა გამოსცა წიგნი "ასოთა გამარტივება და ყრუთა მეტყველების სწავლების ხელოვნება". 1629 წელს მანვე გამოსცა სპეციალური ანბანი, რომელიც საფუძვლად დაედო ფრანგულ და შემდგომში კი ამერიკულ დაქტილურ ანბანსაც, რომელიც XIX საუკუნეში დაამუშავეს ცნობილმა მეცნიერებმა თ. გალადეტმა და ლ. კლერკმა.

საინტერესო ფაქტია, რომ სამუელ მორზე, რომელმაც 1836 წელს შექმნა ე. წ. მორზეს ანბანი, დაქორწინებული იყო ყრუ ქალბატონზე, რომელსაც ხელზე შეხებით ესაუბრებოდა და სწორედ ეს ფაქტი და ამ ურთიერთობის კოდური სისტემა დაედო საფუძვლად მორზეს მიერ შექმნილ ანბანს.

დაქტილირებას აქვს თავისი კანონები.

1. დაქტილირებისას დაცულია ენის ორთოგრაფიული ნორმები. მაგალითად, სიტყვა "თბილისს" ორი "ს" ექნება, ერთი ფუძისეულია და მეორე კი მიცემითი ბრუნვის ნიშანი. შესაბამისად, ეს ორი ერთი და იმავე დაქტილით უნდა იქნეს გადმოცემული, ანუ "ს" დაქტილემა უნდა გამეორდეს.
2. დაქტილირებისას სიზუსტე უნდა იქნეს დაცული. დაქტილი უნდა იყოს მკაფიო, კარგად გამოკვეთილი ფორმის მქონე.
3. დაქტილირებას თან ახლავს არტიკულაციური ფონი სახის მიმიკით.
4. დაქტილირება უნდა მიმდინარეობდეს დინამიკურად და თანაბრად.
5. დაქტილირებული სიტყვის ბოლოს უნდა გაკეთდეს პაუზა.
6. დაქტილირებისას იდაყვში მოხრილი ოდნავ წინ წაწეული ხელი მხრების დონეზეა და ხელისგული მოსაუბრისკენ აქვს მიმართული.
7. დაქტილირებასას მაჯა (მარჯვენა ხელის) მარცხნივ მოძრაობს.
8. შეცდომის შემთხვევაში სიტყვა თავიდან მეორდება მთლიანად.

9. მოქმედი პირი დაქტილირებასას მოსაუბრეს სახეში უყურებს.
10. ანბანში არ უნდა იყოს ერთამენთის მსგავსი დაქტილები.
11. უპირატესობად ჩაითვლება, თუ მხოლოდ სამი თითია დაქტილის ძირითადი მონაწილე. აქ გათვალისწინებულია ხელისა და თითების ფალანგების მოსალოდნელი ფიზიკური ნაკლოვანებანი.

აღსანიშნავია, რომ არსებული ქართული დაქტილური ანბანი იმეორებს რუსულს. აქ მხოლოდ ქართულისთვის დამახასიათებელი რამდენიმე განსხვავებული ასოა დამატებული. ეს იგივეა, რუსული ასოებით რომ ვწეროთ ქართული სიტყვები. ჩვენ გთავაზობთ ახალ ანბანს და ფაქტობრივად, ეს გახლავთ პირველი ქართული დაქტილური ანბანი. ჩვენ მიერ შემოთავაზებული ანბანის ვერსია არის ცალი ხელით შესასრულებელი ვარიანტი, რომელიც იოლი დინამიკისთვის არის გამიზნული. საერთოდ, მიღებულია მარჯვენა ხელით დაქტილირება. დაქტილური ანბანი სარკისებრ ასიმეტრიულ დაქტილებს ქმნის და მარჯვენა ხელით დაქტილირებისას მოსაუბრე პირი ასახავს ასოებს თავისი პოზიციიდან, ხოლო მარცხენა ხელით დაქტილირებისას მაყურებელი ანუ დიალოგის მონაწილე მეორე კომუნიკატორი პირის პოზიციიდან ხდება ასოების ასახვა.

არსებობს დაქტილურ ანბანთა საკლასიფიკაციო სამი კრიტერიუმი:

1. შემადგენლობის მიხედვით ანბანი შეიძლება იყოს:

A. ცალი ხელის მოძრაობაზე გათვლილი, როგორიცაა მაგალითად, რუსული და ქართული;

B. ორხელიანი – ასეთი ანბანია ბრიტანული, ორხელიანი ანბანი აქვთ ავსტრალიელებსა და სამხრეთ აფრიკის მრავალი ქვეყნის ყრუ ხალხებს;

C. შერეული ტიპის, როგორიცაა იტალიური ანბანი.

2. მეორე კრიტერიუმი განისაზღვრება დამუშავების მეთოდის მიხედვით. ანბანი შეიძლება იყოს:

A. მინიშნებადი;

B. კოპირებადი;

C. შერეული ტიპის.

3. მესამე კრიტერიუმია აღნიშვნის პრინციპი. ამ კრიტერიუმის მიხედვით ანბანი შეიძლება იყოს:

A. ასოებითი;

B. სილაბური, როგორიცაა იაპონური და კორეული, ისევე როგორც მათი ორივე ამოსავალი ანბანი;

C. შერეული ტიპის.

დაქტილურ ანბანთა დიდი ნაწილი ძირითადად ცალი ხელის მოძრაობაზეა გათვლილი, თუმცა ამერიკულისა და რუსულისგან განსხვავებით ბრიტანული ანბანი ორხელიანია. ასეთივე ტიპის იაპონური და კორეული დაქტილური ანბანი სილაბურია, ისევე როგორც მათი ორივე ამოსავალი ანბანი.

ახალი ქართული დაქტილური ანბანი არის ცალი ხელის, დამუშავების მეთოდის მიხედვით შერეული ტიპის და აღნიშვის პრინციპის მიხედვით ასოებითი (არასილაბური) ფორმის.

ა

ანბანის ეს პირველი ასო, თემის მოთხოვნით, დარჩა თითქმის იმავე ფორმით, განიცადა ოდნავი სახეცვლილება. მოცემულ დაქტილურ ვარიანტშიც შეიძლება ქართული ა ასოს გრაფემული მონახაზის ამოცნობა – ხელისგულის იმ ნაწილის ფორმა, რომელსაც არ ფარავს მოკეცილი ოთხი თითი.

ამ დაქტილის ძველი ფორმით დატოვებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ ეს პირველი ასო ბევრ ჟესტურ ენაში არის იგივე და არის გარკვეული სიმბოლოც ანბანისა. ენათა ნაციონალიზაციის მიუხედავად, ბევრგან ეს ასო მაინც ასე დარჩა. საამისოდ ქართულს უფრო მეტი საფუძველი აქვს, რადგანაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემულ დაქტილურ ვარიანტშიც შეიძლება ქართული ა ასოს გრაფემული მონახაზის ამოცნობა.

ა

ეს ჩვენეული ალტერნატიული ვარიანტი არის ღია ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, ზემოთ აღმართული ოდნავ მოხრილი ოთხი მიტყუპებული თითი და ოდნავ მოხრილი, განზე გასული ცერი იმეორებს ასო ან-ის გრაფიკას.

ბ

არის დახურული ფორმის, ძველი ანბანის დაქტილი, რომელიც ქართული ბ-ს მოხაზულობას იმეორებს. ხელისგული მიმართულია მარცხნივ. შუა და საჩვენებელი თითები შესაბამისი გრაფემის ზედა ნაწილს გამოსახავენ.

ბ

ეს ალტერნატიული ვარიანტი არის დახურული ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, ზემოთ აღმართული სწორად მოხრილი ოთხი მიტყუპებული თითი, ცერა თითი ეხება საჩვენებელ თითს და იმეორებს ასო ბან-ის ხელნაწერ გრაფიკას.



გ

არის დახურული ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, კარგად მოხრილია საჩვენებელი თითი, ცერი და დანარჩენი სამი თითი კრავს წრეს და დაქტილი იმეორებს ასო გან-ის გრაფიკას.

დ

არის დახურული ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, შუა და საჩვენებელი თითები კრავენ წრეს, ხოლო ნეკი და არათითი შესაბამისი ქართული გრაფემის ქვედა

ნაწილს გამოსახავენ. დაქტილი მეტნაკლებად იმეორებს მხედრული ასო დონ-ის გრაფიკას.

ე

არის ღია ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, მიტყუპებული ოთხი თითი და განზე გაწეული ცერი თითით დაქტილი იმეორებს ასო ენ-ის გრაფიკას.



ვ

არის ღია ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, კარგად მოხრილია საჩვენებელი თითი, ცერი და დანარჩენი სამი მოხრილი თითი ხაზავს ღია წრეს. დაქტილი იმეორებს ასო ვინ-ის გრაფიკას.

ზ

არის დახურული ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, კარგად მოხრილი საჩვენებელი თითი კრავს ზედა წრეს, ცერი და დანარჩენი სამი თითი კრავს ქვედა წრეს და დაქტილი იმეორებს ასო ზენ-ის გრაფიკას.

თ

არის დახურული ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ და ქვემოთ. ცერა თითი ეხება სწორად გაშვერილ საჩვენებელ თითს,

დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. დაქტილი იმეორებს ასო თან-ის გრაფიკას: ნაწილობრივ მხედრულის, ნაწილობრივ კი ასომთავრულის მოხაზულობას. ეს დაქტილი გადმოტანილია ძველი ქართული ანბანიდან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველი ანბანი მთლიანად იმეორებდა რუსულ ანბანს და მხოლოდ რამდენიმე ახალი დაქტილი იყო – იმ ბგერათა შესატყვისი დაქტილები, რომლებიც რუსულში არ გვხვდება. ასეთი იყო თ დაქტილიც. ჩვენი შეხედულებით, ეს სწორად შექმნილი ფორმაა ამ ბგერისთვის და ახალ ანბანს კარგად შეესაბამება.

ი

არის ღია ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი ნაწილობრივ კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ და ქვემოთ, მიტყუპებული და ოდნავ მოხრილი ოთხი თითითა და განზე გამოწეული ცერი თითით დაქტილი იმეორებს ასო ინ-ის გრაფიკას. ამ დაქტილს აქვს მეორე ვარიანტიც:

ი

ეს არის საჩვენებელი თითით გამოსახული ჰორიზონტალური ხაზი, რომლითაც ხშირად აისახება "ინ" ასო ხელნაწერ ვარიანტებში. დანარჩენი თითები კი მუშტადაა შეკრული.

კ

არის დახურული ფორმის, შერეული ტიპის დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხენივ, ზემოთ აღმართული სწორი ცერი თითი შეკრულ მუშტთან. ერთი მხრივ, ეს არის მინიშნებადი, სიტყვიდან

– "კარგი", მეორე მხრივ, დაქტილი ნაწილობრივ კოპირებადია და იმეორებს ქართული ასომთავრული ანბანის ასო კან-ის მოხაზულობას (ქვედა ფეხის გარეშე).

ჯ

არის ღია ფორმის, ხელისგული მიმართულია პირდაპირ, ცერი და საჩვენებელი თითები გადმოსცემენ შესაბამისი გრაფემის ქვედა ნაწილის ამსახველ ფორმას და გაშლილია სამი თითი – ბეჭდური ლას-ის სამი კბილის დარად.

მ

არის დახურული ფორმის, ხელისგული მიმართულია პირდაპირ და მოხრილი საჩვენებელი თითით წარმოდგენილია კოპირებადი მ დაქტილი, რომელიც იმეორებს ქართული მხედრული ანბანის შესაბამისი ასოს გრაფიკას.

ნ

არის დახურული ფორმის, ხელისგული მიმართულია მარცხნივ შეკრული მუშტითა და განზე გაწეული ოდნავ მოხრილი ნეკით. აქ გვაქვს კოპირებადი დაქტილიც და მინიშნებაც სიტყვაზე "ნეკი".

ო

არის ღია ფორმის დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილი ცერით და საჩვენებლი თითით გამოსახულია არაბეჭდური, ხელნაწერი ვარიანტის მხედრული ანბანის ასო ონ-ის კოპირებადი დაქტილი. შუათითი, არათითი

და ნეკი მუშტადაა შეკრული. იგივე დაქტილი შეიძლება ასეც იყოს წარმოდგენილი:

ო

აქ საჩვენებლ თითთან ერთად გაშლილი და აღმართულია შუათითი, არათითი და ნეკიც. ფაქტობრივად იგივე ფორმაა გადმოცემული.

პ

არის დახურული ფორმის სიტყვა "პირჯვარზე" მინიშნებადი დაქტილი. თითები მომზადებულია პირჯვრის გადასაწერად. ხელისგული მიმართულია მარცხნივ. ერთადშეკრული სამი თითით მართლმადიდებლური რიტუალური სამების ფორმაა გამოსახული, ნეკი და არათითი კი ჩაკეცილია და ხელისგულს ეხება.

ჟ

არის ღია ფორმის დაქტილი ხელისგული მიმართულია პირდაპირ. ყველა თითი ნერვიულად მოკეცილია თანაბრად – მოხრილია მეორე სახსარში, გარკვეული ემოციურ-სენსიტიური პოზით თითები ღია ბრტყელ წრეს ხაზავენ. იგივე დაქტილი შეიძლება შემოტრიალებული ფორმითაც იყოს წარმოდგენილი:

ჟ

რ

არის დახურული ფორმის ნაწილობრივი კოპირების დაქტილი. ხელისგული მიმართულია პირდაპირ, ცერი და შუა თითი კრავენ წრეს და გაშლილია დანარჩენი სამი თითი.

ს

არის ღია ფორმის კოპირებადი დაქტილი ხელისგული მიმართულია მარცხნივ, შეკრული მუშტის ფონზე ზემოთ აწეული, გამართული, ახლოს განლაგებული საჩვენებელი და ცერი თითებით დაქტილი იმეორებს ასო სან-ის გრაფიკას სარკისებური ასიმეტრიით.

ტ

არის დახურული ფორმის დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ. განზე გაწეულია ცერი თითი, ხოლო შუა თითი გადაჯვარედინებულია საჩვენებელ თითზე და ამ სამი თითით მოცემული კოპირებადი დაქტილი იმეორებს მხედრული ანბანის ასო ტან-ის გრაფიკას. ამ დაქტილს აქვს მეორე ვარიანტიც, როდესაც ყველა თითი გაშლილია:

ტ

ჟ

ფ

ქ

ქ

არის ღია ფორმის დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ და ქვემოთ, სწორად მოხრილი ოთხი შეტყუპებული თითი და ცერა თითი ნაპრალს ქმნიან.

არის დახურული ფორმის დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ და ქვემოთ, სწორად მოხრილი ოთხი მიტყუპებული თითი მარცხნივაა გაშვერილი და ცერა თითი ეხება საჩვენებელ თითს. ეს დაქტილიც გადმოტანილია ძველი ქართული ჟესტური ანბანიდან.

არის ღია ფორმის კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ. მეორე სახსარში ერთად მოხრილი შუათითი, ნეკი და არათითი, ამის ფონზე ზემოთ აწეული საჩვენებელი თითი და ოდნავ მოხრილი ცერი თითით დაქტილი იმეორებს ასო ქან-ის გრაფიკას. ეს დაქტილიც გადმოტანილია ძველი ქართული ანბანიდან. იგივე დაქტილი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ოდნავი სხვაობითაც, კერძოდ, საჩვენებელი თითია მოხრილი, ხოლო შუათითი, არათითი და ნეკი გამართულია:

ღ

ყ

ყ

არის ღია ფორმის კოპირებადი დაქტილი, რომელიც იმეორებს ქართული მხედრული ანბანის შესაბამისი ასოს გრაფიკას. მოხრილი საჩვენებელი და შუა თითები ამ გრაფემის ზედა ნაწილს წარმოდგენს, ხოლო დანარჩენი სამი თითით გადმოცემულია გრაფემის ქვედა ნაწილი.

წარმოდგენილია კოპირებადი დაქტილი, რომელიც იმეორებს ქართული მხედრული ანბანის შესაბამისი ასოს გრაფიკას. ხელისგული მიმართულია პირდაპირ. განზე გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითებით კი იკვრება მუშტი.

ეს ალტერნატიული ვარიანტი არის დახურული ფორმის შერეული ტიპის დაქტილი, სადაც ხელისგული მიმართულია პირდაპირ. გაშლილი და ზეაღმართულია საჩვენებელი და ნეკი თითები, ხოლო ცერი, შუათითი და არათითი მუშტადაა შეკრული. როგორც კოპირებადი ფორმა ეს დაქტილი იმეორებს ასო ყარ-ის გრაფიკას როგორც მხედრულის, ასევე ასომთავრულის. ეს დაქტილი მინიშნებადიცაა სიტყვაზე "ყურები" და ფორმით დაცქვეტილ ყურებს მოგვაგონებს.

შ

არის დახურული ფორმის დაქტილი, ხელისგული მიმართულია მარცხნივ. ოდნავ მოხრილი და აღმართულია საჩვენებელი და შუა თითები. დანარჩენი თითები კი კრავენ მუშტს. იქმნება კოპირებადი შ დაქტილი, რომელიც იმეორებს ქართული მხედრული ანბანის შესაბამისი ასოს გრაფიკას.

ჩ

არის დახურული ფორმის კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ. განზე გაწეულია ცერი თითი, ხოლო საჩვენებელი თითი წრეს კრავს შუა თითთან და გადმოცემულია ქართული მხედრული ანბანის შესაბამისი ასოს გრაფიკა. იგივე დაქტილი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ასეც:

ჩ

აქ ცერი და საჩვენებელი თითებით იგივე ფორმაა მოხაზული, მაგრამ სამი – თითი შუა, არათითი და ნეკი ყველა გაშლილია თანაბრად.

ც

არის დახურული ფორმის დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ. განზე გაწეულია ცერი თითი, ხოლო შუა თითი საჩვენებელ თითზე წინ არის წაწეული და ამ სამი თითით მოცემული კოპირებადი დაქტილი იმეორებს ქართული მხედრული ანბანის შესაბამისი ასოს გრაფიკას. ამ დაქტილს აქვს მეორე ვარიანტიც.

ც

ეს ალტერნატიული ვარიანტი არის ღია ფორმის მინიშნებადი დაქტილი – სიტყვაზე "ცეკვა". ხელისგული მიმართულია პირდაპირ და ქვემოთ. წინ გაშვერილი ხუთივე თითი და ქვემოთ ჩაწეული შუათითი. ეს არის ქართულ ცეკვაში ქალის ხელის ფორმა.

ძ

არის დახურული ფორმის კოპირებადი დაქტილი ხელისგული მიმართულია მარცხნივ. სწორად ზეაღმართულია საჩვენებელი თითი. დანარჩენი თითები კრავენ წრეს. დაქტილი იმეორებს ასო ძილ-ის გრაფიკას. ეს დაქტილიც მცირედი ცვლილებებით გადმოტანილია ძველი ქართული ანბანიდან.

წ

არის დახურული ფორმის დაქტილი, რომელიც ქართული მხედრული ანბანის შესაბამისი ასოს გრაფიკას იმეორებს. ხელისგული მიმართულია პირდაპირ. სწორად ზეაღმართულია ნეკი და არათითი. დანარჩენი თითები კრავენ მუშტს.

ჭ

არის ღია ფორმის კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ. თითები ოდნავ მოხრილია და ღია წრეს ხაზავენ, ზემოთაა ამოწეული მოხრილი შუა თითი. დაქტილი იმეორებს ასო ჭარ-ის გრაფიკას.

ხ

ან

ხ

არის ღია ფორმის მინიშნებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია პირდაპირ, ერთად მიტყუპებული თითებით პირდაპირი მინიშნებაა სიტყვაზე “ხელი”.

ჯ

არის დახურული ფორმის მინიშნებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია პირდაპირ, ერთმანეთზე გადაჯვარედინებული საჩვენებელი და შუა თითები გამოსახავენ მინიშნებას სიტყვაზე “ჯვარი”. დანარჩენი თითები კი მუშტადაა შეკრული. ხელისგული წინაა მიმართული.

ვ

არის ნაწილობრივ კოპირებადი დაქტილი. აქ ასახულია შესაბამისი გრაფემის სამი კალთა. ხელისგული მიმართულია პირდაპირ, ცერი, საჩვენებელი და შუა თითი განზე გაწეულია, დანარჩენი თითები კი მუშტადაა შეკრული.

ქართული დაქტილური ანბანი




ა ბ გ დ ე ვ
ზ თ ი კ ლ მ
ნ ო პ ჟ რ ს
ტ უ ფ ქ ღ ყ
შ ჩ ც ძ წ ჭ
ხ ჯ ჰ


ა ბ გ დ ე
ვ ზ თ ი კ
ლ მ ნ ო პ
ჟ რ ს ტ უ
ფ ქ ღ ყ შ
ჩ ც ძ წ ჭ
ხ ჯ ჰ

საერთოდ, ნებისმიერი ახალი ანბანის დამკვიდრებას ახალი თაობები დასჭირდება. ამ შემთხვევაში, ჩვენ მხოლოდ პირველი აუცლებელი ნაბიჯი გადავდგით და იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი ინიციატივა შესაბამის მხარდაჭერას პოვებს განათლების სისტემაში, როგორც ეროვნული ინიციატივა. ასეთი პროცესი (როგორიცაა დამოუკიდებელი ანბანის შექმნა) ძალზე ბუნებრივია ჟესტურ ენათა რეინტეგრაციისა და მათი ნაციონალიზაციის მიმდინარე პროცესში. სამეტყველო ენა გვაქვს – 5 ათასზე მეტი, მაგრამ ანბანთა რაოდენობა განუზომლად მცირეა. ჟესტურ ენებში კი 40 ანბანია. საკუთარი დაქტილური ანბანი აქვთ იმ ხალხებსაც კი, რომელთაც თავიანთი განსხვავებული ანუ საკუთარი გრაფემული ანბანი არ გააჩნიათ სამეტყველო ენებში (ამერიკული, ბრიტანული, ფრანგული და ა.შ.) ამის ფონზე, ცხადია, ქართული ანბანი ნამდვილად იმსახურებს დაქტილური ვარიანტის შექმნას. ხოლო ამ ანბანის დანერგვის საკითხი კი ეროვნულ-კულტურული ღირებულებების თემაა. ახალი ანბანის დანერგვას ყოველთვის აქვს მოსალოდნელი წინააღმდეგობები (მაგრამ არა გადაულახავი). ჩვენ ვიცით ხალხები, რომელთაც გასული საუკუნის მანძილზე რამდენჯერმე მარტივად შეცვალეს დამწერლობა (მხედველობაში მყავს აფხაზები).

აღსანიშნავია, რომ ახალ ანბანთან დაკავშირებით შესაბამისად შეიცვლება დაქტილით ნაწარმოები სიტყვა-ჟესტებიც და ეს პროცესი აისახება მხოლოდ ლექსიკურ დონეზე.

ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ შემოთავაზებული ანბანის დადებითი მხარეებია: ეს არის ორიგინალური, მკაფიო და მარტივი ფორმების მქონე, ქართულ გრაფემებსა და იდეოდაქტილებზე

ორიენტირებული ანბანი, რომელიც გარკვეულ ფონეტიკურ ინფორმაციასაც შეიცავს. მაგალითისთვის განვიხილოთ “ა” დაქტილი, რომელიც ანბანთა უმეტესობაში არის მუშტის ფორმის. ასევე იყო ის ძველ ქართულ დაქტილურ ანბანშიც, რომელიც რუსულს იმეორებდა. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ფონეტიკური ნიშნით ხმოვანი არ უნდა იყოს შეკრული ფორმის დაქტილი. მაგრამ ეს ღია ვარიანტი მხოლოდ ჩვენი ალტერნატიული ფორმაა ამ დაქტილისთვის. ამ ეტაპზე ყრუთა თემმა არჩია ძველი დაქტილის დატოვება (შესაძლოა სხვა დროს თემი კიდევ დაუბრუნდეს ამ საკითხს განსახილველად). ეს პირველი ნიშანი ბევრ ენაში საერთოა და გარკვეული თვალსაზრისით ყრუთა ერთიანობასაც მოიაზრებს. ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ქართულ ანბანში ღიაობისა და დახურულობის ფონეტიკური ნიშნებიც გათვალისწინებულია. ამ ანბანში ხუთივე ხმოვანში დაცულია ღიაობის ფონეტიკური პრინციპი. ხშულობის ფონეტიკური ნიშნების მატარებლებია – ბ, გ, დ, მ, ნ, პ. რიგი ასოებისა მიუყვება ქართულ მხედრულ ანბანს – ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ს, ქ, ყ, ძ, ჭ. რამდენიმე ასო იმეორებს ასომთავრულის მოხაზულობას – თ, კ, ყ. იდეოგრამული დაქტილებია კ- კარგი, ნ- ნეკი, პ- პირჯვარი, ჯ- ჯვარი, ხ- ხელი, ყ- ყურები, ც- ცეკვა. ემოციურ-სენსიტიური ფორმაა “ჟ” - მოკრუნჩხული თითები. მნიშვნელოვანია, რომ შემოთავაზებულ ანბანში არ არის ერთამენთის მსგავსი ან მცირედი სხვაობის მქონე დაქტილები. თითოეული დაქტილი არის მკაფიო და მარტივი ფორმის.

თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ ამერიკულ დაქტილურ ანბანს, რომელსაც დაეფუძნა საერთაშორისო დაქტილური ანბანიც. ასევე ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ და

ერთმანეთს შეადაროთ რუსული ანბანი, მასზე დაფუძნებული არსებული ქართული ანბანი და ჩვენ მიერ შემოთავაზებული ქართული დაქტილური ანბანის ახალი ვარიანტი.

საერთაშორისო დაქტილური ანბანი

ამერიკული დაქტილური ანბანი



რუსული დაქტილური ანბანი



ბრიტანული დაქტილური ანბანი



ქართული დაქტილური ანბანი (ძველი)

გოლოსიტყვაობა

ჟესტურ ენებს გამოიყენებენ ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანები. ყველა ქვეყანაში არის ასეთი თემები. ყრუები საქართველოში წარმოადგენენ ლინგვისტურ უმცირესობას, რომელთა უფლებების დაცვას სახელმწიფო ცდილობს შესაბამისი კანონებით. საქართველოს კანონში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ (მუხლი №5) აღნიშნულია: „სახელმწიფო ცნობს ჟესტების ენას პიროვნებათშორისი ურთიერთობის საშუალებად და უზრუნველყოფს აუცილებელი პირობების შექმნას მისი გამოყენებისა და განვითარებისათვის". საქართველოში ყოველი სახელმწიფო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ყრუთა მომსახურება სურდოთარჯიმნებით. შესაბამისად, საჭიროა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ისწავლებოდეს ასეთი სპეციალობა. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ განათლების კანონში 2010 წელს შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც "სენსორული დარღვევის მიმართულებით სპეციალიზებულ სკოლაში, სადაც განათლებას იღებენ სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეები, გამოიყენება ჟესტების ენა და მისი ანალოგები." იმისთვის, რომ სწავლება ქართულ ჟესტურ ენაზე რეალურად გახდეს შესაძლებელი, საჭიროა ამ ენის გამოკვლევა და რიგი სამეცნიერო სამუშაოების ჩატარება, კერძოდ, ლექსიკონების შექმნა, გრამატიკული კატეგორიების დეტალური ანალიზი, ენის ნორმების დადგენა, მეთოდიკის შემუშავება, ენის დონეების განსაზღვრა და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში ქართული ჟესტური ენა განიცდიდა რუსულის გავლენას, რამდენადაც თემის აქტიური წევრების უმრავლესობა არაქართული წარმოშობის იყო და არც არსებობდა რამე სახელმძღვანელო ან სხვა ტიპის წიგნი საკუთრივ ქართული ჟესტური ენის შესახებ. რუსული ენობრივი დომინანტის კვალი ნათლად ჩანს როგორც ძველ ანბანში, ასევე ლექსიკაშიც. ფაქტობრივად, რუსული ჟესტური ენა ბაზად დაედო საბჭოთა კავშირის ხალხების ჟესტურ ენებს

და საბოლოოდ მივიღეთ ერთიანი საბჭოთა ჟესტური ენა, რომელიც წარმატებით გამოიყენებოდა ყრუთა საკომუნიკაციოდ ამ სივრცეში. ყრუ ადამიანები დღესაც ინარჩუნებენ ურთიერთობას ამ ენაზე. თუმცა უკვე მიმდინარეობს ჟესტურ ენათა ნაციონალიზაცია და დაწყებულია რეინტეგრაციის პროცესი. ლექსიკისაგან განსახვავებით, ჟესტური ენის გრამატიკული დონეები შედარებით თავისუფალია რუსულის ზეგავლენისა და ნასესხობებისაგან. თუმცა, მიმდინარე ეტაპზე ლექსიკაში მომხდარი ცვლილებები ყველაზე უკეთ ასახავენ ნაციონალიზაციის ამ პროცესს.

საერთოდ, ყრუთა თემების წევრები კრეატიული ბუნების ხალხია და ხშირად ისინი თავად ქმნიან ჟესტებს. არის ოჯახები, რომელთაც არ იციან იმ ქვეყნის ჟესტური ენა და თავისი ოჯახის ყრუ წევრებთან ურთიერთობენ გამოგონილი ჟესტებით ან უმეტეს შემთხვევაში იზოლაციაში არიან კომუნიკაციური პრობლემის გამო. ამდენად, ჟესტური ენის ცოდნა ყრუთათვის აუცილებელია მათივე საზოგადოებაში სრულფასოვანი წევრობისთვის. საერთოდ, ყრუთა თემის წევრებისათვის დამახასიათებელია ბილინგვიზმი – ჟესტური და სამეტყველო ენების ცოდნა. შესაბამისად, აუცილებელია მათი სამეტყველო უნარების განვითარება. როგორც შვეიცარიის უნივერსიტეტის პროფესორი ფ. გროჟანი აღნიშნავს, სამეტყველო ენის ცოდნას შემდეგი გამოყენება აქვს:

1. ადრიდანვე ყალიბდება ოჯახის წევრებთან ურთიერთობა, რასაც თან ახლავს შესაბამისი ფსიქო-სოციალური მიზნები და სათანადო გარემოს ჩამოყალიბება;
2. სამეტყველო ენის ცოდნა განავითარებს კოგნიტიურ უნარებს;
3. სამეტყველო ენის საშუალებით ყრუ შეიძენს ცოდნას სხვადასხვა სფეროებში;
4. სამეტყველო ენის ბაზაზე მოხერხდება ადამიანებთან ნორმალური ურთიერთობების დამყარება;
5. ყრუთა თემის წევრები მიეჩვევიან ორ სამყაროში არსებობას.

არც ისე დიდი ხნის წინ ჟესტური ენები ითვლებოდა შედარებით დაბალი განვითარების ენებად, რადგან სამეტყველო ენების იმიტაციად განიხილებოდა. თუმცა ამ ენათა აღწერა ტრადიციული ლინგვისტური პარამეტრებით ვერ ხერხდებოდა. შემდგომში მეცნიერებამ რადიკალურად შეცვალა ასეთი უსაფუძვლო შეხედულება. დღეს კი მსოფლიოს წამყვან, პრესტიჟულ უნივერსიტეტებში ჟესტურ ენებს ინტენსიურად იკვლევენ. ასეთი უნივერსიტეტებია: გალადეტის, ჰარვარდის, იელის, როჩესტერის, ნიუ-იორკის, კალიფორნიის, ინდიანას და სხვ. განსაკუთრებით გაძლიერებული კვლევები მიმდინარეობს შემდეგ შტატებში: კალიფორნიის, კონექტიკუტის, ფლორიდის, ილინოისის, მიჩიგანის, პენსილვანიის, ტეხასის, მასაჩუსეთის, ნიუ-იორკის, ოჰაიოს, ვისკონსონის, ინდიანას, არიზონის, ალიასკის, აიოვასა და ვაშინგტონის შტატების უნივერსიტეტებში. ამ დარგში წარმატებით მუშაობენ ბრისტონის ცენტრი და დარემის უნივერსიტეტი დიდ ბრიტანეთში, ქ. ბუნიკის ჟესტური ენის ცენტრი ნიდერლანდებში, ჰამბურგის უნივერსიტეტი გერმანიაში, სტოკჰოლმის უნივერსიტეტი შვეციაში, ჰელსინკის უნივერსიტეტი ფინეთში. ამ ფონზე ძალზე სამწუხაროა, რომ დღესდღეობით ქართული ჟესტური ენის მიმართულებით, ფაქტობრივად, არ არსებობს სამეცნიერო ან რამე სხვა ლიტერატურა. გვაქვს მხოლოდ 2008 წელს გამოცემული ა. ბატატუნაშვილის "მოლაპარაკე ხელები" – ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი, რომელიც გადასამუშავებელია ავტორისავე აზრით, რადგანაც პოსტსაბჭოური ნაციონალიზაციის პროცესში მომხდარი ცვლილებანი მასში არაა ასახული. ეს არის მცირე ფორმატის წიგნი, რომელიც გასაუმჯობესებელია ტექნიკური თვალსაზრისითაც. იმედს ვიტოვებთ, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს უნივერსიტეტებიც ჩაებმებიან ქართული ჟესტური ენის შესწავლის პროცესში და ახალი, საინტერესო, მეცნიერული კვლევებით გაამდიდრებენ ლინგვო-კულტუროლოგიის ამ მიმართულებებს.

ლიტერატურა:

1. Charlotte Baker-Shenk, Dennis Cokely. American Sign Language. A Teacher's Resource Text of Grammar and Culture. Clerc Books. Gallaudet University Press. Washington D.C. 1980, 1991

2. Dennis Cokely, Charlotte Baker-Shenk, American Sign Language. A Teacher's Resource Text on Curriculum, methods and Evaluation. Clerc Books. Gallaudet University Press. Washington D.C. 1980

3. Elaine Costello. American Sign language Dictionary. Random House Webster's. NY. 1994

4. Gesture languages of Friendship. Volume II. Saint-Petersburg. 2003

5. Francois Grosjean, The right of the deaf child to grow up bilingual" University of Neuchatel, Language and Speech laboratory. Switzerland, 1996

6. Kendon, Adam. (1994) "Human Gestures" In K.R. Gibson and T. Ingold (eds) Tools, Language and Cognition in Human Evolution. Cambridge: Cambridge University Press. 1994

7. Базоев В. З. Паленный В.А. Человек из мира тишины. «Академкнига» Москва. 2002

8. Зайцева Г. Л. Русский жестовый язык. Курс для начинающих. Учебно-методическое пособие. Научно-методический центр социально-педагогических проблем обучения глухих и жестового языка. Москва. 1999

9. Современные аспекты жестового языка. Составитель сборника А. Комарова. Москва, 2006

10. Фрадкина Р. Говорящие руки. Тематический словарь жестового языка глухих России. Москва. 2001

11. ბატატუნაშვილი ა. "მოლაპარაკე ხელები". ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი. თბილისი. 2008

12. Русский жестовый язык и мы. Сборник материалов Московской конференции 20.04.2011

13. Словарь Русского жестового языка. Авторский коллектив: Базоев В. З. Гаврилова Г.Н. Егорова И.А. Ежова В.В. Давыденко Т.П. Чаушьян Н.А. Москва. Изд. «Флинта» 2009

14. www.signwritting.org

სარჩევი

შესავალი ———————————————————— 2

ჟესტური ენები ———————————————————— 4

წინადადება და სიტყვათა რიგი ———————————— 17

1. წინადადება და სასვენი ნიშნები 17
2. წართქმითი და უკუთქმითი ფორმები 19
3. სიტყვათა რიგი 21
4. მარტივი წინადადება 25
I. თხრობითი წინადადება 25
II. კითხვითი წინადადება და კითხვითი სიტყვები 27
III. ძახილის წინადადება 37
5. კავშირები 44
6. რთული წინადადება 49
I. რთული თანწყობილი წინადადება 49
II. რთული ქვეწყობილი წინადადება 52
7. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები 58
8. პირველადი საკომუნიკაციო ჟესტები 65

სივრცე ———————————————————— 73

1. გეოგრაფიული სახელები 74
2. ადგილის ზმნიზედა და თანდებული 91
3. ზმნისწინები 113

დრო ———————————————————— 126

1. მოქმედების დრო 127
2. დროის ლექსიკა 131

საგანი ———————————————————— 170

1 ზოგადი მორფოსემანტიკური ანალიზი 170
2. ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები 179
I. ვინ და რა ჯგუფის სახელები 179
II. სულიერი და უსულო სახელები. 186
III. კონკრეტული და აბსტრაქტული სახელები. 194
IV. გეოგრაფიული სახელები 209
V. ნივთიერებათა სახელები. 210
VI. კრებითი სახელები 212
VII. საზოგადო და საკუთარი სახელები 215
VIII. მოქმედების სახელები. 219
IX. უარყოფითი (უკუთქმითი) სახელები 221

3. მრავლობითობა 228
4. ბრუნება 234
I. სახელობითი ბრუნვა 235
II. მოთხრობითი ბრუნვა 236
III. მიცემითი ბრუნვა 237
IV. ნათესაობითი ბრუნვა 239
V. მოქმედებითი ბრუნვა 240
VI. ვითარებითი ბრუნვა 241
VII. წოდებითი ბრუნვა 242

ნაცვალსახელი ———————————————————— 244

1. პირის ნაცვალსახელები 244
2. ვენებითი ნაცვალსახელები: 258
3. კითხვითი ნაცვალსახელები: 261
4. კუთვნილებითი ნაცვალსახელები 265
5. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები 270
6. კუთვნილებით-უკუქცევითი ნაცვალსახელი 271
7. მიმართებითი ნაცვალსახელები 272
8. ურთიერთობითი ნაცვალსახელები 281
9. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები 281
10. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები 283
11. უარყოფითი ნაცვალსახელები 285
12. უკუქცევითი ნაცვალსახელი 288
13. პირის მიმიკური (არაჟესტური) ნაცვლსახელები 288

მოქმედება ———————————————————— 293

1. ზმნათა სემანტიკური კლასიფიკაცია 293
2. პირის კატეგორია და პოლიპერსონალიზმი 311
3. სუბიექტური და ობიექტური პირები 322
4. გეზი და ორიენტაცია 367
5. ზმნის დრო 377
6. ასპექტი 385
7. გზისობა 393
8. გვარი 399
9. ქცევა და რეფლექსივი 406
10. კონტაქტი 422
11. უღვლილება 427
12. ზმნის სტრუქტურა 438

კლასის კატეგორია ———————————————— 442

კუთვნილება ———————————————————— 466

1. კუთვნილებითობის ნაცვალსახელური მორფოსემანტიკა 466
2. "-თვის" თანდებულიანი ფორმები 472
3. კუთვნილების სემანტიკა ბრუნვებში 480
4. კუთვნილებითობის მორფოსემანტიკა ზმნებში 489
5. კუთვნილებითობის დერივაცული მორფოსემანტიკა 495
6. უარყოფითი კუთვნილებითობა 505

თვისება ———————————————————— 510

1. თვისების მორფოსემანტიკური კატეგორია 510
2. ფერის ასახვა ენაში 513
3. ანტონიმური ფორმები 521
4. თვისების ქონა-არქონა 546
5. უკუთქმითი თვისება 549
6. მოქმედების თვისება 555
7. თვისების ხარისხის ფორმები 559
8. კომპოზიტური ფორმები 565

რაოდენობა და ზომა-წონის ერთეულები ———————— 576

1. რიცხვითი სახელი ჟესტურ ენებში 576
   I. რაოდენობა 578
   II. რიგი 604
   III. ნაწილი 611
2. ზომა-წონის ერთეულები 615
3. მათემატიკური სემანტიკის ჟესტები 621

ქართული დაქტილური ანბანი ———————————— 636

გოლოსიტყვაობა ———————————————— 663

ლიტერატურა: ———————————————— 666

ქართული ჟესტური ენა, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ამ რიგის ენები, რუსულ ჟესტურ ენას იყენებდა ყრუთა საკომუნიკაციოდ. ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს ჟესტურ ენათა ნაციონალიზაცია. დიდად გასახარია, რომ თამარ მახარობლიძის სახით ასეთი მოამაგე გამოუჩნდა ყრუთა ქართულ თემს და ქართული ჟესტური ენა მონოგრაფიის სახით დაუნჯდა.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ნაშრომში სწორად არის მოწოდებული მასალა, გრამატიკული თემები უხვადაა ილუსტრირებული ენობრივი საქცევებით; ქართული ჟესტური ენის მორფოსინტაქსი თავისებურებების გათვალისწინებით არის ფორმულირებული, რასაც ავტორი დაკვირვებული მკვლევრის ალღოთი სადად და ამომწურავად გვაწვდის.

თამარ მახარობლიძე მოკვლეულ მასალას უაღრესად საინტერესო კონცეპტუალური სვლებით გვაწოდებს. ნაშრომის ფუნქციურ-ინფორმაციული სპეციფიკით არის განპირობებული ის, რომ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში შეივსო ლაკუნა: პირველად ჩვენი ერის ისტორიაში დაიდო ქართული დაქტილური ანბანი და ჟესტური ენის გრამატიკა. ავტორს განუხილავი არ რჩება სამეტყველო ქართულის არც ერთი მორფო-სინტაქსურ-სემანტიკური სტრუქტურის შეთანადება ჟესტურთან. იგი არ სჯერდება ძირითადი ტიპების ზოგად ლინგვისტურ მიმოხილვას და თითოეულ ჟესტურ შტრიხს უთანხმებს ყრუთა თემს. წიგნში აკუმულირებულია სამეტყველო ქართული ენის თეორიული ბაზისი და ჟესტური ენა ძალდაუტანებლად არის სტრუქტურირებული. კვალიფიციური ანალიზი სარწმუნოდ ხდის შემოთავაზებულ დებულებებს.

”ქართული ჟესტური ენა” ქართველოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენია. საენათმეცნიერო ლიტერატურის ცნებებისა და ეროვნული მასალის სივრცეში ეს ნაშრომი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე დონის შესაბამისი კვლევის მანიფესტაციაა.

რედაქტორი მარიკა ჯიქია